ძალადობრივ ექსტრემიზმთან **გამკლავება:**

კონცეფციების, პროგრამების შექმნისა და მოწინავე პრაქტიკის
შესახებ გაცნობითი ხასიათის სახელმძღვანელო



ადაპტირებულია საქართველოსთვის

Hedayah countering violent extremism

SEARCH FOR COMMON GROUND

GCSD

ეს სასწავლო პროგრამა მომზადდა ორგანიზაციის „Search for Common Ground“ მიერ „Hedayah“-ს ცენტრთან თანამშრომლობითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროგრამის „STRIVE Global“ ფარგლებში.

მოცემული პუბლიკაცია შეიქმნა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე ექსკლუზიური პასუხისმგებლობა ეკისრება ორგანიზაციას „Search for Common Ground“ და შესაძლებელია არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

© „Search for Common Ground“, 2019 წ.
გარკვეული უფლებები დაცულია.

გარეკანის გამოსახულება: © შპს “შინდი”

ტექსტი მოამზადა დალინ ვან ლეუვენმა

რეცენზენტები:
ლენა სლახმუილდერი, აირინ ბელმონტე, კარლოტა ნანი, ქრისტინა მატეი, სარა ცაიგერი, ლაილა ელსაიედი, უედად ალ ჰასენი, ემილ ჟეენბეკოვი, კენეშბეკ საინაზაროვი, ინდირა ასლანოვა, მაია ჟიზინი, ლაქშითჰა საჯი პრელისი და სოლვი კარლსონი.

ეს არის Search for Common Ground-ის ორიგინალი ნაშრომის ადაპტაცია. ადაპტაციაში გამოთქმულ მოსაზრებებსა და შეხედულებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ექსკლუზიურად ადაპტაციის ავტორ(ებ)ს და არაა დამტკიცებული ორგანიზაციის „Search for Common Ground“ მიერ. ადაპტირება უზრუნველყო საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრმა (GCSD).

ადაპტირებული ტექსტი მოამზადა მარიამ თოხაძემ

რეცენზია და გამოცემა:
ლევან დოლიძე, გიორგი გოგუაძე, ფარანგიზ ატამურადოვა, სარა ცაიგერი, აირინ ბელმონტე

ქართულად ადაპტირებული ვერსია დააკაბადონა და დიზაინი შექმნა თორნიკე ჯაველიძემ

გამოქვეყნებულია 2020 წელს.

მოცემულ ნაშრომზე ვრცელდება საერთაშორისო ლიცენზიით
Creative Commons
Attribution-Noncommercial-NoDerivatives 4.0 International License
გათვალისწინებული პირობები.

ავტორობის მითითება:

ზემოაღნიშნული ლიცენზია იძლევა პუბლიკაციის ცვლილების, ადაპტირების, თარგმნის ან დამატების შესაძლებლობას იმ პირობით, რომ შეცვლილი მასალა არ გავრცელდება ორგანიზაციის „Search for Common Ground" წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე. წარმოდგენილი ნაშრომები უნდა შეიცავდეს მითითებას საავტორო უფლებებისა და პასუხისმგებლობის უარყოფის შესახებ, როგორც ეს ქვემოთ არის მითითებული. ამ პუბლიკაციის გამოყენება შემდგომი რეალიზაციისთვის ან ნებისმიერი სხვა კომერციული მიზნისთვის აკრძალულია ორგანიზაციის „Search for Common Ground" წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე. აღნიშნული უნდა მიეთითოს ციტატებში, ადაპტაციებსა და თარგმანებში შემდეგი სახით:

დალინ ვან ლეუვენი, „Countering Violent Extremism: An Introductory Guide to Concepts, Programming, and Best Practices"; ადაპტირებული ცენტრალური აზიის რეგიონისთვის, ინგლისურენოვანი გამოცემა („Search for Common Ground", 2019 წ.).

მესამე მხარეების მიერ მოწოდებული მონაცემები:

ორგანიზაცია „Search for Common Ground" შეიძლება არ ფლობდეს უფლებებს ამ პუბლიკაციით გათვალისწინებული მონაცემების ყველა კომპონენტზე. თუ აპირებთ ამ ნაშრომის რომელიმე კომპონენტის განმეორებით გამოყენებას ან ადაპტირებას, თქვენ დაგეკისრებათ პასუხისმგებლობა განმეორებით გამოყენებასთან დაკავშირებით ნებართვის საჭიროების განსაზღვრასა და საავტორო უფლებების მფლობელისგან ნებართვის მოპოვებაზე. კომპონენტების მაგალითები შეიძლება შეიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ აქტივობებით, დიაგრამებით, ვიდეო-მასალითა და სხვა სახის პუბლიკაციებით.

თარგმანი:

ნაშრომის თარგმნის შემთხვევაში, გთხოვთ, დაამატოთ პასუხისმგებლობის უარყოფის შემდეგი ფორმულირება, ავტორობის მითითებასთან ერთად: „პუბლიკაცია წარმოადგენს ორგანიზაციის „Search for Common Ground" ორიგინალი ნაშრომის თარგმანს და არა აღნიშნული ორგანიზაციის მიერ შესრულებულ ოფიციალურ თარგმანს. ორგანიზაცია „Search for Common Ground" არ აგებს პასუხს ნათარგმნი დოკუმენტის შინაარსზე ან მასში დაშვებულ შეცდომებზე."

ადაპტაციები:

ნაშრომის ადაპტირების შემთხვევაში, დაამატეთ პასუხისმგებლობის უარყოფის შემდეგი ფორმულირება, ავტორობის მითითებასთან ერთად: „პუბლიკაცია წარმოადგენს ორგანიზაციის „Search for Common Ground" ორიგინალი ნაშრომის ადაპტირებულ ვერსიას. ადაპტაციის ავტორ(ებ)ს ეკისრება(თ) ექსკლუზიური პასუხისმგებლობა მასში წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შეხედულებებზე, რაც შეიძლება არ ემთხვეოდეს ზემოაღნიშნული ორგანიზაციის მოსაზრებებს." ადაპტირებული და ნათარგმნი ვერსიების გავრცელება არ შეიძლება ორგანიზაციის „Search for Common Ground" წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

სამადლობელი სიტყვა

ავტორი გამოხატავს მადლიერებას შემდეგი პირების მიმართ, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს ამ ნაშრომის გამოქვეყნებაში: ლენა სლახმუილდერი, რომლის რჩევები და იდეოლოგიური ღვაწლი შეუფასებელი იყო მუშაობის პროცესში; ჯორჯია ჰოლმერი, ენდრიუ გლაზარდი, ეილი უინტერბოტემი და მარტინ ცოიტენი, რომლებმაც მნიშნელოვანი გამოხმაურებები წარმოადგინეს ნაშრომის თავდაპირველი ვარიანტის შესახებ; „Hedayah"-ს ცენტრის რეცენზენტები, რომლებმაც დასაწყისიდანვე განსაზღვრეს შესაბამისი კურსი იმისათვის, რომ პუბლიკაცია ყოფილიყო მაქსიმალურად შინაარსობრივი და საფუძვლიანი; ორგანიზაციის „Search for Common Ground" უამრავი რეცენზენტი და კონსულტანტი, რომლებმაც მოწინავე პრაქტიკის გათვალისწინებით წარმოადგინეს ანალიტიკური შეფასებები და რეკომენდაციები; ორგანიზაციის „Search for Common Ground" ადგილობრივი გუნდი, რომელმაც საკუთარი წვლილი შეიტანა პუბლიკაციის შინაარსის ადაპტირებაში ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით; საპილოტე პროგრამის ტრენერები, რომელთა ლიდერულმა თვისებებმაც საპილოტე ტრენინგების დროს ხელი შეუწყო სასწავლო მასალების შინაარსის რედაქტირებას და რომელთა ინოვაციური იდეებიც გათვალისწინებული იქნა ინსტრუქტორების სახელმძღვანელოში; აგრეთვე, საპილოტე ტრენინგების მონაწილეები ყირგიზეთსა და იორდანიაში, რომლებმაც მოგვაწოდეს შენიშვნები ნაშრომის შინაარსისა და მსმენელამდე ეფექტიანად მიტანის გზების შესახებ.

არასამთავრობო ორგანიზაციის „Search for Common Ground" შესახებ

არასამთავრობო ორგანიზაცია „Search for Common Ground" (შემდგომში - „ორგანიზაცია") საქმიანობას ეწევა 1982 წლიდან. ორგანიზაციის მიზანია კონფლიქტების მოგვარების მიმართ გლობალური მიდგომის შეცვლა, დაპირისპირებული პოზიციიდან პრობლემების ერთობლივად მოგვარების პოზიციაზე გადასვლის გზით. კონფლიქტების კონსტრუქციული გზით მოგვარების მიზნით საზოგადოების პოტენციალის გასაძლიერებლად კულტურული თვალსაზრისით მისაღები საშუალებების მოძიებისთვის ორგანიზაცია იყენებს მრავალმხრივ მიდგომას. „ჩვენ მივმართავთ მედია-ინიციატივებს და ვმუშაობთ ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ფარგლებში იმისათვის, რომ გავიაზროთ არსებული განსხვავებები და ვიმოქმედოთ საერთო ინტერესებიდან გამომდინარე." 30-ზე მეტ ქვეყანაში ინოვაციური ინსტრუმენტების გამოყენებითა და საზოგადოების სხვადასხვა სექტორთან თანამშრომლობით, ორგანიზაცია ჩართულია კონფლიქტების ტრანსფორმაციის პრაგმატულ, გრძელვადიან პროცესებში. „ჩვენი მეთოდები მოიცავს შუამავლობას და ხელშეწყობას, სწავლებას, საზოგადოების ორგანიზებას, სპორტულ ღონისძიებებს, თეატრალურ წარმოდგენებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პროდიუსირებას, მათ შორის ტელე-რადიო გადაცემების, ფილმების და ბეჭდური მასალების წარმოებას."

„Hedayah"-ს ცენტრის შესახებ

„Hedayah"-ს ცენტრი ჩამოყალიბდა გლობალური კონტრტერორისტული ფორუმის (GFCF) და ფართო საერთაშორისო საზოგადოების წევრების მზარდი სურვილის საპასუხოდ, შეექმნათ დამოუკიდებელი, მრავალმხრივი ცენტრი, რომელიც მიეძღვნებოდა დიალოგსა და კომუნიკაციას, შესაძლებლობების განვითარების პროგრამებს, კვლევასა და ანალიზს ძალადობრივი ექსტრემიზმის ყველა ფორმასა და გამოხატულებასთან გამკლავების მიზნით. 2011 წლის სექტემბერში, ნიუ- იორკში, გლობალური კონტრტერორისტული ფორუმის (GFCF) სამთავრობო დონეზე გახსნის დროს,არაბეთის გაერთიანებულმა საამიროებმა წარმოადგინა წინადადება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების საკითხებში მოწინავე გამოცდილების მქონე საერთაშორისო ცენტრის მასპინძლობის თაობაზე. 2012 წლის დეკემბერში, „Hedayah"-ს სათაო ოფისი გაიხსნა აბუ-დაბიში, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში. „Hedayah"-ს მიზანია, გახდეს საერთაშორისო ცოდნისა და გამოცდილების მქონე წამყვანი ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს მოწინავე პრაქტიკის გააზრებასა დ ა გაზიარებას იმისათვის, რომ ეფექტიანად შეასრულოს ჭეშმარიტად გლობალური ცენტრის ფუნქციები ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად.

ავტორი:

დალინ ვან ლეუვენი ორგანიზაციის „Search for Common Ground" პროგრამების ხელმძღვანელია. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაზე ფოკუსირების პარალელურად, დალინს ნამუშევარი აქვს სამართლიანობის, კონფლიქტების მოგვარებისა და გენდერულ საკითხებზე აფრიკაში, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. ორგანიზაციაში მუშაობისას, ვან ლეუვენი სწავლობდა ახლო აღმოსავლეთში მარგინალიზაციის და რადიკალიზაციის მამოძრავებელ ფაქტორებს. ის გახლდათ ნაშრომის „Youth and Contentious Politics in Lebanon: Drivers of Marginalisation and Radicalisation in Tripoli" თანაავტორი, ასევე უზრუნველყოფდა კონსულტაციებს თემაზე „ქალები და ძალადობრივი რადიკალიზაცია იორდანიაში". გარდა ამისა, ვან ლეუვენი წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის მოხსენების - „საზოგადოების დონეზე რადიკალიზაციის აღქმის შეფასება კოსოვოს მასშტაბით" - თანაავტორს, ერაყში 2016 წელს გამოცემული წიგნის ისლამური რესპუბლიკისადმი მიძღვნილი თავის ავტორსა და ლევანტეში უცხოელი მამაკაცებისა და ქალების სამსახურში აყვანის შესახებ გენდერული სტრატეგიების უპრეცენდენტო გამოყენების ავტორს, რომელიც გამოქვეყნდა წიგნში "Foreign Fighters under International Law and Beyond".

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD)

არასამეწარმეო, არაპარტიული, არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის ძირითადი მიზნებია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა. ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე, მისი საქმიანობა მოიცავს: კვლევას, მონიტორინგს, ადვოკატირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო ხასიათის პროექტის განხორციელებას. GCSD ასევე გახლავთ ტერორიზმის კვლევითი ცენტრის (TRC) დამფუძნებელი. TRC არის საქართველოში პირველი ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება საქართველოში ტერორიზმის, ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის საკითხებზე მაღალი ხარისხის მასალების შექმნას.

სარჩევი

ტერმინების განმარტება 7

შესავალი 10

მოდულების მიმოხილვა 11

მოდული 1	ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების კონცეპტუალური საფუძვლები	13
მოდული 2	ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების გააზრება მათ კონტექსტში	34
მოდული 3	მრავალსექტორული მიდგომა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიმართ: მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები	56
მოდული 4	ახალგაზრდების სპეციფიკის გააზრება და მათი ჩართვა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში	71
მოდული 5	გენდერული დინამიკის გააზრება რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის სფეროში და ქალებისა და გოგონების ჩართვა ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში	98
მოდული 6	განათლების როლი ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასა და გამკლავებაში	114
მოდული 7	თემის ლიდერების და ოჯახის წევრების ჩართვა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში	138
მოდული 8	ნარატივების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლის გაცნობიერება ძალადობრივი ექსტრემიზმის სფეროში	154
მოდული 9	ინოვაციური ინსტრუმენტების გამოყენება: ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ტექნოლოგიები	173
მოდული 10	ძალადობრივ ექსტრემიზმზე რეაგირების მცდელობების მონიტორინგი და შეფასება	188

დასკვნა 206

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება

პროგრამები და პოლიტიკები, რომელთა მიზანია ცალკეული ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფების გადარწმუნება იმისათვის, რომ არ ჩაერთონ რადიკალიზაციასა და ძალადობრივ ექსტრემიზმში და არ მიმართონ იდეოლოგიურად მოტივირებულ ძალადობას სოციალური, ეკონომიკური, რელიგიურ მოტივებზე დაფუძნებული ან პოლიტიკური მიზნების მისაღწევად;

კონტრტერორიზმი

იძულებითი და არაიძულებითი ხასიათის პროგრამებისა და პოლიტიკების ერთობლიობა, მიმართული ძალადობრივი ექსტრემისტული საქმიანობის პრევენციისა და ამ საქმიანობისთვის ხელსაყრელი ფაქტორების აღმოფხვრისკენ და ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების და ინდივიდების აღკვეთის, დაპატიმრების, სამართლებრივი დევნის და/ან მკვლელობისკენ;

ტერორიზმი

ძალადობრივი ქმედებების განხორციელება, „მათ შორის მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ, რომელიც ჩადენილია სიკვდილის გამოწვევის, სხეულის სერიოზული დაზიანების ან ტყვეების აყვანის განზრახვით, და მიზნად ისახავს: საზოგადოებაში, ადამიანთა ჯგუფში ან კონკრეტულ პირებში შიშის დანერგვას, მოსახლეობის დაშინებას ან სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებას, განახორციელოს ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისგან";[1]

ძალადობრივი ექსტრემიზმი

„გულისხმობს იმ ადამიანების რწმენასა და მოქმედებას, რომლებიც მხარს უჭერენ ან მიმართავენ იდეოლოგიურად მოტივირებულ ძალადობას სოციალური, ეკონომიკური, რელიგიურ მოტივებზე დაფუძნებული ან პოლიტიკური მიზნების მისაღწევად";[2]

ძალადობრივი რადიკალიზაცია

პროცესი, რომლის საშუალებითაც ცალკეული ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი იზიარებს ძალადობრივ და ექსტრემისტულ პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ იდეოლოგიებს;

ძალადობრივი თვითრადიკალიზაცია

ვითარება, როდესაც ნებისმიერი პირი მიმართავს სულ უფრო მეტად ძალადობრივ და ექსტრემისტულ პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ იდეოლოგიებს, ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფის წევრთან ფიზიკურად მიახლოების აუცილებლობის გარეშე, თუმცა აღნიშნული ჯგუფის იდეოლოგიის გავლენით;

გადაბირება

პროცესი, როდესაც ინდივიდი გადადის „უკმაყოფილებიდან / მობილიზაციიდან ძალადობრივ ქმედებაში მონაწილეობის მიღებაზე ან მხარდაჭერაზე. გადაბირება, გარკვეულ დონეზე (თუნდაც ძალზედ საბაზისო დონეზე), მოითხოვს პირად კავშირს ძალადობრივ ექსტრემისტთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნულ გადაბირებას ადგილი ექნება ონლაინ რეჟიმში";[3]

ჩამოშორება

„ქცევის შეცვლის პროცესი ძალადობრივი ქმედებებისგან თავის შეკავებისა და ნებისმიერი ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფის დატოვების მიზნით";[4]

დერადიკალიზაცია

„ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებულ იდეოლოგიასთან დაპირისპირებისა და შელახვის და ალტერნატიული იდეოლოგიის შეთავაზების" ეტაპობრივი პროცესი;[5]

რეაბილიტაცია

პროცესი, „როდესაც პრაქტიკოსი სპეციალისტები მონაწილეობენ ინდივიდთა რეაბილიტაციაში შესაბამის საზოგადოებაში ან დაკავების ცენტრებში მას შემდეგ, რაც ისინი გაემიჯნებიან და/ან ჩამოშორდებიან ძალადობრივ ექსტრემისტულ იდეოლოგიას";[6]

რეინტეგრაცია

პროცესი, „როდესაც პრაქტიკოსი სპეციალისტები ხელს უწყობენ სრულიად რეაბილიტირებული ინდივიდის საზოგადოებაში დაბრუნებას. აღნიშნულის პარალელურად პრაქტიკოსი სპეციალისტები მუშაობენ საზოგადოებაზე იმისათვის, რომ უზრუნველყონ მათი მხრიდან პოზიტიური რეაგირება რეაბილიტირებული პირის მიმართ და სოციალური სტიგმის აღმოფხვრა. რეინტეგრაციის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ინდივიდის საზოგადოებაში ჩართვის ხელშეწყობა და რეციდივიზმის თავიდან აცილება";[7]

[1] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1566, S/RES/1566 (8 ოქტომბერი, 2004 წ.), გვ. 2, https://undocs.org/S/ RES/1566(2004
[2] „Introduction to Countering Violent Extremism: Resources on Key Concepts and Definitions" („Hedayah", შიდა დოკუმენტი). სახელმძღვანელო ჯერ არ 2 გამოქვეყნებულა.
[3] იქვე.
[4] მია ჩინი და სხვ., „A National Strategic Framework for Countering Violent Extremism in Jordan", Journal of International Affai s 69, №2 (2016 წ.), გვ. 116.
[5] „Hedayah"-ს ცენტრი, „Introduction to Countering Violent Extremism" (არ არის გამოქვეყნებული).
[6] იქვე.
[7] იქვე.

მოწყვლადობა

„პერსონალური რისკისა და დამცავი ფაქტორების საფუძველზე შექმნილი მდგომარეობა, რომელმაც შესაძლოა ინდივიდი უფრო მგრძნობიარე გახადოს [ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების] და, საბოლოო ჯამში, რადიკალიზაციიის მიმართ, რაც ძალადობრივ ექსტრემიზმამდე მიდის"; [8]

მედეგობა

როდესაც ინდივიდებს ან თემებს გააჩნიათ „ცოდნით, უნარებით და შესაძლებლობებით სარგებლობის პოზიტიური პოტენციალი იმ ფაქტორებისგან დასაცავად, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს რადიკალიზაცია და გადაბირება"; [9]

„ზიანის მიუყენებლობის" (Do No Harm)

მიდგომა - იმ ფაქტის გააზრების პრაქტიკა, თუ როგორ აისახება ძალადობრივი ექსტრემიზმის ძალისხმევებთან დაპირისპირება ადგილობრივ დინამიკასა და ურთიერთობებზე იმისათვის, რომ პრაქტიკოსმა სპეციალისტებმა შეძლონ აღნიშნული ძალისხმევების უარყოფითი, უნებლიე შედეგების შერბილება ან თავიდან აცილება, ასევე ამ დინამიკასა და ურთიერთობებზე დადებითი გავლენის მოხდენაზე ყურადღების გამახვილება;

ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორები

ის მოტივები ან მიზეზები, რომლებმაც შესაძლოა მიიზიდონ ჯგუფები ან ინდივიდები, მხარი დაუჭირონ ან ჩაერთონ ძალადობრივ ექსტრემისტულ საქმიანობაში;

განმზიდველი ფაქტორები

ნებისმიერი მდგომარეობა ან უკმაყოფილება, რომელიც წარმოშობს იმედგაცრუების, მარგინალიზაციის და უნდობლობის გრძნობას და ადამიანებს უბიძგებს, მოიძიონ შესაბამისი საშუალებები, მათ შორის და არა მხოლოდ გაწევრიანდნენ ექსტრემისტულ ჯგუფებში; [10]

ჯგუფური დინამიკა და ურთიერთობები

ფაქტორები, რომლებიც წარმოშობს ისეთ საკითხებს, გარემოს და საზოგადოებას, რომლებიც ხდის ინდივიდებს ან თემებს უფრო დაუცველს ძალადობრივი ექსტრემიზმისგან;

მიმზიდველი ფაქტორები

ძალები, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდეს მიმზიდველი პოტენციური ახალბედებისთვის და, უფრო კონკრეტულად, მიიყვანოს ისინი რადიკალურ ორგანიზაციებში, მაგალითად, ნათესაური კავშირის, გმირობის, თავგადასავლების ძიების, ეკონომიკური მოგების მიღების ან თვითრეალიზაციის გრძნობა; [11]

სამოქალაქო საზოგადოება

ფართო მნიშვნელობის მქონე ტერმინი იმ ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების აღსანიშნავად, რომლებიც მოქმედებენ მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით, აღნიშნული ტერმინი ასევე გულისხმობს არაფორმალურ კოლექტივებს, პროფკავშირებს, აქტივისტებს, საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რელიგიური ინსტიტუტებს და სხვა; [12]

გენდერი

„ქალებისა და მამაკაცების სოციალურად შექმნილი მახასიათებლები - როგორიცაა ქალთა და მამაკაცთა ჯგუფებს შორის დადგენილი ნორმები, როლები და ურთიერთობები. იგი განსხვავდება საზოგადოებების მიხედვით და შეიძლება შეიცვალოს. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანების უმეტესობა იბადება მამრობითი ან მდედრობითი სქესით, მათ ასწავლიან სათანადო ნორმებსა და ქცევებს - მათ შორის, თუ როგორ უნდა იურთიერთონ იგივე ან საპირისპირო სქესის ადამიანებთან ოჯახების, საზოგადოების და სამუშაო ადგილების მასშტაბით"; [13]

გენდერული ნორმები

კონკრეტული საზოგადოების, კულტურისა და თემის როლები, პასუხისმგებლობები და სტანდარტები, რომლებიც სოციალურად მისაღებია მამაკაცებისა და ქალებისთვის, მათი რეალური ან აღქმული სქესის მიხედვით;

[8] იქვე.
[9] იქვე.
[10] ლენა სლახმუილდერი, „Transforming Violent Extremism: A Peacebuilder's Guide" (ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: „Search for Common Ground", 2017 წ.), გვ. 8. [ინგლისური] [ფრანგული]
[11] იქვე.
[12] არსებობს გარკვეული უთანხმოება იმასთან დაკავშირებით, მიეკუთვნება თუ არა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ან საგანმანათლებლო დაწესებულებები სამოქალაქო საზოგადოების სფეროს, თუმცა ამ სექტორებს კონკრეტულად განვიხილავთ მომდევნო მოდულებში.
[13] „Gender", ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2018 წ., http://www.who.int/gender-equity-rights/understanding/gender-definition/en/. [ინგლისური]

გენდერულად ბრმა

„ყველა პროექტი, ორგანიზაცია, პერსონალი და საქმიანობა, რომლებიც არ აღიარებენ ან უარყოფენ თავიანთი სამუშაოს გენდერულ განზომილებებს და შედეგებს"; [14]

გენდერულად სენსიტიური

„პროექტი, ორგანიზაცია ან საქმიანობა, რომელიც შექმნილია, განხორციელებულია ან შეფასებულია ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული როლების, საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინებით"; [15]

გენდერული ანალიზი

„განსაზღვრავს, აფასებს და ახდენს შესაბამისი მოქმედებების ინფორმირებას იმ უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, რომელიც გამომდინარეობს: 1) განსხვავებული გენდერული ნორმებიდან, როლებიდან და ურთიერთობებიდან; 2) მამაკაცთა და ქალთა ჯგუფებს შორის არათანაბარი ძალაუფლებრივი ურთიერთობებიდან; და 3) სქესთან შინაარსობრივი ფაქტორების ინტერაქციიდან, როგორიცაა სექსუალური ორიენტაცია, ეთნიკური კუთვნილება, განათლება ან დასაქმების სტატუსი"; [16]

ნარატივები

იდეების, ფაქტების, პერსპექტივების და გამოცდილების ერთობლიობა, რომელიც გვამცნობს, თუ როგორ აღიქვამს ინდივიდი ან ჯგუფი საკუთარ ადგილს მათ გარშემო არსებულ სამყაროში; [17]

მონიტორინგი

„მონაცემების შეგროვების პროცესი სრული პროგრამის განმავლობაში, აღნიშნული პროცესის მანძილზე მაჩვენებლების შესაფასებლად და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების განსახორციელებლად"; [18]

შეფასება

„პროგრამის სისტემატიური შეფასება, მისი გავლენისა და ეფექტიანობის განსაზღვრის ნიშნულების, სტანდარტებისა და მიზნების საფუძველზე"; [19]

შუალედური შედეგები

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ან გაწეული მომსახურების გაზომვადი პროდუქტები (როგორც წესი, აღრიცხული რაოდენობრივი გამოხატულების სახით), რომლებიც ხშირ შემთხვევაში ფიქსირდება განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობის მიხედვით; [20]

საბოლოო შედეგები

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ან გაწეული მომსახურების ნებისმიერი შედეგი (როგორც წესი, აღრიცხული ხარისხობრივი გამოხატულების სახით), რომლებიც ხშირ შემთხვევაში გამოიხატება ქცევის ან დამოკიდებულების ცვლილების სახით; [21]

გავლენა

„გაზომვადი ეფექტი ან ცვლილება, რომელსაც პროგრამა ახდენს სამიზნე მოსახლეობაზე [და] შეიძლება იყოს წინასწარ განზრახული ან უნებლიე, პირდაპირი ან არაპირდაპირი"; [22]

მაჩვენებლები/ინდიკატორები

ცვლილებების ტიპებისა და პროცესების გაზომვა, როგორიცაა დამოკიდებულებები, ქცევები და ურთიერთობები; [23]

ცვლილებების თეორია

საქმიანობიდან წინასწარ განზრახულ შედეგებამდე, შემდგომ შედეგებამდე და, საბოლოო ჯამში, წინასწარ განზრახულ ზემოქმედებამდე არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირების განმარტება.

[14] კორდულა რეიმანი, „Trainer Manual: Mainstreaming Gender into Peacebuilding Trainings" (საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციების ცენტრი, 2016 წ.), გვ. 60.
[15] იქვე., გვ. 61.
[16] ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, „Gender".
[17] სლახმუილდერი, „Transforming Violent Extremism", გვ. 28.
[18] კრისტინა მატეი და სარა ცაიგერი, „Evaluate Your Countering Violent Extremism Results: Projecting Your Impact" („Hedayah", ივლისი, 2018 წ.), გვ. 7.
[19] იქვე.
[20] ადაპტირებული მატეისა და ცაიგერის ნაშრომის საფუძველზე, „Evaluate Your Countering Violent Extremism Results", გვ. 8.
[21] ადაპტირებული მატეისა და ცაიგერის ნაშრომის საფუძველზე, „Evaluate Your Countering Violent Extremism Results", გვ. 7.
[22] მატეი და ცაიგერი, „Evaluate Your Countering Violent Extremism Results", გვ. 7.
[23] ეს განმარტება აღებულია "Hedayah"-ს ცენტრის მასალებიდან.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფერო სულ უფრო სწრაფად ვითარდება და იცვლება, რაც პრაქტიკიდან და კვლევებიდან დაგროვებული ცოდნის შედეგს წარმოადგენს. თუმცა სწრაფი ცვლილებების გამო, ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის პროცესში მიღებული უახლესი პრაქტიკის გააზრება გართულდა მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციების შემსრულებელი პრაქტიკოსებისთვის. გარდა ამისა, აღნიშნული მეთოდები და ცოდნა მიუწვდომელი იყო ე.წ. „გლობალური ჩრდილოეთის" ფარგლებს მიღმა მყოფი პრაქტიკოსი სპეციალისტების უმრავლესობისთვის. მაგალითად, ასეთი მასალები, როგორც წესი, მხოლოდ ინგლისურ ენაზეა ხელმისაწვდომი და სხვა ენებზე არ არის ნათარგმნი. მოწინავე პრაქტიკა და მიღებული გაკვეთილები იშვიათად არის ადაპტირებული სხვა შინაარსით გამოყენებისთვის. ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა, რადიკალიზაციის, ძალადობრივი ექსტრემიზმის და ტერორიზმის საფუძველზე წარმოშობილი გამოწვევები შედარებით ახალ საკითხებს წარმოადგენს უსაფრთხოების დღის წესრიგში.

ამ სასწავლო პროგრამის მიზანია ზემოაღნიშნული გამოწვევების გადალახვა. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამა მიზნად ისახავს საჯარო მოხელეებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანამშრომელთა მომზადებას, მიუხედავად აღნიშნულ სფეროში მათი გამოცდილებისა. ის შედგება ათი მოდულისგან, რომლებსაც თან ახლავს სასწავლო მასალები, მათ შორის ინსტრუქტორის სახელმძღვანელო, სლაიდების სახით შედგენილი პრეზენტაციები, ბროშურები და წინასწარ ჩაწერილი ვებინარები, რომლებიც იძლევა რამდენიმედღიანი ტრენინგის ჩატარების შესაძლებლობას პროგრამის მასალების გამოყენებით. ტრენინგი მოიცავს აქტივობების სერიას თითოეული მოდულისთვის და თემატური ვიდეო-მასალის ბმულებს, რაც უზრუნველყოფს სათანადო ნიადაგის მომზადებას დისკუსიების ჩატარებისა და მოსაზრებების გამოთქმისთვის. თითოეული მოდულის ფარგლებში ასევე წარმოდგენილია პუნქტი „სწავლის დამატებითი შესაძლებლობები", რომელიც მოიცავს დამატებით რესურსებს თემის უფრო სიღრმისეული შესწავლის მიზნით, ასევე რამდენიმე საორიენტაციო ხასიათის შეკითხვას მიღებული ცოდნის თქვენს საქმიანობაში გათვალისწინების თაობაზე. სასწავლო პროგრამა განკუთვნილია პირისპირ ჯგუფური აქტივობების ჩასატარებლად ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით, ან ჯგუფური და ინდივიდუალური ონლაინ-ვებინარებისთვის. სასწავლო მოდულების მიმოხილვა წარმოდგენილია ქვემოთ. თუმცა, პირველ რიგში, აუცილებელია, რამდენიმე სიტყვით შევეხოთ ამ სასწავლო გეგმის არსს.

წინამდებარე არის შინაარსობრივი თვალსაზრისით საგანმანათლებლო და შემეცნებითი ხასიათის სასწავლო პროგრამა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისა და ცნობიერების დონის ამაღლების შესახებ, რომელიც თქვენს სპეციფიკაზეა მორგებული. იგი ხაზს უსვამს თანამშრომლური მიდგომების უპირატესობას, რომლებიც სცილდება ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ სამხედრო, პოლიტიკური ან უსაფრთხოებაზე ორიენტირებული რეაგირების ფარგლებს და გამყარებულია მოწინავე პრაქტიკებით, აგრეთვე უზრუნველყოფს სათანადო ინსტრუმენტებსა და რეკომენდაციებს თქვენს ადგილობრივ კონტექსტთან, კულტურასა და მახასიათებლებთან მარტივად ადაპტირებისთვის. და ბოლოს, პროგრამა ხელს უწყობს რისკების ადრეულ ეტაპზევე გამოვლენასა და აღმოფხვრას პროგრამის შემუშავებისა და „ზიანის მიუყენებლობის" მიდგომის გამოყენებით, ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საზოგადოების ჩართულობის გასაზრდელად ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა.

აღნიშნული სასწავლო პროგრამა გვთავაზობს სათანადო ინსტრუქტაჟს ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ გამოყენების მიზნით კონსტრუქციული ზომების შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის შესახებ, ამასთანავე იძლევა ზოგად წარმოდგენას პროექტის მართვის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს სასწავლო პროგრამა არ არის მიმართული პროექტის მართვის ზოგადი უნარების განვითარებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე, ან ფულადი სახსრების მოზიდვაზე. ვინაიდან ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემა მეტად კომპლექსურია და მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არსებულ გარემოზე, პროგრამა ასევე არ ითვალისწინებს საქართველოს თქვენს ადგილობრივ კონტექსტში ძალადობრივი რადიკალიზაციის მამოძრავებელი ფაქტორების მითითებებს და არ გვთავაზობს ისეთ პროგრამებსა და პოლიტიკას, რომელიც შეიძლება ყველაზე ეფექტური ყოფილიყო. ამის ნაცვლად, პროგრამა გაგაცნობთ საორიენტაციო ხასიათის შეკითხვებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც აუცილებელია თქვენს საქმიანობაში ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისკენ მიმართული ინფორმირებული და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მისაღებად.

სასწავლო პროგრამა შეიმუშავა არასამთავრობო ორგანიზაციამ „Search for Common Ground", „Hedayah"-ს ცენტრთან თანამშრომლობით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. GCSD-მ უზრუნველყო სასწავლო პროგრამის ქართულ რეალობასა და გარემოზე ადაპტირება. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში „Search for Common Ground"-სა და „Hedayah"-ს გლობალურ გამოცდილებაზე დაფუძნებული უნიკალური მონაცემების შეგროვებასთან ერთად, სასწავლო პროგრამა ასევე გაშვებულ იქნა საპილოტე რეჟიმში ყირგიზეთსა და იორდანიაში, ადგილობრივი მეცნიერების, სპეციალისტების, პოლიციის თანამშრომლების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და საჯარო მოხელეების მონაწილეობით. მათ შეუფასებელი წვლილი შეიტანეს და ხელი შეუწყვეს აღნიშნული სასწავლო პროგრამის უკეთ კონტექსტუალიზებას, შესაბამის რეგიონებში ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით. „Hedayah"-ის მიერ თურქმენეთში ჩატარებული ტრენინგებისა და მიღებული გამოცდილების საფუძველზე, წინამდებარე ადაპტაციაში გათვალისწინებული იქნა ახალი შეხედულებები სწავლების მეთოდოლოგიის შესახებ და ახალი სავარჯიშოები, ასევე ცვლილებები მოდულების თანმიმდევრობაში.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების კონცეპტუალური საფუძვლები

1 მოდული განმარტავს ძალადობრივ ექსტრემიზმსა და მასთან გამკლავებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტერმინსა და კონცეფციას, აღწერს მათ განვითარებას უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში და გააცნობს მონაწილეებს მნიშვნელოვან დოკუმენტებსა და რეზოლუციებს, მათ შორის ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამოქმედო გეგმასა და შერჩეულ ეროვნულ სამოქმედო გეგმებს. მოდული ამზადებს ნიადაგს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პრაქტიკული ნაწილის გასააზრებლად, წარმოადგენს მოსაზრებებს შესაძლებლობების, აგრეთვე ამ სფეროში ყველაზე გავრცელებული ფარული პრობლემების შესახებ და რეკომენდაციებს მათი თავიდან აცილების თაობაზე.

ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების გააზრება მათ კონტექსტში

2 მოდულში წარმოდგენილია პრინციპების კრებული და საორიენტაციო ხასიათის შეკითხვები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების კონკრეტულ ჭრილში გაანალიზებისა და უკეთ გააზრებისთვის; მათ შორის მიმზიდველი და განმზიდველი ფაქტორების და აგრეთვე ჯგუფური დინამიკის დასადგენად, რომელიც იწვევს ძალადობრივ ექსტრემიზმს კონკრეტულ გარემოში. მოცემული მოდული ამზადებს მონაწილეებს პრევენციული ხასიათის ინიციატივების ამოცნობის უნარებისთვის.

მრავალსექტორული მიდგომა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიმართ: თავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები

3 მოდული მოიცავს სახელმძღვანელო პრინციპებს სამთავრობო უწყებების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ჩასართავად სახელმწიფოს მხრიდან კიდევ უფრო ეფექტიანი საპასუხო ღონისძიებების შემუშავებისა და მრავალსექტორული მიდგომის დანერგვის პროცესში. იგი ეხება მიზეზებს, რომელთა გამოც თანამშრომლობა შეიძლება საერთოდ არ შედგეს ან ჰქონდეს შეზღუდული ხასიათი. შემდგომში მოდული მონაწილეებს ეხმარება იმ სექტორების ან სეგმენტების იდენტიფიცირებაში, რომელთა ფარგლებშიც ამ ტიპის თანამშრომლობა ყველაზე აქტუალურია.

ახალგაზრდების სპეციფიკის გააზრება და მათი ჩართვა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში

4 ეს მოდული საზოგადოებაში ახალგაზრდების როლის გაცნობიერების რეკომენდაციებს გვთავაზობს იმ ინიციატივებზე დაყრდნობით, რომლებიც ახალგაზრდებს კონსტრუქციულად რთავს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში. მოდული მოიცავს ისეთ ინსტრუმენტებს, რომლებიც საკვანძო ფაქტორებად სოციალურ, კულტურულ და ემოციურ დინამიკას მოიაზრებს. ეს ფაქტორები გვეხმარება კონკრეტულ გარემოში ახალგაზრდების იმ ურთიერთობების, კავშირებისა და მოთხოვნების გააზრებაში, რომლებიც გავლენას ახდენს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებაზე. მოდული შეისწავლის ახალგაზრდების ჩართულობის, თანამონაწილეობისა და ინიციატივების გაზრდის გზებს პოლიტიკის, პროგრამებისა და ადგილობრივი ინიციატივების დონეზე, მათ შორის ,პროგრამების შემუშავების პროცესში მათი ხელმძღვანელობითა და თანამონაწილეობით. დაბოლოს, მოდული ასევე იკვლევს იმ ურთიერთობებთან დაკავშირებულ შესაძლებლობებსა და რისკებს, რომლებსაც ახალგაზრდები ამყარებენ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მაგალითად, ძალოვან სტრუქტურებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან. მოდულის ფარგლებში განხილულია შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდებმა შეძლეს თანამშრომლური ურთიერთობების დამყარება ძალადობრივი ექსტრემიზმის საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოებისა და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან.

გენდერული დინამიკის გააზრება რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის სფეროში და ქალებისა და გოგონების ჩართვა ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში

5 მოდული შეისწავლის რადიკალიზაციასა და ძალადობრივ ექსტრემიზმზე გენდერული დინამიკის გავლენას. იგი ეხება გენდერული კუთვნილების თემას და გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიყენოთ გენდერულად სენსიტიური მიდგომა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში. მოდული ნათელს ჰფენს ძალადობრივ ექსტრემიზმში ქალებისა და გოგონების ჩართვის შესახებ დამკვიდრებულ მითებს და სტერეოტიპებს, აგრეთვე ხაზს უსვამს კვლევის საჭიროებას გენდერულად სენსიტიური მიდგომის სპეციფიკის გათვალისწინებით. მოდული გვთავაზობს გენდერულ ფაქტორებზე დაფუძნებულ ანალიზს მამაკაცებისა და ქალებისთვის ექსტრემისტული იდეების მიწოდების გზების ან ძალადობრივ ექსტრემიზმში მათი უშუალოდ მონაწილეობის შესახებ. დაბოლოს, ეს მოდული განიხილავს ძალადობრივი ექსტრემიზმთან გამკლავებაში ქალებისა და გოგონების ჩართვის მოწინავე პრაქტიკას.

6 განათლების როლი ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასა და გამკლავებაში

მოდული იძლევა ზოგად წარმოდგენას საგანმანათლებლო ინიციატივების ან რეფორმების პოტენციალის შესახებ ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელ ფაქტორებთან ბრძოლაში, რაც ხელს უწყობს ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციას კიდევ უფრო მძლავრი აუდიტორიის შექმნის გზით. მონაწილეები განიხილავენ საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში პოტენციურ დამაბრკოლებელ ან მამოძრავებელ ფაქტორებთან დაკავშირებულ საკითხებს - დაწყებული სასწავლო პროგრამების შინაარსით და დასრულებული იმით, თუ რა სახით ხდება სასკოლო გარემოში ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების მართვა.

7 თემის ლიდერებისა და ოჯახის წევრების ჩართვა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში

მოდული განმარტავს საზოგადოების როლს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში. იგი რეკომენდაციას უწევს მუშაობას სხვადასხვა თემის ლიდერთან, მათ შორის რელიგიურ და ტრადიციულ ლიდერებთან, რომლებიც ხშირად საზოგადოების ყველაზე გავლენიან წევრებს წარმოადგენენ. სამუშაოების მიზანია რადიკალიზაციის მიმართ მოწყვლადი ოჯახებისა და ინდივიდების მხარდაჭერა და მათთვის რეკომენდაციების გაწევა. მოდული ასევე განიხილავს იმ ინიციატივებს, რომლებიც იკვლევს ოჯახის წევრების ჩართულობასა და მათ როლს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში. მაგალითად, მოდული განსაზღვრავს, თუ როგორ შეიძლება აღნიშნულს ჰქონდეს ადგილი, როდესაც ოჯახები წარმოადგენენ გარკვეული ფასეულობებისა და ტრადიციების მატარებლებს, შეუძლიათ ხელი შეუწყონ ბავშვებსა და მოზარდებში პოზიტიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას და, სხვა პრობლემებთან ერთად, რადიკალიზაციის მიმართ მოწყვლადობის ადრეული ნიშნების გამოვლენას. ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში ოჯახის წევრების ჩართვა ასევე შესაძლებელია მოხდეს რადიკალურად განწყობილი პირების ჩამოშორებისა და რეაბილიტაციისთვის გაწეულ ძალისხმევებში.

8 ნარატივების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლის გაცნობიერება ძალადობრივი ექსტრემიზმის სფეროში

მოდული მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას, გააცნობიერონ ნარატივებისა და მედიის (ტრადიციული მედია და სოციალური ქსელები) გამოყენების გზები ძალადობრივი ექსტრემიზმის გამკლავებისაკენ მიმართულ ღონისძიებებსა და პროგრამებში, როგორც ონლაინ, ისე რეალურ სივრცეებში. მონაწილეები გაეცნობიან შესაბამის ინსტრუმენტებს, რომლებიც მათ დაეხმარება კონსტრუქციული და სანდო ნარატივების მხარდაჭერასა და უფრო დესტრუქციული ან ექსტრემისტული ნარატივების გავლენის არხების უკეთ გააზრებაში.

9 ინოვაციური ინსტრუმენტების გამოყენება: ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ტექნოლოგიები

მოდული მრავალმხრივი დისკუსიის ფარგლებში შეისწავლის ადამიანების მოზიდვის შესაძლებლობებს ონლაინ და სხვა ტექნიკური პლატფორმების, ასევე ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით. მოდულში მოკლედ არის განხილული ძალადობრივი ექსტრემისტების მიერ აღნიშნული ინსტრუმენტებით სარგებლობის მეთოდები პროპაგანდის ეფექტიანად გავრცელების, ჯგუფებს შორის სიძულვილის გაღვივების, სამიზნე საზოგადოებების დაშინებისა და მათი მხარდაჭერის მოპოვების, აგრეთვე ახალბედების მოზიდვის მიზნით. მოდულში წარმოადგენილია ამ ინსტრუმენტებით სარგებლობის ახალი და მიმზიდველი შესაძლებლობები, რომელთა მიზანია ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირება და მათი ჩართვა ისეთ დიალოგებში, რომლებიც ხელს უწყობს ურთიერთობებისა და საკითხების განხილვისა და მოგვარების არსებული გზების გარდაქმნას. აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენება გვეხმარება გავავრცელოთ ინფორმაცია ისე, რომ გაფართოვდეს პროგრამის დაფარვის არეალი და გაძლიერდეს ძალადობრივი ექსტრემიზმის გამომწვევი მიზეზების მიმართ საზოგადოების მედეგობა. დაბოლოს, მოდული აფასებს იმ რამდენიმე ფაქტორს, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ტექნოლოგიების გამოყენებისას, ასევე განიხილავს მასთან დაკავშირებულ პოტენციური რისკებს.

10 ძალადობრივ ექსტრემიზმზე რეაგირების მცდელობების მონიტორინგი და შეფასება

მოდული შეისწავლის მონიტორინგისა და შეფასების საფუძვლებს, მათ შორის ცვლილებების თეორიის, ასევე მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიის შემუშავების მიზნით განსაზღვრავს მნიშვნელოვან ტერმინებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს. იგი გვთავაზობს მაგალითებს, თუ როგორ შეიძლება უწყვეტმა მონიტორინგმა გააძლიეროს ინიციატივები, მუდმივი სწავლისა და სიტუაციის კუთხით ცვლილებების ადაპტირების გზით. მოდული მოკლედ განიხილავს რიგ პრაქტიკულ საფუძვლებს, ინსტრუმენტებს, მეთოდოლოგიებსა და მაჩვენებლებს, რომელთა ადაპტირება შესაძლებელია კონკრეტულ შინაარსთან.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების კონცეპტუალური საფუძვლები

ეს მოდული განმარტავს ძალადობრივ ექსტრემიზმსა და მასთან გამკლავებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტერმინსა და კონცეფციას, აღწერს მათ განვითარებას უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში და გააცნობს მონაწილეებს მნიშვნელოვან დოკუმენტებსა და რეზოლუციებს, მათ შორის ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამოქმედო გეგმას და შერჩეულ ეროვნულ სამოქმედო გეგმებს/სტრატეგიებს. მოდული ამზადებს ნიადაგს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პრაქტიკული ნაწილის გასააზრებლად, წარმოადგენს მოსაზრებებს შესაძლებლობების, აგრეთვე ამ სფეროში ყველაზე გავრცელებული ფარული პრობლემების შესახებ და რეკომენდაციებს მათი თავიდან აცილების თაობაზე.

საორიენტაციო შეკითხვები:

1.1. რას გულისხმობს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება?

1.2. როგორ შეიძლება ძალადობრივი ექსტრემიზმისა და მასთან გამკლავების შესახებ ერთობლივი მოსაზრებების შემუშავებამ ხელი შეუწყოს თანამშრომლობას?

1.3. როგორია პრაქტიკაში ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფერო?

1.4. რა სახის პრობლემებს ვაწყდებით ხშირად ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისას და რომელია საუკეთესო მეთოდები მათი პრევენციისთვის?

1.1. რას გულისხმობს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება?

დღესდღეობით ძალადობრივი ექსტრემიზმი უსაფრთხოებისა და საზოგადოების წინაშე არსებულ ერთ-ერთ უდიდეს პრობლემას წარმოადგენს. ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მიმართული არსებული ძალისხმევის მიუხედავად, სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები და მკვლევარები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია არსებული შეხედულების შეცვლა: ძალადობრივი ექსტრემიზმის თავიდან ასაცილებლად 'უსაფრთხოებაზე ორიენტირებულ' ოპერაციებზე დაფუძნებული საპასუხო ღონისძიებების განხორციელება არაეფექტურია საფრთხის აღმოსაფხვრელად და მხოლოდ პრობლემის გამწვავება შეუძლია. აღნიშნულმა განაპირობა იმ ღონისძიებების შესრულების აუცილებლობის ეტაპობრივი აღიარება, რომლებმაც შესაძლებელია მომავალში მოახდინონ ექსტრემიზაციის პრევენცია. ამჟამად ეს მიდგომა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სახელით არის ცნობილი.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება პროგრამები და პოლიტიკები, რომელთა მიზანია ცალკეული ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფების გადარწმუნება იმისათვის, რომ არ ჩაერთონ რადიკალიზაციასა და ძალადობრივ ექსტრემიზმში და არ მიმართონ იდეოლოგიურად მოტივირებულ ძალადობას სოციალური, ეკონომიკური, რელიგიურ მოტივებზე დაფუძნებული ან პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება შეიძლება უზრუნველყოს ნებისმიერმა სამთავრობო უწყებამ, სამოქალაქო საზოგადოებამ ან სხვა სუბიექტმა და ეს ხშირ შემთხვევაში გულისხმობს არაიძულებითი ხასიათის კონტრტერორისტულ ღონისძიებებს. თუმცა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება არ მოიცავს კონტრტერორიზმთან დაკავშირებით იძულებითი ხასიათის პროგრამებსა და პოლიტიკას:

კონტრტერორიზმი

იძულებითი და არაიძულებითი ხასიათის პროგრამებისა და პოლიტიკების ერთობლიობა, მიმართული ძალადობრივი ექსტრემისტული საქმიანობის პრევენციისა და უარყოფისკენ და ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების და ინდივიდების აღკვეთის, დაპატიმრების, სამართლებრივი დევნის და/ან მკვლელობისკენ. ტრადიციულ, იძულებით და უსაფრთხოებაზე ორიენტირებულ კონტრტერორისტულ ღონისძიებებზე, როგორც წესი, პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფო სტრუქტურებს, მაგალითად, სამართალდამცავ ან სამხედრო ორგანოებს, თუმცა აღნიშნულ ღონისძიებებს შეუძლიათ ასევე მიმართონ სხვა უწყებებმაც, მაგალითად, საბანკო სექტორის ორგანიზაციებმა, რომლებიც გამოავლენენ და აღკვეთენ ძალადობრივი ექსტრემისტების დაფინანსების წყაროებს. მეტი სიზუსტისთვის, ამ სახელმძღვანელოში გამოყენებული ტერმინი „კონტრტერორიზმი" გულისხმობს იძულებით და „მკაცრ" კონტრტერორისტულ მიდგომებს.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პოლიტიკა და პრაქტიკა სწრაფად იცვლება. ათი წლის წინ საქმიანობის ამ დარგს ზოგჯერ "ანტი-რადიკალიზაციას" უწოდებდნენ ან რადიკალიზაციის „პრევენციად" მოიხსენიებდნენ. ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ამჟამად ამჯობინებენ ტერმინს „ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია", თუმცა სხვა ორგანიზაციები იყენებენ ტერმინთა ერთობლიობას - „ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია და გამკლავება" ან უბრალოდ - „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება".[24] მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არსებობდეს გარკვეული კონცეპტუალური განსხვავებები, გამოყენებული ტერმინოლოგიის მრავალფეროვნება ხშირად განპირობებულია უპირატესობებითა და შეშფოთებით იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება ამგვარი პროგრამების შემუშავებას. აღნიშნულის მიზეზს ზოგადად წარმოადგენს ის, რომ ყველა ეს ტერმინი ასახავს პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს "უსაფრთხოებაზე ორიენტირებული" კონტრტერორისტული ღონისძიებების შეზღუდვას არაძალადობრივი მიდგომების სასარგებლოდ, რაც, თავის მხრივ, აღკვეთს აზრთა სხვადასხვაობის წარმოშობას, ზრდის ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ მედეგობას და აძლიერებს და უფრო მიზანმიმართულს ხდის საპასუხო ღონისძიებებს. წინამდებარე სახელმძღვანელო იყენებს ტერმინს „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება", თუმცა ვიაზრებთ იმ ფაქტს, რომ აღნიშნულმა ტერმინმა შეიძლება წარმოშვას კითხვები ზოგიერთ თემსა და სხვა ორგანიზაციებში.

[24] ორგანიზაციის „Search for Common Ground" მიდგომას ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისადმი ეწოდება ძალადობრივი ექსტრემიზმის ტრანსფორმაცია, აღნიშნული მიდგომის ფარგლებში აუცილებელია ძალადობრივი ექსტრემიზმის არსებობის ფაქტის აღიარება, თუმცა ის მიზეზები და მოტივაციის ფაქტორები, რომლებიც იწვევს ცალკეული ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფის ძალადობრივ ექსტრემისტულ მოძრაობებში ჩართვას, შეიძლება სიტყვასიტყვით გარდაიქმნას, საქმიანობის ან ჩართულობის სხვა ფორმის შექმნის მიზნით. ძალადობრივი ექსტრემიზმის ტრანსფორმაცია წარმოადგენს უნიკალურ მიდგომას, რომელიც მოიცავს მშვიდობის დამყარებისა და კონფლიქტების ტრანსფორმაციის მეთოდებს და ხელს უწყობს იმ ფაქტის აღიარებას, რომ ტრანსფორმაციის პოტენციალი არის ძალადობრივი ექსტრემიზმის ძირითადი მიზეზების მოგვარება დაზარალებული ინდივიდებისა და თემების დაძაბულობის ესკალაციის გარეშე და შემდგომი მარგინალიზაციის თავიდან აცილებით. ეს მიდგომა გავლენას ახდენს ამ სახელმძღვანელოში აღწერილ უამრავ ინსტრუმენტსა და იდეაზე. იხილეთ ლენა სლახმუილდერი, „Transforming Violent Extremism: A Peacebuilder's Guide" (ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: „Search for Common Ground", 2017 წ.). [ინგლისური] [ფრანგული]

1.2. როგორ შეიძლება ძალადობრივი ექსტრემიზმისა და მასთან გამკლავების შესახებ ერთობლივი მოსაზრებების შემუშავებამ ხელი შეუწყოს თანამშრომლობას?

1.2.1. განმარტებასთან დაკავშირებული შეკითხვები

როგორია ძალადობრივი ექსტრემიზმის განსხვავებული განმარტებები თქვენს ადგილობრივ კონტექსტში?

ბევრი განსხვავებული განმარტების არსებობის შემთხვევაში, როგორ ფიქრობთ, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა ამ პრობლემაზე მუშაობაზე თქვენს ადგილობრივ კონტესტში?

რა არის რადიკალიზაცია? ვინ შეიძლება ჩაითვალოს ძალადობრივ ექსტრემისტად და ვინ არა? ეს რთულად გასაგები იქნება მკაფიო, საყოველთაოდ გამოყენებული განმარტებების გარეშე, რაც ნამდვილად არ არის მარტივი ამოცანა. ჯგუფები შეიძლება მივიჩნიოთ ექსტრემისტულად მათ მიერ გამოყენებული მეთოდების მიხედვით (მაგალითად, ძალადობრივი ქმედებების შესრულება) და არა მათი მიზნების მიხედვით, მათი მიზნებისა და მეთოდების მიხედვით, ან მათი მიზნების, მაგრამ არა მეთოდების მიხედვით.[25]

მოცემულ სახელმძღვანელოში განვიხილავთ ძალადობრივ ექსტრემიზმს და არა იმ ექსტრემისტულ შეხედულებებს, რომლის მიმდევრები არ მიმართავენ ან არ უჭერენ მხარს ძალადობას მათი მიზნების მისაღწევად (ზოგჯერ ამას არაძალადობრივი ექსტრემიზმის სახელითაც მოიხსენიებენ).

რატომ არის განმარტებები ასე მნიშვნელოვანი? განმარტებები შეიძლება იყოს ბუნდოვანი ან ძალიან ფართო მნიშვნელობის, რამაც შეიძლება წარმოშვას კრიმინალიზაციის საფრთხე ან ხელი შეუშალოს სრულიად კანონიერ ქცევას ან საქმიანობას.

მკაფიო განმარტების არსებობის პირობებშიც კი, ტერმინის - „ძალადობრივი ექსტრემისტი" - გამოყენება ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის ან ინდივიდის მიმართ შესაძლებელია მიკერძოებულად ან სუბიექტურად. ზოგჯერ შეიძლება ეს ტერმინები პოლიტიკური მნიშვნელობითაც შეგვხვდეს, მაგალითად, როდესაც მთავრობა თავის პოლიტიკურ ოპონენტებს „ტერორისტებად" მოიხსენიებს, იმის მიუხედავად, მიმართავენ თუ არა ისინი ძალადობრივ მეთოდებს. ნამდვილად, ტერმინი - „ძალადობრივი ექსტრემისტი" - ხშირად გამოიყენება მხოლოდ იმ ჯგუფების მიმართ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მთავრობას და არა იმ ძალადობრივი ჯგუფების მიმართ, რომლებიც უზრუნველყოფენ (რეალურ ან აღქმულ) მხარდაჭერას იმავე მთავრობის მიმართ, რომელიც ზოგჯერ მხარს უჭერს მათ ძალადობრივ მოქმედებებს. ასევე არსებობს ძალადობრივი ექსტრემიზმის უამრავი მაგალითი მთავრობაში, უსაფრთხოების დაცვის სამსახურებში ან ოფიციალურ პოლიტიკურ პარტიებში.

[25] რონალდ უინთრობი, „Rational Extremism: The Political Economy of Radicalism" (Cambridge University Press, 2006 წ.), გვ. 84.

საქართველოს მარეგულირებელი დოკუმენტები კონტრტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის და გამკლავების (PCVE) სფეროში

2020 წლის მარტის მდგომარეობით საქართველოს კანონი არ აღიარებს ან არ გვთავაზობს ექსტრემიზმის ან ძალადობრივი ექსტრემიზმის განმარტებას. ზეპირ მეტყველებაში აღნიშნული ორი ტერმინი ხშირად ერთმანეთს ცვლის. საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ კანონი 2007 წლიდან არსებობს, მასში ცვლილებები შეიტანეს 2008, 2010, 2012, 2015 და ბოლოს 2018 წელს. აღნიშნულ დოკუმენტში საერთოდ არ არის ნახსენები ექსტრემიზმის განმარტება.

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის[26] უახლესი ვერსიის თანახმად, ტერმინი „ტერორიზმი" განიმარტება შემდეგნაირად: „ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ, შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება ან მათი განადგურება-დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით იმისათვის, რომ ხელისუფლება ან/და მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის."

ზემოაღნიშნული კანონი ასევე განსაზღვრავს ისეთ ტერმინებს როგორიცაა „ტერორისტი", „ტერორისტული აქტი", „ტერორისტული მიზანი", „ტერორისტული საქმიანობა", „საერთაშორისო ტერორიზმი", „ტერორისტული ჯგუფი" და „ტერორისტული ორგანიზაცია".

[26] https://matsne.gov.ge/en/document/view/21796?publication=9

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVIII თავი განიხილავს ტერორისტულ დანაშაულებს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჭრილში. კოდექსი ახდენს ტერორიზმთან დაკავშირებული ქმედებების კრიმინალიზაციას და აწესებს შესაბამის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის. კოდექსი განსაზღვრავს, თუ რა ტიპის ქმედებები უნდა ჩაითვალოს ტერორისტულ აქტად. სხვა საკითხებთან ერთად, კოდექსით მოხდა ისეთი ქმედებების კრიმინალიზაცია, როგორიცაა უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანება ან მისი დახმარება, ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა, წევრობა, მის საქმიანობაში მონაწილეობა და ამისთვის პირის გადაბირება. 2015 წელს საქართველომ მოახდინა გაეროს უშიშროების საბჭოს 2178 (2014) რეზოლუციის შესაბამისად ე.წ. უცხოელი ტერორისტი მებრძოლების (FTF) გადაადგილებასთან დაკავშირებული ქმედებების კრიმინალიზაცია. შესაბამისად, კოდექსით განისაზღვრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ისეთი ქმედებისთვის, როგორიცაა ტერორისტული საქმიანობის განხორციელების, მომზადების ან ამგვარ საქმიანობაში ან ტერორისტულ წვრთნაში მონაწილეობის მიზნით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა ან გადაკვეთის მცდელობა.

საქართველოს მარეგულირებელ დოკუმენტებში ტერმინი „ექსტრემიზმი" პირველად ნახსენები იყო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნულ სტრატეგიაში.[27] დოკუმენტი ერთმანეთისგან არ განასხვავებს ტერმინებს „ექსტრემიზმი" და „ძალადობრივი ექსტრემიზმი" და განსაზღვრავს ექსტრემიზმს შემდეგნაირად: „იდეათა ერთობლიობა, იდეოლოგია, რომელიც არ აღიარებს ადამიანთა თანასწორობის პრინციპს, მხარს უჭერს სიძულვილს, შეუწყნარებლობას, ძალადობას, საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ წყობას და კანონის უზენაესობას." საინტერესოა, რომ დოკუმენტი განსაზღვრავს რადიკალიზაციას, როგორც „პროცესს, როდესაც პირი საკუთარი მოსაზრებების გავრცელებისა და გარკვეული იდეოლოგიების მხარდაჭერისას, შესაძლოა, გასცდეს კანონის ფარგლებს და ჩაერთოს ტერორისტულ და/ან ექსტრემისტულ საქმიანობაში. აღნიშნულ პროცესში იკვეთება პირის მზაობა, მის მიერ მხარდაჭერილი იდეოლოგიის მიზნებისთვის დაეთანხმობს და/ან, საჭიროების შემთხვევაში, მიმართოს ძალადობრივ მეთოდებს." აღნიშნულ დოკუმენტში და ტერმინების განმარტებების უმრავლესობის საწინააღმდეგოდ, ექსტრემიზმი განიხილება, როგორც იდეათა ერთობლიობა მოქმედებების კომპონენტის გარეშე, ხოლო რადიკალიზაციის განმარტება იძლევა ძალადობრივი ქმედებების განხორციელების შესაძლებლობას.

სადისკუსიო შეკითხვები:

1. მოცემული განმარტების თანახმად, რომელი ქმედებები შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც ძალადობრივი ექსტრემიზმი?

2. უნდა ჰქონდეს თუ არა ძალადობას ადგილი იმისათვის, რომ რომელიმე ქმედება ჩაითვალოს ძალადობრივ ექსტრემიზმად? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ, რომელია ეს ქმედებები?

3. უზრუნველყოფს თუ არა სტრატეგიის ფარგლებში შემოთავაზებული განმარტება თვალსაჩინო სხვაობას ძალადობრივ ექსტრემიზმს და ძალადობის სხვა ფორმებს შორის?

4. არის თუ არა ამ განმარტების რომელიმე ნაწილი გაუგებარი ან ძნელად გასაგები?

5. თვლით თუ არა, რომ ამ განმარტების რომელიმე ნაწილი ძალიან ფართოა? ახსენით, რატომ უპასუხეთ "დიახ" ან "არა".

6. გსურთ რაიმეს დამატება ან შეცვლა ამ განმარტებაში?

7. ამ რეგიონალურ დონეზე განმარტებასთან გაცნობის შემდეგ, რატომ თვლით ძალადობრივი ექსტრემიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების განმარტებებს ასე მნიშვნელოვნად?

[27] https://ssg.gov.ge/uploads/pr/25.01.19/National%20CT%20Strategy%20of%20Georgia.pdf

1.2.2. ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის ძირითადი განმარტებები

ჩვენ გვესმის, რომ არსებობს უამრავი განმარტება და რომ არცერთი მათგანი არ არის სრულყოფილი. თუმცა ქვემოთ წარმოდგენილია ორი განმარტება, რომელთა დახმარებითაც განასხვავებენ ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კომპლექსურ ცნებებს და რომლებიც ზოგჯერ ურთიერთკავშირშია, თუმცა ასევე გააჩნიათ მნიშვნელოვანი განსხვავებები. საჭიროების შემთხვევაში, სხვა განმარტებები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ თავში, ასევე მომდევნო მოდულებში. განმარტებების სრული ჩამონათვალი მოცემულია წინამდებარე სახელმძღვანელოში დასაწყისში პუნქტში - „ტერმინების განმარტება".

ტერორიზმი
ძალადობრივი ქმედებების განხორციელება, „მათ შორის მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ, რომელიც ჩადენილია სიკვდილის გამოწვევის, სხეულის სერიოზული დაზიანების ან ტყვეების აყვანის განზრახვით და მიზნად ისახავს: საზოგადოებაში, ადამიანთა ჯგუფებში ან კონკრეტულ პირებში შიშის დანერგვას, მოსახლეობის დაშინებას ან სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებას, განახორციელოს ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისგან" [28]

ძალადობრივი ექსტრემიზმი
„გულისხმობს იმ ადამიანების რწმენასა და მოქმედებას, რომლებიც მხარს უჭერენ ან მიმართავენ იდეოლოგიურად მოტივირებულ ძალადობას სოციალური, ეკონომიკური, რელიგიურ მოტივებზე დაფუძნებული ან პოლიტიკური მიზნების მისაღწევად."[29] ძალადობრივი ექსტრემიზმი ხშირად ცდილობს სხვა ჯგუფების, კულტურების ან მათი თვითმყოფადობის აღმოფხვრას.

თუმცა ტერორისტული ძალადობა ძალადობრივი ექსტრემიზმის მხოლოდ ერთ-ერთი ვიწრო მნიშვნელობის გამოვლინებაა (სხვა გამოვლინებები მოიცავს გენოციდს და სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულს), შესაბამისად ძალადობრივი ექსტრემიზმის ვიწრო ჭრილში განსაზღვრის მცდელობები, ტერორიზმის მხარდაჭერის ან მონაწილეობის თვალსაზრისით, ზედმეტად მარტივია. აქედან გამომდინარე, მკაფიო განსხვავების მიზნით აუცილებელია ცალკე განმარტება:

შემდეგი პუნქტი განიხილავს თეორიულ საფუძვლებს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ადამიანები ჩაერთონ ძალადობრივ ექსტრემიზმში და როგორ მუშაობს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფერო, ამ უკანასკნელის თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე ხალხის დასახმარებლად ძალადობრივი ექსტრემიზმისგან გათავისუფლებაში.

[28] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1566, S/RES/1566 (8 ოქტომბერი, 2004 წ.), გვ. 2, https://un-docs.org/S/RES/1566(2004).
[29] ნაშრომიდან „Introduction to Countering Violent Extremism: Resources on Key Concepts and Definitions" („Hedayah", შიდა დოკუმენტი). სახელმძღვანელო ჯერ არ გამოქვეყნებულა.

1.3. როგორია პრაქტიკაში ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფერო?

მიუხედავად იმისა, რომ ხშირად „ფენომენის" სახელით მოიხსენიებენ (ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში ჩართული საზოგადოების წევრებიც კი), ძალადობრივ ექსტრემიზმს ბევრი რამ აქვს საერთო ორგანიზებული ან მოტივირებული ძალადობის სხვა ტიპებთან, მაგალითად, კრიმინალურ და მეამბოხე ჯგუფებთან, მიზეზების, განვითარების გზების, ასევე საპასუხო ან აღმოფხვრის ღონისძიებების თვალსაზრისითაც კი. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფერო ემყარება ჩვენს მიერ იმ ფაქტის სულ უფრო მეტად გააზრებას, თუ როგორ მივიდნენ ცალკეული ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები ძალადობრივი ექსტრემიზმის მსოფლმხედველობის მხარდაჭერამდე და გაზიარებამდე და ძალადობრივ ექსტრემისტულ საქმიანობაში, მათ შორის ძალადობრივ თავდასხმებში მონაწილეობამდე. ამ პროცესს (რომელიც შეიძლება ატარებდეს მოულოდნელ ან გრძელვადიან ხასიათს) ეწოდება ძალადობრივი რადიკალიზაცია ან უბრალოდ რადიკალიზაცია:

ძალადობრივი თვითრადიკალიზაცია
ვითარება, როდესაც ნებისმიერი პირი მიმართავს სულ უფრო მეტად ძალადობრივ და ექსტრემისტულ პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ იდეოლოგიებს, ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფის წევრთან ფიზიკური მიახლოების აუცილებლობის გარეშე, თუმცა აღნიშნული ჯგუფის იდეოლოგიის გავლენით. ეს პროცესი განსხვავდება რადიკალიზაციისგან იმით, რომ პირსა და ექსტრემისტული ორგანიზაციის წარმომადგენელს შორის უშუალო კონტაქტი არ მყარდება. თუმცა ასეთი კონტაქტის წარმატებით დამყარების და პირის ძალადობრივი ექსტრემისტების ჯგუფში გაწევრიანების შემთხვევაში, ადგილი აქვს ე.წ. გადაბირებას, რომლის განმარტება ქვემოთ არის მოცემული:

ძალადობრივი რადიკალიზაცია
პროცესი, რომლის საშუალებითაც ცალკეული ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი იზიარებს ძალადობრივ და ექსტრემისტულ პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ იდეოლოგიებს. ეს პროცესი შეიძლება განხორციელდეს როგორც ცალკეული ადამიანის, ისე ადამიანთა ჯგუფის დონეზე და მას შეიძლება ხელი შეუწყოს ან არ შეუწყოს ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფის წევრებმა.

გადაბირება
პროცესი, როდესაც ინდივიდი გადადის „უკმაყოფილებიდან/მობილიზაციიდან ძალადობრივ ქმედებაში მონაწილეობის მიღებაზე ან მხარდაჭერაზე. გადაბირება, გარკვეულ დონეზე (თუნდაც ძალზედ საბაზისო დონეზე), საჭიროებს პირად კავშირს ძალადობრივ ექსტრემისტთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნულ გადაბირებას ადგილი ექნება ონლაინ რეჟიმში".[30] თუმცა ეს ცნება არ მოითხოვს ინდივიდის მიერ ჯგუფის იდეოლოგიის დაცვას. რეალურად, გადაბირება შეიძლება იყოს ძალისმიერი ან იძულებითი, მაგალითად, როდესაც ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფები ტყვედ აიყვანენ ახალგაზრდა მამაკაცებს და ქალებს და აიძულებენ ჯგუფში გაწევრიანებას, ან როდესაც ცალკეული პირები მხარს უჭერენ ძალადობრივ ექსტრემისტულ საქმიანობას დაშინების მიზეზით.

[30] „Hedayah"-ს ცენტრი, „Introduction to Countering Violent Extremism" (არ არის გამოქვეყნებული).

ქვემოთ წარმოდგენილი, „Hedayah"-ს ცენტრის მიერ მომზადებული ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ციკლი აღწერს რადიკალიზაციის ძირითად ეტაპებს ან დონეებს, აგრეთვე საპასუხო ღონისძიებების ტიპებს, რომლებიც გათვალისწინებულია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებით.[31] დიაგრამის ზედა ნაწილში (მარცხნიდან მარჯვნივ) ნაჩვენებია ჩართულობის დონეები, დაწყებული იმ პირებით, რომლებიც არ არიან რადიკალურად განწყობილნი ან განსაკუთრებით მოწყვლადი რადიკალიზაციისადმი (წოდებული, როგორც „საერთო მოსახლეობა"), დამთავრებული რადიკალიზაციას დაქვემდებარებული პირებითა და იმ პირებით, რომლებმაც უარყვეს ძალადობრივი ექსტრემისტული იდეოლოგიები ან დატოვეს ასეთი ჯგუფები და შეასრულეს შესაბამისი სამუშაოები საზოგადოებაში დასაბრუნებლად.

აღნიშნული განსხვავება საერთო მოსახლეობასა და მოწყვლად პირებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების თვალსაზრისით, ვინაიდან ის ეხმარება პრაქტიკოს სპეციალისტებს, მიმართონ თავიანთი პოლიტიკა და პროგრამები იმ ადამიანებსა და სფეროებზე, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებენ ჩარევას და მხარდაჭერას. მოწყვლადობა განიმარტება შემდეგნაირად:

მოწყვლადობა
„პერსონალური რისკისა და დამცავი ფაქტორების საფუძველზე შექმნილი მდგომარეობა, რომელმაც შესაძლოა ინდივიდი უფრო მგრძნობიარე გახადოს [ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების] და, საბოლოო ჯამში, რადიკალიზაციის მიმართ, რაც ძალადობრივ ექსტრემიზმამდე მიდის."[32]

მედეგობა
როდესაც ინდივიდებს ან თემებს გააჩნიათ „ცოდნით, უნარებით და შესაძლებლობებით სარგებლობის პოზიტიური პოტენციალი იმ ფაქტორებისგან დასაცავად, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს რადიკალიზაცია და გადაბირება." [33]

მოწყვლადობის საპირისპიროა მედეგობა

იხილეთ მომდევნო გვერდზე წარმოდგენილი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ციკლი, ჩართულობის სხვადასხვა დონის გათვალისწინებით:

[31] ორიგინალი იხილეთ ბმულზე: http://www.hedayahcenter.org/Admin/Content/File-11620189412.pdf
[32] „Hedayah"-ს ცენტრი, „Introduction to Countering Violent Extremism" (არ არის გამოქვეყნებული).
[33] იქვე.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ციკლის (CVE) ინფოგრაფიკა

Hedayah
countering violent extremism



ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებასთან დაკავშირებით შესრულებული სამუშაოები მითითებულია დიაგრამის ბოლოს. დაუბრუნდით ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ციკლს და ყურადღება გაამახვილეთ კონკრეტულ **საპასუხო ღონისძიებებზე ჩართულობის** თითოეულ **დონეზე.** ქვემოთ წარმოდგენილია საპასუხო ღონისძიებები ექვსი დონე:

ზოგადი პრევენცია გულისხმობს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში ჩართული პრაქტიკოსი სპეციალისტების მუშაობას მოსახლეობის ფართო მასებთან ერთად, ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ მედეგობის გაძლიერების მიზნით, როგორც წესი, თემების დონეზე. პროექტებისვ ფარგლებში, ზოგადი პრევენცია ხორციელდება უკმაყოფილების წყაროების და ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების განხილვით, რაც შეიძლება ატარებდეს ძალზედ სპეციფიკურ ხასიათს კონკრეტული რეგიონისთვის ან საზოგადოებისთვის (შემდეგ მოდულში ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ შეიძლება განისაზღვროს ძალადობრივი ექსტრემიზმის ეს მამოძრავებელი ფაქტორები კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით). ზოგადი პრევენციული ღონისძიებების მაგალითებია:

- სხვადასხვა კულტურას შორის შემწყნარებლობის გაძლიერების მიზნით კულტურათაშორისი დიალოგების წარმართვა და საზოგადოების ფარგლებში თანამშრომლობის შესაძლებლობების იდენტიფიცირება იმ რეგიონებში, სადაც საზოგადოების განხეთქილება წარმოადგენს ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელ ფაქტორს.

- რელიგიური ლიდერების დახმარება ძალადობრივი ექსტრემისტების მხრიდან რელიგიის ექსტრემისტული ინტერპრეტაციის პრობლემის აღმოფხვრაში, უფრო ტოლერანტული და ზოგადად მიღებული რელიგიური პრაქტიკის მეშვეობით, იმ რეგიონებში, სადაც რელიგიური მოტივები გამოიყენება ძალადობრივ ექსტრემისტულ ჯგუფებში ხალხის გადაბირებისთვის.

- სამართლიანობასთან, იურიდიულ დახმარებასთან წვდომის და მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესება საზოგადოებაში, როდესაც აღნიშნული საკითხები წარმოადგენს ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელ ფაქტორებს.

კიდევ უფრო ვიწრო გაგებით, **კონკრეტული პრევენციული** პროგრამები ორიენტირებულია მხოლოდ იმ მახასიათებლებზე, რომლებიც, კვლევების თანახმად, ხდის ადამიანებს მოწყვლადს ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ. რა თქმა უნდა, აღნიშნული ფაქტორების ან მახასიათებლების არსებობა არ გულისხმობს, რომ ასეთი ადამიანები ძალადობრივ ექსტრემისტებად ყალიბდებიან იმის გამო, რომ ეს მათ „წინასწარ უწერიათ", და არა უბრალოდ ამ კონკრეტული ფაქტორების გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, პრაქტიკოსი სპეციალისტები მუშაობენ **მოწყვლად ინდივიდებთან,** როგორც ადამიანებთან და არა როგორც დამნაშავეებთან იმისათვის, რომ დაეხმარონ მათ, განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები და გახდნენ უფრო მეტად მედეგნი ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ, რომლებსაც ამ ეტაპზე ისინი შეიძლება არც კი განიხილავდნენ ან არასოდეს განიხილონ. მნიშვნელოვანია, დავეხმაროთ ასეთ ადამიანებს იმ პრობლემების გადალახვაში, რაც მათ მოწყვლადს ხდის, ან შევიმუშავოთ ისეთი სტრატეგიები, რომლებიც მათ დაეხმარება აღნიშნულ პრობლემებთან ეფექტურად გამკლავებაში. მაგალითები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- სოციალური კუთვნილების წახალისება სოციალურ ჯგუფებში გაწევრიანებისა და მონაწილეობის გზით, მაშინ როცა ეს ჯგუფები შედარებით უფრო მოწყვლადი არიან რადიკალიზაციის მიმართ აღნიშნული მიზეზების გამო.

- მოწყვლად მოზარდებსა და ახალგაზრდებში კრიტიკული მნიშვნელობის ციფრული და მედია წიგნიერების პოპულარიზაცია იმისათვის, რომ გამოიმუშავონ მედეგობა ყოველდღიური ცხოვრების, თვითმყოფადობის, რელიგიური, სოციალური თუ პოლიტიკური საქმიანობის შესახებ ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივების წინააღმდეგ.

- მოწყვლადი ინდივიდების მედეგობის გაუმჯობესება, მათთვის დახმარების აღმოჩენის გზით იმისათვის, რომ გამოიმუშავონ სტრესისგან გათავისუფლებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, შეძლონ ემოციების მართვა, წინ აღუდგნენ რადიკალიზაციას და თანატოლების მხრიდან ზეწოლას, ასევე მოაგვარონ კონფლიქტები არაძალადობრივი ქმედებების მეშვეობით.

თუმცა, ინდივიდის მიერ ექსტრემისტული დამოკიდებულების ან ძალადობრივი ექსტრემისტების მხრიდან წარმოებული პროპაგანდის მიმართ ინტერესის გამოხატვისას, ან თუნდაც რადიკალურად განწყობილ პირთან ურთიერთობის დაწყების შემთხვევაში, აუცილებელია **ადრეულ ეტაპზე ჩარევის** და გადარწმუნების პროგრამების ამოქმედება. აღნიშნული ღონისძიებები სრულდება ინდივიდის შემდგომი რადიკალიზაციის თავიდან ასაცილებლად და რადიკალიზაციის პროცესის ხელშეშლის მიზნით ინდივიდუალური ჩარევის გზით, მაგალითად, კონსულტაციების გაწევის და მათი ძალადობრივი ექსტრემიზმის მსოფლმხედველობის ან მიდგომების ეფექტიან (და არა-ძალადობრივ) ალტერნატივებზე გადამისამართებით. მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ ეტაპზე ჩარევის და გადარწმუნების პროგრამები შეიძლება ითვალისწინებდეს პოლიციის ან უსაფრთხოების სხვა ძალების მონაწილეობას, რომლებსაც შეუძლიათ მოახდინონ ასეთი ადამიანების იდენტიფიცირება ან მათთან თანამშრომლობა აღნიშნულ პროცესში, ასეთი ჩარევა ჩვეულებრივ უნდა მოხდეს მანამ, სანამ ინდივიდი ჩაიდენს რაიმე ძალადობრივ ქმედებას ან დანაშაულს. ამრიგად, ეს ღონისძიებები უზრუნველყოფს შემდგომი რადიკალიზაციის თავიდან აცილებას და განსაზღვრავს აღმოფხვრის ისეთი მკაცრი ზომების საჭიროებას, როგორიცაა დაპატიმრება, სამართლებრივი დევნა და თავისუფლების აღკვეთაც კი. **ადრეულ ეტაპზე ჩარევის** და **გადარწმუნების** პროგრამების მაგალითებია:

- იმ ადამიანების პირადი გამოცდილებიდან ისტორიების ჩაწერა და გავრცელება, რომლებიც ადრე იყვნენ დაკავშირებულნი ან დაზარალდნენ ძალადობრივი ექსტრემიზმისგან, სამიზნე აუდიტორიისაკენ მიმართული ძალადობრივი ექსტრემისტების არაკეთილსინდისიერი პროპაგანდის გამოსავლენად.

- პოლიციისა და საპატიმრო დაწესებულებების თანამშრომლების ცნობიერების დონის ამაღლება რადიკალიზაციის ნიშნების ადრეულ ეტაპზე გამოსავლენად მათი აღქმის და შეფასების უნარების გაძლიერების გზით.

- იმ პირების გამოვლენა, რომლებიც ინტერნეტში არსებული ძალადობრივი ექსტრემისტული ხასიათის მესიჯებს ეძებენ და ამისამართებენ YouTube პლატფორმაზე სათანადოდ შერჩეულ ვიდეოებზე, რომლებიც ემსახურებიან კონკრეტული ჯგუფის მიერ გავრცელებული გადაბირების მითების გამოაშკარავებას [და განეიტრალებას].

თუმცა, თუ ადამიანი შეინიშნება რადიკალურ განწყობაში ან ხდება ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფის წევრი, ზოგჯერ **'ტრიგერული ფაქტორის'** მქონე მოვლენის ხელშეწყობით, რომელიც ინდივიდს უბიძგებს გადააბიჯოს ზღვარს და ჩამოუყალიბდეს რადიკალური განწყობა ან გახდეს ექსტრემისტული ჯგუფის წევრი, პოლიციას ან სხვა სამართალდამცავ ძალებს (მაგალითად, პენიტენციურმა სამსახურმა) შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი როლი გააჩნდეთ.[34] ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებასთან დაკავშირებული შემდეგი საპასუხო ღონისძიებები ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ჩართვის მომენტისთვის შესაძლებელია ზოგიერთი პირი უკვე დაპატიმრებული იყოს ან აღკვეთილი ჰქონდეს თავისუფლება. რადიკალიზაციის შემდგომ ეტაპზე აღნიშნული საპასუხო ღონისძიებები ითვალისწინებს შემდეგს:

ჩამოშორება
„ქცევის შეცვლის პროცესი ძალადობრივი ქმედებებისგან თავის შეკავებისა და ნებისმიერი ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფის დატოვების მიზნით". ჩამოშორება ითვალისწინებს მხოლოდ ძალადობრივ ექსტრემისტულ ქმედებებში მონაწილეობის შეწყვეტას და არ გულისხმობს რადიკალურ იდეოლოგიაზე უარის თქმას."[35]

მაგალითები შესაძლებელია მოიცავდეს შემდეგს:

- შესაბამისი სტრატეგიის განხორციელება იმ რადიკალურად განწყობილი ადამიანებისთვის დახმარების აღმოსაჩენად, რომლებმაც უარი თქვეს ძალადობრივ ექსტრემისტულ იდეოლოგიაზე, რაც გამოიხატება ოჯახური კავშირების გაძლიერებაში, ასევე მათთვის დახმარების აღმოჩენა სამსახურის პოვნაში და პოზიტიურ სოციალურ ჯგუფებში გაწევრიანებაში.
- რადიო პროგრამების მაუწყებლობა იმ რეგიონებში, სადაც მოქმედებენ ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფები, მათ მიერ იარაღის დაყრის წახალისებისა და არსებული სამთავრობო მობილიზაციის პროგრამების შესახებ მათი ინფორმირების მიზნით.

დერადიკალიზაცია
„ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებულ იდეოლოგიასთან დაპირისპირებისა და შელახვის და ალტერნატიული იდეოლოგიის შეთავაზების" ეტაპობრივი პროცესი.[36]

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ განმარტებების გათვალისწინებით, ტერმინი „ჩამოშორება" არის ტერმინის „გადაბირება" ანტონიმი, ხოლო „დერადიკალიზაცია" არის ტერმინის „რადიკალიზაცია" ანტონიმი. დერადიკალიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების მაგალითებია:

- რადიკალურად განწყობილი ან ძალადობრივი ექსტრემიზმის ხასიათის დანაშაულისთვის მსჯავრდებული პატიმრებისთვის პროგრამის შემუშავება, რაც მათ საშუალებას მისცემს, გადააფასონ თავიანთი მსოფლმხედველობა და დაამყარონ მნიშვნელოვანი ურთიერთობები იმ პირებთან, რომლებსაც მტრებად მიიჩნევდნენ.
- ძალადობრივი ექსტრემისტებისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეოლოგიის მიმართ კეთილგანწყობილი ახალგაზრდებისთვის დახმარების და მხარდაჭერის შეთავაზება, რომელთაც სურთ კონფლიქტიდან გამოსვლა და რადიკალიზებული გარემოს დატოვება.

[34] ტრიგერული ფაქტორი წარმოადგენს ნებისმიერ მოვლენას ან სიტუაციას, რომელიც აჩქარებს რადიკალიზაციის პროცესს და უბიძგებს პირს ძალადობრივი ექსტრემიზმის მხარდაჭერისკენ ან მასში ჩართვისკენ.
[35] მია ჩინი და სხვ., „A National Strategic Framework for Countering Violent Extremism in Jordan", Journal of International Affai s 69, № 2 (2016 წ.), გვ. 116, გამოცემული ავტორის მიერ.
[36] „Hedayah"-ს ცენტრი, " Introduction to Countering Violent Extremism " (არ არის გამოქვეყნებული).

რეაბილიტაცია
პროცესი, „როდესაც პრაქტიკოსი სპეციალისტები მონაწილეობენ ინდივიდთა რეაბილიტაციაში შესაბამის საზოგადოებაში ან დაკავების ცენტრებში მას შემდეგ, რაც ისინი გაემიჯნებიან და/ან ჩამოშორდებიან ძალადობრივ ექსტრემისტულ იდეოლოგიას." [37]

მაგალითები შესაძლებელია მოიცავდეს შემდეგს:

- ძალადობრივი ექსტრემისტი დამნაშავეების შეფასება ციხეებში იმ სამოტივაციო იდეოლოგიისა და სტრატეგიების იდენტიფიცირებისთვის, რომლებსაც ისინი იყენებდნენ იმისათვის, რომ გაემართლებინათ თავიანთი დანაშაული, ასევე გათავისუფლებამდე სათანადო კონსულტაციების შეთავაზება იმისათვის, რომ დაეხმარონ მათ ამგვარი გამართლების რეალური ბუნების დანახვასა და სანაცვლოდ უკეთესი ალტერნატივების მოძიებაში.

- ტერორიზმში ბრალდებული ან მსჯავრდებული პატიმრების, აგრეთვე რადიკალიზაციის მიმართ მოწყვლადი სხვა პატიმრებისთვის მენტორობა, პრობლემების და კონფლიქტების მოგვარებაში დახმარების აღმოჩენის მიზნით, რაც გულისხმობს დანაშაულის გარეშე ცხოვრების წესის არჩევას, ყოფილი პატიმრების ციხის გარეთ არსებულ გარემოში ჩართვას და იმ სირთულეების გადალახვაში დახმარებას, რომელთა წინაშეც ისინი აღმოჩნდებიან გათავისუფლების შემდეგ.

რეინტეგრაცია
პროცესი, „როდესაც პრაქტიკოსი სპეციალისტები ხელს უწყობენ სრულიად რეაბილიტირებული ინდივიდის საზოგადოებაში დაბრუნებას. აღნიშნულის პარალელურად პრაქტიკოსი სპეციალისტები მუშაობენ საზოგადოებაზე იმისათვის, რომ უზრუნველყონ მათი მხრიდან პოზიტიური რეაგირება რეაბილიტირებული პირის მიმართ და სოციალური სტიგმის აღმოფხვრა. რეინტეგრაციის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ინდივიდის საზოგადოებაში ჩართვის ხელშეწყობა და რეციდივიზმის თავიდან აცილება."[38]

აღნიშნულის მაგალითები შესაძლებელია მოიცავდეს შემდეგს:

- ყოფილი ძალადობრივი ექსტრემისტების საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა არაძალადობრივი პოლიტიკური მონაწილეობისა და საზოგადოებაში პოზიტიური საქმიანობის წახალისების გზით.

- თემებთან მუშაობა, უცხოელი მებრძოლების ან დაბრუნებული ოჯახების დაზარალებული ბავშვების სტიგმატიზაციის პრევენციის მიზნით, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მათი მარგინალიზაცია ან თუნდაც მათი წახალისება, გაჰყვნენ თავიანთ ახლობლებს ძალადობრივი ექსტრემიზმის გზაზე.

რადიკალიზაციის შემდგომ ეტაპზე ამგვარი ტიპის საპასუხო ღონისძიებები უკავშირდება უსაფრთხოების მიმართ არსებულ უფრო სერიოზულ პრობლემებს და ემყარება ინდივიდუალურ საჭიროებებს და რისკების შეფასებას (როგორც რადიკალიზაციის წინა საპასუხო ღონისძიებების შემთხვევაში) იმისათვის, რომ განისაზღვროს ის გარანტიები, მიდგომები და მიზნები, რომელიც უნდა შეირჩეს კონკრეტული შემთხვევისთვის. პრაქტიკოსი სპეციალისტები ასევე სათანდო სიფრთხილით უნდა მოეკიდონ ამგვარი ძალისხმევების წარმატების შეფასებას, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ რადიკალურად განწყობილმა პირმა შეწყვიტა მხარდაჭერა ან გაიზიარა ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეები და დაუბრუნდა ძალადობას პროგრამის დასრულების შემდეგ.[39]

შეგიძლიათ მოიყვანოთ ყოველი ტიპის საპასუხო ღონისძიებების მაგალითები თქვენი ადგილობრივი კონტექსტიდან?

[37] იქვე.
[38] იქვე.
[39] ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების შესახებ არსებული პროექტების დამატებითი მაგალითების სანახავად (საიდანაც მოყვანილი იქნა აღნიშნული მაგალითების უმრავლესობა), შეგიძლიათ შეხვიდეთ „Impact Europe"-ის ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მონაცემთა ბაზის საძიებო სისტემაში ბმულით: http://www.impact.itti.com.pl/index#/inspire/search და რადიკალიზაციის პრობლემის შესახებ ცნობიერების ამაღლების ქსელის (RAN) ვებ-გვერდზე: https://ec.europa.eu/home-affai s/what-we-do/networks/radicalisation_awareness_network/ran-best-practices/ran-search_en. [ინგლისური]

1.4. რა სახის პრობლემებს ვაწყდებით ხშირად ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მცდელობისას და რომელია საუკეთესო მეთოდები მათი პრევენციისთვის?

თქვენი აზრით, რაში შეიძლება გამოიხატებოდეს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიმართ არსებული კრიტიკა თქვენს ადგილობრივ კონტექსტში?

როგორ აღიქვამს თქვენს ადგილობრივ კონტექსტში არსებული საზოგადოება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიზნით შესრულებულ სამუშაოს?

როგორ ფიქრობთ, რა არის ამგვარი აღქმის მიზეზები?

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მცდელობები შეიძლება აღმოჩნდეს დავის საგანი, ხშირად დასაბუთებული მიზეზებითაც კი. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამები სხვადასხვა დროს გააკრიტიკეს სამიზნე საზოგადოების მარგინალიზაციისთვის, საზოგადოების როგორც იარაღის და არა როგორც პარტნიორის სახით გამოყენებისთვის, სხვა მნიშვნელოვანი მცდელობების უსაფრთხოების ჭრილში განხილვისათვის (მაგალითად, განათლება, სოციალური თანაგრძნობის გაზრდა, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიტიკა, რელიგიათაშორისი დიალოგი, ახალგაზრდებისა და ქალების უფლებების გაზრდა და ა.შ.), ღონისძიებების წარმატების ან ეფექტიანობის განსაზღვრის შეუძლებლობისთვის, ან უბრალოდ „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების" ეგიდით სხვა სფეროს ან ტიპის პროგრამების შენიღბვის გამო. წინამდებარე სახელმძღვანელო დაგეხმარებათ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებასთან დაკავშირებული საერთო რისკებისა და ფარული პრობლემების განსაზღვრაში, ასევე მოგაწვდით შესაბამის ინსტრუმენტებს და გაგაცნობთ მოწინავე პრაქტიკებს, რომლებიც დაგეხმარებათ მათ თავიდან აცილებაში და თქვენი პროგრამების უფრო მეტი წარმატებით განხორციელებაში. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია „ზიანის მიუყენებლობის" მიდგომის დასანერგად:

„ზიანის მიუყენებლობის" (Do No Harm)
მიდგომა - იმ ფაქტის გააზრების პრაქტიკა, თუ როგორ აისახება ძალადობრივი ექსტრემიზმის ძალისხმევებთან დაპირისპირება ადგილობრივ დინამიკასა და ურთიერთობებზე იმისათვის, რომ პრაქტიკოსმა სპეციალისტებმა შეძლონ აღნიშნული ძალისხმევების უარყოფითი, უნებლიე შედეგების შერბილება ან თავიდან აცილება, ასევე ამ დინამიკასა და ურთიერთობებზე დადებითი გავლენის მოხდენაზე ყურადღებსი გამახვილება.

ხართ თუ არა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ადგილობრივი მცდელობების კრიტიკის მოწმენი? რამ გამოიწვია ასეთი კრიტიკა? მცდარმა წარმოდგენებმა? შეცდომებმა?

მაგალითად, ლოს-ანჯელესი, კალიფორნია, იყო ამერიკის შეერთებული შტატების სამი ქალაქიდან ერთ-ერთი, რომელიც შეირჩა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების საპილოტე პროექტისთვის. პროგრამა, რომლის განხორციელებაც 2008 წელს დაიწყო, მიზნად ისახავდა საზოგადოებაში საწყისი პრობლემების აღმოფხვრას. ახალი მოდელის მიზანია ფედერალურ და ადგილობრივ დონეზე სამთავრობო უწყებებსა და საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლური ურთიერთობების დამყარება. პროგრამისა და მისი შედეგების მოკლე მიმოხილვის მიზნით, იხილეთ შემდეგი ვიდეორგოლი 1:

ვიდეორგოლი 1: ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება ლოს-ანჯელესში

მომზადებულია: ლოს-ანჯელესის უწყებათაშორისი საკოორდინაციო ჯგუფის მიერ

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/YPM3M5qee7M
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

სადისკუსიო შეკითხვები:

1. აღნიშნულ სიუჟეტში პოლიციის ოფიცრები განმარტავდნენ, თუ რატომ განიცადა ჩარევის მცდელობებმა წარუმატებლობა ლოს-ანჯელესში „ბანდებთან ომში", ვინაიდან მათ გააანალიზეს, რომ მასობრივი დაპატიმრებები ვერ იქნებოდა პრობლემიდან გამოსავალი. რით ჰგავს ან განსხვავდება ეს სიტუაცია თქვენს კონტექსტში ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემის გადაწყვეტისგან?

2. სიუჟეტში ასევე განხილულია ადგილობრივი პოლიციის მიერ განხორციელებული „საეჭვო მოქმედებების გაშუქების პროცესის" წარუმატებლობა, ვინაიდან აღნიშნული ადგილობრივი საზოგადოების მხრიდან უარყოფით რეაქციას იწვევდა და არღვევდა მოქალაქეების თავისუფლებას. როგორ აისახა ეს პოლიციასა და საზოგადოებას შორის არსებულ ურთიერთობაზე? რა გამოსავალი იპოვეს? თქვენს კონტექსტში ხართ თუ არა მსგავსი სიტუაციის მოწმე? დადებითი პასუხის შემთხვევაში, განმარტეთ, თუ როგორ იმოქმედა აღნიშნულმა საზოგადოებაზე და რა გამოსავალი იქნა ნაპოვნი?

3. სიუჟეტში საუბარი იყო ძალადობრივი ექსტრემიზმის უამრავ ფორმაზე, ინტერვიუ ჩამოერთვა რამდენიმე რელიგიური თემის წარმომადგენლებს. თუ ლოს-ანჯელესში განხორციელებული პროექტი ძალადობრივი ექსტრემიზმის მხოლოდ ერთ ფორმაზე იქნებოდა ორიენტირებული, რა გავლენას მოახდენდა ეს პროექტზე? არსებობს თუ არა მსგავსი საფრთხე თქვენს კონტექსტში? ახსენით, რატომ უპასუხეთ „დიახ" ან „არა".

ზემოთ მოყვანილი მაგალითი მიუთითებს „საზოგადოების ფართო მასების" მოზიდვის საჭიროებაზე ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემის მოსაგვარებლად. გახსოვდეთ, რომ ვიდეორგოლი გვიჩენებს, თუ როგორ მიიღო ქალაქის ხელისუფლებამ ბანდიტური დაჯგუფებების ძალადობასთან გამკლავებით გამოცდილება და როგორ გამოიყენა იგი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებში. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი გამოცდილების მნიშვნელოვანი ნაწილი ასევე მიღებული იქნა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პრაქტიკაში:

- ძალისმიერი ჩახშობის ტაქტიკა, რომელიც გამოიყენება სხვა ღონისძიებებისგან იზოლირებულად, საუკეთესო შემთხვევაში არაეფექტურია, ხოლო უარეს შემთხვევაში - მხოლოდ ზრდის სამიზნე ჯგუფის თვითმყოფადობას და ერთსულოვნებას.
- მხოლოდ პრევენციის პროგრამების განხორციელების ტაქტიკა არ შეამცირებს იმ ძალადობას, რაც უკვე ხდება.
- დაბალანსებული მიდგომის, მათ შორის კანონის უზენაესობის უზრუნველსაყოფად როგორც კონსტიტუციური, ასევე თანაგრძნობის მიდგომის, და რეალურ ფაქტებზე დაფუძნებული სოციალური პროგრამების რეალიზება რთული, თუმცა დიდი ალბათობით ეფექტიანი იქნება.
- შეუძლებელია ძალადობის დონის შემცირება უშუალო დამნაშავეების ჩართვის გარეშე.
- პირები, რომლებმაც გადაწყვიტეს ჯგუფის დატოვება ძალადობის აღიარებით, წარმოადგენენ ფასეულ აქტივებს ჯგუფის დატოვების სხვა მსურველთათვის.
- გონივრულმა სახელმწიფო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს სათანადო გამოსავალი მათთვის, ვისაც სურს ძალადობრივი გზის მიტოვება, მაგრამ საჭიროებს მხარდაჭერას.
- ახალგაზრდობის ძალადობრივ ჯგუფებში გაწევრიანების თავიდან აცილების მცდელობები გათვლილი უნდა იყოს უფრო ახალგაზრდა ასაკის ადამიანებზე.[40]

მიღებულმა გაკვეთილებმა ხელი შეუწყო ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების შესახებ ლოს-ანჯელესის საპილოტე პროექტის ეფექტიანობას. მართლაც, ქალაქში გაიმართა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში მოქმედმა სპეციალისტებმა მთელი მსოფლიოდან, მათ შორის ახლო აღმოსავლეთიდან, გამოცდილების გაზიარებისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში ამ გამოცდილების გამოყენების მიზნით.

სადისკუსიო შეკითხვები:

1. და ისევ, ჩვენ ვხედავთ, რომ ქალაქის ხელისუფლებამ აქცენტი გააკეთა „ალტერნატიული გზების" შექმნაზე, რაც საშუალებას აძლევს ადამიანებს, დატოვონ ძალადობრივი ჯგუფები ან ხელს უშლის მათ გაწევრიანებას აღნიშნულ ჯგუფებში. თქვენს ადგილობრივ კონტექსტში, რომელია ის პოტენციური გზები, რომლებიც შეიძლება იქცეს ძალადობრივ ექსტრემისტულ ჯგუფებში გაწევრიანების ან მათი დატოვების ალტერნატივად?

2. რა ისწავლეთ აღნიშნული გაკვეთილებიდან ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში მუშაობის თაობაზე, განსაკუთრებით თქვენს კონტექსტში?

[40] გილერმო სესპედესი, „LA's Lessons for Gang Violence Reduction", Insights (ბლოგი), 18 მაისი, 2015 წ., https://www.creativeassociatesinternational.com/insights/las-lessons-for-gang-violence-reduction/. [ინგლისური]

საერთაშორისო პოლიტიკის დონეზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა გამოაქვეყნა ძალადობრივი ექსტრემიზმთან გამკლავების სამოქმედო გეგმა (შემდგომში - „გენერალური მდივნის სამოქმედო გეგმა"), რომელიც შეისწავლის ძალადობრივი ექსტრემიზმის მიზეზებს და აღნიშნავს, რომ გაერო მხარს უჭერს წევრ სახელმწიფოებს მათ მიერ განხორციელებულ ძალისხმევებში. სამოქმედო გეგმა ასევე რეკომენდაციას უწევს უამრავ მნიშვნელოვან ღონისძიებას ძალადობრივი ექსტრემიზმის თავიდან ასაცილებლად, შემდეგ მიმართულებებთან ერთად:

- დიალოგი და კონფლიქტების პრევენცია;
- კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცება;
- საზოგადოების ჩართულობა;
- ახალგაზრდებისთვის უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა;
- გენდერული თანასწორობა და ქალების უფლებებისა და შესაძლებლობებისგავრცობა;
- განათლება, უნარების განვითარება და დასაქმების ხელშეწყობა; და
- სტრატეგიული კომუნიკაციები, ინტერნეტი და სოციალური მედია.

წინამდებარე სახელმძღვანელო მომდევნო მოდულების ფარგლებში დეტალურად შეისწავლის აღნიშნულ მიმართულებებს და თქვენს უნიკალურ გარემოზე მათი ადაპტირების შესაძლებლობას.

1.5. შეჯამება

მოცემული მოდული განიხილავს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროს და კრიტიკის გამომწვევ ზოგად საკითხებს. თუმცა ძალადობრივი ექსტრემიზმის ძალადობრივ დაჯგუფებებთან შედარებით და ორივე პრობლემის გადასაჭრელად საერთო მიდგომების გათვალისწინებით, ამ მოდულში ჩვენ შევეცადეთ განგვემარტა ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებით არსებული მითები და გვეჩვენებინა, რომ ჩვენ უკვე ვიყენებთ უამრავ ინსტრუმენტს და მიდგომას, რომლებიც მიზანშეწონილია ამ პრობლემის პრევენციისა და მინიმუმამდე დაყვანისთვის. უამრავი ჩატარებული დისკუსია დაგვეხმარა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროდან მიღებული გაკვეთილების გააზრებაში. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე, ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა:

ძალადობრივი ექსტრემიზმი არის კომპლექსური პრობლემა, მაგრამ არა ისეთი „ფენომენი", რომლის გაგება ან მოგვარება შეუძლებელია.
ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემა შეიძლება საშიშად მოგვეჩვენოს მას შემდეგ, რაც დავიწყებთ მისი პრევენციისა და მასთან გამკლავების შესაძლებლობების მოძიებას. მართლაც, ეს პრობლემა ღებულობს სხვადასხვა ფორმას და უამრავი მიზეზი გააჩნია. მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ ამ პრობლემიდან მარტივი გამოსავალი არ არსებობს, სიტუაციის გამოსწორების უამრავი საშუალება გაგვაჩნია.

ის, თუ როგორ განვსაზღვრავთ ძალადობრივ ექსტრემიზმსა და სხვა ტერმინებს, ძალზედ მნიშვნელოვანია.
საერთო ენის გამონახვა დაგვეხმარება საერთო მიზნების შემუშავებაში. როდესაც განმარტებები ძალზედ ბუნდოვანი ან ფართო მნიშვნელობისაა, აღნიშნულმა შეიძლება წარმოშვას კრიმინალიზაციის საფრთხე ან ხელი შეუშალოს კანონიერ ქცევას ან საქმიანობას, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ძალადობრივი ექსტრემიზმის სხვა ფორმების უგულვებელყოფას (მაგალითად, როდესაც საუბარია სამთავრობო უწყებების მხარდაჭერაზე, ვიდრე მათ წინააღმდეგ ქმედებაზე) ან ზოგიერთი ადამიანის (მაგალითად, ქალების) იგნორირებას.

ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია და მასთან გამკლავება მოითხოვს ფართო მიდგომას უამრავი ინსტრუმენტის გამოყენებით.

აღნიშნული გათვალისწინებულია გაეროს ყოფილი გენერალური მდივნის ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სამოქმედო გეგმაში: „დღეს არსებული სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებს ამ პრობლემის კონკრეტულ გადაწყვეტას - არ არსებობს ერთი უნივერსალური ინსტრუმენტი ან მიდგომა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ერთხელ და სამუდამოდ დავუსვათ წერტილი ამ ფენომენს. ნამდვილად, ჩვენ უნდა გავაფართოვოთ მიდგომა ამ საფრთხის ანალიზისა და მისი გავრცელების პრევენციისთვის შესაბამისი ზომების მისაღებად. ძალადობრივი ექსტრემიზმის ეფექტური პრევენციის მიზნით, ჩვენი ქმედებები უნდა იყოს ისეთივე ოპერატიული და მასშტაბური, როგორც თავად ეს ფენომენი. ჩვენ დინამიკურად უნდა დავხვეწოთ არსებული ინსტრუმენტები და მუდმივად გავაანალიზოთ ჩვენს მიერ მიღებული საპასუხო ღონისძიებები."[41]

ძალადობრივი ექსტრემიზმის ხასიათი დამოკიდებულია სპეციფიკურ გარემოზე და არ შეიძლება ერთმნიშვნელოდ უკავშირდებოდეს რომელიმე რელიგიას, ეროვნებას ან ეთნიკურ ჯგუფს.

ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემა განსხვავდება რეგიონების მიხედვით, რაც გულისხმობს შემდეგს: ის, რაც ეფექტურია ერთ კონკრეტულ გარემოში, შეიძლება არ იყოს ეფექტური სხვა გარემოში. გამოდის, რომ შეიძლება არსებობდეს ძალადობრივი ექსტრემიზმის მრავალი ფორმა კონკრეტულ ადგილობრივ კონტექსტში ერთსა და იმავე დროს, რომელთაგან თითოეული მოითხოვს განსხვავებულ მიდგომას.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება მოითხოვს საზოგადოების ფართო სპექტრის მონაწილეობას.

ვინაიდან ძალადობრივი ექსტრემიზმი საფრთხეს უქმნის სრულიად საზოგადოებას, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ საზოგადოების ყველა დონეზე, რომ თავიდან ავიცილოთ და გავუმკლავდეთ მას. ეს ეხება ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების ყოფილ წევრებსაც. მართლაც, სასწავლო მოდულის დარჩენილი ნაწილი ითვალისწინებს შესაბამის ინსტრუმენტებს იმ მიდგომის რეალიზაციისთვის, რომელიც ვრცელდება მთელ საზოგადოებაზე, თქვენი ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით!

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების შეუსრულებლობის შედეგები შეიძლება ძალიან სერიოზული იყოს.

ჩვენ მუდმივად მივმართავთ ყოველგვარ ძალისხმევას იმისათვის, რომ ვისწავლოთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან კიდევ უფრო უკეთ და ეფექტურად გამკლავება. თუმცა ჩვენ უნდა დავიცვათ სათანადო სიფრთხილის ზომები, რომ არ მოვახდინოთ არსებული დაძაბულობის ან პრობლემების კიდევ უფრო მეტად ესკალაცია, რამაც შეიძლება გაამძაფროს ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემა. ყოველთვის დაიცავით „ზიანის მიუყენებლობის" მიდგომა.

[41] United Nations Secretary-General, "Plan of Action to Prevent Violent Extremism," United Nations General Assembly, A/70/674 (December 2015), 22.

1.6. სწავლის დამატებითი შესაძლებლობები

ძალადობრივ ექსტრიმიზმთან გამკლავების თაობაზე დღეისათვის არსებული გლობალური დღის წესრიგი ემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამ მნიშვნელოვან დოკუმენტს (ყველა დოკუმენტი ხელმისაწვდომია რუსულ და ინგლისური ენებზე):

1) გლობალური კონტრტერორისტული სტრატეგია (2006 წ.),

2) უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 2178 (2014 წ.) უცხოელი ტერორისტი მებრძოლების შესახებ,[42]

3) გაეროს გენერალური მდივნის ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავის სამოქმედო გეგმა (2016 წ.).

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ზემოაღნიშნული დოკუმენტი მხარს უჭერს პრევენციას, აღსანიშნავია, რომ სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებას. რომელი საშუალებებია რეკომენდებული ამ თითოეული სტრატეგიის ფარგლებში? რა დაემატა დროთა განმავლობაში? რას გვეუბნება იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფერო?

მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმა ასევე აღიარებს ტერმინების - „ტერორიზმი" და „ძალადობრივი ექსტრემიზმი" არევის პრობლემას (მაგალითად, იმის რისკს, რომ აღნიშნულმა „შესაძლებელია მიგვიყვანოს კონტრტერორისტული ზომების გადაჭარბებით გამოყენების გამართლებამდე, მათ შორის, იმ ქმედებებთან მიმართებაში, რომლებიც არ უნდა ჩაითვალოს ტერორისტულ აქტებად"),[43] სამოქმედო გეგმა კვლავ ამახვილებს ყურადღებას ძალადობრივ ექსტრემიზმზე, როგორც ტერორიზმის ხელშემწყობ ფაქტორზე".

როგორ ფიქრობთ, რატომ შეიტანა ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ეს ფრაზა? როგორ შეიძლება ტერორიზმზე ყურადღების ამგვარმა გამახვილებამ გავლენა მოახდინოს სამოქმედო გეგმის ფორმირებაზე?

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო - მოხსენება საუკეთესო პრაქტიკისა და მიღებული გაკვეთილების შესახებ იმის თაობაზე, თუ როგორ უწყობს ხელს ადამიანის უფლებების დაცვა და პოპულარიზაცია ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციას და მასთან გამკლავებას. [რუსული] [ინგლისური]

ადამიანის უფლებათა საბჭოს ზემოაღნიშნულ მოხსენებაში დეტალურად არის აღწერილი განმარტებებთან დაკავშირებული პრობლემები. გვაფრთხილებს თუ არა იგი ბუნდოვანი ან ზედმეტად ფართო განმარტებების საშიშროების შესახებ? რომელი ადგილობრივი განმარტებები იწვევს თქვენს შეშფოთებას? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, განმარტეთ.

[42] დოკუმენტში ტერმინი „უცხოელი ტერორისტი მებრძოლები" განმარტებულია, როგორც „პირები, გაგზავნილი იმ სახელმწიფოში, რომელიც არ წარმოადგენს მათ საცხოვრებელ ადგილს ან მოქალაქეობის ქვეყანას, ტერორისტული აქტების ჩადენის, დაგეგმვის, მომზადების ან მონაწილეობის მიზნით, ან ტერორისტების მომზადების ან ასეთი სწავლების გავლის მიზნით, მათ შორის შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით" (იხ. გვერდი 2).
[43] გაეროს გენერალური მდივანი, „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სამოქმედო გეგმა", გვ. 2.

მოხსენება განიხილავს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამით გათვალისწინებული სამი მეთოდის შესახებ არსებულ მოწინავე პრაქტიკებს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით: თემების ჩართვა და მათი უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოება, ახალგაზრდების მოზიდვა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია და მასთან გამკლავება ინტერნეტში. რას გვეუბნება ზემოთ მითითებული მოწინავე პრაქტიკები საზოგადოებრივი მიდგომის შესახებ?

როგორ განიხილავს აღნიშნული მოხსენება ადამიანის უფლებების ბალანსის დაცვის საჭიროებას, ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავების საკითხში?

გაეროს გენერალური მდივანი წარმოადგენს მოხსენებებს სირიისა და ერაყის ისლამური სახელმწიფოს "დაეშის"* მიერ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების მიმართ მუქარის შესახებ, შეგიძლიათ მოიძიოთ რუსულ და ინგლისურ ენებზე:

პირველი (იანვარი, 2016 წ.), მეორე (მაისი, 2016 წ.), მესამე (სექტემბერი, 2016 წ.), მეოთხე (თებერვალი, 2017 წ.), მეხუთე (მაისი, 2017 წ.), მეექვსე (იანვარი, 2018 წ.), მეშვიდე (აგვისტო, 2018 წ.), მერვე (თებერვალი, 2019 წ.), მეცხრე (ივლისი, 2019 წ.), მეათე (თებერვალი, 2020 წ.) .

ზემოაღნიშნულ მოხსენებებში წარმოდგენილია გლობალური პასუხი ძალადობრივი ექსტრემიზმის ერთ კონკრეტულ მუქარაზე. ისინი მიუთითებენ პრობლემის მზარდ გააზრებასა და მისი გადაჭრის ზომების სპექტრის გაფართოებაზე. რა ინიციატივები იქნა მიღებული დაეშის მიერ წარმოდგენილი მუქარის საწინააღმდეგოდ? რა ღონისძიებები ხორციელდება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად და რა სახის ღონისძიებები განისაზღვრება ყველაზე უკეთ, როგორც კონტრტერორისტული?

*წინამდებარე დოკუმენტის ქართული ვერსია იყენებს ტერორისტული ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფოს არაბულ აკრონიმს - დაეშ (დაულა ალ ისლამიია ფი ირაქ უა აშ-შამ).

რეკომენდებული ლიტერატურა

„Economic and Social Inclusion to Prevent Violent Extremism", შანტა დევარაჯანი და სხვ. (მსოფლიო ბანკი) [ინგლისური]

„Preventing Terrorist Acts: A Criminal Justice Strategy Integrating Rule of Law Standards in Implementation of United Nations Anti-Terrorism Instruments" (გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო - UNODC) [რუსული] [ინგლისური]

„Human Rights and Preventing and Countering Violent Extremism" (გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის აპარატი)
[რუსული] [ინგლისური]

„Plan of Action for Identifying and Countering Recruiters and Facilitators" (გლობალური კონტრტერორისტული ფორუმი - GCTF) [ინგლისური]

უცხოელი ტერორისტული მებრძოლების ფენომენთან დაკავშირებით კიდევ უფრო ეფექტიანი საპასუხო ღონისძიებების განხორციელების მოწინავე პრაქტიკების შესახებ ჰაგა-მარაკეშის მემორანდუმი (გლობალური კონტრტერორისტული ფორუმი - GCTF) [რუსული] [ინგლისური]

უცხოელი ტერორისტული მებრძოლების ფენომენთან დაკავშირებით კიდევ უფრო ეფექტიანი საპასუხო ღონისძიებების განხორციელების მოწინავე პრაქტიკების შესახებ ჰაგა-მარაკეშის მემორანდუმის დანართი, უცხოელი ტერორისტი მებრძოლების დაბრუნებაზე აქცენტის გაკეთებით (გლობალური კონტრტერორისტული ფორუმი - GCTF) [ინგლისური]

„Preventing and Countering Radicalization and Violent Extremism as Related to the Foreign Terrorist Fighter Threat" („Hedayah"-ს ცენტრი და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო - UNODC) [ინგლისური]

„Countering Terrorism, Protecting Human Rights", ჯონათან კუპერი (ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია - OSCE)
[რუსული] [ინგლისური]

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ 2016 წელს შედგენილი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პოლიტიკისა და საკანონმდებლო დოკუმენტების ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ აქ: https://www.osce.org/secretariat/289911 [ინგლისური]

„Counter-Radicalization Policies in Central Asia: The Good, the Bad, and the Ugly", ჯორჯ გავრილისი (PONARS ევრაზია) [ინგლისური]

ინფორმაციული ხასიათის დამატებითი პუბლიკაციები ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში (ინგლისურ ენაზე) შეგიძლიათ გადმოწეროთ აქ.

ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების გააზრება მათ კონტექსტში

ამ მოდულში წარმოდგენილია პრინციპების შერჩევა და საორიენტაციო ხასიათის შეკითხვები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების კონკრეტულ ჭრილში გაანალიზებისა და უკეთ გააზრებისთვის; მათ შორის მიმზიდველი და განმზიდველი ფაქტორების და აგრეთვე ჯგუფური დინამიკის დასადგენად, რომელიც იწვევს ძალადობრივ ექსტრემიზმს კონკრეტულ გარემოში. მოცემული მოდული ამზადებს მონაწილეებს პრევენციული ხასიათის ინიციატივების ამოცნობის უნარებისთვის.

საორიენტაციო შეკითხვები:

2.1. რატომ არის საჭირო ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებისა და პოლიტიკის კონტექსტუალიზება?

2.2. რა არის ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორები?

2.3. როგორ ამოვიცნობთ ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელ ფაქტორებს ჩვენს კონტექსტში?

2.4. რომელია ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევასთან დაკავშირებული ზოგიერთი რისკი და როგორ უნდა ავიცილოთ ისინი თავიდან?

2.1. რატომ არის საჭირო ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებისა და პოლიტიკის კონტექსტუალიზება?

იმუშავებს თუ არა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ერთი პოლიტიკა ან პროგრამა, რომელმაც მიაღწია გარკვეულ წარმატებას ერთ კონტექსტში, სხვა კონტექსტშიც?

ძალადობრივი ექსტრემიზმის ის ფორმები, რომლებიც მოქმედებენ თქვენს გარემოში, არიან თუ არა ისეთივე, როგორიც სხვა გარემოში? რა არის ამის მიზეზი? რითი განსხვავდებიან ისინი?

წინა მოდულში განვიხილეთ, თუ როგორ იყენებს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება სხვადასხვა მიდგომებს ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემის გადასაჭრელად. იმის გათვალისწინებით, რომ ძალადობრივი ექსტრემიზმის უამრავი ფორმა არსებობს, მნიშვნელოვანია გვესმოდეს ძალადობრივი ექსტრემიზმის ადგილობრივი საფრთხე და მისი გამომწვევი ფაქტორები. აღნიშნულის მიზეზია ის, რომ ძალადობრივი ექსტრემიზმი დიდწილად არის დამოკიდებული ადგილობრივ პირობებზე და მისი ფესვები ხალხის ცხოვრებისეულ გამოცდილებაში უნდა ვეძიოთ. ვინაიდან რადიკალიზაციას და გადაბირებას ადგილი აქვს პირადი ურთიერთობებისა და ადგილობრივი კავშირების მეშვეობით, მათი გაგება ადგილობრივ დონეზე უნდა მოხდეს.

ზემოაღნიშნული პრობლემების გამო, ძალადობრივი ექსტრემიზმი ვითარდება განსხვავებულად, სხვადასხვა შინაარსიდან გამომდინარე. ეს ასევე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პოლიტიკა ან პროგრამა, რომელიც წარმატებით განხორციელდა ერთ გარემოში ან მიმართულია ძალადობრივი ექსტრემიზმის ერთი კონკრეტული ფორმისკენ, შეიძლება არ აღმოჩნდეს ანალოგიურად წარმატებული, თუ ეს პოლიტიკა ან პროგრამა უბრალოდ სხვა კონტექსტში გადავა. შესაბამისად, აუცილებელია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ძალისხმევების თითოეულ გარემოსთან ადაპტირება. თუმცა ამგვარ ადაპტაციას შეექმნება გარკვეული სირთულეები იმ შემთხვევაში, თუ იგი დაემყარება ვარაუდებს, და სავარაუდოდ ეს პროცესი იქნება არაეფექტური ან თუნდაც მოიტანს უფრო მეტ ზიანს, ვიდრე სარგებელს.

2.2. რა არის ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორები?

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ეფექტური პროგრამები და პოლიტიკა ეფუძნება ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების ადგილობრივ და კონტექსტურ გააზრებას. ისინი უნდა ემყარებოდეს საიმედო კვლევის შედეგად მიღებულ მტკიცებულებებს. წინამდებარე სახელმძღვანელოს ფარგლებში, ჩვენ გთავაზობთ მამოძრავებელი ფაქტორების შემდეგ განსაზღვრებას:

ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი
ის მოტივები ან მიზეზები, რომელთა გამოც ჯგუფები ან ინდივიდები შეიძლება მიიზიდოს ძალადობრივი ექსტრემიზმის მხარდაჭერამ ან მონაწილეობამ.

ამ მოდულში ჩვენ გავეცნობით, თუ როგორ ამოვიცნოთ მამოძრავებელი ფაქტორები და განვიხილოთ ის მიდგომები, რომლებიც დაგვეხმარება ადგილობრივ კონტექსტში ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორებისა და მედეგობის წყაროების იდენტიფიცირებაში.

მე-2 ვიდეო რგოლში, რომელიც მოწოდებულია გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკოს) მიერ, წარმოდგენილია სამი ყოფილი ძალადობრივი ექსტრემისტის ისტორიები და ძალადობრივი ექსტრემიზმით მათი დაინტერესების მიზეზები. ვიდეორგოლში ასევე წარმოდგენილია ძალადობრივი ექსტრემიზმის ზოგიერთი, საყოველთაოდ მიღებული მამოძრავებელი ფაქტორის მიმოხილვა, რაც დაგვეხმარება ძალადობრივი რადიკალიზაციის გააზრებაში:

ვიდეორგოლი 2: ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება განათლების საშუალებით



მომზადებულია:
იუნესკოს მიერ

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/79MTkVumCcQ
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

სადისკუსიო შეკითხვები:

1. ვიდეორგოლში პირველი ორი ადამიანი მოგვითხრობს ძალადობასა და კონფლიქტებთან გამკლავების შესახებ ამბავს მათი წარსული ცხოვრებიდან. როგორ იმოქმედა ამ გამოცდილებამ ძალადობრივ ექსტრემისტულ ჯგუფებთან დაკავშირებით მათ მიერ გაკეთებულ არჩევანზე?

2. სიუჟეტში ნაჩვენები სხვა რომელი ფაქტორი შეიძლება შეფასდეს, როგორც ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი?

3. ეს ვიდეორგოლი მომზადებულია იმ ფაქტის ასახსნელად, თუ როგორ შეიძლება განათლებამ ხელი შეუწყოს ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეებისადმი მიმართ მედეგობას. რომელი დადებითი ფაქტორებია აღწერილი და როგორ შეუძლია მათ ხელი შეუშალოს მსმენელებს ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეის გაზიარებაში?

ვიდეორგოლი წარმოადგენს რადიკალიზაციის გააზრების საფუძველს. რადიკალიზაციის განხილვისას ხშირად გამოიყენება ტერმინები „განმზიდველი ფაქტორები" და „მიმზიდველი ფაქტორები". მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სხვა მოდელებიც რადიკალიზაციის გასააზრებლად, ეს მოდელი ყველაზე ფართოდ გამოიყენება.

განმზიდველი ფაქტორები ნებისმიერი მდგომარეობა ან უკმაყოფილება, რომელიც წარმოშობს იმედგაცრუების, მარგინალიზაციის და უნდობლობის გრძნობას და ადამიანებს უბიძგებს, მოიძიონ შესაბამისი საშუალებები, მათ შორის და არა მხოლოდ გაწევრიანდნენ ექსტრემისტულ ჯგუფებში.[44] ზოგჯერ განმზიდველ ფაქტორებს ძალადობრივი ექსტრემიზმის „ფუნდამენტურ" ან „სტრუქტურულ" ფაქტორებსაც უწოდებენ, თუმცა ისინი უკეთ აღქიმება, როგორც ფაქტორები, რომლებიც ქმნის დაუკმაყოფილებელ საჭიროებებს და არ შეუძლია ძალადობრივი რადიკალიზაციის პრობლემის წარმოჩენა შემდეგი ფაქტორების გარეშე:

ჯგუფური დინამიკა და ურთიერთობები ფაქტორები, რომლებიც წარმოშობს ისეთ საკითხებს, გარემოს და საზოგადოებას, რომლებიც ხდის ინდივიდებს ან თემებს უფრო დაუცველს ძალადობრივი ექსტრემიზმისგან. ასეთი დინამიკა და ურთიერთობები, რომლებსაც ზოგჯერ „წამახალისებელ ფაქტორებს" უწოდებენ, განსაზღვრავს, თუ როგორ განიხილება და მოგვარდება კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხები (იდენტიფიცირებული განმზიდველი ფაქტორების ჩათვლით) და ითვალისწინებს, თუ როგორ წარმოადგენენ ჯგუფები თავს და მათგან განსხვავებულ ჯგუფებს. ეს ემყარება საზოგადოებაში არსებულ ურთიერთობებს: არიან თუ არა ისინი ჯანსაღი? არსებობს თუ არა უთანხმოება ან უნდობლობა ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ან მთავრობასა და მოქალაქეებს შორის? აღნიშნული ფაქტორები ასევე მოიცავს სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების სისტემებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ამგვარი საკითხების ადგილობრივ აღქმებზე და ხელი შეუწყოს ან შექმნას შესაბამისი გარემო ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერისთვის.

მიმზიდველი ფაქტორები
ძალები, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდეს მიმზიდველი პოტენციური ახალბედებისთვის და, უფრო კონკრეტულად, მიიყვანოს ისინი რადიკალურ ორგანიზაციებში; მაგალითად, ნათესაური კავშირის, გმირობის, თავგადასავლების ძიების, ეკონომიკური მოგების მიღების ან თვითრეალიზაციის გრძნობა.[45] ეს ფაქტორები, რომლებიც ასევე ცნობილია „ინდივიდუალური სტიმულების" სახელით, უფრო ეფექტიანია მაშინ, როცა ძალადობრვი ექსტრემისტული ჯგუფი აცხადებს, რომ მათი მიზნები ემსახურება იმ პრობლემების მოგვარებას, რომლებიც უკვე განისაზღვრა განმზიდველი ფაქტორების სახით.

მედეგობის წყაროები: რა თქმა უნდა, ასევე არსებობს ისეთი ფაქტორები, რომლებიც განმარტავს, თუ რატომ იყო შეუძლებელი ჯგუფების ან ინდივიდების მოზიდვა ძალადობრივი ექსტრემიზმის მხარდასაჭერად ან მასში ჩასართავად (ეს ფაქტორები შეიძლება შეფასდეს, როგორც „დამცავი ფაქტორები"). ისინი კავშირშია წინა მოდულში განსაზღვრულ მედეგობის იდეასთან. ჯგუფების ჯანსაღი დინამიკისა და ურთიერთობების მაგალითები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს მედეგობა, მოიცავს მოქალაქეებსა და მთავრობას შორის ღია კომუნიკაციას, ან კულტურულ ნორმებს, რომლებიც ხელს უწყობს მშვიდობიან თანაარსებობას და დიალოგს. იმ ფაქტორების მაგალითები, რომლებიც ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეებისგან აშორებს ჯგუფებს ან ინდივიდებს, მოიცავს არა-ძალადობრივ ალტერნატიულ გზებს მათი უკმაყოფილების აღმოსაფხვრელად ან ისეთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომლებმაც ასევე შეიძლება გამოიწვიოს ნათესაობის გრძნობა, გმირობის გამოვლინება, უზრუნველყოს დროის საინტერესოდ გატარება, ეკონომიკური სარგებელი ან თვით-რეალიზება.

[44] ლენა სლახმუილდერი, „Transforming Violent Extremism", გვ. 8.
[45] იქვე.

2.3. როგორ ამოვიცნობთ ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელ ფაქტორებს ჩვენს კონტექსტში?

რა კითხვები უნდა დავსვათ ჩვენს კონტექსტში რადიკალიზაციის გასაგებად?

ვის უნდა გავესაუბროთ ძალადობრივი ექსტრემიზმის ყველაზე თვალსაჩინო მამოძრავებელი ფაქტორების გამოსავლენად?

როგორ განვსაზღვროთ ძალადობრივი ექსტრემიზმის ასეთი მამოძრავებელი ფაქტორები სხვადასხვა საზოგადოებაში?

როგორც უკვე განვიხილეთ წინა მოდულში, რადიკალიზაციის ხასიათი დიდწილად დამოკიდებულია გარემოსა და ადგილობრივ დინამიკაზე. შესაბამისად, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამა ყველაზე წარმატებულია მაშინ, როცა ადაპტირებული და მიმართულია რადიკალიზაციის მამოძრავებელი ფაქტორების აღმოფხვრაზე ან ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ მედეგობის წყაროების შექმნაზე, ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით.

მკვლევარები და პრაქტიკოსი სპეციალისტები ძალიან ხშირად ირწმუნებიან, რომ ჩვენ არ გვესმის ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორები. შესაძლოა, ჩვენ ბოლომდე არ გვესმოდეს ეს პრობლემა, მაგრამ კვლევების მზარდმა რაოდენობამ მოგვცა უამრავი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მამაკაცებისა და ქალების რადიკალურად განწყობის პროცესის შესახებ. მართლაც, ბევრი საინტერესო კვლევა არის მითითებული ამ მოდულის ბოლოს 2.6 პუნქტში: „სწავლის დამატებითი შესაძლებლობები“.

შემდეგ პუნქტში მოცემულია მარტივი შეკითხვების სერია, რომელიც დაგეხმარებათ ძალადობრივი ექსტრემიზმის ხასიათის, მოტივებისა და გზების თქვენს კონტექსტში გააზრებაში. თუმცა ისინი წარმოადგენს მხოლოდ ამოსავალ წერტილს თქვენს ადგილობრივ კონტექსტში სიტუაციის შეფასების დასაწყებად.

2.3.1. ძალადობრივი ექსტრემიზმის რა სახის რისკი არსებობს თქვენს კონტექსტში და როგორია მისი ფორმები?

პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს იმის გაგება, თუ რა ფორმის ძალადობრივი ექსტრემიზმი და ძალადობრივი ექსტრემისტების რომელი ჯგუფები არიან წარმოდგენილნი თქვენს კონტექსტში. მაგალითად, არსებობს თუ არა ძალადობრივი ექსტრემისტების ორგანიზებული ან არაფორმალური დაჯგუფებები, რომლებიც მოქმედებენ ან ახდენენ გადაბირებას თქვენს ადგილობრივ კონტექსტში? ვის წინააღმდეგ არის მიმართული მათი ძალადობა? მაგალითად, არის თუ არა ის მიმართული მთავრობის, ადამიანების ჯგუფების წინააღმდეგ, იდენტიფიცირების გარკვეული ფაქტორ(ებ)ის საფუძველზე, უცხო მთავრობის ან ჯგუფის წინააღმდეგ, ან მოქმედებენ თუ არა ისინი მთავრობის მხარდასაჭერად (მთავრობის თანხმობით ან მის გარეშე) და მიმართავენ ძალადობას მოქმედი მთავრობის ოპონენტების მიმართ?

ზემოაღნიშნული პირველი შეკითხვის მნიშვნელობა ყველზე უკეთ არის განმარტებული ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიმართ მულტისექტორული მიდგომის მოწინავე პრაქტიკის შესახებ ანკარას მემორანდუმში:

> ყოველი ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფი უნდა შეფასდეს განცალკევებით, ვინაიდან ძალადობრივი ექსტრემიზმის შემთხვევაში, ერთიანი მიდგომა არ მოქმედებს. აქედან გამომდინარე, საპასუხო ღონისძიებები და ჩარევა უნდა ითვალისწინებდეს ჯგუფის სპეციფიკას. სახელმწიფოები შეიძლება აღმოჩნდნენ ძალადობრივი ექსტრემიზმის სხვადასხვა ფორმის წინაშე და მათ უნდა იცოდნენ, რომ თითოეულ ფორმას გააჩნია როგორც უნიკალური, ასევე საერთო მახასიათებლები. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ნებისმიერი პოლიტიკა ან პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს აღნიშნულ განსხვავებებსა და მსგავსებებს. ექსტრემისტული ჯგუფების იდეოლოგიის მიუხედავად, რადიკალიზაციის პროცესი მოიცავს ერთსა და იმავე ეტაპს.[46]

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იქნება დარჩენილი შეკითხვების რამდენჯერმე დასმა ცალცალკე, ძალადობრივ ექსტრემიზმის სხვადასხვა ფორმასთან დაკავშირებით. შეიძლება ხელსაყრელიც კი იყოს იმის გარკვევა, თუ რატომ არ არსებობს ძალადობრივი ექსტრემიზმის გარკვეული ფორმები კონკრეტულ გარემოში იმისათვის, რომ მოხდეს მედეგობის პოტენციური წყაროების იდენტიფიცირება.

[46] გლობალური კონტრტერორისტული ფორუმი, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიმართ მულტისექტორული მიდგომის მოწინავე პრაქტიკის შესახებ ანკარას მემორანდუმი, გვ. 3.

2.3.2. რატომ იზიდავს ადამიანებს ძალადობრივი ექსტრემიზმი?

სავარაუდოდ ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად დასმული შეკითხვა არის: „რატომ?" ნამდვილად, ეს არის მთავარი შეკითხვა ძალადობრივი ექსტრემიზმის კონკრეტულ კონტექსტში შეფასების დროს. თუმცა ზოგიერთმა ადამიანმა შეიძლება უარი თქვას ამ საკითხის შესწავლაზე იმის შიშით, რომ ეს შეიძლება აღქმული იქნას, როგორც ძალადობრივი ექსტრემისტების მიმართ თანაგრძნობა და ამჯობინებს მიიჩნიოს, რომ მათ უბრალოდ „ტვინი გამოურეცხეს". მაგრამ, როგორც გაეროს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა თავის სამოქმედო გეგმაში განაცხადა,

> ვერაფერი გაამართლებს ძალადობრივ ექსტრემიზმს, თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ის ვაკუუმში არ წარმოიქმნება. უკმაყოფილება, ფაქტობრივი ან აღქმული უსამართლობის შესახებ ნარატივები, დაპირებული შესაძლებლობები და რადიკალური გარდაქმნები ხდება მიმზიდველი იმ შემთხვევებში, როდესაც ირღვევა ადამიანის უფლებები, უგულვებელყოფილია კარგი მმართველობის პრინციპები და იმსხვრევა იმედები.[47]

სწორედ ამგვარ სიტუაციაში შეგვიძლია შევისწავლოთ განმზიდველი ფაქტორები, ჯგუფური დინამიკა და ურთიერთობები, ასევე მიმზიდველი ფაქტორები, რომლებიც ჩვენ წინა პუნქტში განვსაზღვრეთ.

განმზიდველი ფაქტორები:
რა არის უკმაყოფილების და დაძაბულობის წყარო?

როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, განმზიდველი ფაქტორები წარმოადგენს უკმაყოფილების მიზეზებს ან გარემოებებს, რომლებიც ხელს უწყობს მარგინალიზაციას და იწვევს იმედგაცრუების გრძნობას და შესაძლებლობების დაკარგვას, რაც ხალხს მოუწოდებს, მოიძიონ სიტუაციის გაუმჯობესების გზები, მათ შორის და არა მხოლოდ, გაწევრიანდნენ ექსტრემისტულ ჯგუფებში ან გაიზიარონ ძალადობრივი ექსტრემისტული იდეოლოგია. აღნიშნული ფაქტორები შეიძლება მოიცავდეს სტრუქტურულ საკითხებს, როგორიცაა "დემოგრაფიული დისბალანსი, სიღარიბე, უთანასწორობა, დისკრიმინაცია, საზოგადოებრივი განხეთქილება და საზოგადოებების გარდამავალი მდგომარეობა."[48]

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია პოტენციური განმზიდველი ფაქტორების არასრული ჩამონათვალი, რომელიც განიხილავს ძალადობრივი ექსტრემიზმის შვიდ პოლიტიკურ მამოძრავებელ ფაქტორს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მოხსენებიდან და რვა მამოძრავებელ ფაქტორს - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) მოხსენებიდან:

[47] გაეროს გენერალური მდივანი, „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სამოქმედო გეგმა", გვ. 1-2.
[48] დელფინ მიშელი და კამილ შინსი, „EIP Explainer: Understanding Radicalisation", მშვიდობის ევროპული ინსტიტუტი, 2016 წლის 26 მაისი, http://www.eip.org, რედაქტორითან ბმულით ტორე ბიორგო, „Root Causes of Terrorism: Myths, Reality and Ways Forward", ახალი რედაქცია (ლონდონი; ნიუ-იორკი: Routledge, 2005 წ.).

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა
1. ფუნდამენტური პოლიტიკური უფლებების („პოლიტიკური იზოლაცია“) და სამოქალაქო თავისუფლებების დარღვევა;	1. გლობალური პოლიტიკის როლი და გავლენა;
2. უკიდურესად რეპრესიული რეჟიმები, რომლებიც უშვებს ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის შესაძლებლობას;	2. ეკონომიკური იზოლაცია და სოციალური წინსვლის შეზღუდული შესაძლებლობები;
3. ენდემური კორუფცია და დაუსჯელობა კარგი კავშირების მქონე ელიტური წრეებისთვის;	3. პოლიტიკური იზოლაცია და სამოქალაქო საზოგადოებისთვის სივრცის შემცირება;
4. „უსაფრთხო თავშესაფრების“ არსებობა, ცუდად მართული ან უმართავი ტერიტორიები;	4. უთანასწორობა, უსამართლობა, კორუფცია და ადამიანის უფლებების დარღვევა;
5. წინასწარ არსებული, გაჭიანურებული და ძალადობრივი ადგილობრივი კონფლიქტები, რომლებიც ძალადობრივმა ექსტრემისტულმა ორგანიზაციებმა შეიძლება გამოიყენონ თავიანთი დღის წესრიგის გასატარებლად;	5. იმედგაცრუება სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემებით;
6. ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან;	6. საზოგადოებაში მზარდი მრავალფეროვნების მიუღებლობა;
7. დისკრედიტირებული რეჟიმები სუსტი ან არარსებული ოპოზიციებით.	7. სუსტი სახელმწიფო შესაძლებლობები და დაუცველობა; და
	8. გლობალური კულტურის ცვალებადობა და ძალადობის ნორმალიზება და უმნიშვნელოდ წარმოჩინება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და გართობის სფეროში.

როგორ ხდება აღნიშნული გარემოებებისა და უკმაყოფილების მოგვარება?

ორივე ჩამონათვალი შედგენილია განვითარების სფეროში ჩართული ორგანიზაციების მიერ. როგორ ფიქრობთ, ეს გავლენას ახდენს თუ არა მათ შეხედულებებზე ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემის მიმართ?

ამ მამოძრავებელი ფაქტორებიდან რომელია წარმოდგენილი თქვენს კონტექსტში?

თქვენი აზრით, რა აკლია ამ ორ ჩამონათვალს?

აღნიშნული ჩამონათვალები არ არის ამომწურავი და არ ითვალისწინებს ძალადობრივი ექსტრემიზმის ყველა პოტენციურ განმზიდველ ფაქტორს. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ერთი ან ყველა ამ ფაქტორების არსებობა ბოლომდე ვერ განმარტავს რადიკალიზაციას. მართლაც, აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხთან დაკავშირებით იწვევს სერიოზულ უთანხმოებას ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში.

მაგალითად, აზრთა უთანხმოების ორ მთავარ საკითხს წარმოადგენს შემდეგი: არის თუ არა რელიგია და უმუშევრობა ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორები. ამ ფაქტორების შესწავლაზე უთვალავი საათი და მილიონობით დოლარი დაიხარჯა, რამაც ნაბიჯ-ნაბიჯ მიგვიყვანა კონსენსუსამდე: პრაქტიკულად არ არსებობს კავშირი ამ ფაქტორებსა და რადიკალიზაციას შორის.[49] ამასთან, მომდევნო მოდულებში განვიხილავთ, თუ როგორ შეიძლება რელიგიური ლიდერები და ეკონომიკური შესაძლებლობები გახდნენ მნიშვნელოვანი მოკავშირეები და მთავარი აქტორები ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მიუხედავად იმისა, რომ განმზიდველ ფაქტორებს არ შეუძლიათ რადიკალიზაციის სრულად ახსნა კონკრეტულ კონტექსტში, ისინი მაინც მნიშვნელოვან ამოსავალ წერტილად რჩება. ეს ფაქტორები წარმოადგენს საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებს და დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ შეიძლება ამ პრობლემებმა წარმოშვას ის სიტუაცია და გარემო, რომელშიც შეიძლება აღმოცენდეს განხეთქილება, უნდობლობა და ძალადობრივი ექსტრემიზმი.

[49] იხილეთ ჯ. მ. ბერგერი, „Making CVE Work: A Focused Approach Based on Process Disruption", ICCT-ს სამეცნიერო ნაშრომი (ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო ცენტრი, ჰააგა, მაისი, 2016 წ.).

ჯგუფური დინამიკა და ურთიერთობები: როგორ ხდება აღნიშნული გარემოებებისა და უკმაყოფილების განხილვა და მოგვარება?

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფური დინამიკა და ურთიერთობები წარმოადგენს ფაქტორებს, რომლებიც წარმოშობს პრობლემებს, აყალიბებს გარემოს და საზოგადოებას ისე, რომ ინდივიდები ან თემები აღმოჩნდნენ უფრო მოწყვლადი ძალადობრივი ექსტრემიზმის წინაშე.

აღნიშნული ფაქტორების შეფასება ითვალისწინებს საზოგადოების და იმ გზების გააზრებას, რომელთა მოძიებასაც ცდილობენ ინდივიდები საკუთარი პრობლემების გადასაჭრელად, ასევე იმის გარკვევას, თუ როგორ მოიძიონ შესაბამისი საშუალებები თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და პრობლემების აღმოსაფხვრელად. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მოხსენების ავტორების აზრით, „დაფიქრება იმ პროცესებსა და ჯგუფურ დინამიკაზე, რომლის გამოც ადამიანები ძალადობრივ ექსტრემიზმში ერთვებიან, აღმოჩნდა გაცილებით საფუძვლიანი და ეფექტიანი მიდგომა."[50] ისინი ხაზს უსვამენ ამ ანალიზის უპირატესობებს, ვინაიდან ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება უფრო ეფექტიანია იმ შემთხვევაში, თუ იგი სცილდება განმზიდველ ფაქტორებს, რადგან „მაშინაც კი, თუ [პრაქტიკოსი სპეციალისტები] შეძლებენ მოსახლეობის უმრავლესობისთვის 'საბაზისო პირობების' გაუმჯობესებას, ჯერ კიდევ არსებობს შანსი იმისა, რომ [განვითარების] პროგრამები ვერ შეძლებს ძალადობისკენ მიდრეკილი ინდივიდების მცირე ქვეჯგუფის შეხედულებების, მსოფლმხედველობის, უკმაყოფილების მიზეზებისა და მოტივაციების მნიშვნელოვნად შეცვლას." [51]

ექსპერტი რენდი ბორუმის აზრით, ეს მიდგომა ხელსაყრელია, ვინაიდან ძალადობრივი ექსტრემიზმი ყველაზე ხშირად ჯგუფურ პრობლემას წარმოადგენს და ჩვენთვის ცნობილია, რომ ჯგუფების კვლევის შედეგად მიღებული ზოგიერთი ძირითადი გაკვეთილი ითვალისწინებს შემდეგს:

- ჯგუფური გარემო ანვითარებს ექსტრემისტულ შეხედულებებს: ინდივიდუალური მოსაზრებები და დამოკიდებულებები ჯგუფურ გარემოში კიდევ უფრო მწვავე ხდება;
- ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხშირად უფრო მიკერძოებული და ნაკლებად რაციონალურია, ვიდრე ინდივიდუალურად მიღებული;
- ჯგუფისადმი დამოკიდებულება განპირობებულია მასთან მიკუთვნებით;
- ჯგუფებს გააჩნიათ შიდა წესები და რეგულაციები, რომლებიც არეგულირებს მათ წევრთა ქცევას.[52]

ბორუმმა ასევე შეიმუშავა იდეოლოგიური განვითარების პროცესის ოთხეტაპიანი კონცეპტუალური მოდელი, რომელიც შესაძლებელია ხელსაყრელი იყოს იმის ასახსნელად, თუ როგორ შეიძლება ჯგუფურმა დინამიკამ და ურთიერთობებმა გავლენა იქონიოს რადიკალიზაციის პროცესზე:[53]

[50] დენო და კარტერი, „Guide to the Drivers of Violent Extremism", გვ. 61.
[51] იქვე, გვ. 11.
[52] რენდი ბორუმი, „Radicalization into Violent Extremism I: A Review of Social Science Theories", Journal of Strategic Security, „Perspectives on Radicalization and Involvement in Terrorism", გვ. 4, №4 (2011 წ.), გვ. 20-21. ხაზგასმულია ორიგინალ ნაშრომში.
[53] რენდი ბორუმის ნაშრომის ადაპტირებული მასალა „Understanding the Terrorist Mindset", ფსიქიკური ჯანმრთელობის სამართლის და პოლიტიკის ფაკულტეტის პუბლიკაციები (2003 წ.), გვ. 228.

"ეს არასწორია"	"ეს უსამართლობაა"	"ეს თქვენი ბრალია"	"თქვენ ბოროტი ხართ"	"მე უნდა ვიმოქმედო"
სოციალური და ეკონომიკური დეპრივაცია (ან სხვა სახის უკმაყოფილება)	უთანასწორობა და აღშფოთება	დადანაშაულება ან ბრალეულობის მიკუთვნება	განზოგადება და სტერეოტიპების შექმნა დეჰუმანიზაცია და/ან მტრის დემონიზაცია (ან უკმაყოფილების „მიზეზები")	
უკმაყოფილება	**უსამართლობა**	**ატრიბუცია**	**რეაქცია**	**მოქმედება**
განმზიდველი ფაქტორები	**ჯგუფური დინამიკა და ურთიერთობები / მიმზიდველი ფაქტორები**			

როგორც ადაპტირებული მოდელი გვიჩვენებს, მხოლოდ უბრალო უკმაყოფილება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ადამიანი იძულებული გახდეს, გაიზიაროს ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეები. ძალადობრივი ექსტრემისტები ასეთ უკმაყოფილებას აღიქვამენ, როგორც უფრო მასშტაბური ბრძოლის ნაწილს, რომელშიც კონკრეტული ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი სახელდება მტრად და მათი ტანჯვის გამომწვევ მიზეზად. ამასთან, ჯგუფური დინამიკა და ურთიერთობები, რომლებიც განვითარდა თემის ფარგლებში ან კონკრეტულ კონტექსტში, შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს საზოგადოებაში ამგვარი უკმაყოფილების აღქმის ან ასახვის პროცესში. ეს მოდელი ასევე მიუთითებს სხვადასხვა სახის მეთოდზე, რომელთა წყალობითაც ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამები ხელს უწყობს უკმაყოფილების დარეგულირებას, აჩერებს ადამიანთა გარკვეული ჯგუფების დადანაშაულებას ან გვთავაზობს ალტერნატიულ საპასუხო ღონისძიებებს.

ყურადღება მიაქციეთ, რომ აღნიშნულ მოდელში განსაზღვრეს მეხუთე ეტაპიც: მოქმედება. მიუხედავად ყველა განხეთქილებისა, პოლარიზაციისა და თუნდაც სიძულვილისა, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს უკმაყოფილებით, ეს ეტაპი ჯერ კიდევ საჭიროებს შესწავლას, ვინაიდან ყველაზე დაპირისპირებულ საზოგადოებებშიც კი, ადამიანების უმრავლესობა არ დაუჭერს მხარს ძალადობას ან მასში მონაწილეობას. მართლაც, როგორც ბევრი, განსხვავებული მიმართულების ისარი მიუთითებს, მოქმედების უამრავი ვარიანტი არსებობს, რომლებსაც ადამიანები მიმართავენ უკმაყოფილების და განხეთქილების საპასუხოდ. ეტაპები, რომლითაც ძალადობრივი ექსტრემისტები და მათი იდეოლოგია უკავშირდება ამ მოდელს, შემდეგია: 1) დისკუსიების წარმართვა საჭირო მიმართულებით და პრობლემის ფორმულირება, და 2) საპასუხო ძალადობრივი ღონისძიებების წახალისება. ამ გადამწყვეტ, მეხუთე ეტაპზე ძალადობრივი ექსტრემისტების იდეოლოგია ცდილობს აიძულოს ცალკეული ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები, მიმართონ ძალადობა მათ მიმართ, ვისაც ისინი ჩათვლიან თავიანთ მტრად და არ მოახდინონ უკმაყოფილებაზე რეაგირება სხვა საშუალებებით.

ასე რომ, როგორ ჩამოვაყალიბოთ ეს იდეები რიგი შეკითხვებით იმისათვის, რომ უკეთ გავიაზროთ რადიკალიზაცია ჩვენს კონტექსტში? ჩვენ შეგვიძლია დავიწყოთ შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემით:

როგორ ხდება იდენტიფიცირებული განმზიდველი ფაქტორების განხილვა და გადაწყვეტა?

როგორ წარმოადგენენ საზოგადოების სხვადასხვა ნაწილები საკუთარ როლს, ასევე საზოგადოების სხვა წევრების როლებს და სახელმწიფოს როლს? აღიქვამენ თუ არა ისინი საკუთარ თავს მსხვერპლად, ხოლო სხვებს კი - პრობლემების მიზეზებად ან თუნდაც მტრებად?

არის თუ არა საზოგადოების ფარგლებში არსებული ურთიერთობები ჯანსაღი ან დარღვეული? არსებობს თუ არა განხეთქილება ან უნდობლობა ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ან მთავრობასა და მოქალაქეებს შორის?

როგორ ახდენს გავლენას სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების სისტემები ან აყალიბებს ამ საკითხების შესახებ ადგილობრივ აზრს?

ეს ბოლო შეკითხვა შეხედულებების სისტემებთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან შეიძლება დაგვეხმაროს იმის გარკვევაში, თუ როგორ ვრცელდება ძალადობრივი ექსტრემისტების იდეები, ვინაიდან პასუხი შეკითხვაზე - „ადამიანი გაიზიარებს თუ არა ასეთ იდეებს, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მიიღებენ მათ მისი თანატოლები და რამდენად ჩათვლიან მიბაძვის ღირსად."[54] მომდევნო პუნქტში ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ იზიდავს ხალხს ძალადობრივი ექსტრემიზმის მხარდაჭერის ან მონაწილეობის იდეები.

მიმზიდველი ფაქტორები: რა არის მიზეზი, რომლის გამოც ცალკეული ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი მზად არის ჩაიდინოს ძალადობა ამ პრობლემებთან დაკავშირებით? რატომ ეს კონკრეტული ჯგუფი და არა სხვა?

როგორც ზემოთ უკვე განვსაზღვრეთ, მიმზიდველი ფაქტორები წარმოადგენს იმ ასპექტებს, რომლებიც შეიძლება მიმზიდველი აღმოჩნდეს პოტენციური ახალბედებისთვის და განსაკუთრებით მოახდინოს მათი წახალისება რადიკალურ ორგანიზაციებში გასაწევრიანებლად, მაგალითად, გამოიწვიოს ნათესაობის, მიკუთვნების, იდენტობის, თავგადასავლების, ეკონომიკური სარგებლის ან თვითრეალიზაციის გრძნობა. უყურეთ მე-3 ვიდეორგოლს დაეშის ყოფილი წევრის, ბელგიელი ქალბატონის შესახებ და ყურადღება მიაქციეთ იმ მიზეზებს, რამაც აიძულა ის წასულიყო სირიაში დაეშში გასაწევრიანებლად:

[54] ჯეიმი ბარტლეტი, „The Edge of Violence: A Radical Approach to Extremism" (ლონდონი: Demos, 2010 წ.), გვ. 12.

ვიდეორგოლი 3: ად-დაულას დაპირებები ქალების მიმართ

მომზადებულია:
ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევის საერთაშორისო ცენტრის (ICSVE) მიერ

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/Ed99vbD7Lr8 [რუსული]
https://youtu.be/qZknfoA-O2k [ინგლისური]

Სადისკუსიო შეკითხვები:

1. რა დაპირებებით შეძლო დაეშის რეკრუტერმა დაერწმუნებინა იგი, რომ წაეყვანა მისი ოთხი წლის ვაჟი და წასულიყო სირიაში?

2. ამ სიუჟეტში გამოყენებულია დაეშის მრავალი პროპაგანდისტული ვიდეორგოლი. როგორ ფიქრობთ, თქვენგან რა ემოციების აღძვრა სურთ დაეშის პროპაგანდისტული ვიდეორგოლის ავტორებს ამ მასალის ნახვით? თუ ამ პრობლემას თქვენს კონტექსტში განვიხილავთ, როგორ შეიძლება ასეთმა ემოციებმა ან იდეებმა მიიზიდოს ადამიანი?

როგორც ვიდეორგოლის ნახვის შედეგად გავიაზრეთ, ყველა მიმზიდველი ფაქტორი, რომლის იდენტიფიცირებაც შეგვიძლია, არაა კავშირში ძალადობასთან. ასევე არაა აუცილებელი, რომ ისინი კავშირში იყოს ძალადობასთან ჯგუფის მიერ განცხადებული მიზნების გამო. მაგალითად, სოციალური მოძრაობის თეორია გვასწავლის, რომ „ადამიანები ხშირად უერთდებიან გარკვეულ მოძრაობებს იმ მიზეზებით, რომლებიც არაპირდაპირ კავშირშია თავად ამ ჯგუფის მიზნებთან, და ეს ჯგუფი ემსახურება მათი უკმაყოფილების გამოხატვას, ფორმირებას და მათზე ყურადღების გამახვილებას".[55] მაგალითად, დაფიქრდით იმაზე, თუ როგორ იმუშავა დაეშმა სირიის ომის შესახებ შესაბამისი შეხედულების ჩამოყალიბებისთვის. როგორ განსხვავდება ეს შეხედულება? აქედან გამომდინარე, თქვენი კონტექსტის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნება შემდეგი შეკითხვის დასმა:

[55] იქვე, გვ. 20.

განმზიდველი ფაქტორები, ჯგუფური დინამიკა და ურთიერთობები და მიმზიდველი ფაქტორები ერთობლივად დაგვეხმარება, კვალდაკვალ მივყვეთ რადიკალიზაციის გზებს იმისათვის, რომ გავიგოთ, რატომ ხდება კონკრეტული პირების ან ჯგუფების მოზიდვა ძალადობრივ ექსტრემიზმში. რა თქმა უნდა, ამ შეკითხვების დახმარებით შეუძლებელი იქნება წინასწარ განვსაზღვროთ, ვინ შეიძლება გახდეს ძალადობრივი ექსტრემისტი, ან შევქმნათ ძალადობრივი ექსტრემისტის „პორტრეტი". ამასთან, ისინი მიუთითებენ პრიორიტეტებზე და ინტერვენციის მნიშვნელოვან პუნქტებზე ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ადგილობრივი პოლიტიკის და პროგრამების შემუშავებისას.

როგორ ახდენენ ადგილობრივი ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფები ყალბი ინფორმაციის ფორმირებას, გადაკეთებას ან გავრცელებას ადგილობრივ კონფლიქტებთან დაკავშირებით იმისათვის, რომ მოარგონ ისინი საკუთარ გეგმებსა და ინტერესებს და მოიზიდონ პოტენციური ახალბედები?

სხვა სასარგებლო შეკითხვები ადგილობრივი მიმზიდველი ფაქტორების გასააზრებლად:

რომელია ის მიზეზები, რომელთა გამოც ცალკეული ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი მზადაა ჩაიდინოს ძალადობა აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით?

რა არის ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების რეალური ან წარმოსახვითი უპირატესობები, რომლებიც იზიდავს პოტენციურ ახალბედებს?

რატომ უერთდება ადამიანი ძალადობრივი ექსტრემისტების კონკრეტულ ჯგუფს და არა სხვა ჯგუფს - იქნება ძალადობრივი თუ არა-ძალადობრივი?

2.3.3. ვის იზიდავს ძალადობრივი ექსტრემიზმი?

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამები განსაკუთრებით ეფექტიანია იმ ინდივიდებისა და ჯგუფების მიმართ, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაუცველნი ძალადობრივი ექსტრემიზმისგან. აღნიშნული საკითხი მოითხოვს გადაბირების მაგალითების ანალიზს სამიზნე რეგიონებში. მიუხედავად იმისა, „ტიპიური" ძალადობრივი ექსტრემისტის პორტრეტის შექმნა შეუძლებელია, კვლევას შეუძლია გამოავლინოს გარკვეული მოდელები და კრიტერიუმები, რომლებიც შესაძლოა დაგვეხმაროს, აღმოვაჩინოთ, რომელ მოწყვლად პირებსა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელ ფაქტორებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება კონკრეტულ რეგიონში. აქ, ისევე როგორც დანარჩენი შეკითხვების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია გენდერულად სენსიტიური მიდგომის გათვალისწინება: ყურადღების მიღმა არ დავტოვოთ ქალები და გოგოები! ძალიან ხშირად, კითხვაზე - „ვინ?" - პასუხად მხოლოდ მამაკაცები და ბიჭები მოიაზრება.

2.3.4. სად ხდება ადამიანების მიზიდვა ძალადობრივ ექსტრემიზმში?

გადაბირების მაგალითების შემდგომმა ანალიზმა და საზოგადოებრივმა დისკუსიებმა შეიძლება გამოავლინოს გეოგრაფიული მდებარეობები და კონკრეტული ადგილები (ზოგჯერ ცნობილი „ცხელი წერტილების" სახელით), სადაც ადგილი აქვს რადიკალიზაციას. აღნიშნულის მაგალითები შეიძლება მოიცავდეს სკოლის შემდგომ დამატებით გაკვეთილებს, ფორმალურ და არაფორმალურ რელიგიურ თავყრილობებს, ციხეებს ან ონლაინ პლატფორმებს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამ დაკვირვებებზე გაკეთებული დასკვნები საშუალებას გვაძლევს, შევიმუშავოთ შესაბამისი პოლიტიკა ან განვსაზღვროთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების გეოგრაფიული მასშტაბი, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს სხვა რეგიონებიც. მხოლოდ იმის გამო, რომ პრობლემა შეიძლება ცხელ წერტილებში იყოს კონცენტრირებული, არ ნიშნავს, რომ ის სხვა ადგილებში არ იჩენს თავს. ნამდვილად, ძალადობრივ ექსტრემისტ რეკრუტერებს შეუძლიათ ოსტატურად გადავიდნენ სხვა რეგიონებში ან შეეცადონ პოტენციური ახალბედების მოძიებას სხვა პლატფორმების გამოყენებით, როდესაც მათი მცდელობები ან ტაქტიკა გამჟღავნდება.

2.3.5. როგორ ხდება ადამიანების რადიკალიზაცია?

ვინაიდან პროგნოზული პორტრეტის შექმნა შეუძლებელია, ჯონ ჰორგანი (რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მკვლევარი) ვარაუდობს, რომ „ძალადობრივი ექსტრემიზმის ძირეული მიზეზების უნაყოფო ძიებამ გზა უნდა დაუთმოს ექსტრემიზმისკენ მიმავალი გზების გამოვლენის ძალისხმევებს და რომ პორტრეტების შექმნის მცდელობის ნაცვლად, ექსპერტებმა [ძალადობრივი ექსტრემიზმის სფეროში] უნდა მოახდინონ ძალადობისკენ მიმავალ გზებზე კონცენტრირება."[56] ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა დაგვეხმარება, ყურადღება კიდევ უფრო გავამახვილოთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაზე, ასევე განვსაზღვროთ, თუ როგორ უკავშირდება ხალხი ძალადობრივ ექსტრემიზმს და როგორ იზიარებს მის იდეოლოგიას. პოტენციური გზების მაგალითები მოიცავს ახალ და ტრადიციულ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს, ოჯახებს, ძალისმიერ გადაბირებას და იძულებას, ძალადობრივ ექსტრემისტულ რეკრუტერებს, პოლიტიკოსებს / მთავრობის წარმომადგენლებს, რელიგიურ ლიდერებს და ა.შ.

ამ შეკითხვების სერია ხელს უწყობს ძალადობის მხარდაჭერის გააზრებასა და ძალადობაში ფაქტობრივი მონაწილეობის გააზრებას შორის არსებული კრიტიკული სიცარიელის ამოვსებას.[57] აქ მნიშვნელოვანია, უფრო დეტალურად განვიხილოთ ზემოაღნიშნული გზებიდან ერთერთი: ძალისმიერი გადაბირება და იძულება. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობრივი ექსტრემისტები უმეტესწილად ნებაყოფლობით წევრიანდებიან ჯგუფებში, შეიძლება ზოგ შემთხვევაში ადამიანი იძულებული გახდეს ჩაერთოს ძალადობრივ ექსტრემიზმში მუქარის ან ძალის გამოყენების გზით. ასეთ შემთხვევებში, ადამიანებმა შეიძლება მიმართონ ძალადობას, თუმცა რეალურად არ დაუჭირონ მხარი ძალადობრივ ექსტრემიზმს. მაგრამ ზღვარის გავლება ჯგუფის „ნებაყოფლობით" და „იძულებით" წევრებს შორის არც ისე მარტივია. ნამდვილად, ეს პრობლემა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ახალბედებზე ზეწოლის ძალა გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდეგ (იმისათვის, რომ ისინი დარჩნენ ჯგუფში ან შეასრულონ კონკრეტული ქმედებები). ვინაიდან სამართლებრივი იურისდიქციების უმეტესობა არ აღიარებს ამას, როგორც არგუმენტს ყველაზე სერიოზული დანაშაულებისგან დასაცავად (მაგალითად, მკვლელობა), სიტუაციის ამგვარი გაგება ეხმარება პრაქტიკოს სპეციალისტებს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში, უფრო მიზნობრივი ჩამოშორებისა და რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავების გზით.

[56] დენო და კარტერი, „Guide to the Drivers of Violent Extremism", გვ. 61.
[57] ჯეიმს ხალილი, „A Guide to Interviewing Terrorists and Violent Extremists", კონფლიქტებისა და ტერორიზმის კვლევა, 2017 წლის 28 სექტემბერი, გვ. 4.

2.3.6. როგორ ვიპოვოთ პასუხები ამ შეკითხვებზე?

მაგრამ რეალურად როგორ შევძლებთ ამ შეკითხვებზე პასუხების მოძიებას? ეს შესაძლებელია არსებული კვლევის შეფასებით და ახალი კვლევის განხორციელებით:

არსებული კვლევების ანალიზი

პირველი ნაბიჯი უნდა იყოს იმ კვლევების ანალიზი, რომელიც უკვე ჩატარდა თქვენს ადგილობრივ კონტექსტში და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში. შესაძლებელია, რომ ამგვარი კვლევების შედეგად მიღებულმა ზოგიერთმა დასკვნამ უკვე გაგვცეს პასუხები ზემოთ დასმულ შეკითხვებზე, ან გამოავლინონ მნიშვნელოვანი ხარვეზები კვლევასთან დაკავშირებით, რაც განსაზღვრავს დამატებითი კვლევების ჩატარების საჭიროებას. მართლაც, უამრავი სასარგებლო რესურსი არის წარმოდგენილი წინამდებარე სახელმძღვანელოს პუნქტებში - „სწავლის შემდგომი შესაძლებლობები".

თუმცა ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ სკეპტიციზმის ჯანსაღი დონე იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებსაც შევისწავლით, რადგან ბევრ (თუნდაც ყველაზე ცნობილ) რესურსს სერიოზული პრობლემები ახასიათებს მეთოდოლოგიასთან ან დასკვნებთან დაკავშირებით, და ზოგჯერ ძალიან აზვიადებს ან ზედმეტად განაზოგადებს მათ. ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ ჩატარებული კვლევების უახლესმა ანალიზმა აჩვენა, რომ კვლევის ნიმუშის სუბიექტების 34% მეთოდოლოგიურად ან ემპირიულად არადამაკმაყოფილებელი იყო, ხოლო ნიმუშის 11% აღმოჩნდა არადამაკმაყოფილებელი როგორც მეთოდოლოგიური, ისე ემპირიული თვალსაზრისით.[58] მაგალითად, RAND Corporation-ის

მიერ ისეთ ადგილებში, როგორიც პალესტინა და იემენია, ჩატარებული არაერთი საინტერესო კვლევის დასკვნის თანახმად, „ძალადობრივი ექსტრემიზმის აღმოსაფხვრელად საუკეთესო გზა არის იმ ფაქტორების გაძლიერება, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანების მოტივირებას პოლიტიკური ძალადობის უარყოფისთვის." თუმცა კვლევაში ასევე ნათქვამია, რომ „მიმართულების შეცვლა არ ამცირებს ძალადობისკენ მიდრეკილებას."[59] მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა დასკვნამ შეიძლება ხაზი გადაუსვას ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიზნით განხორციელებულ სამუშაოებს, რომლებსაც უკვე ასრულებს უამრავი ორგანიზაცია, მისი ლოგიკური დასაბუთება ემყარებოდა რამდენიმე საკითხს, რომელიც მიმართული იყო მხოლოდ პოლიტიკურ აქტივიზმზე და არა არაძალადობრივი აქტივიზმის ტიპებზე, რომლებიც გავრცელებულია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებში.[60] აღნიშნული ორი დასკვნა ინტუიციურია, როდესაც გავიაზრებთ, რომ ძალადობრივი ექსტრემიზმი ხშირად პოლიტიკური ძალადობის ფორმას წარმოადგენს. ჩვენ რომ პროექტის მეთოდოლოგია არ შეგვესწავლა, შეიძლება მიგვეღო პოტენციურად ეფექტიანი პროგრამების მიტოვების გადაწყვეტილება! ამრიგად, აუცილებელია სათანადო სიფრთხილის ზომების დაცვა იმისათვის, რომ არ აღმოვჩნდეთ იმ უამრავ ხაფანგში, რომლებიც შეიძლება შეგვხვდეს ძალადობრივი ექსტრემიზმის შესწავლის გზაზე.

[58] პიტერ ნომანი და სკოტ კლაინმანი, „How Rigorous Is Radicalization Research?" Democracy and Security 9, № 4 (1 სექტემბერი, 2013 წ.): 360–82.
[59] ერიკ რობინსონი და სხვ., "What Factors Cause Individuals to Reject Violent Extremism in Yemen?" (სანტა მონიკა, კალიფორნია: RAND Corporation, 2017 წ.), გვ. 35.
[60] იქვე.

შემდგომი კვლევის გაგრძელება

ვის უნდა გაესაუბროთ, როდესაც შეეცდებით ძალადობრივი ექსტრემიზმის შესწავლას თქვენს ადგილობრივ კონტექსტში?

როგორ უნდა შეაგროვოთ საჭირო ინფორმაცია თქვენს კვლევასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად?

რა ზომებს უნდა მიმართოთ კვლევის შედეგებთან დაკავშირებით?

თუ ჩვენ გამოვავლენთ კვლევასთან დაკავშირებულ ხარვეზებს ჩვენს კონტექსტში, მათ შორის ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ჩვენი ადგილობრივი სტრატეგიის ან მოქმედებების დაწყების მომენტიდან, ჩვენ შესაძლებელია დაგვჭირდეს საკუთარი კვლევის ჩატარება. ვინაიდან წინამდებარე სახელმძღვანელო ვერ გაგატარებთ სწავლის ყველა ეტაპს, მათ შორის კვლევასთან დაკავშირებით უფრო კონკრეტული შეკითხვების განსაზღვრის, კვლევის ნიმუშების მოძიების, მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტებისა და მიდგომების შემუშავების, აგრეთვე შედეგების გაანალიზებისა და გაზიარების ეტაპებს, მოცემული პუნქტი გთავაზობთ ზოგად რეკომენდაციებს:

- ჩაატარეთ გასაუბრებები პრაქტიკოსი სპეციალისტების, დონორი ორგანიზაციების და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით, სანამ განსაზღვრავთ თქვენი კვლევის მასშტაბებს;
- კვლევის დასაწყისში, ხშირად მიზანშეწონილია გასაუბრება ადამიანთა ფართო წრეებთან და არა მხოლოდ კონკრეტულ ჯგუფებთან (მაგალითად, მოწყვლად ინდივიდებთან, ყოფილ ძალადობრივ ექსტრემისტებთან, საჯარო მოხელეებთან, აკადემიკოსებთან და ა.შ.);
- საკითხის უკეთესად გაგების მიზნით, აუცილებელია როგორც ზრდასრულ მამაკაცებთან და ქალებთან, ასევე ახალგაზრდებთან გასაუბრება;
- განსაზღვრეთ აუცილებელი ინფორმაციის შეგროვებისთვის საჭირო მეთოდები, იქნება ეს გამოკითხვები, ფოკუს-ჯგუფების დისკუსიები, ინტერვიუები, დიალოგები, სემინარები თუ სხვა საშუალებები;
- ზოგჯერ მიზანშეწონილია კვლევასთან ნაბიჯ-ნაბიჯ მიახლოება, რა დროსაც, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გაამახვილოთ კონკრეტულ შეკითხვებზე, შემდეგ კი გადახვიდეთ სწავლის მომდევნო ეტაპზე იმისათვის, რომ უფრო სიღრმისეულად გაიაზროთ საკითხი მოგვიანებით ან სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში;
- გამოიყენეთ კვლევა, როგორც სხვადასხვა მხარეს შორის, მაგალითად, მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის ნდობის განმტკიცების საშუალება, რომლებსაც შეიძლება განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდეთ პრობლემის შესახებ და იყენებდნენ სხვადასხვა ტერმინებს მისი განხილვისას. ამის მიღწევა შესაძლებელია ერთობლივი კვლევის საშუალებით;
- საჭიროების შემთხვევაში, საუბრის დასაწყებად შეეხეთ იდენტობის და უსაფრთხოების საკითხებს იმისათვის, რომ შემდეგ საუბრის თემა გადაიტანოთ ძალადობრივ ექსტრემიზმზე. ეს საშუალებას მოგცემთ უფრო უკეთ მიუდგეთ რთულ საკითხებს ან ადამიანთა ჯგუფებს, ანდა დაიწყოთ საუბარი;
- მხარი დაუჭირეთ ახალგაზრდების ინიციატივებს კვლევებში, ახალგაზრდობის შესაძლებლობების გაფართოების და მათთვის კვლევითი პროექტების შექმნის და განხორციელების შესაძლებლობის მიცემის მიზნით;
- კვლევა ყველაზე ეფექტურია იმ შემთხვევაში, როდესაც ის ორიენტირებულია კონკრეტულ მოქმედებებზე და უკავშირდება კონკრეტულ პრობლემებს ან საქმიანობას.

2.4. რომელია ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევასთან დაკავშირებული ზოგიერთი რისკი და როგორ უნდა ავიცილოთ ისინი თავიდან?

რომელია ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევასთან დაკავშირებული რისკები?

რით განსხვავდება ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევა სხვა თემების კვლევისგან?

როგორ შეგიძლიათ აიცილოთ თავიდან ზოგადი შეცდომები ადგილობრივ კონტექსტში ძალადობრივი ექსტრემიზმის შესწავლისას?

რადიკალიზაციის დინამიკის გაცნობიერება და ჩარევის შესაძლებლობების განსაზღვრა თქვენს კონტექსტში შეიძლება უკიდურესად რთული ამოცანა აღმოჩნდეს. შემდეგი იდეები დაგვეხმარება წარმატების მიღწევაში და ამგვარი კვლევით გამოწვეული რისკების თავიდან აცილებაში:

- **კვლევის ჩატარებისას იხელმძღვანელეთ „ზიანის მიუყენებლობის“ მიდგომით.**
  შეაფასეთ კვლევის ჩატარების რისკები ადგილობრივ საზოგადოებაში და განსაზღვრეთ, შეიძლება თუ არა ამ კვლევით არა-აუცილებელი ყურადღება მიექცეს ძალადობრივი ექსტრემიზმის საგანს ან კვლევაში მონაწილე პირებს.

- **ყურადღება მიაქციეთ, თუ როგორ იძლებან აღიქვან მონაწილეებმა თქვენი კვლევითი გუნდი.**
  მკვლევარების (ან ინფორმაციის შემგროვებლების) როლებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს თქვენს შედეგებზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტები ხასიათდებიან სენსიტიურობით იდენტობის და გენდერული საკითხების მიმართ, ამიტომ მკვლევარებმა უნდა დაიცვან ნეიტრალურობა გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით.

- **მონაწილეებმა უნდა იგრძნონ თავი საკმარისად კომფორტულად იმისათვის, რომ ითანამშრომლონ და წარმოადგინონ კიდევ უფრო ზუსტი პასუხები.**
  თქვენი კვლევის მონაწილეებს შეიძლება ასევე ეშინოდეთ იმ შედეგების, რომლებიც მოჰყვება მათ პასუხებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათთვის გაუგებარია, რისთვის იყენებენ ამ ინფორმაციას და გადაეცემა თუ არა იგი პოლიციას.

- **განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ იმ შემთხვევაში, როდესაც კვლევაში მონაწილეობენ ბავშვები.**
  ზემოთ ჩამოთვლილი უსაფრთხოების პუნქტების გათვალისწინებით, ბავშვების დაცვა მოითხოვს კიდევ უფრო საპასუხისმგებლო მიდგომას. მოიპოვეთ მშობლების თანხმობა.

- **დაიცავით თავად მკვლევარების უსაფრთხოება.**
  ძალადობრივი ექსტრემიზმი სენსიტიური პრობლემაა, ამიტომ ფრთხილად იყავით კვლევის ჩატარებისას. საჭიროების შემთხვევაში, მოიპოვეთ სათანადო ნებართვები სამთავრობო უწყებებისგან.

- **გამოიყენეთ მკაფიო განმარტებები და დაიცავით თანმიმდევრობა მათი გამოყენებისას.**
  როგორც წინა მოდულში განვიხილეთ, მკაფიო განმარტებების არსებობა საშუალებას გვაძლევს, ვიპოვოთ საერთო ენა და მივიდეთ ურთიერთგაგებამდე.

- **სკეპტიკურად განეწყვეთ რესპონდენტების ნაამბობთან დაკავშირებით.**
  ტყვედ ჩავარდნილ ან ყოფილ ძალადობრივ ექსტრემისტებს არაზუსტი პასუხის გაცემის უამრავი მიზეზი გააჩნიათ, მაგალითად, შურისძიების შიში, ან შეიძლება მათ უბრალოდ არ ახსოვდეთ დეტალები. მათ შეიძლება გააზვიადონ თავიანთი მონაწილეობა იმისათვის, რომ უფრო მნიშვნელოვანი გამოჩნდნენ, ან, პირიქით, შეამცირონ მათი ბრალეულობის დაფარვის მიზნით. ჯანსაღი სკეპტიციზმი არ გვაძლევს საშუალებას, დავიჯეროთ ყველაფერი, რასაც რესპონდენტები გვეუბნებიან. ამრიგად, გადამოწმების მიზნით სხვა წყაროების (მათ შორის, სხვა რესპონდენტების) გამოყენება დაგვეხმარება მიღებული ინფორმაციის უტყუარობის დადასტურებაში.

- **რეალისტურად შეაფასეთ კვლევის შედეგები და ასევე ის ფაქტი, თუ რამდენად ღრმა დასკვნების მიღება შეგიძლიათ მათგან.**
  ხშირად კვლევის პროცესში, ჩვენ ვესაუბრებით ადამიანთა შედარებით მცირე ჯგუფს, ვინაიდან უფრო დიდ ჯგუფთან მუშაობა ბევრად ძვირადღირებული და შრომატევადი პროცესია. აღნიშნულიდან გამომდინარე, თავი აარიდეთ მიღებული ინფორმაციის ზედმეტად შეჯამებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ ჩაგიტარებიათ ინტერვიუ ქალებთან ან სხვა მნიშვნელოვან ჯგუფებთან.

საბოლოო ჯამში, ზემოთ ჩამოთვლილი შეცდომებისა და პრობლემების უმრავლესობის თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ ვიქნებით გულრწფელები ჩვენი კვლევის შესახებ. თუ გადაწყვეტთ თქვენი კვლევის შედეგების გამოქვეყნებას ან გაზიარებას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აუხსნათ მკითხველს ან მსმენელს, თუ რა მეთოდები გამოვიყენეთ ინფორმაციის მისაღებად, ასევე რა შეზღუდვები არსებობს ამ მიდგომასთან დაკავშირებით. კვლევის შესახებ არსებული უამრავი ანგარიში შეიცავს „მეთოდოლოგიის" პუნქტს, რომელიც ითვალისწინებს ამგვარ ინფორმაციას, ასევე „შეზღუდვების" პუნქტს, სადაც მითითებულია, რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას დასკვნების გაკეთებისას. შესაბამისად:

- **შედეგების გაზიარებისას წარმოადგინეთ გამჭვირვალე ინფორმაცია თქვენი მეთოდოლოგიისა და კვლევის შეზღუდული ხასიათის შესახებ.**
  ამ გზით თქვენ მოახდენთ მომხმარებლების ინფორმირებას თქვენს მიერ გაზიარებული ინფორმაციის შესახებ, თუმცა ასევე საშუალებას მისცემთ სხვებს, ისარგებლონ თქვენი წარმატებული მიდგომებით და გამოიყენონ ისინი სხვა რეგიონებში (მაგალითად, მეზობელ ქალაქებში), რაც ხელს შეუწყობს ძალადობრივი ექსტრემიზმის უკეთ გაგებას თქვენს კონტექსტში.

საქართველოზე ფოკუსირება

2018 წელს საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრის (GCSD) და „ღია საზოგადოება -საქართველოს" ერთობლივი კვლევითი ანგარიშით[61] შესწავლილ იქნა რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის გამომწვევი ფაქტორები, ასევე ამ ფაქტორებით წარმოდგენილ გამოწვევასთან გამკლავების მექანიზმები. კვლევა ორიენტირებული იყო იმ ოთხ რეგიონზე, რომელზეც გავლენა იქონია ისლამურმა რადიკალიზაციამ. აღნიშნული გავლენა გამოიხატა ახლო აღმოსავლეთში ხალხის გადინებით. სამიზნე რეგიონებს წარმოადგენდა კახეთი, ქვემო ქართლი, აჭარა და თბილისი (გამგზავნი თემები). მაგნუს რანსტორპის კალეიდოსკოპის ცხრა ფაქტორზე[62] დაყრდნობით, ნაშრომით გამოიკვეთა მტკიცებულება თითოეული გამგზავნი თემისთვის. ექვსი ფაქტორი წარმოადგენს რადიკალიზაციის წინაპირობას (განმზიდველი ფაქტორები), ხოლო სამი - რადიკალიზაციის მამოძრავებელ ფაქტორს(მიმზიდველი ფაქტორები):

1. ინდივიდუალური სოციო-ფსიქოლოგიური ფაქტორები – ვლინდება სამიზნე თემებში გაუცხოების, მარგინალიზაციის, დაუცველობისა და უსამართლობის განცდის ფორმით;
2. სოციალური ფაქტორები – ვლინდება სტიგმატიზაციის, უმუშევრობისა და განათლებაზე დაბალი ხელმისაწვდომობის განცდის ფორმით;
3. პოლიტიკური ფაქტორები – პოლიტიკური გაუცხოების სიმწვავე პანკისის ხეობაში (კახეთის რაიონი) 2017 წელს ჩატარებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციის ფონზე;
4. იდეოლოგიური და რელიგიური ფაქტორები – იდეოლოგია და იდეოლოგიური რწმენები დასახელდა გამგზავრების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორებად;
5. კულტურული და იდენტობის პრობლემები – განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს იმ თემებში, სადაც ისლამური თემის სხვადასხვა სოციუმი ერთმანეთს დაუპირისპირდა;
6. ტრავმა და სხვა გამომწვევი მექანიზმები – განსაკუთრებით იკვეთება პანკისის ხეობაში, სადაც სირიის პრეზიდენტის ბაშარ ალ-ასადისა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი მჭიდრო კავშირშია ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომით და ამ ომების მემკვიდრეობით გამოწვეულ ტრავმებთან;
7. ჯგუფური დინამიკა – თვალშისაცემია ენობრივი ბარიერის მქონე ჯგუფებში;
8. რადიკალიზატორები – იშვიათად არის ნახსენები მკაფიოდ, რადიკალიზატორების როლი გამოიკვეთა გამგზავრების რაოდენობის შემცირების პირობებში, გადაბირებაში ბრალდებული პირების დაკავების შემდეგ;
9. სოციალური მედიის როლი – მიღებულია რეგიონების მასშტაბით, როგორც ძირითადი პლატფორმა, სადაც ახალგაზრდები უკავშირდებიან და ეცნობიან რადიკალურ იდეებსა და გადამბირებლებს.

საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრის (GCSD) და ფრიდრიხ ებერტის ფონდის (2018 წ.) ერთობლივი კვლევითი ნაშრომით[63] შესწავლილ იქნა ძალადობრივი ექსტრემიზმის განმსაზღვრელი ფაქტორები საქართველოსა და აზერბაიჯანში. ნაშრომში ყურადღება გამახვილდა როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორებზე, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეწყოთ რადიკალიზაციის პროცესისთვის და ეცადათ განმსაზღვრელი ფაქტორების გაანალიზება, როგორც ისლამური, ისე ულტრა-მემარჯვენე რადიკალიზაციისთვის. გარკვეულწილად, აღნიშნული წააგავს რადიკალიზაციის განმსაზღვრელ და მამოძრავებელ ფაქტორებთან დაკავშირებით გამოტანილ დასკვნებს. ნაშრომში დადასტურებულია, რომ არსებობს უამრავი გარე მიმზიდველი ფაქტორი (მაგალითად, მიზნობრივი პროპაგანდისტული მესიჯები, რომლებიც ტერორისტულ ორგანიზაციებში გაწევრიანებას „დედამიწაზე ზეციური სამეფოს" პოვნის სახელით მოიხსენიებს), რომლებიც ხელს უწყობს რადიკალური იდეების სხვადასხვა გზით გავრცელებას. ნაშრომი აგრეთვე შეეხო იზოლაციის გრძნობას გარკვეულ თემებში, განსაკუთრებით იმ თემებში, რომლებიც ეთნიკურად და რელიგიურად განსხვავდებიან დომინანტური ჯგუფისგან. განვითარების შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა აღინიშნა, როგორც კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტორი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას თან ახლავს მისაბაძი პიროვნებების ნაკლებობა იმ თემებში, რომლის წარმომადგენლებმაც მნიშვნელოვნად გაითქვეს სახელი უცხოურ ტერორისტულ ორგანიზაციებში.

[61] http://gcsd.org.ge/storage/files/doc/Project-20611-Policy-Paper.pdf
[62] Magnus Ranstorp, The Root Causes of Violent Extremism (Amsterdam: Radicalisation Awareness Network, 2016).
[63] http://www.fes-caucasus.org/news-list/e/the-roots-of-violent-extremism-and-radicalization-in-azerbaijan-and-georgia/

2.5. შეჯამება

ეს მოდული განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა გავიგოთ ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორები შინაარსის მიხედვით. ჩვენ განვიხილეთ რამდენიმე ძირითადი საკითხი, რომლებიც დაგვეხმარებათ თქვენს ადგილობრივ კონტექსტში ძალადობრივი ექსტრემიზმის გააზრებაში. ასევე მნიშვნელოვანია იმ პოტენციური შესაძლებლობებისა და რისკების გათვალისწინება, რომლებიც კავშირშია ამ ტიპის კვლევასთან. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა:

ძალადობრივი ექსტრემიზმი და რადიკალიზაცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარემოზე.
ვინაიდან რადიკალიზაციის ფესვები ადამიანთა ცხოვრებისეულ გამოცდილებაში უნდა ვეძიოთ, ამიტომ აუცილებელია ძალადობრივი ექსტრემიზმის ადგილობრივ კონტექსტში გააზრება. ძალიან ხშირად, კვლევებს ატარებენ უცხოელი მკვლევარები, რომლებიც არ წარმოადგენენ კონკრეტული საზოგადოების წევრებს, ამიტომ ადგილობრივ დონეზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა გააჩნია.

ძალადობრივი ექსტრემიზმი და რადიკალიზაცია წარმოადგენს კომპლექსურ პრობლემებს, თუმცა ჩვენ ბევრი რამ შევიტყვეთ მათ შესახებ და ამ ინფორმაციამ შეიძლება ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწიოს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებისა და პოლიტიკის შემუშავებაში.
ძალიან ხშირად ვფიქრობთ, რომ ჩვენ საერთოდ არ გვესმის, რა არის ძალადობრივი ექსტრემიზმი ან რადიკალიზაცია. ეს შეიძლება წარსულში მართალიც ყოფილიყო, მაგრამ ახლა სულ უფრო მეტად ვეცნობით ამ პრობლემას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გავეცნოთ თანამედროვე კვლევებს.

ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავების პროგრამები ბევრად უფრო ეფექტიანია, როდესაც ემყარება მეცნიერულად დასაბუთებულ კვლევებს.
თუ ჩვენს მიდგომებს და პოლიტიკას ცრუ ვარაუდებზე დაყრდნობით შევიმუშავებთ, ისინი ნაკლებად ეფექტიანი იქნება და შეიძლება საზიანოც კი აღმოჩნდეს. პრაქტიკული კვლევა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების კონკრეტულ პროექტებთან ან პრობლემებთან დაკავშირებით, ხელს უწყობს პროგრამის კარგად შემუშავებას, რომელიც რადიკალიზაციის პრობლემას და მამოძრავებელ ფაქტორებს უკავშირებს პროექტს და უზრუნველყოფს პოტენციურ გადაწყვეტილებებს.

ძალადობრივი ექსტრემიზმის შესწავლის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფას.
როგორც მკვლევარებმა, ისე კვლევის მონაწილეებმა უნდა იგრძნონ თავი კომფორტულად და უსაფრთხოდ იმისათვის, რომ პროცესი მაქსიმალურად ეფექტურად და ზუსტად წარიმართოს. მონაწილეების შეხედულებებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს შედეგებზე.

2.6. სწავლის დამატებითი შესაძლებლობები

გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების მიმართ დაეშის მიერ შექმნილი საფრთხის შესახებ (ხელმისაწვდომია რუსულ და ინგლისურ ენებზე).

გაეცანით მოხსენების 26-ე პუნქტს.
ყოფილი გენერალური მდივნის მიერ გამოვლენილმა რომელმა მამოძრავებელმა ფაქტორებმა აიძულა ხალხი გაწევრიანებულიყვნენ დაეშში? რომელი მათგანი შეიძლება ჩაითვალოს განმზიდველ ფაქტორებად? ჯგუფურ დინამიკად და ურთიერთობებად? მიმზიდველ ფაქტორებად? თქვენი აზრით, მიესადაგება თუ არა რომელიმე აღნიშნული ფაქტორი თქვენს კონტექსტს? რატომ?

შეიცავს თუ არა ეს მოხსენება მნიშვნელოვან ინფორმაციას ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება ხელსაყრელი აღმოჩნდეს ჩემს ადგილობრივ კონტექსტში?
ითვალისწინებს თუ არა აღნიშნულ მოხსენებაში გამოყენებული მეთოდოლოგია სხვადასხვა თვალსაზრისს, ან არის თუ არა ის გარკვეულწილად შეზღუდული?

შემიძლია თუ არა ამ მოხსენებით გათვალისწინებული მეთოდოლოგიის ადაპტირება ჩემს კონტექსტთან?

შეიმუშავებენ თუ არა ამ მოხსენების ავტორები არასწორ ვარაუდებს, რომლებმაც შეიძლება, თავის მხრივ, არასწორ დასკვნებამდე მიგვიყვანოს?

ვლინდება თუ არა ამ მოხსენებაში რაიმე ხარვეზი ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული კვლევების ან მათი გაგების თვალსაზრისით, რომელსაც კავშირი ექნება ჩემს ადგილობრივ კონტექსტთან?

უყურეთ პროგრამის - „არა ჩვენი სახელით" ფარგლებში გადაღებულ შემდეგ ვიდეორგოლს, რომელიც მოგვითხრობს უამრავ ისტორიას ცენტრალურ აზიაში არსებული რადიკალიზაციის შესახებ. რა მიზეზით გადაწყვიტა ხალხმა სირიის დატოვება ან რადიკალიზაციის იდეების გაზიარება? რა გავლენას ახდენს რადიკალიზაცია საზოგადოებაზე?

ვიდეორგოლი იხილეთ ბმულზე:
https://www.facebook.com/CurrentTimeAsia/videos/704638173225285/ [რუსული]

„The North Caucasus Insurgency and Syria: An Exported Jihad?" (საერთაშორისო კრიზისული ჯგუფი) [რუსული] [ინგლისური]

„Countering Violent Extremism in Georgia – Needs Assessment", კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, 2018 წ. [ინგლისური]

ექსპერტის აზრი #48 ქართველი მებრძოლები სირიასა და ერაყში - ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რეკრუტირების ფაქტორები – ბენეტ კლიფორდი, GFSIS, 2015 წ. [ქართული]

„Syria Calling: Radicalisation in Central Asia" (საერთაშორისო კრიზისული ჯგუფი) [რუსული] [ინგლისი]

რეკომენდებული ლიტერატურა

„Guide to the Drivers of Violent Extremism", გილენ დენო და ლინ კარტერი (ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო - USAID) [ინგლისური]

„Drivers of Violent Extremism: Hypotheses and Literature Review", ჰარიეტ ალანი და სხვ. (გაერთიანებული სამსახურების სამეფო ინსტიტუტი - RUSI) [ინგლისური]

„Radicalisation Research: Gap Analysis", დანიელა პისუი და რიმ აჰმედი (რადიკალიზაციის შესახებ ინფორმაციის ქსელი - RAN) [ინგლისური]

„Radicalization: Towards an Integrated Anti-Violence Rule of Law Strategy", კოლმ კემპბელი [ინგლისური]

„Radicalization into Violent Extremism I: A Review of Social Science Theories", რენდი ბორუმი [ინგლისური]

„Rethinking Radicalization", ფაიზა პატელი (ბრენანის მართლმსაჯულების ცენტრი) [ინგლისური]

„Conducting an Extremism or Terrorism Assessment: An Analytical Framework for Strategy and Program Development", გილენ დენო და ლინ კარტერი (ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო) - USAID [ინგლისური]

„Understanding Radicalization: A Literature Review of Models and Drivers", ნევენ ბონდოკჯი, კიმ უილკინსონი და ლინ აგაბი (დასავლეთ აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ინსტიტუტი) [ინგლისური]

რადიკალიზაცია და ბავშვების გადაბირება სერიოზული და სპეციფიკური პრობლემაა. შემდეგი პუბლიკაციები ეძღვნება ძალადობრივ ექსტრემისტულ ჯგუფებში ბავშვების გადაბირების და გამოყენების პრობლემას. ზოგიერთი მასალა ამ საკითხს მართლმსაჯულების სისტემასთან ერთად განიხილავს. მასალებთან გაცნობის შემდეგ, გაეცით პასუხი შეკითხვაზე: განსხვავდება თუ არა ბავშვების გადაბირება და გამოყენება ზრდასრული ასაკის მამაკაცებისა და ქალების გადაბირებისა და გამოყენებისგან? რა გავლენას მოახდენს ეს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების შემუშავებაზე, განსაკუთრებით ბავშვებთან მუშაობის დელიკატური ხასიათის გათვალისწინებით? ჩამოტვირთეთ პუბლიკაციები აქ.

დამატებითი საკითხავი მასალა ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების შესახებ (ინგლისურ ენაზე)
შეგიძლიათ გადმოწეროთ აქ.

მრავალსექტორული მიდგომა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიმართ: მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები

ეს მოდული შეიცავს სახელმძღვანელო პრინციპებს სამთავრობო უწყებების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ჩასართავად სახელმწიფოს მხრიდან კიდევ უფრო ეფექტიანი საპასუხო ღონისძიებების შემუშავებისა და მრავალსექტორული მიდგომის დანერგვის პროცესში. იგი ეხება მიზეზებს, რომელთა გამოც თანამშრომლობა შეიძლება საერთოდ არ შედგეს ან ჰქონდეს შეზღუდული ხასიათი. შემდგომში მოდული მონაწილეებს ეხმარება იმ სექტორების ან სეგმენტების იდენტიფიცირებაში, რომელთა ფარგლებშიც ამ ტიპის თანამშრომლობა ყველაზე აქტუალურია.

საორიენტაციო შეკითხვები:

3.1. რაში მდგომარეობს მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებას და თემებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობა ძალადობრივ ექსტრემიზმზე რეაგირების თვალსაზრისით?

3.2. რა მიზეზები უშლის ხელს თანამშრომლობას?

3.3. რა რისკებთან არის დაკავშირებული არაეფექტიანი თანამშრომლობა?

3.4. რომელია საუკეთესო მეთოდები მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებას და თემებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის მისაღწევად?

3.1. რაში მდგომარეობს მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებას და თემებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობა ძალადობრივ ექსტრემიზმზე რეაგირების თვალსაზრისით?

რა არის სამთავრობო უწყებების ძლიერი მხარე ძალადობრივ ექსტრემიზმზე რეაგირებისთვის?

რა პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ სამთავრობო უწყებები ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისას?

რა არის სამოქალაქო საზოგადოების ძლიერი მხარე (განმარტებული ფართო მნიშვნელობით) ძალადობრივ ექსტრემიზმზე რეაგირებისთვის?

რა პრობლემები შეიძლება შეექმნას სამოქალაქო საზოგადოებას ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისას?

აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, თუ რას ვგულისხმობთ სამოქალაქო საზოგადოებაში:

სამოქალაქო საზოგადოება
ფართო მნიშვნელობის მქონე ტერმინი იმ ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების აღსანიშნავად, რომლებიც მოქმედებენ მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით, აღნიშნული ტერმინი ასევე გულისხმობს არაფორმალურ კოლექტივებს, პროფკავშირებს, აქტივისტებს, საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რელიგიური ინსტიტუტებს და სხვა. სამოქალაქო საზოგადოება არ გულისხმობს სამთავრობო უწყებებს ან საწარმოებს. .[64]

ისევე როგორც თითოეულ ჩვენგანს აქვს განსხვავებული უნარები, ურთიერთობები და პასუხისმგებლობები, ყველა სამთავროვო და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტს შეაქვს თავისი უნიკალური წვლილი ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასა და მასთან ბრძოლაში.

იმყოფებიან რა ყველა ანტიტერორისტული სტრატეგიის და პროგრამის სათავეში, **სამთავრობო უწყებები** ასევე ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში. ისინი ხშირად განსაზღვრავენ სამოქმედო გეგმას ძალადობრივი ექსტრემიზმის კონცეფციის ფორმულირების შესახებ შესაბამისი კანონების მიღებით და ეროვნული სტრატეგიებისა და გეგმების შემუშავებით მასთან გასამკლავებლად. სამთავრობო უწყებები უზარმაზარ რესურსებს უთმობენ ყველა ამ ძალისხმევას და ხშირად პასუხსაც აგებენ მათ წარმატებაზე: ძალადობრივი ექსტრემიზმის გავრცელების ან ძალადობის შემთხვევაში, აღნიშნულ უწყებებს ზოგჯერ ადანაშაულებენ იმაში, რომ მათ თავიდან ვერ აიცილეს თავდასხმები ან ვერ მიმართეს საკმარის ზომებს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად.

კონტრტერორიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების აღნიშნულმა ვალდებულებებმა შეიძლება შეუქმნას სირთულეები სამთავრობო უწყებებს, რომლებმაც გარკვეულ მიზეზთა გამო შეიძლება პრიორიტეტი მიანიჭონ იძულებითი კონტრტერორისტული ღონისძიებების „დიდ გამარჯვებებს" და „სწრაფ შედეგებს", ვიდრე შედარებით გრძელვადიან და არაიძულებითი ხასიათის ღონისძიებებსა და მიზნებს, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად.

[64] გარდა ამისა, არსებობს გარკვეული უთანხმოება იმ საკითხთან დაკავშირებით, მიეკუთვნება თუ არა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ან საგანმანათლებლო დაწესებულებები სამოქალაქო საზოგადოების სფეროს, თუმცა ამ სექტორებს უფრო კონკრეტულად შევეხებით მომდევნო მოდულებში.

აღნიშნულმა ვალდებულებებმა შეიძლება ასევე აცდუნონ სამთავრობო უწყებები, წაშალონ მათ შორის არსებული საზღვრები. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს პროგრამა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების თაობაზე, სახელწოდებით 'Prevent' (პრევენცია), თავდაპირველად ქვეყნის საიდუმლო კონტრტერორისტული სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენდა და გამოქვეყნდა 2006 წელს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთავრობამ აღიარა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ადგილობრივი მოქალაქეების და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზაციის აუცილებლობა. 2009 წელს, პროგრამის განახლების დროს, სადაზვერვო მონაცემების შეგროვება გადავიდა მიმართულებაზე, სახელწოდებით 'Pursue' (დევნა).

პროგრამა 'Prevent' აღმოჩნდა საზოგადოების მხრიდან მასშტაბური უნდობლობის მიზეზი, ვინაიდან ისინი შიშობდნენ, რომ პროგრამის მიზანს წარმოადგენდა მოქალაქეების თვალთვალი ან სადაზვერვო მონაცემების შეგროვება. პროგრამამ ბრიტანეთში მცხოვრებ მუსლიმებში ასევე გამოიწვია მარგინალიზაციის განცდა, რადგან მის პრიორიტეტულ არეალებს განსაზღვრავდა არა რადიკალიზაციის ადგილობრივი რისკი, არამედ კონკრეტულ მხარეში მუსლიმი მოსახლეობის მაღალი კონცენტრაცია. გარდა ამისა, 'Prevent' სტრატეგიამ უბრალოდ ყურადღება გაამახვილა მუსლიმი მოსახლეობის მხრიდან ძალადობრივი ექსტრემიზმის საფრთხეზე. მხოლოდ 2010 წელს მთავრობამ საბოლოოდ განაცხადა: „'Prevent' სტრატეგია განიხილავს რადიკალიზაციის საკითხებს ტერორიზმის ყველა ფორმით."[65] თუმცა უარყოფით შედეგებს უკვე ჰქონდა ადგილი და პროგრამა 'Prevent' დღესაც აღიქმება „ტოქსიკურ ბრენდად".[66]

რიგი პოზიტიური ცვლილებისა და ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაფართოების და მხარდაჭერის მიუხედავად, ზემოთ მითითებულ შეხედულებებს (რომლებიც ხშირად გაუგებრობაზეა დაფუძნებული) კვლავ აქვს ადგილი. კვლევის ფარგლებში, ევროკავშირის ადამიანის უფლებათა კომისარმა გამოთქვა შეშფოთება, რომ სტრატეგია 'Prevent' „წარმოშობს იმ თემების გარიყულობის რისკს, რომლებთან თანამშრომლობა ყველაზე მეტად არის საჭირო ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. მთავრობის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს საზოგადოების მხარდაჭერის გაძლიერება და ნდობის მოპოვება."[67] ამ პრობლემების გამო, ბრიტანეთის მთავრობის მიერ გატარებული პოზიტიური რეფორმების მიუხედავად, სტრატეგია 'Prevent' ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მნიშვნელოვან საერთაშორისო მაგალითად იქცა.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ნდობისთვის მყარი საფუძველის შექმნა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად შესაბამისი პროგრამების შემუშავების მიზნით:

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების და მის წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატივები ზოგადად უფრო წარმატებულია იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი ეფუძნება შესაბამის თემებთან უკვე არსებულ ურთიერთობებს. იმ შემთხვევებში, როდესაც სამთავრობო უწყებები ადრე არ ურთიერთობდნენ თემებთან, ან ასეთი ურთიერთობა ძირითადად უსაფრთხოების დაცვის სტრუქტურების მეშვეობით ხდებოდა, ხელისუფლების ან მასთან უშუალოდ ასოცირებული ორგანოების მიერ განხორციელებულმა ასეთმა პროგრამებმა შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ დაძაბულობის კიდევ უფრო მეტად ესკალაცია.[68]

[65] შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი, „Contest: The United Kingdom's Strategy for Countering Terrorism" (ნორვიჩი: კანცელარია, 2011 წ.), გვ. 62.
[66] ჯოშ ჰოლიდეი და ვიკრამ დოდი, „UK Anti-Radicalisation Prevent Strategy a 'Toxic Brand,'", The Guardian, 2015 წლის 9 მარტი, პუნქტი: UK News, https://www.theguardian.com/uk-news/2015/mar/09/anti-radicalisation-prevent-strategy-a-toxic-brand. [ინგლისური]
[67] ადამიანის უფლებათა კომისარი, „გაერთიანებულ სამეფოში თვალთვალისა და ზედამხედველობის მექანიზმების შესახებ მემორანდუმი" (სტრასბურგი, საფრანგეთი: ევროპის საბჭო, 2016 წლის 17 მაისი), გვ. 9.
[68] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, „მოხსენება საუკეთესო პრაქტიკისა და მიღებული გაკვეთილების შესახებ იმის თაობაზე, თუ როგორ უწყობს ხელს ადამიანის უფლებების დაცვა და პოპულარიზაცია ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავებას", A/HRC/ 33/29 (გაეროს გენერალური ასამბლეა, 2016 წლის 21 ივლისი), გვ. 11.

ზოგჯერ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის და მოქალაქეებისათვის ძნელია ასეთი დინამიკისა და მთავრობის ვალდებულებების წნეხის გაგება. თუმცა **სამოქალაქო საზოგადოებას** შეუძლია ხელი შეუწყოს მთავრობასა და მოქალაქეებს ან სხვა ჯგუფებს შორის ნდობის ჩამოყალიბებას და აღდგენას. უფრო მეტიც, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები, მათი უნიკალური რესურსებისა და უნარების წყალობით, შესაძლებელია იქცნენ ბუნებრივ პარტნიორებად ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების საქმეში. ისინი უკვე ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას პროფილაქტიკურ სამუშაოებში, უზრუნველყოფენ შესაძლებლობებს და გაძლიერების პოტენციალს ახალგაზრდების მიმართ, ხშირად ამახვილებენ ყურადღება მაღალი რისკის მქონე ჯგუფებზე, ან უზრუნველყოფენ აქტიური მოქალაქეებისა და ინკლუზიური საზოგადოებების წახალისებას. ვინაიდან სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები მჭიდრო კავშირშია ადგილობრივ კონტექსტთან, მათ ხშირად შეუძლიათ მნიშვნელოვანი პერსპექტივა შეუქმნან თავიანთ რეგიონებში რადიკალიზაციის მამოძრავებელ ფაქტორებსა და მოდელებს. მათ ასევე შეუძლიათ უზრუნველყონ მთავრობასა და მათ მოქალაქეებს შორის კონსტრუქციული თანამშრომლობის შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა საბჭო რეკომენდაციას უწევს შემდეგს:

სამოქალაქო საზოგადოება უნდა ჩაითვალოს მთავარ მოკავშირედ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების საქმიანობაში. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა შეიძლება ყველაზე უკეთ განახორციელონ ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასა და გამკლავებასთან დაკავშირებული საქმიანობა, მათ შორის, შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობით, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, სადაც სახელმწიფოს ჩართულობა აღმოჩნდა კონტრპროდუქტიული ან როდესაც ამგვარი მონაწილეობა ძირს უთხრის ხელისუფლების ორგანოებსა და საზოგადოებებს შორის ნდობას."[69]

ეს აისახა ყოფილი გენერალური მდივნის სამოქმედო გეგმაში, რომელიც გასცემდა რეკომენდაციას იმის თაობაზე, რომ „ეროვნული [სამოქმედო] გეგმები [ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების თაობაზე] უნდა ითვალისწინებდეს მათი განხორციელების დაფინანსებას მთავრობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან და ხელს უწყობდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობას, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე." [70]

ამასთან, უამრავ თემში, რომელსაც ესაჭიროება პოლიტიკა და პროგრამები ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად და რომელიც შეიძლება უკვე მარგინალიზებული იყოს, ტრადიციულმა, იძულებითმა, კონტრტერორისტულმა მოქმედებებმა შეიძლება ხელი შეუწყოს დაძაბულობის ესკალაციას.

ახლახანს ჩატარებულ სემინარზე თემაზე „სამოქალაქო საზოგადოების როლი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებში", მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ „სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობების გამყარებას საფუძვლად უდევს ეფექტიანი ძალისხმევა [ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად]" და რეკომენდაცია გაუწიეს, რომ „მტკიცე თანამშრომლობას საზოგადოებასა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, მათ შორის პოლიციას შორის გააჩნია გადამწყვეტი მნიშვნელობა სამთავრობო უწყებებსა და თემებს შორის ნდობის დაკარგვის აღმოფხვრასა და განმტკიცებისთვის."[71] ეს მცდელობები შეიძლება ასევე ხელსაყრელი იყოს იმ პოლიციელებისთვის, რომლებმაც შეიძლება არ იცოდნენ ადგილობრივ რეგიონებში არსებული ახალი ტენდენციების შესახებ.

[69] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, „ანგარიში საუკეთესო პრაქტიკისა და მიღებული გაკვეთილების შესახებ იმის თაობაზე, თუ როგორ უწყობს ხელს ადამიანის უფლებების დაცვა და პოპულარიზაცია ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციას და მასთან გამკლავებას", გვ. 13.
[70] გაეროს გენერალური მდივანი, „ძალადობრივი ექსტრემიზმის გამკლავების სამოქმედო გეგმა", გვ. 13.
[71] გაერთიანებული მომსახურებების სამეფო ინსტიტუტი და პრევენციული პროექტი. „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების საკითხებში პრაქტიკოს სპეციალისტთა სემინარი: სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობები და გამოწვევები ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ მიმართვაში", გვ. 2.

პოლიციასა და საზოგადოებას შორის ნდობისა და თანამშრომლობის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლებისა და გამყარების მიზნით გამოყენებულ ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციური პრაქტიკის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს საჯარო კონსულტაციებს ადგილობრივ საკითხებზე და ერთობლივი სტრატეგიების შემუშავებას პოლიციასთან, მათი კომპლექსურად მოგვარების მიზნით. აღნიშნული პრაქტიკები გულისხმობს ადგილობრივი პრობლემების არა-უსაფრთხოებაზე ორიენტირებული მიდგომებით მოგვარებას და უზრუნველყოფს ძირეულ მიზეზებთან გასამკლავებლად საზოგადოების მხარდაჭერას. აუცილებელი არ არის, რომ ამგვარი საკითხები მოიაზრებდეს ისეთ შემთხვევებს, სადაც უკვე იდენტიფიცირებულია ძალადობრივი ექსტრემიზმის ადგილობრივი მამოძრავებელი ფაქტორები და პოლიციასა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობა განსაზღვრულია ასეთ მამოძრავებელ ფაქტორად. ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ურთიერთობების გარდაქმნა წარმოადგენს ძირითად ფაქტორს, რომელსაც შეუძლია გამოავლინოს უკეთესი საწყისი შედეგები მაშინ,

როდესაც თანამშრომლობა ორიენტირებულია აქტუალურ პრობლემებზე ან „მარტივ გამარჯვებებზე", ვიდრე ისეთ კომპლექსურ საკითხებზე, როგორიცაა რადიკალიზაცია. ამასთან, ნდობის ზრდასა და თანამშრომლობის გაუმჯობესებასთან ერთად, ამგვარი თანამშრომლობა შესაძლოა კიდევ უფრო რთულ საკითხებზე იყოს ორიენტირებული.

გენერალური მდივნის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს რეკომენდაციას სამთავრობო უწყებების მიმართ:

> შეიმუშაონ საზოგადოებაზე ორიენტირებული სამართალდამცავი მოდელები და პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნება ადგილობრივი პრობლემების გადაჭრისკენ საზოგადოებასთან თანამშრომლობით და მყარად დაეფუძნება ადამიანის უფლებების პატივისცემას იმისათვის, რომ საზოგადოების წევრები არ აღმოჩნდნენ რისკის წინაშე. აღნიშნული ღონისძიებები გაზრდის საზოგადოების ცნობიერების დონეს და სიფრთხილეს, ასევე გააღრმავებს პოლიციის თანამშრომელთა ცნობიერებასა და ცოდნას საზოგადოებებთან დაკავშირებით, რაც შესაბამისად გააძლიერებს მათ უნარს, იყვნენ პროაქტიულები და ადრეულ ეტაპზე შეძლონ უკმაყოფილების და მწვავე საკითხების ამოცნობა." [72]

[72] გაეროს გენერალური მდივანი, „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სამოქმედო გეგმა", გვ. 16.

ამგვარი ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტისას, თქვენი აზრით, ეფექტიანი იქნება თუ არა პოლიციას და მოქალაქეებს შორის თანამშრომლობა?

ზოგადად, მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებას და თემებს შორის თანამშრომლობა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების კუთხით შეიძლება ითვალისწინებდეს შემდეგ სარგებელს:

- **გაზრდილი ეფექტიანობა და გავლენა:** სხვადასხვა მოსაზრების გაერთიანება უზრუნველყოფს უნიკალურ უპირატესობებს კომპლექსური პრობლემის გადასაჭრელად. ეფექტიანი თანამშრომლობა ამცირებს ზედმეტი სამუშაოს შესრულების საჭიროებას, ხელს უწყობს საერთო მოსაზრებებისა და მიზნების ჩამოყალიბებას და იწვევს კოლექტიურ გავლენას.

- **დაინტერესებულ მხარეთა წრის გაფართოება, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში, ასევე ხელმისაწვდომი ინსტრუმენტების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა:** თანამშრომლობა უზრუნველყოფს ისეთი საშუალებებისა და საქმიანობის მასშტაბების გაფართოებას, რომლებიც ხელმისაწვდომია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების საკითხებზე მომუშავე საზოგადოებისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ დაინტერესებული მხარეების თითოეული ჯგუფისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა დონის სიძლიერე და განსხვავებული წვდომა საზოგადოების უნიკალურ სეგმენტებთან, თანამშრომლობა იძლევა უფრო მეტი ვარიანტის გამოყენების შესაძლებლობას ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად. მაგალითად, სამთავრობო უწყებებს ხშირად არ აქვთ საკუთარი კვლევების ჩატარების შესაძლებლობა, თუმცა აქტიურად იყენებენ სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს (ზოგიერთი კვლევის დაკვეთას და დაფინანსებას უზრუნველყოფს მთავრობა). სამთავრობო უწყებები აგრეთვე უზრუნველყოფენ ამ პრობლემის ფორმისა და მამოძრავებელი ფაქტორების მნიშვნელოვან გააზრებას დაკავებულ ან ყოფილ ძალადობრივ ექსტრემისტებთან წვდომით.

- **საერთო მიზნების განსაზღვრა და დაინტერესებულ მხარეებს შორის პრობლემის ტვირთის გაზიარების შესაძლებლობა:** მთავრობა და სამოქალაქო საზოგადოება მუშაობენ ერთი და იმავე მიზნის მისაღწევად (მაგალითად, ადამიანების უკეთ დასაცავად და მათი უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის) სხვადასხვა გზით. ეს აძლევს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს იმ ფაქტის გაცნობიერების შესაძლებლობას, რომ მათ არ მოუწევთ ყველაფრის მარტო გაკეთება იმისათვის, რომ უზრუნველყონ საზოგადოების მედეგობა ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ.

- **პრობლემის ერთობლივად გააზრება და კომუნიკაციის გაუმჯობესება:** გაზრდილი კომუნიკაციის წყალობით, დაინტერესებულ მხარეებს უკეთ ესმით, თუ როგორ აღიქვამენ სხვა დაინტერესებული მხარეები რადიკალიზაციის პრობლემას, რა სახის საპასუხო ღონისძიებების განხორციელება არის საჭირო და რას აკეთებენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ მედეგობა ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ.

- **სისტემის მასშტაბით თანამშრომლობის და ურთიერთ ნდობის განმტკიცება:** ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიზნით ეფექტიანმა თანამშრომლობამ შეიძლება კარი ფართოდ გაუღოს გაუმჯობესებულ ურთიერთობებს სხვა ისეთ სფეროებშიც, რომლებიც ერთობლივი ინტერესის საგანს წარმოადგენს, მაგალითად, განათლებისა და მმართველობის რეფორმირების სფეროში. სამთავრობო უწყებებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის წარმატებულმა თანამშრომლობამ კი შეიძლება შეასუსტოს კიდეც მათი ურთიერთ კრიტიკა.

3.2. რა მიზეზები უშლის ხელს თანამშრომლობას?

არასწორი ინფორმაცია.
ადამიანებმა და ორგანიზაციებმა შეიძლება ვერ გაიაზრონ თანამშრომლობის სარგებელი. მათ შეიძლება ვერ გააცნობიერონ პოტენციური პარტნიორების მოტივები ან ქმედებები, ან ჩამოუყალიბდეთ არასწორი შეხედულება ჭორების ან ვარაუდების საფუძველზე. ისინი შეიძლება არ ფლობდნენ საკმარის ცოდნას ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების შესახებ, ან არ ჰქონდეთ წარმოდგენა ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების თაობაზე. შეიძლება არც კი იცოდნენ, რომ სხვებიც მუშაობენ იმავე სივრცეში ან ჰქონდეთ თანამშრომლობის სურვილი.

საპირისპირო თვალსაზრისი:
წარსულში მიღებულმა ნეგატიურმა გამოცდილებამ ან შიშმა შეიძლება ხელი შეუშალოს თანამშრომლობას ხალხს და ორგანიზაციებს შორის. ამის ნაცვლად, შეიძლება ჩამოყალიბდეს კონკურენტული გარემო, მაგალითად, როდესაც რამდენიმე ორგანიზაცია ერთვება კონკურენციაში რესურსების მოპოვების ან კონკრეტულ რეგიონში შესვლის გამო. მაშინაც კი, თუ კონკრეტული ჯგუფი გამოთქვამს თანამშრომლობის სურვილს, საზოგადოების მხრიდან გამოვლენილმა უარყოფითმა დამოკიდებულებამ შესაძლოა დაუკარგოს აღნიშნული სურვილი. გარდა ამისა, არსებულმა სტერეოტიპებმა ან ცრურწმენამ შეიძლება შეაფერხოს თანამშრომლობა.

განსხვავებული ინტერესები ან პრიორიტეტები:
კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს ინტერესთა სხვადასხვაობა, რომელიც არ უნდა აგვერიოს საპირისპირო თვალსაზრისში (საპირისპირო თვალსაზრისი განპირობებულია გარე გარემოებებით, ხოლო გასხვავებული ინტერესები ან პრიორიტეტები დამახასიათებელია ორგანიზაციისთვის, დაწესებულებისთვის ან სახელმწიფო უწყებისთვის). სხვადასხვა სუბიექტის საქმიანობის მიღმა არსებული ინტერესების და პრიორიტეტების განსაზღვრა წარმოადგენს თანამშრომლობის დამყარების მიზნით წარმოებული მოლაპარაკების პროცესის პირველ ნაბიჯს.

თანამშრომლობისთვის საჭირო უნარების ან რესურსების ნაკლებობა:
იმ შემთხვევაშიც კი, თუ არსებობს თანამშრომლობის ინტერესი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად, შესაძლებელია ადამიანებსა და ორგანიზაციებს არ აღმოაჩნდეთ ამისათვის საჭირო უნარები, რომ აღარაფერი ვთქვათ ამგვარი საქმიანობის ეფექტიანობაზე. ეს უნარები შეიძლება მოიცავდეს ეფექტიან კომუნიკაციას, ფულადი სახსრების მოძიებასა და სამართალდამცავ საქმიანობას, თუმცა შესაძლებელია ასევე დაკავშირებული იყოს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების შემუშავებასა და მართვასთან. [73] გარდა ამისა, აღნიშნული უნარების არსებობის მიუხედავად, ადამიანებს და ორგანიზაციებს შეიძლება არ ჰქონდეთ თანამშრომლობისთვის საჭირო რესურსები, მაგალითად, დრო, პერსონალი ან ფულადი სახსრები.

პოლიტიკური პოლარიზაცია:
პოლიტიკურმა პოლარიზაციამ შეიძლება კიდევ უფრო შეაფერხოს საზოგადოების სხვადასხვა სექტორს შორის თანამშრომლობა, თუნდაც ჭეშმარიტად საერთო გამოწვევების წინაშე. ის ძირს უთხრის დაძაბულობის ესკალაციის აღმოფხვრისკენ მიმართულ მცდელობებს, მიზანმიმართულად უსვამს ხაზს სხვადასხვა თემს შორის არსებულ განსხვავებებს და იყენებს ამ განსხვავებებს მანიპულირების საშუალების სახით.

[73] აღებულია ლენა სლახმუილდერის ნაშრომიდან, „The Common Ground Approach: Three Day Training Resources" („Search for Common Ground", 2018 წ.), გვ. 93.

3.3. რა რისკებთან არის დაკავშირებული არაეფექტიანი თანამშრომლობა?

როგორია მოქალაქეების ან სამოქალაქო საზოგადოების პოტენციური რეაქციები, როდესაც ისინი არ ენდობიან მთავრობას?
რა ემართება სამთავრობო პროგრამებისა და პოლიტიკური ღონისძიებების ეფექტიანობას, როდესაც ურთიერთნდობის დონე დაბალია?

მაშინ, როდესაც ნდობაზე დამყარებული ურთიერთობები კარს უღებს ახალ შესაძლებლობებს, უნდობლობა, პირიქით, ხურავს მას. მართლაც, როდესაც უნდობლობის დონე პიკს აღწევს:

- სამთავრობო უწყებებს და სამოქალაქო საზოგადოებას ექნება ნაკლები ინსტრუმენტი და შესაძლებლობა ძალადობრივი ექსტრემიზმით გამოწვეულ პრობლემებზე რეაგირებისთვის;
- ნაკლებად სავარაუდოა, რომ ადამიანები, რომლებიც დაუცველნი არიან ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმდევრების მოწოდებებისგან, ნებაყოფლობით ჩაერთვებიან მთავრობის ან სამოქალაქო საზოგადოების პროგრამებში, რომლებიც მათ დაეხმარება გახდნენ მედეგნი ან მოიძიონ ალტერნატიული გზები მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;
- ჯგუფები ნაკლები ალბათობით გაუზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას თავიანთი საქმიანობის შესახებ, ასევე მათი წარმატებებისა თუ პრობლემების შესახებ; და
- ნაკლებად სავარაუდოა, რომ მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ითანამშრომლებენ ან გააერთიანებენ რესურსებს საერთო მიზნის მისაღწევად.

ხელისუფლების მიმართ ნდობის შერყევის შემთხვევაში, თემი შეიძლება აღმოჩნდეს პოლიტიკური მონაწილეობის ფორმების ცვლილების მოწმე - იქნება ეს აპათია თუ სამოქალაქო აქტივიზმის ზრდა და პროტესტი, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს ჯგუფურ ან ინდივიდუალურ დონეზე. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მათ შორის ადამიანის უფლებათა დამცველებს, შეუძლიათ გააქტიურონ თავიანთი კრიტიკა მთავრობის პოლიტიკის მიმართ.
ამავე დროს, ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა შეიძლება გაამწვავოს დაძაბულობა, მარგინალიზაცია ან თუნდაც კონფლიქტი იმ სახით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს რადიკალიზაციის გაძლიერება და ძალადობრივი ექსტრემიზმის გავრცელება - განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მცდელობები შემცირდება უსაფრთხოებაზე ორიენტირებული კონტრტერორისტული მიდგომების სასარგებლოდ. მაგალითად, ლიბანის მთავრობის უსაფრთხოების გეგმამ, რომლის მიზანი იყო შეტაკებების დასრულება ტრიპოლიში და რომელიც ითვალისწინებდა მასობრივ დაპატიმრებებს და საგუშაგოების შექმნას მთელს ქალაქში, გამოიწვია ახალგაზრდა სუნიტების მკაცრი შემოწმებები. ამგვარმა ქმედებამ უამრავი ახალგაზრდა რადიკალურად განაწყო. როგორც ახლახანს ჩატარებული კვლევითი პროექტის დროს ერთმა ახალგაზრდამ გვიამბო, „ეს [ლიბანი] არის სახელმწიფო, რომელიც აიძულებს ახალგაზრდებს სირიაში წასვლას [საბრძოლველად], მათ წინააღმდეგ შეზღუდვების დაწესებით." მან მოგვითხრო, თუ როგორ დაადანაშაულეს იგი ტერორიზმის მხარდაჭერაში და დააბრალეს „სირიაში ჯიჰადისთვის" წასვლის განზრახვა (ეს იყო ბრალდება, რომელიც მან უარყო), რის გამოც მას ემუქრებოდა პატიმრობა. საუბრის დასასრულს მან იმედგაცრუებით აღნიშნა - „მსურს, რომ დაეში მოვიდეს ჩვენს დასაცავად".[74] მის უკმაყოფილებას უსაფრთხოების ძალებთან დაკავშირებით კვლევის ბევრი სხვა მონაწილეც იზიარებდა.
როდესაც ხელისუფლების მიმართ უნდობლობა პიკს აღწევს, ზოგჯერ შესაძლებელია, რომ თემებმა სამოქალაქო საზოგადოება უფრო ლეგიტიმურად მიიჩნიონ ადგილობრივ დონეზე ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავების თვალსაზრისით. როგორც უახლესმა საერთაშორისო კვლევამ აჩვენა, როდესაც ხალხი ჩათვლის, რომ „სისტემა" მათ იმედებს ვერ ამართლებს, ისინი არასამთავრობო ორგანიზაციებს უფრო საიმედო ინსტიტუტად აღიქვამენ, ვიდრე საქმიან საზოგადოებებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და მთავრობას.[75] იმ შემთხვევებში, როდესაც მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის არსებობს ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა, მათ შეუძლიათ ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ მთავრობის მხრიდან უფრო ეფექტიანი რეაგირების ხელშეწყობისათვის გამართონ მნიშვნელოვანი დისკუსიები ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზედმეტად სენსიტიური იქნებოდა უნდობლობით გაჯერებულ გარემოში.

[74] ვან ლეუვენი და სხვ., „Youth and Contentious Politics in Lebanon" (არ არის გამოქვეყნებული).
[75] „2017 Executive Summary", ნდობის ბარომეტრი (Edelman, 2017 წლის იანვარი), გვ. 17.

3.4. რომელია საუკეთესო მეთოდები მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებას და თემებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობის მისაღწევად?

ჩვენი საერთო გამოცდილება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში სთავაზობს პრაქტიკოსი სპეციალისტების საზოგადოებას რამდენიმე სახელმძღვანელო პრინციპს და მოწინავე პრაქტიკას, მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის ჩამოყალიბებისთვის. ისინი მოიცავს შემდეგ რეკომენდაციებს:

მოიკოვეთ ნდობა.
ეტაპობრივად განამტკიცეთ ნდობა დაინტერესებულ მხარეებს შორის, როგორც არაფორმალური, ისე ფორმალური ინიციატივების გამოყენებით. არაფორმალური ინიციატივები შეიძლება ითვალისწინებდეს ინფორმაციის მარტივად გაცვლას მიმდინარე პროექტების, შეფასებებისა და კვლევის შედეგების შესახებ, განმეორების ან კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით. ფორმალური ინიციატივები შეიძლება მოიცავდეს კოლაბორაციულ კვლევებს ან საქმიანობას. ნდობაზე დამყარებული ურთიერთობები მოუწოდებს პარტნიორებს თანამშრომლობისკენ, ინფორმაციის და რესურსების გაზიარებისკენ და ძალისხმევის ეფექტიანობის გაზრდისკენ.

ოფიციალური სტატუსი მიანიჭეთ რეგიონალური ან ეროვნული სტრატეგიების ან სამოქმედო გეგმების ფარგლებში თანამშრომლობას, შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის შემთხვევაში.
გენერალური მდივნის სამოქმედო გეგმის თანახმად, „ეროვნული გეგმები უნდა შეიქმნას მულტიდისციპლინარულ საფუძველზე იმისათვის, რომ ითვალისწინებდეს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების და თავიდან აცილების ღონისძიებებს, ხელისუფლების წარმომადგენლების ფართო სპექტრის, როგორიცაა სამართალდამცავი პირების, სოციალური მომსახურების პროვაიდერების და განათლების, ახალგაზრდობისა და რელიგიურ საქმეთა სამინისტროების, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, მათ შორის ახალგაზრდების, ოჯახების, ქალების, რელიგიური, კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებების ლიდერების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და კერძო სექტორის მონაწილეობით. ეროვნული გეგმების შემუშავებისთვის მნიშვნელოვანი ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ძალადობრივი ექსტრემიზმის ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე ანალიზი."[76]

იყავით ფრთხილად ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების კოორდინაციის მიზნით შესაბამისი არხების სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებისას.
თანამშრომლური ურთიერთობის ჩამოყალიბების შემთხვევაში, მოერიდეთ ამ ახალი ურთიერთობების ან მზარდი ნდობის გამოყენებას სხვა საკითხების წამოსაჭრელად, რომლებთან დაკავშირებითაც ადგილი არ აქვს თანამშრომლობას, თუნდაც ეს საკმაოდ მაცდურად გამოიყურებოდეს. აღნიშნულმა შეიძლება შეაფერხოს მიღწეული პროგრესი.

არ გამოიყენოთ ძალადობრივი ექსტრემიზმის თავიდან აცილებისა და გამკლავების პროგრამები უფრო ფართო მნიშვნელობის სამართალდამცავი ორგანოების დაფარვის ან სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების მიზნით.
გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს გაფრთხილების თანახმად: „მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა მიდგომამ შესაძლებელია მოკლევადიანი სარგებელი მოგვცეს, არსებობს სერიოზული საფრთხე იმისა, რომ ეს შეარყევს საზოგადოებრივ ნდობას საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიმართ. ეს შეიძლება უარყოფითად აისახოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მუშაობის შესაძლებლობებზე შესაბამისი თემების ფარგლებში, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს მათ მიერ კიდევ უფრო ინვაზიური ღონისძიებების განხორციელებას და პოტენციურად შექმნის ძალადობისა და შეურაცხყოფის მანკიერ წრეს."[77]

[76] გაეროს გენერალური მდივანი, „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სამოქმედო გეგმა", გვ. 12.
[77] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, „ანგარიში საუკეთესო პრაქტიკის და მიღებული გაკვეთილების შესახებ იმის თაობაზე, თუ როგორ უწყობს ხელს ადამიანის უფლებების დაცვა და პოპულარიზაცია ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასა და გამკლავებას", გვ. 12. გამოყოფილია ავტორის მიერ.

გამოიყენეთ ფართომასშტაბიანი თანამშრომლობა იმისათვის, რომ მინიმუმამდე დაიყვანოთ მონაწილეთა საწყისი შიშები.
მოიზიდეთ მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა ფართო სპექტრი, მათ შორის რელიგიური ჯგუფები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ა.შ., იმ ზეწოლის შესამცირებლად, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს თანამშრომლობის დასაწყისში.

ყურადღებით მოეკყარით კონფიდენციალობასთან დაკავშირებულ საკითხებს.
ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემის დელიკატურობიდან გამომდინარე, აუცილებელია გამჭვირვალობისა და საჯაროობის კონკრეტულ სიტუაციაზე ადაპტირება დაინტერესებული მხარეების მიმართ რისკების თავიდან აცილების მიზნით. დაიცავით თქვენი პარტნიორების კონფიდენციალობა, თუ ისინი ამას მოითხოვენ, განსაკუთრებით თანამშრომლობის საწყის ეტაპზე. მიზანშეწონილია ამ სახელმძღვანელო პრინციპების შეძლებისდაგვარად ადრე დანერგვა.

კოლექტიურად განსაზღვრეთ როლები და პასუხისმგებლობები და განიხილეთ შეზღუდვები.
გამჭვირვალე თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, თავიდანვე განსაზღვრეთ, განიხილეთ, გამოხატეთ პატივისცემა და ისაუბრეთ თითოეული მონაწილის საჭიროებებსა და შეზღუდვებზე. აღნიშნული მოითხოვს, რომ ყველა მონაწილემ გაიაზროს თითოეული პარტნიორის მოტივაციები და პრიორიტეტები.

აღიარეთ, რომ ინდივიდუალური და ინსტიტუციური თანამშრომლობა წარმოადგენს ორ სხვადასხვა საკითხს, რომელიც მოითხოვს სპეციალურ მიდგომას.
გავიაზროთ, რომ სამთავრობო უწყებები ან სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფებს. აუცილებელია თანამშრომლობის გაგრძელება იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი დატოვებს ამ ორგანიზაციას ან დაწინაურდება. შესაბამისად, ეფექტიანი თანამშრომლობა მოითხოვს როგორც პირადი, ისე ინსტიტუციური ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

გამოიჩინეთ მოთმინება.
გაითვალისწინეთ, რომ მთავრობები ან ორგანიზაციები, სავარაუდოდ, ვერ შეძლებენ თავიანთი სამუშაო მეთოდების სწრაფად შეცვლას.
მომდევნო მოდულები გაგაცნობთ სხვა დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის მოწინავე პრაქტიკას, თუმცა აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპები და მოწინავე პრაქტიკა შეიძლება ასევე სასარგებლო იყოს სხვა სექტორებთან თანამშრომლობისთვისაც.

3.5. შეჯამება

მოცემული მოდული განიხილავს მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის სარგებელს იმ შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელია ურთიერთნდობის ჩამოყალიბება და შენარჩუნება. ის ითვალისწინებს თანამშრომლობის მიმართ არსებულ გარკვეულ პოტენციურ ბარიერებს და რისკებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას უნდობლობის შემთხვევაში. მხოლოდ დელიკატური და ღია კომუნიკაციის გზით მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობამ შესაძლებელია გაზარდოს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიზნით შესრულებული სამუშაოების ეფექტიანობა და შედეგიანობა. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა:

სამთავრობო უწყებები პასუხს აგებენ ძალადობრივი ექსტრემიზმისგან საკუთარი მოქალაქეების დაცვაზე.
სამთავრობო უწყებები ასრულებენ კონტრტერორისტულ ოპერაციებსა და სტრატეგიებს თავიანთ საზღვრებში და შეიძლება ითანამშრომლონ კიდეც სხვა სამთავრობო უწყებებთან, მათ შორის, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მცდელობებთან დაკავშირებით. ზოგჯერ, სამთავრობო უწყებებმა შეიძლება უპირატესობა მიანიჭონ „მკაცრი" ზომების მიღებას, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების „რბილ" მიდგომებთან შედარებით.

თანამშრომლობის ნაკლებობა შეიძლება გამოწვეული იყოს ნდობის დეფიციტით ან ზუსტი ცოდნის ან უნარების არარსებობით.
აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამშრომლობის ჩამოყალიბებისკენ მიმართული ძალისხმევებით უნდა განისაზღვროს, თუ რატომ არ აქვს თანამშრომლობას ჯერ კიდევ ადგილი ან რატომ ატარებს შეზღუდულ ხასიათს. ამ ბარიერების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანამ შეიძლება ხელი შეუწყოს უფრო ეფექტიან თანამშრომლობას.

სამთავრობო უწყებები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უზრუნველყოფენ უნიკალურ უნარებსა და რესურსებს ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავების მიზნით.
სამთავრობო უწყებებს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს გააჩნიათ როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების საკითხში. აღნიშნული ძლიერი მხარეები შეიძლება ხშირად დაემთხვეს, თუმცა ასევე აღმოფხვრას საზოგადოების სხვა სექტორების სუსტი მხარეებიც, რაც თანამშრომლობას მხოლოდ კიდევ უფრო აუცილებელსა და ეფექტიანს გახდის.

მთავრობის წარმომადგენლების მიერ ადგილობრივ თემებთან თანამშრომლობა და მათი საჭიროებების მოსმენა ხელს შეუწყობს გაფუჭებული ურთიერთობების აღდგენას.
კონტრტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიმართ დაღმავალი და უსაფრთხოებაზე ორიენტირებული მიდგომები ნაკლები ალბათობით დაემყარება ადგილობრივ რეალობას და შეიძლება ხელი შეუწყოს თემების მარგინალიზაციას.

უნდობლობის მაღალი დონე ამცირებს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისთვის ხელმისაწვდომი ინსტრუმენტებისა და შესაძლებლობების სპექტრს და შეიძლება ხელი შეუწყოს სამთავრობო უწყებებს, უპირატესობა მიანიჭონ კიდევ უფრო მეტად უსაფრთხოებაზე ორიენტირებულ მიდგომებს. სამოქალაქო საზოგადოების, სხვა ინსტიტუტების ან იმ ადამიანების (კერძოდ, ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეებისადმი მოწყვლადი პირების) გარეშე, რომელთაც სურთ სამთავრობო პროგრამებთან თანამშრომლობა, სამთავრობო უწყებებს არ რჩება სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ მიმართონ იძულებით ღონისძიებებს და კიდევ უფრო უსაფრთხოებაზე ორიენტირებულ მიდგომებს.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების კუთხით თანამშრომლობა მოითხოვს გრძელვადიან ვალდებულებებს, რომლებიც ემყარება ურთიერთპატივისცემის და პრობლემის ერთობლივად გააზრების პრინციპს. ვინაიდან ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება წარმოადგენს გრძელვადიან პროცესს, აღნიშნული პრობლემის მოგვარების კუთხით თანამშრომლობა ასევე უნდა იყოს გრძელვადიანი. ასეთ თანამშრომლობას ხელს უწყობს როგორც პირადი, ასევე ინსტიტუციონალური ნდობა. ხშირი კომუნიკაცია და ინფორმაციის გაზიარება უზრუნველყოფს ურთიერთგაგებას და კოორდინაციას.

მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან არაჯანსაღი მიდგომები წარმოშობს დაძაბულობის ან პრობლემების გამძაფრების რისკს, რაც იწვევს ძალადობრივ ექსტრემიზმს. როდესაც კონტრტერორიზმს და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებას შორის არსებული საზღვრები ბუნდოვანია, ან როდესაც თემები აღიქვამენ განხორციელებულ ქმედებებს, როგორც სისასტიკეს ან დისკრიმინაციას, შეიძლება გააქტიურდეს მარგინალიზაცია და რადიკალიზაციაც კი.

3.6. სწავლის დამატებითი შესაძლებლობები

ანკარის მემორანდუმი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიმართ მულტისექტორული მიდგომის მოწინავე პრაქტიკის შესახებ (გლობალური კონტრტერორისტული ფორუმი - GCTF) [რუსული] [ინგლისური]

შემდეგ პუბლიკაციებში განხილულია მართლმსაჯულების სექტორში მოქმედი სხვადასხვა უწყების (პოლიციის, სასამართლოების და საპატიმრო დაწესებულებების) საპასუხო ღონისძიებები ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემაზე, რა შემთხვევაშიც აქცენტი კეთდება ადამიანის უფლებების დაცვასა და მოწინავე პრაქტიკაზე. აღნიშნული წყაროები შეიძლება განსაკუთრებით ღირებული იყოს სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებისთვის და ასევე სასარგებლო იყოს სამოქალაქო საზოგადოების წევრებისთვის, რომლებიც ამ პროცესში მონაწილეობას ცდილობენ. გაეცანით წარმოდგენილ პუბლიკაციებს და უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:

ვინაიდან მართლმსაჯულების სექტორი წარმოადგენს მთავრობის პასუხისმგებლობას, როგორ ფიქრობთ, რა შესაძლებლობები არსებობს სამოქალაქო საზოგადოებისთვის ამ სექტორში ეფექტიანი საპასუხო ღონისძიებების განსახორციელებლად? ითვალისწინებს თუ არა აღნიშნული პუბლიკაციები რაიმე ხარვეზს თქვენს კონტექსტში? დადებითი პასუხის შემთხვევაში, როგორ იმუშავებენ მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ერთობლივად ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად?

ვინაიდან მართლმსაჯულების სექტორი წარმოადგენს მმართველი სისტემის ნაწილს, სამოქალაქო საზოგადოებისთვის ზოგჯერ რთულია, გავლენა მოახდინოს პოლიციის, სასამართლოების და საპატიმრო დაწესებულებების მხრიდან ძალადობრივი ექსტრემისტებისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ დამოკიდებულებაზე. დაცვამ ან ამ პროცესში მონაწილეობამ შეიძლება ზოგჯერ საფრთხე შეუქმნას სამოქალაქო საზოგადოებას.

რა რისკების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს სამოქალაქო საზოგადოება თქვენს კონტექსტში, როდესაც შეეცდება ამ პროცესში მონაწილეობას? როგორ შეიძლება სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობის წარმომადგენლებმა იმუშავონ ერთობლივად აღნიშნული რისკების შესამცირებლად?

„Human Rights and Criminal Justice Responses to Terrorism", ულრიხ გარმსი და კონორ მაკკარტი (გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო - UNODC) [რუსული] [ინგლისური]

„Handbook on the Management of Violent Extremist Prisoners and the Prevention of Radicalization to Violence in Prisons", შეინ ბრაიანსი (გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო - UNODC) [რუსული] [ინგლისური]

„Key Principles and Recommendations for the Management of Violent Extremist Prisoners and the Prevention of Radicalization to Violence in Prisons" (გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო - UNODC) [რუსული] [ინგლისური]

„Preventing Terrorism and Countering Violent Extremism and Radicalization that Lead to Terrorism: A Community-Policing Approach" (ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია - OSCE) [რუსული] [ინგლისური]

რომის მემორანდუმი ძალადობრივ ექსტრემიზმში ჩართული პირების რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის მოწინავე პრაქტიკის შესახებ (გლობალური კონტრტერორისტული ფორუმი - GCTF) [რუსული] [ინგლისური]

რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციასთან დაკავშირებით სამართლებრივი ჩარჩოს შესახებ რომის მემორანდუმის დანართი (გლობალური კონტრტერორისტული ფორუმი - GCTF) [ინგლისური]

რეკომენდაციები ტერორისტული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლისთვის შესაბამისი ალტერნატიული ღონისძიებების ეფექტიანი გამოყენების შესახებ (გლობალური კონტრტერორისტული ფორუმი - GCTF) [ინგლისური]

რაბათის მემორანდუმი სისხლის სამართლის სექტორში ეფექტიანი კონტრტერორისტული ღონისძიებების მოწინავე პრაქტიკის შესახებ (გლობალური კონტრტერორისტული ფორუმი - GCTF) [რუსული] [ინგლისური]

„Handbook on Criminal Justice Responses to Terrorism" (გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო - UNODC) [ინგლისური]

ციხის ხელმძღვანელობის რეკომენდაციები ციხეებში რადიკალიზაციასთან გასამკლავებლად და მასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად (გლობალური კონტრტერორისტული ფორუმი - GCTF) [ინგლისური]

„Responses to Returnees: Foreign Terrorist Fighters and Their Families", მარი მაინესი (რადიკალიზაციის შესახებ ინფორმაციის ქსელი - RAN) [ინგლისური]

„Community Oriented Policing for CVE Capacity", ნადია გერსპახერი, მოთაზ ალ-რაბაბაჰი, ჯესელინ ბროგან ვოლქერი, ნათანიელ უილსონი, 2019 წ. („Hedayah"-ს ცენტრი) [ინგლისური]

რეკომენდებული ლიტერატურა

შემდეგ პუბლიკაციებში წარმოდგენილია სახელმძღვანელო მითითებები ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ეროვნული სტრატეგიებისა და გეგმების ერთობლივი შემუშავებისთვის (იხ. მოდული 1 – „სწავლის დამატებითი შესაძლებლობები" რეგიონალურ და ეროვნულ სტრატეგიებსა და ეროვნულ სამოქმედო გეგმებთან დაკავშირებით).

„Inclusive National Strategies to Counter Violent Extremism", ელისონ პიტერსი (ინკლუზიური უსაფრთხოება) [ინგლისური]

„Guidelines and Good Practices: Developing National Preventing and Countering Violent Extremism Strategies and Action Plans") („Hedayah"-ს ცენტრი) [ინგლისური]

„12 Principles for National Action Plans" (ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო ცენტრი - ICCT) [ინგლისური]

„National Action Plans on Preventing Violent Extremism: A Gendered Content Analysis", როსალი ფრანსენი და სხვ. (ძალოვანი სტრუქტურების ქალ ხელმძღვანელთა ალიანსი - WASL) [ინგლისური]

დამატებითი პუბლიკაციები სამოქალაქო საზოგადოებისა და თემის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის შესახებ შეგიძლიათ გადმოწეროთ აქ.

სხვა სფეროები, რომლებიც საჭიროებს ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას და მონაწილეობას, არის ჩამოშორება, დერიკალიზაცია, რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია. პუბლიკაციები, რომლებიც შეიცავს სახელმძღვანელო მითითებებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, შეგიძლიათ გადმოწეროთ აქ.

ახალგაზრდების სპეციფიკის გააზრება და მათი ჩართვა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში

ეს მოდული საზოგადოებაში ახალგაზრდების როლის გაცნობიერების რეკომენდაციებს გვთავაზობს იმ ინიციატივებზე დაყრდნობით, რომლებიც ახალგაზრდებს კონსტრუქციულად რთავს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში. მოდული მოიცავს ისეთ ინსტრუმენტებს, რომლებიც საკვანძო ფაქტორებად სოციალურ, კულტურულ და ემოციურ დინამიკას მოიაზრებს. ეს ფაქტორები გვეხმარება კონკრეტულ გარემოში ახალგაზრდების იმ ურთიერთობების, კავშირებისა და მოთხოვნების გააზრებაში, რომლებიც გავლენას ახდენს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებაზე. მოდული შეისწავლის ახალგაზრდების ჩართულობის, თანამონაწილეობისა და ინიციატივების გაზრდის გზებს პოლიტიკის, პროგრამებისა და ადგილობრივი ინიციატივების დონეზე, მათ შორის პროგრამების შემუშავების პროცესში მათი ხელმძღვანელობითა და თანამონაწილეობით. დაბოლოს, მოდული ასევე იკვლევს იმ ურთიერთობებთან დაკავშირებულ შესაძლებლობებსა და რისკებს, რომლებსაც ახალგაზრდები ამყარებენ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მაგალითად, ძალოვან სტრუქტურებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან. მოდულის ფარგლებში განხილულია შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდებმა შეძლეს თანამშრომლური ურთიერთობების დამყარება ძალადობრივი ექსტრემიზმის საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოებისა და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან.

საორიენტაციო შეკითხვები:

4.1. რატომ არის მნიშვნელოვანი ახალგაზრდების მოზიდვა და მათი მხარდაჭერა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში?

4.2. როგორ შეგვიძლია ახალგაზრდების ჩართვა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში?

4.3. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების შემუშავებაში ახალგაზრდების მონაწილეობის სხვადასხვა დონე, რა გავლენას ახდენს აღნიშნული დონეები ეფექტიანობაზე?

4.4. რომელია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში ახალგაზრდების ჩართულობის შემაფერხებელი დაბრკოლებები?

4.5. რა პოტენციური რისკები ახლავს თან ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში ახალგაზრდების ჩართულობას?

4.1. რატომ არის მნიშვნელოვანი ახალგაზრდების მოზიდვა და მათი მხარდაჭერა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში?

რას ნიშნავს ჩართულობა?

ბოლოს როდის იგრძენით თავი ჩართულად, როდესაც თქვენი ყურადღება ერთ კონკრეტულ საკითხზე გამახვილდა? როგორი გრძნობაა, იყო ჩართული?

ამ მოდულში ჩვენ განვიხილავთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში ახალგაზრდების ჩართულობის და ხელშეწყობის მოწინავე მეთოდებს. ასევე ვისაუბრებთ ახალგაზრდებში ლიდერული თვისებების განვითარების და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ მიმართულ პროგრამებში მათ აქტიურ მოთამაშეებად გარდაქმნის მნიშვნელობაზე. სწორედ ამ საკითხებს ეხმაურება გაეროს გენერალური მდივანი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სამოქმედო გეგმაში, სადაც აღნიშნავს:

> ჩვენ წარმატებას მივაღწევთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვახერხებთ ახალგაზრდების და ყველა სხვა ადამიანის, რომელიც თავს დაუცველად მიიჩნევს, იდეალიზმის, შემოქმედებითობისა და ენერგიის გამოყენებას. ახალგაზრდები, რომლებიც ამჟამად სულ უფრო მეტ ქვეყანაში წარმოადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას, უნდა მივიჩნიოთ აქტივად და უნდა მივცეთ შესაძლებლობა, კონსტრუქციული მონაწილეობა მიიღონ თავიანთი საზოგადოებისა და ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაში. ისინი წარმოადგენენ აუთვისებელ რესურსს. ჩვენ მათ უნდა შევთავაზოთ საკუთარი მომავლის პოზიტიური ხედვა თავიანთი იმედებისა და პოტენციალის განხორციელებისა და გამოვლენის რეალური შესაძლებლობებით. [78]

სამწუხაროდ, იმის მიუხედავად, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა არაა ჩართული ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში, ისინი ხშირად უფრო მიდრეკილნი არიან ძალადობრივი ექსტრემიზმისკენ, სხვა ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლებისგან განსხვავებით. ძალადობრივი ექსტრემისტების ჯგუფები წარმატებით იზიდავენ ახალგაზრდებს თავიანთ რიგებში გასაწევრიანებლად (ხშირ შემთხვევაში ყალბი) დაპირებებით. ისინი ახალგაზრდებს ჰპირდებიან, რომ დახმარებას გაუწევენ მიზნების მიღწევაში და მათი უკმაყოფილების მიზეზების აღმოფხვრაში. ეს დაპირებები სათანადოდ მოქმედებს ახალგაზრდებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი თავს გაუცხოებულად და მარგინალიზებულად გრძნობენ.

ამას, გარკვეულ შემთხვევებში, თან ახლავს ე.წ. „პოლიტიკური პანიკა", რაც მთავრობებს და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს აიძულებს, ახალგაზრდებს „უსაფრთხოების პრიზმიდან" დააკვირდნენ.[79] მაგალითად, ახალგაზრდების პოტენციალისა და ახალგაზრდა მამაკაცებისა და ქალების პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელობის დანახვის ნაცვლად, ახალგაზრდების დემოგრაფიული ზრდა (რომელსაც ზოგჯერ „ნაყოფიერების ზრდის" სახელითაც მოიხსენიებენ) შესაძლოა აღქმული იქნას, როგორც ძალადობისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის რისკის გაზრდის წყარო. ამას მიზეზად უდევს ის ფაქტი, რომ საზოგადოებას არ შეუძლია მათთვის სათანადო შესაძლებლობების მიცემა.

[78] გაეროს გენერალური მდივანი, „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სამოქმედო გეგმა", გვ. 3-4.
[79] იხილეთ გრეგ სიმფსონი, „The Missing Peace: Independent Progress Study on Youth and Peace and Security", გაეროს გენერალური ასამბლეა და უშიშროების საბჭო, 2018 წლის მარტი (A/72/761–S/2018/86), გვ. 7.

ამ მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებს პრობლემური ვარაუდები იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება ახალგაზრდების უმუშევრობამ და განათლების დაბალმა დონემ გამოიწვიოს ძალადობა და ძალადობრივი ექსტრემიზმი. მაგალითად, არსებული კვლევებით არ იკვეთება მიზეზობრივი კავშირი უმუშევრობასთან, შესაძლებლობების დეფიციტთან, განათლების დაბალ დონესა და ძალადობრივ ექსტრემიზმში ჩართულობის ხარისხთან. თუმცა, დიდი ალბათობით, ასეთი კავშირი თავს იჩენს მამოძრავებელ ფაქტორებთან მიმართებით. გარდა ამისა, საზოგადოებამ შეიძლება აწარმოოს „პანიკური პოლიტიკა" მიგრაციის კრიზისთან (იძულებითი მიგრაციის ჩათვლით) და ქალაქგარე ცენტრებში ახალგაზრდების შემოდინებასთან, ან მათ ქვეყანაში უცხოელი ახალგაზრდების შემოდინებასთან დაკავშირებით. საზოგადოება შეიძლება შიშობდეს, რომ ისინი შეაფერხებენ ეკონომიკასა და ხელს შეუშლიან მომსახურებას, ჩაერთვებიან კონკურენციაში შეზღუდული სამუშაო ადგილების გამო, პრობლემებს შეუქმნიან ქვეყნის უსაფრთხოებას ან იქცევიან ძალადობრივ ექსტრემისტებად. როგორც გაეროს მიერ დაფინანსებულ ახალგაზრდების, მშვიდობისა და უსაფრთხოების განვითარების კვლევაში ახსნეს,

„პანიკური პოლიტიკა", რომელიც გამყარებულია ამ მითებითა და ვარაუდებით და არა ჯანსაღი მტკიცებულებებით, განაპირობებს ახალგაზრდების კიდევ უფრო მეტად გაუცხოებას და ამცირებს მათ ნდობას თავიანთი მთავრობებისა და მრავალმხრივი სისტემის მიმართ. ძალადობრივი კონფლიქტების მიმართ პროაქტიული პრევენციული მიდგომების შეთავაზების ნაცვლად, ის წარმოშობს ახალგაზრდებში არსებული როლების განმტკიცების საფრთხეს და განცდას, რომ არსებული სიტუაციიდან სხვა გამოსავალი აღარ დარჩათ. გარდა ამისა, „პანიკური პოლიტიკა" გულისხმობს ისეთ მიდგომებს პოლიტიკის და პროგრამების მიმართ, რომლებშიც განათლება და დასაქმება განიხილება, როგორც ძალადობაში ახალგაზრდების მონაწილეობის ან ძალადობრივ ექსტრემიზმში მათი ჩართულობის პრობლემის გადაწყვეტის ცალკეულ გზებად, მიუხედავად ამ მოსაზრების მხარდამჭერი მტკიცებულებების არარსებობისა.[80]

ზემოაღნიშნული მცდარი წარმოდგენების მიუხედავად, ახალგაზრდები შეიძლება იყვნენ (და ხშირად არიან კიდეც) პოზიტიური ცვლილებების წყაროები და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების აქტიური მონაწილეებიც კი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ ეძლევათ სათანადო გამოცდილების შეძენის ან ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობა.

მაგრამ როგორ შევძლოთ ამ აღქმების გარდაქმნა და ახალგაზრდებისთვის ამ სფეროში თავიანთი პოტენციალის განხორციელების შესაძლებლობის მიცემა? ეს პროცესი იწყება ახალგაზრდების აღქმით ისეთებად, როგორებიც ისინი არიან და არა ისეთებად, როგორც ეს ჩვენ წარმოგვიდგენია. ამის მიღწევა კი შეუძლებელი იქნება ახალგაზრდებთან ნდობაზე ან თანასწორობაზე დაფუძნებული ურთიერთობის დამყარების გარეშე.

[80] სიმფსონი, "The Missing Peace: Independent Progress Study on Youth and Peace and Security," გვ. 7.

ახალგაზრდებს დამატებითი წვლილი შეაქვთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში სხვადასხვა გზით, პირველი რიგში კი - მათი უნიკალური შეხედულებებით და იდეებით. სხვადასხვა თაობა განსხვავებული კუთხიდან უყურებს თემის პრობლემებსა და ამოცანებს, ახალგაზრდებს კი სხვა ახალგაზდების მსგავსი შეხედულებები გააჩნიათ. შესაბამისად, მათ შეუძლიათ შემოგვთავაზონ უნიკალური მიდგომები ან შეხედულებები ახალგაზრდების წინაშე არსებულ ისეთ გამოწვევებზე, როგორიცაა ძალადობრივი ექსტრემიზმი, რადგან მათ შეიძლება სხვა ახალგაზრდებთან მსგავსი პრობლემები და გამოცდილება აერთიანებდეთ.

მეორე დამატებით სარგებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ახალგაზრდების უნიკალური იდეები და პრობლემის გადაჭრის განსხვავებული მიდგომები. თანამედროვე ახალგაზრდობა წინა თაობებისგან ძალიან განსხვავდება, განსაკუთრებით ინფორმაციის გაცვლის, ახალი ტექნოლოგიებისა და სოციალური პლატფორმების შექმნის წყალობით. მაგალითად, ზოგიერთ სფეროში ახალგაზრდები არჩევენ კონკრეტული საკითხების ადგილობრივი ინიციატივებით მოგვარებას, ნაცვლად სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე ოფიციალურ ორგანიზაციად ჩამოყალიბებისა. პროგრამის ეფექტიანობას ასევე განაპირობებს ის ფაქტიც, რომ ახალგაზრდებს შეუძლიათ, თავისუფლად იმუშაონ ახალ ტექნოლოგიებსა და სოციალურ ქსელებთან.[81] ახალგაზრდები გარკვეულწილად გამომგონებლებიც არიან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად ხშირად მიმართავენიჩენენ ისეთ კრეატიულ მიდგომებს და ინსტრუმენტებს, როგორებიცაა ტექნოლოგიები, ხელოვნების სფეროები, სპორტი, ღონისძიებები და ა.შ.

მესამე დამატებით სარგებელს წარმოადგენს ის, რომ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების საქმიანობაში ჩართულ ახალგაზრდებს შეუძლიათ კომუნიკაცია მოწყვლად და/ან უკვე რადიკალურად განწყობილ პირებთან, განსაკუთრებით კი მათ თანატოლებთან. რადიკალიზაციისგან დაუცველი ან რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდები ხშირად არ ენდობიან სამთავრობო უწყებებს ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მათ შეიძლება არც კი ისურვონ მონაწილეობის მიღება ისეთ ღონისძიებებში, რომელთა მიზანია მათი მედეგობის განმტკიცება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალგაზრდების განსაკუთრებული ადგილი საზოგადოებაში შეიძლება ძალზედ ხელსაყრელი იყოს იმ ჯგუფებთან კომუნიკაციის დამყარებისთვის, რომლებიც უფრო მეტად ენდობიან თანატოლებს და ითანამშრომლებენ მათთან. ახალგაზრდული ჯგუფების ლიდერებს უკეთ შეუძლიათ უკვე რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდების ნდობის მოპოვება და მათი ჩამოშორების, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესების მხარდაჭერა.

ამ თავში მოყვანილია რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ რატომ არის ახალგაზრდების ჩართვა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში მნიშვნელოვანი. ეს მოდული წარმოგიდგენთ უამრავ სასარგებლო, რეალურ, ცხოვრებისეულ მაგალითს ახალგაზრდობის მონაწილეობის და ამ სფეროზე მათი გავლენის შესახებ.

[81] მე-9 მოდულში წარმოდგენილია ახალგაზრდების მიერ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ინსტრუმენტის სახით ტექნოლოგიების გამოყენების მაგალითები.

მოდული 4.1.1 ახალგაზრდების, მშვიდობისა და უსაფრთხოების განვითარების სამოქმედო პროგრამა

ახალგაზრდების, როგორც მსხვერპლის ან ძალადობრივი ექსტრემისტული ქმედებების შემსრულებლების აღქმიდან მათ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების საქმიანობაში პარტნიორებად აღქმაზე გადასვლა სულ უფრო სწრაფად ყალიბდება ახალ ნორმად საერთაშორისო საზოგადოებისთვის. მართლაც, 2015 წელს ოფიციალურად გამოიკვეთა მშვიდობის მშენებლობის პროცესში და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში ახალგაზრდა მამაკაცების და ქალების ეფექტიანი ჩართვის აუცილებლობა. ეს პუნქტი შეისწავლის, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა ამ წელს აღნიშნული მიდგომის პრაქტიკაში განხორციელების მიზნით და როგორ შეასრულეს ახალგაზრდებმა სხვადასხვა მნიშვნელოვანი როლი პოლიტიკის შემუშავების პროცესებში. მაგალითად, იორდანიის 21 წლის გვირგვინოსანმა პრინცმა ალ ჰუსეინ ბინ აბდულა II-მ უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამართა ღია დისკუსია ახალგაზრდების როლის შესახებ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებასა და მშვიდობის შენარჩუნებაში, იმავე წლის აპრილში გაეროს უშიშროების საბჭოში იორდანიის თავმჯდომარეობის დროს.

2015 წლის აგვისტოში, ახალგაზრდობისა და მშვიდობის მშენებლობის საკითხებზე მომუშავე გაეროს უწყებათაშორისმა სამუშაო ჯგუფმა უმასპინძლა ახალგაზრდობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების გლობალურ ფორუმს ამანში, იორდანიაში.[82] ფორუმს ესწრებოდა 11,000 ახალგაზრდა 110-ზე მეტი ქვეყნიდან, გაეროს წამყვან სპეციალისტებთან, დონორებსა და მთავრობათაშორისი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად. ახალგაზრდულმა ფორუმმა დაამტკიცა ამანის ახალგაზრდული დეკლარაცია, რომელიც ითვალისწინებდა გლობალური პოლიტიკური ჩარჩოს შემუშავებას, ძალადობის პრევენციასა და მშვიდობის დამკვიდრების ხელშეწყობას ახალგაზრდა ქალების და მამაკაცების პოზიტიური წვლილის აღიარების მიზნით.[83]

იმავე წლის სექტემბრის თვეში, გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში გაიმართა გლობალური ახალგაზრდული სამიტი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების საკითხებზე. სამიტს ესწრებოდნენ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების საქმიანობაში ჩართული ახალგაზრდული ჯგუფების ლიდერები მთელი მსოფლიოდან. მათი მიზანი იყო საკუთარი პროექტებისა და იდეების დემონსტრირება და ახალგაზრდების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების მნიშვნელობის ხაზგასმა.[84] ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების გაშუქებაზე, 70-ზე მეტ ქვეყანაში რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდების კონფლიქტისგან ჩამოშორებისა და გამიჯვნის ხელშეწყობის საკითხებზე მომუშავე ახალგაზრდებმა საკუთარი წვლილი შეიტანეს ახალგაზრდობის სამოქმედო პროგრამის შემუშავებაში, რომელიც მიზნად ისახავს ძალადობრივი ექსტრემიზმის თავიდან აცილებას და ახალგაზრდებს შორის მშვიდობის დანერგვას.[85] აღნიშნულმა საქმიანობამ ახალგაზრდებს მისცა საშუალება, საერთაშორისო პოლიტიკის დონეზე გარკვევით ჩამოყალიბებინათ, თუ რას ნიშნავს მათთვის ძალადობრივი ექსტრემიზმი, რას ზომებს მიმართავენ ისინი ამ პრობლემის გადასაჭრელად და როგორ შეუძლიათ პარტნიორების სახით სხვა დაინტერესებული მხარეების მოზიდვა.

[82] „ამანის ახალგაზრდული დეკლარაცია, მიღებული ახალგაზრდობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე ჩატარებულ გლობალურ ფორუმზე", ახალგაზრდობის საკითხებზე გენერალური მდივნის წარმომადგენლის აპარატი (ბლოგი), 2015 წლის 24 აგვისტო, https://www.un.org/youthenvoy/2015/08/ammanyouth-declaration-adopted-global-forum-youth-peace-security/. [ინგლისური] უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფს თანა-თავმჯდომარეობას უწევდა გაეროს მშვიდობისმყოფელთა მხარდაჭერის აპარატი, არასამთავრობო ორგანიზაცია „Search for Common Ground" და ახალგაზრდა მშვიდობისმყოფელთა გაერთიანებული ქსელი.

[83] დეკლარაცია იხილეთ ბმულზე: http://www.un.org/en/peacebuilding/pdf/AMMAN%20YOUTH%20DECLARATION.pdf [ინგლისური]

[84] იხილეთ https://www.counterextremism.com/global-youth-summit, ბმულზე ასევე იხილავთ ვიდეორგოლს, რომელშიც უამრავი პროექტია ნაჩვენები. [ინგლისური]

[85] ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის და მშვიდობის ხელშეწყობის შესახებ ახალგაზრდული სამოქმედო პროგრამა https://www.sfcg.org/wp-content/uploads/2015/09/FINAL-Youth-Action-Agenda-1.pdf. [ინგლისური]

ამ მრავალრიცხოვანმა ღონისძიებებმა და საკვანძო დოკუმენტაციამ ხელი შეუწყო ახალგაზრდობისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების შესახებ არსებული შეხედულებების შეცვლას და საფუძველი ჩაუყარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 2250-ე რეზოლუციას ახალგაზრდობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხების შესახებ (2015 წ.). ეს რეზოლუცია დეკემბერში დამტკიცდა. რეზოლუცია წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებდა „შეისწავლონ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში, ასევე ძალადობრივი ექტრემიზმის თავიდან აცილების მექანიზმებსა და უწყებებში ახალგაზრდობის წარმომადგენლობის გაზრდის გზები, ადგილობრივ, ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე."[86]

მოგვიანებით რეზოლუცია განმეორებით დამტკიცდა 2018 წლის ივნისში, უშიშროების საბჭოს 2419-ე რეზოლუციით (2018 წ.), რომელიც მოუწოდებდა „ყველა დაინტერესებულ მხარეს, შეისწავლონ კონფლიქტების პრევენციასა და მოგვარებაში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდის გზები, მათ შორის მოლაპარაკებებისა და სამშვიდობო შეთანხმებების განხორციელებისას, მხედველობაში მიიღონ ახალგაზრდების კონსტრუქციული მონაწილეობა და შეხედულებები, იმის გათვალისწინებით, რომ მათ მარგინალიზაციას ექნება დამღუპველი შედეგები მშვიდობის უზრუნველყოფასა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაზე იმ შემთხვევებში, როდესაც ის ხელს უწყობს ტერორიზმს."[87]

საქართველოზე ფოკუსირება

2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 21 პროცენტს 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდები შეადგენდნენ. ჯამში, მიღებული განათლების დონეების გათვალისწინებით, ახალგაზრდების პროცენტული მაჩვენებელი წინა თაობებთან შედარებით მაღალია, თუმცა 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომლებიც არა არიან დასაქმებული და არ სწავლობენ, შეადგენს 37.2 პროცენტს.[88]

როგორც პირველ მოდულში იყო მითითებული, საქართველოში ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისკენ მიმართული ძალისხმევები მხოლოდ ბოლო პერიოდში ჩამოყალიბდა ეროვნული სტრატეგიის ფორმით. დოკუმენტში ახალგაზრდები მოწყვლად ჯგუფად მოიხსენიება, თუმცა მათი, როგორც პრევენციისა და გამკლავებისკენ მიმართულ ძალისხმევებში ხელშემწყობი პირების მნიშვნელობა ჯერ კიდევ საჭიროებს აღიარებას. მიუხედავად ამისა, არასამთავრობო დონეზე ახალგაზრდები წარმოადგენენ ძირითად დაინტერესებულ მხარეებს სამოქალაქო საზოგადოების რიგ ორგანიზაციებში. ახალგაზრდების ჩართულობა ასევე მნიშვნელოვანია მსხვილი დონორი ორგანიზაციებისთვისაც, რომლებიც ცდილობენ, გაზარდონ ამ უკანასკნელის მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებისა და ხელმძღვანელობის პროცესში.

[86] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 2250, S/RES/2250 (2015 წლის დეკემბერი), https://undocs.org/S/RES/2250(2015), გვ. 3.
[87] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 2419, S/RES/2419 (2018 წლის
[88] https://www.geostat.ge/media/20627/5.-YOUTH-Print-GEO_F.pdf

მეორეს მხრივ, ფაქტი, რომ ექსტრემისტული ორგანიზაციების მიზანს უპროპორციოდ დიდი რაოდენობის ახალგაზრდების მოზიდვა წარმოადგენს, შეესაბამება საქართველოში არსებულ რეალობას. კვლევისა და სტატისტიკის სიმწირე ართულებს აღნიშნული მოვლენების ციფრებში გამოსახვას. დასკვნები იმის შესახებ, რომ ახალგაზრდობა ყოველთვის წარმოადგენდა ორგანიზაციების მთავარ სამიზნეს, შესაძლებელია გავაკეთოთ პანკისის სათემო რადიო "Way" -ს[89] (კახეთის რეგიონი) მიერ შედგენილ სიაზე დაყრდნობით. აღნიშნულ სიაში წარმოდგენილია ინფორმაცია ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის ზონაში გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქეების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სიაში მხოლოდ ხეობის მაცხოვრებლებია აღრიცხული, ნიმუში საკმაოდ ინფორმაციული ხასიათისაა. 2019 წლის 12 მარტის მდგომარეობით, ბოლოს განახლებულ სიაში აღრიცხული იყო კონფლიქტის ზონაში მოკლული 33 მებრძოლის სახელი და გარდაცვალების მომენტისთვის მათი ასაკი. მათგან ყველაზე ახალგაზრდა ერთ-ერთი მეომრის შვილი, რვა წლის ბიჭი იყო. თუ ამ პიროვნებას არ ჩავთვლით, ყველაზე ახალგაზრდა გარდაცვლილი იქნება 18 წლის, ხოლო ყველაზე ხნიერი - 44 წლის. საშუალო ასაკი (რვა წლის ბავშვის გარდა) არის 28 წელი, სადაც 24 წელი მოდალური მაჩვენებელია.

გაცილებით ნაკლებ ინფორმაციას ვფლობთ იმ პირთა შესახებ, რომლებიც საქართველოში უკიდურეს მემარჯვენე და ულტრანაციონალისტურ ჯგუფებს მიეკუთვნებიან. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ჯგუფებისთვის დამახასიათებელი წევრების პროფილები ჯერ არ შექმნილა, ზოგად დაკვირვებებზე დაყრდნობით ვარაუდობენ, რომ იდეები ერთნაირად მიმზიდველია როგორც ახალგაზრდებისთვის, ასევე შედარებით ძველი თაობისთვის. თუმცა, ახალგაზრდების მხრიდან როგორც ფიზიკური, ასევე სოციალური მედია ჯგუფების შექმნის უფრო დიდი ალბათობა არსებობს. „Freedom House"-ის მიერ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ბოლო ანგარიშში (2020 წ.) მითითებულია, რომ მემარჯვენე ჯგუფების ახალი თაობა გადადის ახალ სტილზე, აშშ-სა და ევროპაში არსებული მსგავსი ორგანიზაციების კვალდაკვალ.[90] კიდევ ერთი კვლევითი ნაშრომი შეისწავლის ამგვარი ჯგუფების ნარატივებს სოციალურ მედიაში.[91] კვლევა ყურადღებას ამახვილებს მათ მიერ თემატური მიმების გამოყენების სიხშირეზე.[92] ინტერნეტ-კულტურაში გავრცელებული ამგვარი ინსტრუმენტები მიუთითებენ აღნიშნულ ჯგუფებში ახალგაზრდების ჩართულობაზე, რადგან მიმებით კომუნიკაცია ახალგაზრდებში გავრცელებულ ტენდენციას წარმოადგენს.

[89] https://radioway.ge/news/people/item/885; https://radioway.ge/news/people/item/887-siriashi-kidev-erti-pankiseli,-25-xlis-amiran-borchashvili-daigupa
[90] https://freedomhouse.org/report/special-report/2020/new-eurasian-far-right-rising
[91] ULTRANATIONALIST NARRATIVE OF ONLINE GROUPS IN GEORGIA – Ketevan Sartania, Aleksandre Tsurkava (Open Society Georgia) 2019 https://osgf.ge/wp-content/uploads/2020/01/Ultranationalist-Narrative-of-Online-Groups-in-Georgia.pdf
[92] A meme is a visual material characteristic of Internet culture, which contains an image, text, and a collage of var- ious symbols. A meme could be anything that has the capacity for copying, mimicking, symbolizing, or adding meaning without changing the main content and a message (Sartania, Tsurkava, 51)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მიმართავენ ძალადობრივი ექსტრემიზმის და რადიკალიზაციის წინააღმდეგ მიმართულ ძალისხმევებში ახალგაზრდების ჩართვის მცდელობებს. ეს გულისხმობს, რომ მიუხედავად ზოგიერთი პროექტის წარმატებისა, ზოგადად ძალისხმევა ატარებს არარეგულარულ ხასიათს და არ წარმოადგენს ერთიანი ხედვის ნაწილს. მიუხედავად ამისა, საქართველოში არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა.

საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრმა (GCSD) განახორციელა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისა და რადიკალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის პროექტი საქართველოში, აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ მაკედონიაში, სადაც GCSD-მ პროექტის ქართულ ფრთას უხელმძღვანელა (2018 წლის აგვისტო - 2019 წლის ივლისი). პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოში მოწყვლადი პირების მიმართ არსებული რადიკალიზაციის რისკის შემცირებას, ძალადობრივი ექსტრემიზმის საყოველთაო პრევენციის / გამკლავების შესახებ ონლაინ და პირისპირ რეჟიმში ინფორმაციის მიწოდების კამპანიის გზით და ოფლაინ რეჟიმში დამხმარე პროფილაქტიკური ღონისძიებების მეშვეობით. პროექტის ფარგლებში სამიზნე ჯგუფების ფართო სპექტრი იყო წარმოდგენილი, თუმცა აქცენტი ახალგაზრდებზე გაკეთდა. პროექტი განხორციელდა ოთხ სამიზნე რეგიონში: აჭარა, გურია, კახეთი, ქვემო ქართლი, ასევე თბილისი. პროექტის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდა რეგიონების ყველაზე მოწყვლადი თემები. ჩატარებული სამუშაოების შედეგად პროექტმა გაზარდა ცნობიერების დონე ოთხივე რეგიონში, რეალური ინფორმაციის მიწოდებით და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებულ გამოწვევების შესახებ ანალიტიკური დისკუსიების წახალისებით. ადგილობრივი გავლენიანი ადამიანების, მასწავლებლების, ჟურნალისტების მომზადებამ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერებამ, მათი მცირე გრანტების მხარდაჭერის გზით, ხელი შეუწყო ადგილობრივი თემების მედეგობის დონის გაზრდას და გააძლიერა ისინი ხელშესახები ინსტრუმენტებით, რაც მათ მომავალში დაეხმარება, ეფექტიანი წინააღმდეგობა გაუწიონ და თავიდან აიცილონ რადიკალიზაციისა და ძალადობრივი იდეების გავრცელება. GCSD-მ დაიწყო ტრენინგების ჩატარება ადგილობრივ, გავლენის მქონე ადამიანებთან ერთად საქართველოს სამ რეგიონში. აღნიშნულ ტრენინგებს ესწრებოდა საქართველოში მცხოვრები თითქმის ყველა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი. GCSD-მ მოაწყო ლიდერთა ბანაკები იმისათვის, რომ მოწყვლადი თემების ახალგაზრდა წევრებისთვის მიეცა გართობის გზით გამოცდილების შეძენის და, ამავდროულად, ახალი ინფორმაციის ათვისების, იდეების გაცვლის და პიროვნული და პროფესიული ზრდის ახალი შესაძლებლობები. ლიდერთა ბანაკი ითვალისწინებდა (მაგრამ არ შემოიფარგლებოდა) შემდეგ თემებს: სამოქალაქო ჩართულობა, განათლება, დეზინფორმაცია, ძალადობრივი ექსტრემიზმი და სხვა. პროექტის გუნდმა მოახერხა იმ მონაწილეების ჩართვაც, რომლებიც სხვა შემთხვევაში მოკლებულნი იქნებოდნენ ამგვარ შესაძლებლობებს, გენდერულ როლებთან დაკავშირებით ადგილობრივი ნორმების გამო.

4.2. როგორ შეგვიძლია ახალგაზრდების ჩართვა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში?

აღნიშნული მზარდი ერთსულოვნების მიუხედავად, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში ახალგაზრდების ჩართვა ჯერ კიდევ არ იკვეთება ბევრ სფეროში.[93] ამის უამრავი მიზეზი არსებობს. პროგრამების ხელმძღვანელობის ან შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეები ზოგჯერ ახალგაზრდებს აღიქვამენ უბრალოდ „ბენეფიციარებად" ან „სამიზნე ჯგუფებად", მაგრამ არა ლიდერებად, ინოვატორებად და პარტნიორებად, რომელთა ჩართვასაც ჩვენ შევძლებდით. სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა შეიძლება უბრალოდ არ იციან, როგორ მიაღწიონ ახალგაზრდებამდე და ხელი შეუწყონ მათ მონაწილეობას. ან მათ შეიძლება ახალგაზრდების ჩართულობა მინიმალურ დონეზე დაიყვანონ, შესაბამისი საქმიანობებისა და ინიციატივების ხელმძღვანელობის ან საკუთრების შესაძლებლობის შეთავაზების გარეშე. მომდევნო ნაწილში ჩვენ განვიხილავთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში ახალგაზრდების უფრო ეფექტიანად ჩართვის გზებს.

[93] ამ თავში გამოყენებული ტერმინები „ახალგაზრდობა" ან „ახალგაზრდები" აღნიშნავს ორ სხვადასხვა ჯგუფს: 1) ახალგაზრდული ჯგუფების ლიდერები და აქტივისტები, რომელთაც დამატებითი უპირატესობის გათვალისწინებით, უნდა მიეცეთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მცდელობების ხელმძღვანელობის უფლებამოსილება ადგილობრივი ინიციატივების, პროგრამულ და პოლიტიკურ დონეზე; და 2) ახალგაზრდების მოწყვლადი და/ან უკვე რადიკალურად განწყობილი ჯგუფები. არ არის აუცილებელი, რომ ეს ორი ჯგუფი კავშირში იყოს ერთმანეთთან ან ჰქონდეთ რაიმე საერთო, გარდა მათი ასაკისა. თუმცა, ახალგაზრდული ჯგუფების ლიდერები შეიძლება აღმოჩნდნენ საუკეთესო მდგომარეობაში მოწყვლად ან რადიკალურად განწყობილ ახალგაზრდებთან ურთიერთობისას.

4.2.1. რისკენ მიისწრაფვიან და რა სჭირდებათ ახალგაზრდებს?

ახალგაზრდების მოზიდვას საფუძვლად უნდა ედოს:

1. იმ ფაქტის აღიარება, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა არ არის ჩართული ძალადობაში ან ძალადობრივ ექსტრემიზმში და უკვე შეაქვთ საკუთარი დადებითი და კონსტრუქციული წვლილი თავიანთი თემის ცხოვრებაში;

2. მათი ინდივიდუალური საჭიროებების მკაფიოდ გააზრება, მათ შორის ახალგაზრდების სანდო პარტნიორებად მიჩნევის აუცილებლობა.

აქედან გამომდინარე, ახალგაზრდები შეიძლება მივიჩნიოთ მნიშვნელოვან, სანდო პარტნიორებად კონსტრუქციული ცვლილებების, მათ შორის ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში. ანალოგიურად, ახალგაზრდები, რომლებიც ისწრაფვიან ძალადობრივი ექსტრემიზმისკენ, ხშირად ეძებენ საკუთარი ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზებს, დაწყებული დასაქმებით და დამთავრებული მიკუთვნების გრძნობის გაძლიერებით. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში ახალგაზრდების ჩართულობის მთავარ ხარვეზს წარმოადგენს ის, რომ პროგრამები ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს, ამის ნაცვლად, ისინი საზოგადოების უსაფრთხოების საჭიროებებზე ახდენენ ფოკუსირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პრაქტიკოსმა სპეციალისტებმა, რომლებიც ცდილობენ მოწყვლად ახალგაზრდებთან დაკავშირებას, უნდა შეიმუშავონ მკაფიო შეხედულება ახალგაზრდების მოთხოვნების შესახებ და შესთავაზონ მათ აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების რეალური შესაძლებლობები. მოწყვლადი და რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდობა შეიძლება არ იყოს დაინტერესებული ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში მონაწილეობით ან შესაბამისი საქმიანობის ხელმძღვანელობით, რადგან ისინი მოქმედებენ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, თავიანთი მომავლის უზრუნველსაყოფად, მაგალითად, განათლების მისაღებად, კარიერის დასაწყებად ან ოჯახის შესაქმნელად. ზოგიერთ შემთხვევაში, ძალადობრივმა ექსტრემისტულმა ჯგუფებმა შეიძლება უფრო მიმზიდველი შესაძლებლობები შესთავაზონ ახალგაზრდებს მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ვიდრე მთავრობამ, სამოქალაქო საზოგადოებამ და სხვა ჯგუფებმა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისკენ მიმართული ძალისხმევა ემყარებოდეს ინდივიდუალური მოთხოვნილებების, გარემო პირობების და პრაქტიკული შესაძლებლობების სიღრმისეულ გააზრებას. კერძოდ, ახალგაზრდული ინიციატივები შეიძლება განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდეს, რადგან ახალგაზრდული ჯგუფების ლიდერები შეიძლება სარგებლობდნენ სხვებთან შედარებით უფრო მეტი ნდობით მოწყვლად და უკვე რადიკალურად განწყობილ თანატოლებთან ურთიერთობისას. ამავე დროს, ახალგაზრდულმა ინიციატივებმა შეიძლება ახალი შესაძლებლობები გააჩინონ თავად ახალგაზრდული ჯგუფების ლიდერებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი ქმედებების მხარდაჭერა მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებთა რიგებში მოიძიონ.

4.2.2. სად შეიძლება ახალგაზრდების ჩართვა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში?

იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა სრულყოფილი წვლილი შეიტანონ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში, მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ 1) პოლიტიკის შემუშავების დონეზე, 2) პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელების დონეზე, და 3) ადგილობრივი ინიციატივების დონეზე. ახალგაზრდები უნდა სარგებლობდნენ შესაბამისი უფლებამოსილებით სამივე სფეროში. ეს მათ საშუალებას მისცემს, მონაწილეობა მიიღონ ან თუნდაც უხელმძღვანელონ გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ჩაერთონ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ინიციატივებსა და კვლევებში და მოიპოვონ სრული მხარდაჭერა ისეთ პროექტებსა და ინიციატივებში, რომლებსაც ისინი უხელმძღვანელებენ მათ თემებში და/ან თანატოლებთან ერთად. ნამდვილად, ახალგაზრდები უნდა ჩაერთონ პროგრამებისა და სტრატეგიების შემუშავების პროცესში ჯერ კიდევ მათ განხორციელებამდე, ვინაიდან ისინი გადამწყვეტ როლს ასრულებენ კონკრეტულ ტერიტორიაზე ძალადობრივი ექსტრემიზმის ბუნებისა და საფრთხის გაცნობიერებაში. ახალგაზრდები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რადიკალიზაციის პროცესის ყველა ეტაპზე რეაგირების ღონისძიებების შემუშავებაში - დაწყებული უბრალო მოწყვლადობით და დასრულებული ძალადობრივ ექსტრემიზმში მონაწილეობით.

2250-ე რეზოლუცია განიხილავს ხუთ ძირითად პრინციპს, რომელთა საშუალებითაც ახალგაზრდებს შეუძლიათ შეიმუშაონ ახალგაზრდობასთან, მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმა: მონაწილეობა, დაცვა, პრევენცია, პარტნიორობა, ჩამოშორება და რეინტეგრაცია. და კვლავ, ტერმინის „ჩართულობა" გამოყენებისას, ჩვენ ვგულისხმობთ სრულ სპექტრს - მონაწილეობიდან განხორციელებამდე და ხელმძღვანელობამდე. შემდეგი მაგალითები ცხადჰყოფს, თუ როგორ შეიძლება ახალგაზრდული ორგანიზაციების კიდევ უფრო ეფექტიანად ჩართვა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში.

- ტუნისში, ახალგაზრდების უფლებების დაცვის ორგანიზაცია - **„ახალგაზრდები ტერორიზმის წინააღმდეგ"** - მუშაობს ძალადობისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეებისადმი მედეგობის განსამტკიცებლად, პროგრამების განხორციელებისა და ტრენინგების მეშვეობით მოქალაქეებსა და პოლიციას შორის ურთიერთობების გაუმჯობესების გზით. გარდა ამისა, ორგანიზაციის წევრებმა ხელი შეუწყეს კრიტიკული აზროვნების კიდევ უფრო ეფექტიანად განვითარების მიზნით სასწავლო გეგმის გადასინჯვას და იმ ისლამური პრინციპების გავრცელებას, რომლებიც საზოგადოებას მშვიდობისაკენ მოუწოდებს.[94]
- სომალის ახალგაზრდული ორგანიზაცია - **მშვიდობისა და ადამიანის უფლებების დაცვის ცენტრი „ელმანი"** - თანამშრომლობს ქვეყნის საშინაო უსაფრთხოების სამინისტროსთან, ბავშვი და ახალგაზრდა პატიმრების, ყოფილი მებრძოლების, ძალადობრივი ექსტრემისტების ან დეზერტირების კომპლექსური ჩამოშორების, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის მიზნით. ორგანიზაციის საქმიანობის დაწყების დღიდან, 3500-ზე მეტმა ახალგაზრდამ გაიარა პროგრამა და გახდა მისი კურსდამთავრებული.[95]
- კამერუნში, ახალგაზრდული ორგანიზაცია - **„კამერუნის ადგილობრივი ახალგაზრდული კუთხე"** - ახორციელებს პროექტს, სახელწოდებით „კრეატიული უნარები მშვიდობისთვის". პროექტის მიზანია ახალგაზრდებში რადიკალიზაციისა და რეციდივიზმის თავიდან აცილება, ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი ახალგაზრდებისთვის ძალადობის ალტერნატივების შეთავაზების გზით. პროექტი ხორციელდება რვა საპყრობილეში, სადაც პატიმრებს ეძლევათ საგანმანათლებლო და სამეწარმეო შესაძლებლობები.[96]
- იხილეთ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ვიდეორგოლი დასავლეთ ევროპაში მცხოვრები ახალგაზრდების შესახებ, რომლებიც მუშაობენ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში. გაეცანით მათ გამოცდილებას შემდეგ ვებ-გვერდზე: https://youtu.be/_sUD-LMvbYc. **[ინგლისურად, რუსულ და სხვა ენებზე სუბტიტრებით]**

[94] YouthPower Learning, „მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასა და მასთან გამკლავებაში ახალგაზრდების ჩართულობის პერსპექტიული მეთოდები: ჩარევის ძირითადი მეთოდების და მაგალითების შეჯამება" Cents International, 2017 წ.), გვ. 5.
[95] იქვე, გვ. 7.
[96] პროექტის მოკლე აღწერის სანახავად, გადადით ბმულზე: https://youtu.be/Lu5TDJrtbtE. [ინგლისური]

4.2.3. რა კონკრეტულ როლებს შეიძლება ასრულებდნენ ახალგაზრდები ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების შემუშავებაში და როგორ უწყობენ ხელს აღნიშნული როლები ეფექტიანობის გაუმჯობესებას?

პარტნიორების ან ლიდერების სახით მონაწილეობასთან დაკავშირებით ახალგაზრდების მოწოდების მეთოდებმა შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისკენ მიმართული ძალისხმევების შედეგები. აღნიშნული ძალისხმევები ასევე დადებითად აისახება სხვა სფეროებზეც, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა და შეასრულონ წამყვანი როლი. ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე განსხვავებულ როლსა და აქტივობას.

ნდობისა და თანამშრომლობის ხელშემშლელი ურთიერთობების შეცვლა

ზოგჯერ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში ჩართული ახალგაზრდების მხარდაჭერა ან მათი ჩართვა ახალ ღონისძიებებში, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს იმ ურთიერთობების ფორმის შეცვლას, რომლებიც შესაძლოა აფერხებდნენ მათ ჩართულობას ან თუნდაც წარმოშობდეს უნდობლობის წყაროს. ცვლილება მიუთითებს ახალგაზრდებსა და სამართალდამცავ ორგანოებს ან სახელმწიფო ლიდერებს შორის ნდობაზე დამყარებული, თანამშრომლური ურთიერთობის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე. ეს შესაძლებელია ერთმანეთის მიმართ უნდობლად განწყობილი ჯგუფებისთვის სათანადო შესაძლებლობების მიცემით, ითანამშრომლონ საერთო მიზნების მისაღწევად, რაც მათ შორის არსებულ ურთიერთობას ეფექტიანად შეცვლის.

მაგალითად, ქალაქ ოშში განხორციელებული ძალადობის შემდეგ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) თაოსნობით სამხრეთ ყირგიზეთში 17 ახალგაზრდული ცენტრი დაარსდა. ცენტრების მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებიდან ახალგაზრდების მოზიდვა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მათ ჩასართავად. განხორციელდა უამრავი პროგრამა სხვადასხვა ახალგაზრდული და ადგილობრივი ჯგუფის ლიდერებთან ერთად ტოლერანტობის, შერიგებისა და კონფლიქტების ტრანსფორმაციის ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნულმა ცენტრებმა დადებითი გავლენა მოახდინეს ადგილობრივ თემებზე, ხოლო მათმა ლიდერებმა, მშობლებმა და პედაგოგებმა დაიწყეს ახალგაზრდების, როგორც პოზიტიური ცვლილებების წყაროდ აღქმა. ცენტრებს ასევე სხვა თემებმაც მიმართეს თავიანთ ტერიტორიებზე ჩამოყალიბების თხოვნით.[97]

[97] მარლა ზაპაჩი და გულნარა იბრაევა, "Final Evaluation - Kyrgyzstan" (გაეროს მშვიდობისმყოფელთა ფონდი - სწრაფი რეაგირების ფონდი (IRF), 2012 წ.).

ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობისა და ახალგაზრდების მიერ გაწეული ძალისხმევების აღრიცხვა

ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ მედეგობის განმტკიცებისთვის ახალგაზრდების მიერ უკვე გაწეული ძალისხმევების წარსადგენად მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, თუ რომელი უნარები გამოიყენეს და რა ძალისხმევებს მიმართეს მათ. ეს, დიდი ალბათობით, გააუმჯობესებს შედეგებს. ეს პროცესი კიდევ უფრო ეფექტიანად განხორციელდება, თუ მას ახალგაზრდები წარმართავენ. ახალგაზრდების მიერ შესრულებული ქმედებების აღრიცხვის მიზანია:

- ახალგაზრდული ჯგუფების ლიდერების იდენტიფიცირება;
- ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად ახალგაზრდების მიერ ორგანიზებული ღონისძიებების გააზრება (მაგალითად, უზრუნველყოფენ თუ არა ისინი რეალურ შესაძლებლობებს მოწყვლადი ახალგაზრდების მიმართ ან ქმნიან თუ არა ალტერნატიულ ნარატივებს);
- ახალგაზრდული ჯგუფების სტრუქტურის გაგება (არიან თუ არა რეგისტრირებულნი);
- მათი მეთოდოლოგიის, ასევე იმ ფაქტის გაცნობიერება, თუ როგორ განსაზღვრავენ ისინი სოციალურ და ინდივიდუალურ საჭიროებებს;
- ახალგაზრდების მხრიდან საკუთარ თემებზე ზემოქმედების გზების შესწავლა;
- ახალგაზრდების ჩართვა სრულ პროცესში.[98]

თქვენს ქვეყანაში ახალგაზრდული საქმიანობებისა და ინიციატივების რუკის შედგენა დაგეხმარებათ გაიგოთ, რა ზომებს მიმართავენ ახალგაზრდები ძალადობირივი ექსტრემიზმის მიმართ მედეგობის გასაზრდელად და რომელი ახაგაზრდული ორგანიზაციები მუშაობენ თქვენს რეგიონში. განვიხილოთ ამ მიდგომის შემდეგი უპირატესობები:

- ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციის ლიდერებთან შეხვედრები;
- იმ საკითხების განხილვა, რომლებიც ყველაზე მეტად აწუხებს ახალგაზრდა ქალებსა და მამაკაცებს, მათი ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ახალგაზრდული ორგანიზაციის ლიდერებისათვის სხვადასხვა ტიპის მნიშვნელოვანი ინიციატივების შესახებ ინფორმაციის მიღება;
- ახალგაზრდების ჩართვა როგორც ადგილობრივ, ასევე საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღების (სტრუქტურის) დონეზე, მათი საქმიანობის მნიშვნელობის გაზრდა (და ზოგიერთ შემთხვევაში, ახალგაზრდების მიერ წამოწყებული ღონისძიებებისათვის შემდგომი შესაძლებლობების შექმნა);
- ახალგაზრდების განსხვავებული შეხედულებებისა და მოსაზრებების განსაზღვრა, ადგილობრივი გარემოს მრავალფეროვნების გასააზრებლად (ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონფლიქტებითა და ძალადობით გახლეჩილ ქვეყნებში მუშაობის დროს);
- იმ ფაქტის შესწავლა და გააზრება, თუ როგორ ხელმძღვანელობენ ახალგაზრდა ქალთა და მამაკაცთა რიგებიდან გამოსული ლიდერები თანატოლებს; და
- ხელმძღვანელობის სხვადასხვა მეთოდისა და ორგანიზაციული შესაძლებლობების განსაზღვრა.[99]

სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს კონკრეტულად ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასა და მასთან გამკლავებაში ჩართული ორგანიზაციები ახალგაზრდების თაოსნობით. საქმიანობის ფარგლებში ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავების საკითხების გათვალისწინების შემთხვევაშიც კი, ის მხოლოდ დამატებით ხასიათს ატარებს.

[98] ლაქშითჰა საჯი პრელისი და სხვ., „Mapping Youth Leaders for Peacebuilding", Search for Common Ground, 2014 წ., გვ. 9.
[99] იქვე.

კვლევა

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებებში ახალგაზრდების ჩასართავად კიდევ ერთ მნიშვნელოვან ზომას წარმოადგენს კვლევა. ახალგაზრდების მიერ ჩატარებული კვლევები აუმჯობესებს შედეგებს. ეს კი შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდების სხვადასხვა ჯგუფსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, ერთმანეთი უკეთ გაიცნონ და გამოიყენონ საერთო ნიშან-თვისებები კვლევის მიზნების მისაღწევად. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებასთან დაკავშირებული კვლევის თემები შეიძლება ითვალისწინებდეს (არა მხოლოდ) შემდეგს:

- ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების შესწავლა კონკრეტულ გარემოში;
- ახალგაზრდული ორგანიზაციების ან სხვა სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების მიმოხილვა, რომლებიც ჩართულნი არიან ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში ან მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში (როგორც ეს წინა ნაწილში იყო განხილული);
- კონკრეტულ სფეროში მოწყვლადი პირების ინდივიდუალური მოთხოვნების შესწავლა;
- არსებული ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების (ონლაინ და ოფლაინ რეჟიმში) გადაბირების ტაქტიკის შესწავლა;
- კონფლიქტისგან ჩამოშორების და დერადიკალიზაციის მეთოდების კვლევა;
- ჩამოშორებისა და რეინტეგრაციის ხელშემწყობი მეთოდების კვლევა. ასევე იმის გარკვევა, თუ რომელი რესურსები, ნარატივები და პრაქტიკული შესაძლებლობები შეიძლება იქნას გამოყენებული აღნუშნულ პროცესებში;
- კონკრეტულ სფეროებში ახალგაზრდების წინაშე არსებული რისკებისა და შესაძლებლობების შეფასება, მათი უნარების და პოტენციალის განსაზღვრის მიზნით; და
- ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული საკითხებისა და ეთნიკური, რელიგიური და სხვა უმცირესობათა ჯგუფების მიმართ ტოლერანტობის დონის შესახებ საზოგადოების შეხედულებების განსაზღვრა.

შესაბამისი ღონისძიებების შემუშავების მიზნით ერთობლივი კვლევა.
ეს კვლევა განისაზღვრება, როგორც „პროცესი, რომლის მეშვეობითაც ადამიანები შეისწავლიან მნიშვნელოვან სოციალურ თემებს, მონაწილეობენ კვლევებში პრობლემების გამომწვევი იმ ძირითადი მიზეზების გამოვლენის მიზნით, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენს მათზე, შემდეგ კი პოლიტიკაზე ზემოქმედების განსახორციელებლად მიმართავენ შესაბამის ღონისძიებებს, კვლევის შედეგების მმართველ ორგანოებსა და დაინტერესებულ პირებს შორის გავრცელების გზით."[100] ეს მიდგომა ყურადღებას ამახვილებს საკითხის დაუყოვნებლივ შესწავლის საჭიროებებზე რათა დროულად მოხდეს პრობლების გადაჭრის გზების ფორმულირება და გავრცელება.

„მოსმენის და სწავლის" მიდგომა.
ეს მიდგომა შეიმუშავა არასამთავრობო ორგანიზაციამ „Search for Common Ground", ერთობლივად ჩატარებული კვლევის პრინციპებზე დაყრდნობით. აღნიშნული მიდგომა

> ანაცვლებს ცალმხრივი ინტერვიუს მეშვეობით ინფორმაციის შეგროვების პროცესს, რა შემთხვევაშიც მხოლოდ [კვლევის] სუბიექტები გასცემენ კონფიდენციალურ და პირად ინფორმაციას, საკუთარი გამოცდილების გაზიარების პროცესით. ამ პროცესში ასევე ერთვებიან თავად მკვლევარებიც პირადი შეხედულებების, გამოცდილებისა და ემოციების არა-წინააღმდეგობრივი ფორმით გაზიარებით. ორმხრივი მოწყვლადობის თვალსაზრისით, ეს დიალოგი ცვლის ძალების დინამიკას და ხელს უწყობს უფრო გულწრფელ და ნაყოფიერ ინტერვიუს.[101]

აღნიშნული მიდგომა აძლიერებს კვლევის მონაწილეთა მიმართ ნდობას და არსებულ ურთიერთობებს სასიკეთოდ გარდაქმნის. ის შესაძლოა განსაკუთრებით ხელსაყრელი იყოს გარემოში, სადაც მაღალია მკვლევარების მიმართ უნდობლობა ან ადგილი აქვს „კვლევისგან გადაღლას", რაც გულისხმობს, რომ კვლევის პოტენციურ მონაწილეებს უკვე გავლილი აქვთ კვლევის რამდენიმე ეტაპი, თუმცა წინა კვლევითი პროექტებიდან ვერ მიიღეს სათანადო შედეგები.

კვლევასთან დაკავშირებით რომელ სხვა მიდგომას გაუწევდით რეკომენდაციას, რომელიც გაზრდის კვლევის ეფექტიანობას ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში?

როგორ გააუმჯობესებს აღნიშნული მიდგომები ახალგაზრდების მონაწილეობას ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში?

პროგრამების შემუშავება, მონიტორინგი და შეფასება

საბოლოო ჯამში, ახალგაზრდების ჩართვა პროგრამების შემუშავების პროცესში პარტნიორების და (მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში) ლიდერების სახით განაპირობებს უფრო წარმატებული პროგრამებისა და ღონისძიებების მომზადებას. გარდა ამისა, ასევე აუცილებელია ახალგაზრდების ჩართვა შემუშავებული პროგრამების და ღონისძიებების მონიტორინგსა და შეფასებაში. პროგრამის ეფექტიანობასთან ან მის მოსალოდნელ თუ მოულოდნელ შედეგებთან დაკავშირებით ახალგაზრდების მიერ გამოთქმული შენიშვნები კიდევ უფრო გააუმჯობესებს სრული პროცესის ხარისხს (მონიტორინგისა და შეფასების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მოდული 10).

მომდევნო ნაწილში განვიხილავთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში ახალგაზრდების სრულფასოვანი ჩართვისა და მონაწილეობის ხელშეწყობას.

[100] კარა ბერგ პაუერსი და ერინ ალამანი, "How Participatory Action Research Can Promote Social Change and Help Youth Development," პროექტი: „The Kinder & Braver World Project: Research Series", ფონდი „Born This Way" და ინტერნეტისა და საზოგადოების შემსწავლელი ბერკმანის ცენტრი ჰარვარდის უნივერსიტეტში, 2012 წლის 17 დეკემბერი, გვ. 1.
[101] იხილეთ ლაქშითჰა საჯი პრელისის და ჰელენ დელომესის „მოსმენის და სწავლების" ინსტრუმენტული მიდგომა, არასამთავრობო ორგანიზაცია „Search for Common Ground", 2017 წ., ვებ-გვერდზე: https://www.sfcg.org/youth-led-research/. [ინგლისური]

4.3. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების შემუშავებაში ახალგაზრდების მონაწილეობის სხვადასხვა დონე, რა გავლენას ახდენს აღნიშნული დონეები ეფექტიანობაზე?

ახალგაზრდების მონაწილეობა არ გულისხმობს მხოლოდ ახალგაზრდების ჩართულობას. რეალურად, ახალგაზრდების მონაწილეობა შეიძლება იმდენად შეზღუდულ ხასიათს ატარებდეს, რომ შთაგონების ნაცვლად იმედგაცრუება გამოიწვიოს. ცენტრალური ამერიკიდან ერთმა ახალგაზრდამ თავისი უკმაყოფილება შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „ჩვენ, ახალგაზრდებს, მხოლოდ მაშინ გვიხმობენ, როდესაც დროშების ფრიალი ან აფიშების გაკვრაა საჭირო. მაგრამ როცა ჩვენ საკუთარი აზრის გამოთქმა გვსურს, ყურადღებას არავინ გვაქცევს, ჩვენი მხრიდან კრიტიკის შემთხვევაში კი, მაშინვე უკანა პლანზე გადავყავართ."[102] ამ მოსაზრებას ეთანხმებიან ქართველი ახალგაზრდებიც და საუბრობენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებიდან მათ ჩამოშორებაზე.[103] ამ სიტუაციასთან გასამკლავებლად ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ახალგაზრდების მონაწილეობა და ლიდერობა ნებისმიერ დონეზე (მაგალითად, ადგილობრივი ინიციატივების ან თუნდაც პოლიტიკურ დონეზე). ყველაზე უკეთ ამ სიტუაციის აღწერა შესაძლებელია სპექტრის სახით, სადაც **ყველაზე დაბალ დონეზე** დაინტერესებული მხარეები ან დაწესებულებები იყენებენ ახალგაზრდების ხმას საკუთარი იდეების გადმოსაცემად, ხოლო **ყველაზე მაღალ დონეზე** ახალგაზრდები თავად ხელმძღვანელობენ პროექტებს სხვა დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერით.

პროგრამების - "YouthPower Learning" და "Making Cents International" ფარგლებში წარმოდგენილი „ახალგაზრდების პოზიტიური განვითარების საზომ ინსტრუმენტებში" ავტორები აღწერენ სხვადასხვა დონეებს, როგორც კიბის „საფეხურებს". მოკლედ რომ ვთქვათ, ამ საფეხურების აღწერა შესაძლებელია შემდეგნაირად, ზრდადობის წესით:

ახალგაზრდებით მანიპულირებენ, თუმცა არ აწვდიან ინფორმაციას - დაინტერესებული პირები და სხვადასხვა ინსტიტუტები იყენებენ ახალგაზრდების ხმებსა და მათ აქტიურობას საკუთარი იდეების გასავრცელებლად, რაც რიგ შემთხვევებში თანხვედრაში არ მოდის ახლაგაზრდების პირვანდელ მიზნებთან.

ახალგაზრდობა, როგორც „დეკორაცია" - ახალგაზრდებს იწვევენ ღონისძიებებზე დასასწრებად ან აქციებში მონაწილეობის მისაღებად ისე, რომ მათ შეიძლება წარმოდგენა არ ჰქონდეთ აღნიშნული აქტივობების მიზანზე ან მოკლებულნი იყვნენ მთავარი მიზნის მიღწევაში საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობას.

ახალგაზრდობა, როგორც „სიმბოლო" - ამ შემთხვევაში ახალგაზრდების მონაწილეობა მართალია იგეგმება, მაგრამ ცუდად არის მოფიქრებული. მაგალითად, ახალგაზრდები შეიძლება მოიწვიონ დამკვირვებლების სახით ან რამდენიმე მათგანი შეიძლება კომისიის შემადგენლობაშიც კი შეიყვანონ. საბოლოო ჯამში, ეს ახალგაზრდები ვერ ახერხებენ სრულყოფილი მონაწილეობის მიღებას ღონისძიებაში. ჩანაფიქრს მხოლოდ ახალგაზრდების მონაწილეობის „შთაბეჭდილების შექმნა" წარმოადგენს.

[102] სიმფსონი, "The Missing Peace," გვ. 12. ანგარიშები ახალგაზრდებთან გამართული დისკუსიების შესახებ ქვეყნების მიხედვით, ყირგიზეთის, პალესტინის, ტუნისის და იემენის ჩათვლით, იხილეთ ვებ-გვერდზე: https://www.youth4peace.info/ProgressStudy/FocusGroupDiscussions. [რუსული] [ინგლისური]
[103] GCSD OSGF 2018 https://osgf.ge/wp-content/uploads/2018/10/radicalization.pdf

ზემოაღნიშნული პირველი სამი საფეხური არ უნდა ჩაითვალოს „მონაწილეობის" ფორმებად, რადგან მითითებულ შემთხვევებში ახალგაზრდებით მანიპულირებენ და ისინი ვერ ვითარდებიან. დანარჩენი საფეხურები მოიცავს შემდეგს:

ახალგაზრდებს ანიჭებენ სათანადო უფლებამოსილებას და აწვდიან ინფორმაციას
ახალგაზრდებს განესაზღვრებათ შესაბამისი როლები ან ეკისრებათ პასუხისმგებლობა, ისინი იაზრებენ ღონისძიებების მიზანს.

ახალგაზრდები გადიან კონსულტაციას და იღებენ ინფორმაციას
ახალგაზრდებს მიეწოდებათ ინფორმაცია და განემარტებათ ის პერსპექტივები, რომლებიც გავლენას ახდენს ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ სხვა დაინტერესებული მხარეები ჯერ კიდევ ჩართულნი არიან პროგრამების შემუშავებასა და სრულ მართვაში.

პროექტებს იწყებენ და მართავენ ახალგაზრდები
ახალგაზრდები გეგმავენ და ასრულებენ თავიანთ საქმიანობას (იმის მიუხედავად, ამ საქმიანობის სამიზნეს წარმოადგენს თუ არა ახალგაზრდობა). ამ პროცესში მათ შესაძლოა დასჭირდეთ ინფორმაცია ან მხარდაჭერა გარეშე დაინტერესებული მხარეებისა და დაწესებულებებისგან.

დაინტერესებული მხარეების მიერ ჩამოყალიბებული და ახალგაზრდებთან გაზიარებული გადაწყვეტილებები
ახალგაზრდები მონაწილეობას იღებენ პროექტის დაწყებისთანავე და შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მის განხორციელებაზე.

ახალგაზრდების მიერ შემუშავებული და დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარებული გადაწყვეტილებები
ახალგაზრდები შეიმუშავებენ და ასრულებენ საკუთარ პროექტებს. ამ პროცესში ისინი რთავენ სხვა დაინტერესებულ პირებსაც და ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებებს. სხვა დაინტერესებულ პირებთან თანასწორუფლებიანი მონაწილეობა უფრო მეტად შთააგონებს ახალგაზრდებს, ვიდრე მხოლოდ ახალგაზრდების ინიციატივითა და ხელმძღვანელობით განხორციელებული პროგრამები.[104]

ამ ნაწილში წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით, თქვენი აზრით, რომელია ახალგაზრდების მონაწილეობის სამი ძირითადი პრინციპი?

შეგიძლიათ თუ არა ზემოაღნიშნულ სქემას ახალგაზრდების მონაწილეობის სხვა დონეებიც დაამატოთ? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რომელი?

მოდით, განვიხილოთ სხვადასხვა დონეზე ახალგაზრდების მონაწილეობის რამდენიმე მაგალითი. აღნიშნული მაგალითები ემსახურება ჩართულობის დონეების განსაზღვრასა და იმის გარკვევას, თუ როგორ შეიძლება გავზარდოთ ან შევცვალოთ ისინი სხვადასხვა ან ახალი საქმიანობით.

პირველ მაგალითში, ლიბანურმა ორგანიზაციამ MARCH[105] გამოიყენა თეატრალური წარმოდგენები ქალაქ ტრიპოლის ორი რაიონის ახალგაზრდა მამაკაცებსა და ქალებთან კომუნიკაციისთვის. ამ რაიონებში მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სასტიკი დაპირისპირება სუნიტებისა და ალავიტების შეიარაღებულ ჯგუფებს შორის. აღსანიშნავია, რომ ორივე რაიონის მოსახლეობა მიემგზავრებოდა სირიაში სხვადასხვა დაპირისპირებული მხარისთვის საბრძოლველად, დაეშისა და ალ-კაიდას ჩათვლით. თუმცა MARCH-მა, თეატრალური წარმოდგენების დახმარებით, შეძლო ყოფილი მებრძოლების უმრავლესობის გადაბირება, მათი ცხოვრებისა და შეხედულებების შეცვლა მოწინააღმდეგე მხარეს მყოფ პირთა შესახებ. ნახეთ შემდეგი მოკლე ვიდეორგოლი MARCH-ის საქმიანობისა და პირველი წარმოდგენის შესახებ. თუ გსურთ ტრიპოლიში მიმდინარე მოვლენების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება, ჯერ ნახეთ მოკლე სიუჟეტი „VICE News"-ის რეპორტაჟიდან მე-4 ვიდეორგოლში, შემდეგ კი უყურეთ მე-5 ვიდეორგოლს თავად წარმოდგენის შესახებ.

[104] ადაპტირებული ლორა ჰინსონის და სხვ. ნაშრომიდან, "Measuring Positive Youth Development Toolkit: A Guide for Implementers of Youth Programs" (ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: YouthPower Learning, Making Cents International, 2016 წ.), გვ. 82-83.
[105] www.marchlebanon.org

ვიდეორგოლი 4:
იარაღით უკანონო მოვაჭრეები ლიბანში

მომზადებულია: VICE News-ის მიერ

ერთწუთიანი ვიდეორგოლი:
https://youtu.be/QGSCZM6yz3M

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/XxumsOQMxLE
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

ვიდეორგოლი 5:
"სიყვარული და ომი სახურავზე" - დოკუმენტური ფილმი (ანონსი)

მომზადებულია: MARCH Lebanon-ის მიერ

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/hZHz1NyuB1o
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

MARCH-ს კომუნიკაცია არ შეუწყვეტია ამ ახალგაზრდებთან წარმოდგენის დასრულების შემდეგაც. მაგალითად, ორგანიზაციამ გაარკვია, რომ ამ ახალგაზრდა მამაკაცებისა და ქალების უმრავლესობას არ ჰქონდა მოქალაქეობა, რადგან მათი დაბადება არ დარეგისტრირებულა. შესაბამისად ისინი ვერ იწყებდნენ სამსახურს, ვერ სარგებლობდნენ სოციალური მომსახურებებით და ვერ იღებდნენ განათლებას. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად MARCH-მა კანონში ცვლილებების მხარდაჭერითა და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით გადაწყვიტა გაეხსნა კაფე, სადაც ეს ახალგაზრდები შეძლებდნენ მუშაობას. კაფე გაიხსნა ტრიპოლიში, სირიის ქუჩაზე, დაპირისპირებული ჯგუფების ყოფილ ფრონტზე. ჩანაფიქრის მიხედვით, კაფე უნდა ქცეულიყო ორივე რეიონის ახალგაზრდებს შორის ურთიერთობის ახალი მოდელის გავრცელების ადგილად.[106] ნახეთ მე-6 ვიდეორგოლი კაფის გახსნის და წინა პროექტზე დაყრდნობით მისი იდეის შექმნის შესახებ:

ვიდეორგოლი 6: კულტურული კაფე 'Qahwetna' (ანონსი)

მომზადებულია: MARCH Lebanon-ის მიერ

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/jpD_-Xr1VeA
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

სადისკუსიო შეკითხვები:

1. დაუბრუნდით ახალგაზრდების მონაწილეობის ეტაპებს 86 გვერდზე. თქვენი აზრით, რა დონეზე მონაწილეობდა ახალგაზრდობა წარმოდგენაში? საკმარისი იყო თუ არა? ახსენით, დადებითი ან უარყოფითი პასუხის მიზეზი.

2. რა მოხდა შემდეგ? თქვენი აზრით, როგორი იყო ახალგაზრდების მონაწილეობის დონე, როდესაც მათ შეძლეს კაფის ამუშავება? რა სახის ზომებს მიმართეს ურთიერთობების პოპულარიზაციისთვის? როგორ შეიცვალა მათი მონაწილეობის დონე?

3. როგორ ფიქრობთ, რა მეთოდებს მიმართა ორგანიზაციამ პროექტის გავლენის გასაფართოებლად და წარმოდგენის მონაწილეებსა და კაფეში მომუშავე პირების გარდა სხვა ადამიანებთან კომუნიკაციისთვის?

4. დაფიქრდით იმ კონფლიქტებზე, რომლებმაც გააღვივა შუღლი და ძალადობა ზემოაღნიშნულ ორ რაიონს შორის. რატომ ჩათვალა ორგანიზაციამ კონკრეტულად ამ კუთხით მუშაობა მნიშვნელოვნად? რა კავშირშია ეს ყოველივე თქვენს გარემოსთან?

ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს მონაწილეობის დონეები დროთა განმავლობაში. აღნიშნული მაგალითი ასევე განსაზღვრავს ახალგაზრდების მონაწილეობის მიმართ არსებულ ბარიერებს და მათი გადალახვის მეთოდებს, ახალგაზრდების უფლებებისა და შესაძლებლობების გაზრდის მიზნით. ამით ჩვენ შევძლებთ შევცვალოთ არა მხოლოდ ჩართული ახალგაზრდების ცხოვრება, არამედ საზოგადოების დანარჩენი წევრების მხრიდან მათი აღქმა.

[106] მოგვიანებით კაფე გადაიტანეს იმავე ქუჩაზე უფრო დიდ ფართში, რომელიც მოიცავდა სოციალურ სივრცეს, მრავალფუნქციური დანიშნულების ოთახს და ხმის ჩამწერ სტუდიასაც კი: https://youtu.be/0UR4eRqLs6c.

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) პროექტის ფარგლებში გამოყოფილი ქვეგრანტის მიმღებმა - ახალგაზრდულმა რესურს-ცენტრმა გარკვეულწილად მსგავს მეთოდს მიმართა გურიის რეგიონში. ფორუმ-თეატრი წარმოადგენს ინტერაქტიული თეატრის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც 1970-იანი წლების დასაწყისში აუგუსტო ბოალმა შექმნა შერეული კულტურული, საგანმანათლებლო და სოციალური წარმომავლობის მქონე აუდიტორიისთვის სენსიტიურ თემებზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ინფორმაციისა და გზავნილების მიწოდების გზით ხდებოდა აუდიტორიის წახალისება, რათა ეთანამშრომლათ და სიღრმისეულად განეხილათ სპექტაკლით გადმოცემულ მთავარ პრობლემასთან გამკლავების სხვადასხვა ვარიანტი. ამ მეთოდს ხშირად მიმართავდნენ უუფლებო ჯგუფები. წარმოდგენის დროს პროტაგონისტი დგება დილემის ან პრობლემის წინაშე - იმ პრობლემის, რომელიც განსაკუთრებით მწვავეა დამსწრე აუდიტორიისთვის. წარმოდგენის დასრულების შემდეგ, აუდიტორიის წევრებს მოიხმობენ სცენაზე, რათა წარმოადგინონ საკუთარი შეხედულებები იმის თაობაზე, თუ როგორ შეეძლო პერსონაჟს არსებული პრობლემის მოგვარება. გურიის ახალგაზრდულმა რესურს-ცენტრმა რელიგიური შემწყნარებლობის, რელიგიათაშორისი და კულტურათაშორისი თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების შესახებ გზავნილების მიწოდების მიზნით სწორედ ამ მეთოდს მიმართა. იგივე პროექტის ფარგლებში განსხვავებული მიდგომა აირჩიეს აჭარის რეგიონში, სადაც გრანტის მიმღებმა ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ - „მწვანე სექტორი" გადაწყვიტა ფილმის სეანსების გაშვება. „მწვანე სექტორმა" განახორციელა პროექტი „კინო-პლატფორმა - სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის". „მწვანე სექტორი" მიზანს წარმოადგენდა აჭარაში სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფში გაწევრიანებული ახალგაზრდების ინტეგრაციის მხარდაჭერა, მულტიკულტურული იდეების გაზიარება და პოპულარიზაცია ფილმების საშუალებით. ყოველი სეანსის ბოლოს იმართებოდა საჯარო დისკუსიები, რაც თავდაპირველი შეხედულებების შეცვლის საშუალებას იძლეოდა.

მეორე მაგალითში, შემდეგი ვიდეორგოლი მოგვითხრობს მაროკოელი ახალგაზრდა ქალის - ფატიმა ბენუგაზის ისტორიას. ფატიმას მიერ ახალგაზრდული ჯგუფების ლიდერთა საბჭოს ფარგლებში ნაკისრი მოვალეობები პროექტის თავდაპირველ მიზნებს გასცდა. შედეგად ფატიმა გახდა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში ადგილობრივი ლიდერი. პირველად ფატიმა ამ საქმიანობაში დეპრესიის დროს ჩაერთო, როდესაც ის იძულებული გახდა, მიეტოვებინა სამედიცინო სასწავლებელი ამ რაიონში ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების მხრიდან შექმნილი საშიშროების გამო. ახლა ფატიმა უკვე თავისი თემის ახალგაზრდა ლიდერია, ის ეხმარება ახალგაზრდებსა და ადგილობრივ ლიდერებს შორის თანამშრომლობას და ცდილობს ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ ახალგაზრდების მედეგობის განმტკიცებას. 2017 წელს არასამთავრობო ორგანიზაციამ „Search for Common Ground Award" ფატიმას გაწეული ძალისხმევისთვის გადასცა ჯილდო - „Search for Common Ground Award". ჯილდოს მიღების შემდეგ, ფატიმამ გაგვიზიარა, თუ როგორ შეცვალა ამ საქმიანობამ მისი ცხოვრება:

> „ამ ახალი მისიის წყალობით, მე ახალ და განსხვავებულ მკურნალად ვიქეცი. მე ხალხს ვთავაზობ პროფილაქტიკურ დახმარებას და ვცდილობ, ვიხსნა იმ ადამიანების სიცოცხლე, რომლებიც იტანჯებიან არა ავადმყოფობისგან, არამედ გადაჭარბებული ძალადობისგან, იმყოფებიან ძალიან სასოწარკვეთილ, გამწარებულ ან შეშინებულ მდგომარეობაში, არ ძალუძთ ნაყოფიერი მიზნის დასახვა და აზრთა სხვადასხვაობის აღმოფხვრა კომპრომისის გზით. რა თქმა უნდა, მე არ ვარ ექიმი და არ მგონია, ოდესმე გავხდე, მაგრამ მე აღვადგენ, ვაჯანსაღებ და ვაშენებ ისეთ საზოგადოებას, რომელიც მედეგი იქნება შეუწყნარებლობის შხამის მიმართ."[107]

[107] ნახეთ ფატიმას სრული გამოსვლა ბმულზე: https://youtu.be/auule1tUMuc. [ინგლისური]

ნახეთ შემდეგი ვიდეორგოლი ფატიმას გამოცდილებისა და მიდგომის შესახებ:

ვიდეორგოლი 7: ფატიმა მტკიცე პოზიციას იჭერს: ახალგაზრდა მაროკოელი ქალის მოგზაურობა ძალადობრივი ექსტრემიზმის შეჩერების გზაზე

მოგზადებულია: Search for Common Ground-ის მიერ

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/fVn7XhrlUeQ
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

სადისკუსიო შეკითხვები:

1. დაუბრუნდით ახალგაზრდების მონაწილეობის ეტაპებს 86 გვერდზე. თქვენი აზრით, რა დონეზე მონაწილეობდა ფატიმა დასაწყისში? როგორ შეიცვალა მონაწილეობის დონე დროთა განმავლობაში?

2. თქვენი აზრით, რა სახის დაბრკოლებები შეექმნა ფატიმას მონაწილეობის პროცესში? შეძლო თუ არა მათი გადალახვა? დადებითი პასუხის შემთხვევაში, როგორ? არსებობს თუ არა მსგავსი დაბრკოლებები თქვენს გარემოში?

3. ვისთან ერთად მუშაობდა ფატიმა? შეეცადეთ, ჩამოთვალოთ შეძლებისდაგვარად მეტი მხარე. თქვენი აზრით, რა გავლენა იქონია ამ თანამშრომლობამ ფატიმას პროექტებზე? რას გვეუბნება ეს საზოგადოების მედეგობის შესახებ?

4.4. რომელია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში ახალგაზრდების ჩართულობის შემაფერხებელი დაბრკოლებები?

სამწუხაროდ, მხოლოდ შესაძლებლობების შექმნა არაა საკმარისი ახალგაზრდების ჩართულობისა და ხელმძღვანელობის გასაზრდელად. მონაწილეობის დონე დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომლებიც ხელს უწყობს მასშტაბური ჩართულობისათვის საჭირო პირობების შექმნას. „ახალგაზრდობის პოზიტიური განვითარების" სტრუქტურის ადაპტირებით, ჩვენ შეგვიძლია, პირველ რიგში, შევეცადოთ ახალგაზრდების ჩართულობისა და ხელმძღვანელობის მიმართ არსებული დაბრკოლებების იდენტიფიცირებას, ასევე ახალგაზრდების ჩართულობის მიმდინარე დონეებისა და ფორმების განსაზღვრას. ეს სტრუქტურა სხვა ახალგაზრდული მიდგომებისგან იმით განსხვავდება, რომ იგი უარყოფს სტერეოტიპებს, რომლებიც ჯეროვნად ვერ აფასებს ახალგაზრდების შესაძლებლობებს და ხაზს უსვამს მათ ნაკლოვანებებსა და ქცევითი „შეცდომებს". ამის ნაცვლად, მოცემული სტრუქტურა განსაზღვრავს ოთხი ფაქტორის შემუშავების აუცილებლობას, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჯანსაღ და სრულფასოვან განვითარებას და ჩართულობას:

აქტივები: ეს ფაქტორი ითვალისწინებს არა მხოლოდ პერსონალურ აქტივებს, რომლებსაც ფლობენ ახალგაზრდები (მაგალითად, კომუნიკაციის უნარი, განათლება, თვითკონტროლი, კრიტიკული აზროვნება), არამედ აგრეთვე მოწყვლად და/ან უკვე რადიკალურად განწყობილ თანატოლებთან ნდობაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. აქტივები ასევე მოიცავს მათ ფინანსურ და ფიზიკურ რესურსებს, რაც ამარტივებს მათთან ურთიერთობას. აქ იგულისხმება ტექნოლოგიები, საკმარისი თავისუფალი დრო, ტრანსპორტირება და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს შეზღუდული შესაძლებლობების საკითხი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს შესაძლოა არ მიეცეთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებასა და სხვა მსგავს ინიციატივებში მონაწილეობის საშუალება, რაც დამატებით ხელს უწყობს საზოგადოებიდან მათ გარიყვას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გავაცნობიეროთ ეს ფაქტორები და განვიხილოთ ამ პროცესში ახალგაზრდების ჩართვის, ასევე მათი უფლებამოსილების არეალი გაფართოების დამატებითი ვარიანტები.[108]

არჩევანის თავისუფლება. აქვთ თუ არა ახალგაზრდებს (და თვლიან თუ არა თავად, რომ აქვთ) თავიანთი აქტივებით სარგებლობის შესაძლებლობა? ცდილობენ თუ არა თავიანთი ცხოვრების კონტროლს და დასახული მიზნების მიღწევას? სხვა დაინტერესებულ მხარეებსა და დაწესებულებებთან ურთიერთობისას, ეძლევათ თუ არა ახალგაზრდებს არჩევანის თავისუფლება საკუთარი მიზნების მისაღწევად საჭირო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში?

ხელშეწყობა. ეს ფაქტორი ითვალისწინებს ჩართულობის სპეციფიკურ შესაძლებლობებს. ხელშეწყობა შეიძლება დაიყოს რამდენიმე აქტივობად. მაგალითად, საკუთარი წვლილი შექავთ თუ არა ახალგაზრდებს შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებაში? ატარებენ თუ არა კვლევებს ან უბრალოდ მონაწილეობენ თუ არა მათში? ასრულებენ თუ არა ღონისძიებებს? თავიანთი წვლილი შეაქვთ თუ არა ღონისძიებების მონიტორინგსა და შეფასებაში?

ხელსაყრელი გარემო. ერთ-ერთ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი განმარტების მიხედვით, ხელსაყრელი გარემო უზრუნველყოფს ახალგაზრდების წახალისებას და აღიარებას, ამავდროულად ხელს უწყობს მათი სოციალური და ემოციური უნარების განვითარებას. ტერმინი 'გარემო' მოცემულ ტექსტში ფართო მნიშვნელობით გამოიყენება და გულისხმობს: სოციალურ გარემოს (მაგალითად, ურთიერთობა თანატოლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან), ნორმატიულ გარემოს (მაგალითად, დამოკიდებულებები, ნორმები და რწმენა), სტრუქტურულ გარემოს (მაგალითად, კანონები, პოლიტიკა, პროგრამებული სერვისები და სისტემები) და ფიზიკურ გარემოს (მაგალითად, უსაფრთხო, ხელსაყრელი სივრცეები). [109]

მიუთითეთ ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა დაჩრდილონ ახალგაზრდების ნიჭი ან პოტენციალი, გაართულონ მათი მონაწილეობა ან ჩართულობა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში. ამ პოტენციური დაბრკოლებების დასაძლევად რა გზების მოძიება შეგიძლიათ?

[108] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების მოზიდვასთან დაკავშირებით უფრო დეტალური შემოთავაზებებისთვის იხილეთ პრელისი და სხვ, „Mapping Youth Leaders for Peacebuilding".
[109] ჰინსონი და სხვ., „Measuring Positive Youth Development Toolkit", გვ. 22. ეს სტრუქტურა ადაპტირებულია აღნიშნული სახელმძღვანელოდან.

ამ ფაქტორის გასააზრებლად მიზანშეწონილია შემდეგი შეკითხვების დასმა: ხელმისაწვდომია თუ არა ახალგაზრდებისთვის უსაფრთხო სივრცეები, სადაც ისინი ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ აზრებსა და პრობლემებს? ეპყრობიან თუ არა მთავრობა ან სამართალდამცავი ორგანოები ახალგაზრდების მობილიზაციას უნდობლობით? აძლევს თუ არა სახელმწიფო კანონმდებლობა ახალგაზრდებს ოფიციალური ახალგაზრდული ორგანიზაციები ჩამოყალიბების შესაძლებლობას? აღიქვამენ თუ არა თემები ან მათი ლიდერები ახალგაზრდობას, როგორც პოტენციურ პარტნიორებს ცვლილებების განხორციელების ღონისძიებებში?

მითითებული ფაქტორების სიღრმისეული ანალიზი დაგვეხმარება ჩვენს გარემოში ახალგაზრდების მონაწილეობის მიმართ არსებული პოტენციური ბარიერების განსაზღვრაში. მოდით, დავუბრუნდეთ ლიბანს და განვიხილოთ ტრიპოლის ახალგაზრდებთან ერთად ორგანიზაცია MARCH-ის მიერ შესრულებული შესანიშნავი სამუშაოების კიდევ ერთი მაგალითი. შემდეგ ვიდეორგოლში ნახავთ, თუ როგორ შეაფასა ორგანიზაციამ ამ ფაქტორების უმრავლესობა ახალგაზრდებთან ერთად. ორგანიზაციამ მიმართა შესაბამის ზომებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაეფართოებინა აქტივები, არჩევანის თავისუფლება, მხარდაჭერა და ხელსაყრელი გარემო ამ ახალგაზრდებისთვის, რომელთა უმრავლესობა (მეტწილად მამაკაცები) ყოფილ მებრძოლებს წარმოადგენდნენ. აღნიშნული პროექტი ეფუძნებოდა გლობალურ მიდგომას და მოიცავდა რისკ-ჯგუფებში მყოფ, 200-ზე მეტ ახალგაზრდა მამაკაცსა და ქალს ორი რაიონიდან, რომლებიც მოცემული მომენტისთვის კვლავ ჩართულნი იყვნენ შეტაკებებში. ახალგაზრდა მამაკაცებს შეასწავლეს მშენებლობის საფუძვლები, ხოლო ქალებს - გრაფიკული დიზაინი. მათ გადაუხადეს გასამრჯელო ძველი ფრონტის ქუჩებში დაბომბვისა და აფეთქებების შედეგად დაზიანებული მაღაზიების აღდგენისთვის. მათ ასევე მოეთხოვებოდათ კაფეში ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში მონაწილეობა, მათ შორის გუნდური ფორმატის სადილებში, სტრესის მართვისა და ცხოვრებისეული უნარების განვითარების ტრენინგებში, სპორტულ ღონისძიებებსა და ენის კურსებში. აღნიშნული შესაძლებლობები მათ დაეხმარა ურთიერთობების დამყარებასა და კონფლიქტების მოგვარებაში, პერსონალური უნარ-ჩვევების განვითარებასა და ერთმანეთთან დაახლოვებაში.

ვიდეორგოლი 8: გაიცანით ბელ ალ-დაჰაბის (ოქროს კარის) მაცხოვრებლები



მომზადებულია: MARCH Lebanon-ის მიერ

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/4_xHIJ5DkT0
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

სადისკუსიო შეკითხვები:

1. დაუბრუნდით „ახალგაზრდობის პოზიტიური განვითარების" სტრუქტურას. რა სახის შეზღუდვების ან ბარიერების წინაშე დგანან ახალგაზრდები აქტივების, არჩევანის თავისუფლების, ხელშეწყობის და ხელსაყრელი გარემოს თვალსაზრისით?

2. რა მეთოდები შეიმუშავეს მოცემული პროექტის ფარგლებში ზემოაღნიშნული შეზღუდვების ან ბარიერების აღმოსაფხვრელად? როგორ შეუწყობს ეს ხელს ახალგაზრდების მედეგობას ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ?

4.5. რა პოტენციური რისკები ახლავს თან ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში ახალგაზრდების ჩართულობას?

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში ახალგაზრდების მონაწილეობას შეიძლება თან ახლდეს გარკვეული რისკები ან ელემენტები, რომლებსაც აუცილებლად უნდა მივაქციოთ სათანადო ყურადღება. ისინი გამომდინარეობს შეზღუდული შეხედულებებიდან. მაგალითად, სამთავრობო უწყებები (როგორიცაა სამართალდამცავი ან ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოები) ან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები შეიძლება არ ფლობდნენ საჭირო ინსტრუმენტებს ან არ გააჩნდეთ სათანადო მოქნილობა იმისათვის, რომ გააცნობიერონ თავიანთ რეგიონში არსებული ახალგაზრდული დინამიკა. ისინი შეიძლება ახალგაზრდებს აღიქვამდნენ, როგორც წესრიგის დამრღვევებს, ან ახალგაზრდების მოზიდვის შემდეგ, არ მისცენ მათ თანასწორი ხმის უფლება და არ ჩართონ დისკუსიებში. ზოგიერთმა დაინტერესებულმა მხარემ შესაძლოა უბრალოდ ისაუბროს ახალგაზრდების სახელით ნაცვლად იმისა, რომ თავად ახალგაზრდებს მისცეს აზრის გამოთქმის უფლება.

მეორეს მხრივ, ახალგაზრდები შეიძლება არ აღმოჩნდნენ მზად მონაწილეობისთვის, მაგალითად, ისინი შეიძლება არ იცნობდნენ საჯარო ღონისძიებების ოფიციალურ და ბიუროკრატიულ ასპექტებს ან ვერ აცნობიერებდნენ იმ ადამიანთა როლებს, რომლებთანაც ურთიერთობენ. ახალგაზრდებს შესაძლოა ეშინოდეთ, რომ ამგვარი მონაწილეობა აიძულებს მათ გაიზიარონ (ან შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ გაიზიარეს) მთავრობის ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გეგმები, რომლებიც შეიძლება მათ მისწრაფებებს ეწინააღმდეგებოდეს.

და ბოლოს, არსებობს საფრთხე, რომ ორივე მხარეს აღმოჩნდებიან დესტრუქციული ძალები, რომლებიც შეეცდებიან ამ ურთიერთობების შედეგად მოპოვებული ინფორმაციით სარგებლობას, რაც საბოლოოდ ზიანს მიაყენებს მეორე მხარეს (მაგალითად, ინფორმაცია აღმოჩნდება ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების ხელში ან გამოიწვევს დაპატიმრებების სერიას ახალგაზრდების მიერ მოწოდებული კონფიდენციალური ინფორმაციის საფუძველზე, ეს კი რისკის წინაშე დააყენებს დაინტერესებულ ახალგაზრდობას). სავარაუდოდ, ყველაზე გავრცელებულ რისკს წარმოადგენს მონაწილეობითა და ინფორმაციის გაცვლით ძალისმიერი მეთოდების გამართლება და თანამშრომლობის მეთოდების უგულვებელყოფა. აუცილებელია სათანადო სიფრთხილის ზომების დაცვა იმისათვის, რომ აღნიშნულმა რისკებმა არ გამოიწვიოს ზიანი.

4.6. შეჯამება

ამ მოდულში განხილულია საერთაშორისო ცნობადობის დოკუმენტები, რომლებიც განმარტავენ ახალგაზრდებში ინვესტირების და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისადმი მიძღვნილი პროექტების ან პროგრამების სრულ ციკლში მათი, როგორც მონაწილეების, პარტნიორებისა და ლიდერების სახით ჩართვის სარგებელს. მოდული გვთავაზობს უამრავ ინსტრუმენტს კონკრეტულ ღონისძიებებში ახალგაზრდების მონაწილეობის შესაფასებლად. ის ხელს უწყობს ახალგაზრდების მონაწილეობით ჩატარებული ღონისძიებებისა და კვლევების გამოყენებას. ქვემოთ წარმოდგენილია ამ მოდულის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები:

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებები არ იქნება ეფექტიანი ახალგაზრდა მამაკაცებისა და ქალების საჭიროებების გათვალისწინების გარეშე.

ძალადობრივი ექსტრემიზმი იზიდავს ახალგაზრდა მამაკაცებსა და ქალებს, რადგან, მათი აზრით, ამ გზით შესაძლებელია მათი ინდივიდუალური მოთხოვნების დაკმაყოფილება. შესაბამისად, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებები არ იქნება სრულყოფილად ეფექტიანი, თუ განხორციელდება ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინების გარეშე. ახალგაზრდები განსაკუთრებულად წარმოადგენენ ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების სამიზნეს. ეს ჯგუფები მათ მოთხოვნების დაკმაყოფილებას ჰპირდებიან. ახალგაზრდა ლიდერები ყველაზე უკეთ გაიაზრებენ თავიანთი თანატოლების საჭიროებებს.

იმისათვის, რომ ახალგაზრდები და მათი ლიდერები სრულყოფილ პარტნიორებად ან ლიდერებად იქცნენ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების საქმიანობაში, ისინი უნდა სარგებლობდნენ პატივისცემით, ღირსებით და არჩევანის თავისუფლებით.

ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც აუცილებელია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობისა და ხელმძღვანელობისთვის, მდგომარეობს მათ თანასწორუფლებიან მოპყრობაში, მათი ღირსების პატივისცემასა და არჩევანის თავისუფლებაში.

ახალგაზრდები აქტიურად უნდა ჩაერთონ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ყველა დონეზე მნიშვნელოვანი, სანდო პარტნიორებისა და ლიდერების სახით.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში ახალგაზრდებისთვის ხელმძღვანელობის შესაძლებლობების მიცემამ, ადგილობრივი ინიციატივების, პროგრამულ და პოლიტიკურ დონეზე, შეიძლება გაზარდოს პროგრამებისა და პოლიტიკის ეფექტიანობა და წარმატება. ახალგაზრდები გვთავაზობენ უნიკალურ პერსპექტივებს, რომლებმაც შესაძლოა გამოავლიონ ძალადობრივი ექსტრემიზმის ბუნება და მამოძრავებელი ფაქტორები კონკრეტულ გარემოში.

ახალგაზრდები უკვე ჩართულნი არიან ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში, აუცილებელია მათ მიერ გაწეული ძალისხმევის აღნიშვნა და მათი წარმატებული ქმედებების წახალისება.

თუ ახალგაზრდები უკვე ჩართულნი არიან ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში - დაწყებული კონფლიქტების პრევენციით და დასრულებული დე-რადიკალიზაციითა და ჩამოშორებით - პრაქტიკოსმა სპეციალისტებმა უნდა აღრიცხონ ეს აქტივობები ახალგაზრდებთან სრული თანამშრომლობით იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაამყარონ მიღწეული წარმატება.

ახალგაზრდები ხშირად ორგანიზებულნი არიან და მოქმედებენ განსხვავებულად, ეს გარკვეული სირთულეებს უქმნის როგორც თანამშრომლობას, ასევე ეფექტიანი პროგრამების შემუშავებას.

ახალგაზრდების და ახალგაზრდული ორგანიზაციების ქმედებები შეიძლება განსხვავდებოდეს ტრადიციული ან უწყებრივი ქმედებებისგან. ასევე აღსანიშნავია ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელი უნიკალური ძლიერი მხარეები და პრობლემები. მიუხედავად ამისა, ორგანიზების ეს უნიკალური ფორმები ხელს უწყობენ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების ახლებურად შემუშავებას და არაპრივილეგირებულ და თუნდაც რადიკალურად განწყობილ ახალგაზრდებთან უკეთესი კომუნიკაციის დამყარებას.

ახალგაზრდების ჩართულობის დონე იზრდება, რადგან ახალგაზრდებს ეძლევათ მეტი უფლებამოსილება პროგრამების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

მონაწილეობის დონე პიკს აღწევს მას შემდეგ, რაც ახალგაზრდები იწყებენ პროგრამების განხორციელებას, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეები ჩაერთვებიან პარტნიორებად. ეს ახალგაზრდებს ხელმძღვანელობის შესაძლებლობას აძლევს. ახალგაზრდული ინიციატივების გამოყენება უნდა მოხდეს ორიენტირის სახით.

4.7. სწავლის დამატებითი შესაძლებლობები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 2250-ე რეზოლუცია ახალგაზრდობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხების შესახებ [რუსული] [ინგლისური]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 2250-ე რეზოლუცია ახალგაზრდობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხების შესახებ [რუსული] [ინგლისური]

ახალგაზრდული სტრატეგია, 2014-2017 წწ.: ძლიერი ახალგაზრდობა, მდგრადი მომავალი (გაეროს განვითარების პროგრამა - UNDP [რუსული] [ინგლისური]

სტრატეგიის მოკლე მიმოხილვაში ნათქვამია: „თუ ახალგაზრდა მამაკაცები და ქალები კარგად იცნობენ მათ უფლებებს, მათ შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო საზოგადოებაში, საჯარო სამსახურსა და პოლიტიკურ პროცესებში ყველა დონეზე". თუმცა ამ მოდულის თანახმად, ახალგაზრდობის მონაწილეობა უფრო ფართო მნიშვნელობის ცნებაა, ვიდრე მხოლოდ ცნობიერების დონის ამაღლება: ახალგაზრდები აღმოჩნდებიან რეალური დაბრკოლებების წინაშე, რაც აფერხებს ან ხელს უშლის მათ სრულყოფილ მონაწილეობას სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანასწორუფლებიან პირობებში. რომელი დაბრკოლება გამოიკვეთა სტრატეგიაში? განსაზღვრეთ თქვენს გარემოში არსებული სხვა დაბრკოლებები.

„Enhancing Youth Political Participation throughout the Electoral Cycle", ანა ლურმანი (გაეროს განვითარების პროგრამა - UNDP) [რუსული] [ინგლისური]

გაეცანით ახალგაზრდების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის მოწინავე პრაქტიკას. როგორ შეიძლება მოწინავე პრაქტიკის გამოყენება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების და ახალგაზრდობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების უფრო ვრცელი დღის წესრიგის შემუშავებისთვის? გადახედეთ დანართით გათვალისწინებული ინიციატივების მაგალითებს, შეგიძლიათ დაიწყოთ თქვენი რეგიონის ინიციატივით. გააანალიზეთ, რამდენად წარმატებით მოიზიდეს ამ ინიციატივებმა ახალგაზრდები ლიდერების სახით. ამ პროექტებში წარმოდგენილნი იყვნენ თუ არა ახალგაზრდა ბენეფიციარები, პარტნიორები ან ლიდერები?

გთხოვთ, კარგად გაეცნოთ ამ დოკუმენტს. ის შეიცავს უამრავ რესურსს, მათ შორის საერთაშორისო კონვენციებს, ვებ-გვერდებსა და ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩამონათვალსაც კი!

რეკომენდებული ლიტერატურა

„Guide to the Development of Local Level Youth Action Plans" (გაეროს განვითარების პროგრამა - UNDP) [რუსული] [ყირგიზული]

„ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ მოწყვლადობა საქართველოს ახალგაზრდებში" (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტური), 2017 წ. [ინგლისური]

„Youth-Led Research: Guidance Note Supporting the Design and Implementation of Youth-Led Research Projects", ქეთლინ ქელი და სხვ., (Search for Common Ground) [ინგლისური]

„Youth-Led Research: Toolkit Listening and Learning Toolkit", ლაქშითჰა საჯი პრელისი და ჰელენ დელომესი (Search for Common Ground) [ინგლისური]

„Youth-Led Research: Two-Pager" (Search for Common Ground) [ინგლისური]

ახალგაზრდებს შორის ძალადობრივი რადიკალიზაციის თავიდან აცილებისა და მასთან გამკლავების მიმართ ინტეგრირებულ და დარგთაშორის მიდგომაში ახალგაზრდული სექტორის როლის შესახებ დასკვნების პროექტი (ევროკავშირის საბჭო) [ინგლისური]

„Countering Violent Extremism: A Guide for Young People by Young People" (კოფი ანანის ფონდი) [ინგლისური]

„Youth Action Agenda to Prevent Violent Extremism and Promote Peace" (ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ გლობალური ახალგაზრდული სამიტი) [ინგლისური]

„Young People's Participation in Peacebuilding: A Practice Note", ჯეიმს როგანი და სხვ. (ახალგაზრდობის განვითარების საკითხებზე გაეროს უწყებათაშორისი ქსელი - IANYD) [ინგლისური]

„Guiding Principles on Young People's Participation in Peacebuilding" (ახალგაზრდობის განვითარების საკითხებზე გაეროს უწყებათაშორისი ქსელი - IANYD) [ინგლისური]

„Guidance for International Youth Engagement in Prevent Violent Extremism and Countering Violent Extremism: Youth Responses to Resolution 2250 and the United Nations Plan of Action to Prevent Violent Extremism", ერინ მარი სოლთმანი და ჯას ქირთი (სტრატეგიული დიალოგის ინსტიტუტი - ISD) [ინგლისური]

„Promising Practices in Engaging Youth in Peace and Security and Preventing or Countering Violent Extremism: Summary of Key Interventions and Examples" (ორგანიზაცია „Making Cents International") [ინგლისური]

„Role of Youth in Peace Building via New Media: A Study on Use of New Media by Youth for Peace Building Tasks", სუმიტ ნარულა [ინგლისური]

„Mapping Youth Leaders for Peacebuilding", ლაქშითჰა საჯი პრელისი და სხვ. (Search for Common Ground) [ინგლისური]

„The Role of Youth in Preventing and Countering Violent Extremism: Holistic Approaches from Education to De-Radicalization" (თურქეთის საბჭო) [ინგლისური]

„Empowering Youth to Build Peace" (UNESCO) [ინგლისური]

უშიშრობის საბჭოს 2250-ე რეზოლუცია: ანოტაციებთან და განმარტებებთან ერთად (ახალგაზრდა მშვიდობისმყოფელთა ერთიანი ქსელი) [ინგლისური]

„Mapping a Sector: Bridging the Evidence Gap on Youth-Driven Peacebuilding", რაშმი თაფა (ახალგაზრდა მშვიდობისმყოფელთა ერთიანი ქსელი და „Search for Common Ground") [ინგლისური]

„Promising Practices in Engaging Youth in Peace and Security and PVE/CVE: Summary of Key Interventions and Examples", USAID, 2017 წ. [ინგლისური]

გენდერული დინამიკის გააზრება რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის სფეროში და ქალებისა და გოგონების ჩართვა ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში

ეს მოდული შეისწავლის რადიკალიზაციასა და ძალადობრივ ექსტრემიზმზე გენდერული დინამიკის გავლენას. იგი ეხება გენდერული კუთვნილების თემას და გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიყენოთ გენდერულად სენსიტიური მიდგომა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში. მოდული ნათელს ჰფენს ძალადობრივ ექსტრემიზმში ქალებისა და გოგონების ჩართვის შესახებ დამკვიდრებულ მითებს და სტერეოტიპებს, აგრეთვე ხაზს უსვამს კვლევის საჭიროებას გენდერულად სენსიტიური მიდგომის სპეციფიკის გათვალისწინებით. მოდული გვთავაზობს გენდერულ ფაქტორებზე დაფუძნებულ ანალიზს მამაკაცებისა და ქალებისთვის ექსტრემისტული იდეების მიწოდების გზების ან ძალადობრივ ექსტრემიზმში მათი უშუალოდ მონაწილეობის შესახებ. და ბოლოს, ეს მოდული განიხილავს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში ქალებისა და გოგონების ჩართვის მოწინავე პრაქტიკას.

საორიენტაციო შეკითხვები:

5.1. რას ნიშნავს 'გენდერი' და რა კავშირშია ეს ტერმინი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებასთან?

5.2. რომელ გენდერულ ფაქტორებს მიმართავენ ქალებისა და გოგონების ძალადობრივ ექსტრემიზმში ჩასართავად?

5.3. რომელ გენდერულ ფაქტორებს მიმართავენ მამაკაცებისა და ბიჭების ძალადობრივ ექსტრემიზმში ჩასართავად?

5.4. რომელია ქალებისა და გოგონების ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებებში ჩართვისა და მათი მონაწილეობის მხარდაჭერის საუკეთესო გზა?

5.1. რას ნიშნავს 'გენდერი' და რა კავშირშია ეს ტერმინი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებასთან?

ნებისმიერ საზოგადოებაში „ნორმალური" მოქმედებებისა და ქცევის წესების ჩარჩოს ქმნის და ავრცელებს ჩვენივე ურთიერთობები ამ საზოგადოების ფარგლებში. გაიხსენეთ ბავშვობა. როგორი იყო თქვენი პირველი დღე სკოლაში? გეშინოდათ? არ იცოდით, რა გელოდათ? როგორ გაუმკლავდით ამას? არ აქვს მნიშვნელობა - სკოლაში წახვედით, ახალი სამსახური დაიწყეთ თუ სხვა ქვეყანაში გადახვედით საცხოვრებლად - ეს მომენტები ყველას გამოგვიცდია. ასეა გენდერის შემთხვევაშიც. ის ჩვენ უკვე გამოვცადეთ ღრმა ბავშვობაში. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ტერმინს „გენდერი" შემდეგნაირად განმარტავს:

„გენდერი - ქალებისა და მამაკაცების სოციალურად შექმნილი მახასიათებლები - როგორიცაა ქალთა და მამაკაცთა ჯგუფებს შორის დადგენილი ნორმები, როლები და ურთიერთობები. იგი განსხვავდება საზოგადოებების მიხედვით და შეიძლება შეიცვალოს. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანების უმეტესობა იბადება მამრობითი ან მდედრობითი სქესით, მათ ასწავლიან სათანადო ნორმებსა და ქცევებს - მათ შორის, თუ როგორ უნდა იურთიერთონ იგივე ან საპირისპირო სქესის ადამიანებთან ოჯახების, საზოგადოების და სამუშაო ადგილების მასშტაბით."[110]

დაფიქრდით, რატომ ატარებენ ბავშვები სხვადასხვა, „მამაკაცურ" და „ქალურ" ფერებად დაყოფილ სამოსს. ზრდასთან ერთად, ბიჭებს და გოგონებს აძლევენ განსხვავებულ სათამაშოებს და ასწავლიან ქცევის განსხვავებულ წესებს. ამ გზით, ბიჭები და გოგონები სწავლობენ „მამაკაცებად" და „ქალებად" ყოფნას.

გენდერი გენეტიკური სქესისგან განსხვავებული ცნებაა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სქესს დნმ განსაზღვრავს, გენდერი ჩვენი პიროვნების შეძენილი ნაწილია და გარკვეულწილად კულტურას ან რელიგიას წააგავს.[111] აქედან გამომდინარე, მამაკაცების და ქალების სოციალურად მისაღები ან სასურველი ქცევის წესები შეიძლება განსხვავდებოდეს მსოფლიოს სხვადასხვა კულტურისა თუ რეგიონის მიხედვით, მაგალითად:

- მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში, ორ მამაკაც მეგობარს შეუძლია ხელჩაკიდებული სეირნობა და ეს მათი მეგობრობის ნორმალურ გამოხატულებად აღიქმება. თუმცა სხვა რეგიონებში, ასეთი საქციელი შეიძლება „არამამაკაცურად" ჩაითვალოს.
- მსოფლიოს უმეტეს ნაწილში ქალს ხელს სთხოვს მამაკაცი, თუმცა არსებობს ისეთი რეგიონებიც, სადაც ამის გაკეთება ქალსაც შეუძლია (და ზოგიერთ კულტურაში მამაკაცებს არ შეუძლიათ უარის თქმა). ასევე არსებობს რეგიონები, სადაც ქორწინებას ოჯახის სხვა წევრები გეგმავენ.

მისაღები ქცევის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითი ან ის ფასეულობები, რომლებსაც ჩვენ შრომის გარკვეულ ფორმებში ვნერგავთ, ეფუძნება არა სქესთა შორის გენეტიკურ განსხვავებებს, არამედ ძალაუფლების და სტატუსის გადანაწილებას სხვადასხვა კულტურაში და მისაღები ქცევის განსაზღვრას სხვადასხვა როლისთვის. მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ მამაკაცები და ქალები შეიძლება სარგებლობდნენ გარკვეული პრივილეგიებით ან განიცდიდნენ დისკრიმინაციას სხვადასხვა გარემოში. მაგალითები ასევე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, თუ როგორ განსაზღვრავს სხვადასხვა კულტურა შრომის სხვადასხვა ფორმის ფასეულობას. აღნიშნულს გენდერული ნორმები ეწოდება.

[110] „Gender", ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, 2018 წ., http://www.who.int/gender-equity-rights/understanding/gender-definition/en/. [ინგლისური]
[111] მსოფლიოს მასშტაბით გენდერული განსხვავებების მაგალითები იხილეთ ბმულზე: https://www.youtube.com/watch?v=2B3ea7lGwLA. [ინგლისური]

გენდერული ნორმები - კონკრეტული საზოგადოების, კულტურისა და თემის როლები, პასუხისმგებლობები და სტანდარტები, რომლებიც სოციალურად მისაღებია მამაკაცებისა და ქალებისთვის, მათი რეალური ან აღქმული სქესის მიხედვით.

მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მამაკაცებისა და ქალების, ისევე როგორც ბიჭებისა და გოგონების აღქმა ერთმანეთისგან განსხვავდება. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში გენდერის მნიშვნელობის გაცნობიერებამ საშუალება მოგვცა შეგვესწავლა, თუ რამდენად განსხვავებულად აღიქვამენ მამაკაცები და ბიჭები, ასევე ქალები და გოგონები ძალადობრივ ექსტრემიზმს. აღნიშნული მოიცავს მათი რადიკალიზაციის მეთოდების განსხვავებების (ან მსგავსებების) აღმოჩენას, ასევე კონკრეტულ ძალადობრივ ექსტრემისტულ ჯგუფებში გაწევრიანების მიზეზებისა და იმ როლების შესწავლას, რომლებსაც ასრულებენ ადამიანები ამ ჯგუფებში გაწევრიანების ან მხარდაჭერის შემთხვევაში.

ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემის შესწავლის, ასევე ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებების შემუშავების და განხორციელების პროცესში, გენდერის გათვალისწინების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ პროგრამები:

- უფრო ეფექტიანია, რადგან შესაძლებლობა გვაქვს შევქმნათ ჩარევის მექანიზმები, რომლებიც მორგებულია კონკრეტულად იმ დამახასიათებელ მიზეზებზე, რა მიზეზებითაც განსხვავებული ადამიანები მიმართავენ ძალადობრივ ექსტრემიზმს;
- არ უგულვებელყოფს იმ რისკებს, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდნენ ქალები და გოგონები ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების გაზიარებისას;
- ამსხვრევს მამაკაცურობისა და ქალურობის ძალადობრივი ფორმების მიმზიდველობის მითებს, რომლებსაც პროპაგანდას უწევენ ექსტრემისტული ჯგუფები და ცდილობენ, დანერგონ თავიანთი მომხრეებსა და ახალწვეულებში.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ორი მეთოდი არსებობს - „გენდერულად სენსიტიური" ან „გენდერულად ბრმა":

გენდერულად ბრმა - „ყველა პროექტი, ორგანიზაცია, პერსონალი და საქმიანობა, რომლებიც არ აღიარებენ ან უარყოფენ თავიანთი სამუშაოს გენდერულ განზომილებებს და შედეგებს."[112]

გენდერულად სენსიტიური - „პროექტი, ორგანიზაცია ან საქმიანობა, რომელიც შექმნილია, სრულდება ან შეფასებულია ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული როლების, საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინებით."[113] ეს მეთოდი ასევე ითვალისწინებს სათანადო სიფრთხილის გამოჩენას იმისათვის, რომ მამაკაცებმა და ქალებმა შეძლონ ორივე სქესის წარმომადგენლისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მიღება.

„გენდერულად სენსიტიურობის" ცნების შესახებ გავრცელებული მცდარი მოსაზრებით, ის მხოლოდ ქალებს ეხება. რეალურად ეს ცნება ითვალისწინებს როგორც მამაკაცების, ასევე ქალების მოთხოვნებს. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისკენ მიმართულ ძალისხმევებში გენდერული პერსპექტივის ჩართვა ნიშნავს, რომ ჩვენ ვიაზრებთ გენდერული საკითხებისა და ნორმების კავშირს ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემასთან, რასაც გენდერული ანალიზი ეწოდება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია გვთავაზობს შემდეგ განმარტებას:

გენდერული ანალიზი - განსაზღვრავს, აფასებს და ახდენს შესაბამისი მოქმედებების ინფორმირებას იმ უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, რომელიც გამომდინარეობს:

1) განსხვავებული გენდერული ნორმებიდან, როლებიდან და ურთიერთობებიდან;

2) მამაკაცთა და ქალთა ჯგუფებს შორის არათანაბარი ძალაუფლებრივი ურთიერთობებიდან; და

3) შინაარსობრივი ფაქტორების გენდერთან ურთიერთქმედებიდან, როგორიცაა სექსუალური ორიენტაცია, ეთნიკური კუთვნილება, განათლება ან დასაქმების სტატუსი."[114]

[112] კორდულა რეიმანი, „Trainer Manual: Mainstreaming Gender into Peacebuilding Trainings" (საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციების ცენტრი, 2016 წ.), გვ. 60. მინიჭებული აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა.
[113] იქვე, გვ. 61.
[114] "Glossary of Terms and Tools," ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, 2018 წ., http://www.who.int/gender-equity-rights/knowledge/glossary/en/. [ინგლისური]

სწორედ ეს მიდგომებია რეკომენდებული გაეროს უშიშროების საბჭოს 1325-ე რეზოლუციაში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე და 2242-ე რეზოლუციაში, რომელიც ითვალისწინებს გენდერული სენსიტიურობის წახალისებას და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მცდელობების ანალიზს. ეს უკანასკნელი მოუწოდებს გაეროს და წევრ სახელმწიფოებს:

> უზრუნველყონ ქალებისა და ქალთა ორგანიზაციების მონაწილეობა და ხელმძღვანელობა ტერორიზმთან ბრძოლისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სტრატეგიების შემუშავებაში. აღნიშნული სტრატეგიები ხელს შეუწყობს ტერორიზმთან, აგრეთვე ტერორისტული აქტების ჩადენის და კონტრპროპაგანდისტული მასალების მომზადების წინააღმდეგ ბრძოლას, სხვა აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებას, კიდევ უფრო გააძლიერებს ამგვარი ღონისძიებების ეფექტიანად შესრულების შესაძლებლობას, აღმოფხვრის ტერორიზმის, ასევე ტერორიზმის ხელშემწყობი ძალადობრივი ექსტრემიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს და გააფართოებს ქალების, ახალგაზრდული, რელიგიური და კულტურული ჯგუფების ლიდერების უფლებებს. [115]

შემდეგი მოდულები ეძღვნება აღნიშნულ საკითხებს. რა სახით არის წარმოდგენილი გენდერული სენსიტიურობა და ანალიზი პროგრამულ დონეზე? მომდევნო პუნქტებში განვიხილავთ, თუ როგორ იყენებენ ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფები გენდერულ ასპექტებს მამაკაცების და ქალების მოზიდვის და გადაბირების მიზნით. შემდეგ შევაფასებთ, როგორ დავუჭიროთ მხარი ქალებს და ჩავრთოთ ისინი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროცესში.

[115] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 2242-ე რეზოლუცია, S/RES/2242 (13 ოქტომბერი, 2015 წ.), https://undocs.org/S/RES/2242(2015), გვ. 6.

5.1.1. გენდერულად სენსიტიური კვლევა

გენდერული სენსიტიურობა წარმოადგენს ერთ-ერთ მიდგომას ანალიზის მიმართ. ანალიზი გულისხმობს პრობლემის ჯეროვნად გასააზრებლად სწორი შეკითხვების დასმას: კერძოდ, რა სახით ეჯახებიან ქალები, მამაკაცები, გოგონები და ბიჭები ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემას და რამდენად განსხვავებულად შეიძლება განიმსჭვალონ მისი იდეებით. გენდერულად სენსიტიურ კვლევებში ჩართვისას, უბრალოდ შეცვალეთ შეკითხვა - „რატომ იზიდავს ხალხს ძალადობრივი ექსტრემიზმი?" შეკითხვით - „რატომ იზიდავს მამაკაცებს ძალადობრივი ექსტრემიზმი?" და „რატომ იზიდავს ქალებს ძალადობრივი ექსტრემიზმი?" ამ გზით ჩვენ გავაცნობიერებთ, რომ მამაკაცებს და ქალებს (ისევე როგორც გოგონებს და ბიჭებს) შესაძლოა ამოძრავებდეთ საკუთარი მიზეზები ძალადობრივი ექსტრემიზმის მხარდაჭერისას ან მასში მონაწილეობისას.

უფრო ღრმა ანალიზისთვის საჭიროა თქვენს გარემოში არსებული გენდერული ნორმების შესწავლა და ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან ამ ნორმებით მანიპულირების შემთხვევების გამოძიება. მანიპულირების შემთხვევები გულისხმობს „ნამდვილი მამაკაცების" და „ნამდვილი ქალების" იძულებას, გაიზიარონ მათი ნორმები ან შექმნან ახალი, უფრო აგრესიული გენდერული ნორმები ადამიანებში ინტერესის გასაღვივებლად. უშიშროების საბჭოს 2242-ე რეზოლუციის რეკომენდაციით, ჩვენ ასევე უნდა

> "ჩავატაროთ გენდერულად სენსიტიური კვლევები და შევაგროვოთ მონაცემები იმ მამოძრავებელი ფაქტორების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობს ქალთა რადიკალიზაციას, ქალების და ქალთა ორგანიზაციების უფლებებისთვის კონტრტერორისტული სტრატეგიების განხორციელებას, მიზნობრივი და ფაქტობრივი პოლიტიკისა და პროგრამული ზომების შემუშავების მიზნით."[116]

აქედან გამომდინარე, მომდევნო ორი პუნქტი შეისწავლის ქალთა და მამაკაცთა რადიკალიზაციის გენდერულად მამოძრავებელ ფაქტორებს და ითვალისწინებს რეკომენდაციებს თქვენს გარემოში გენდერული ანალიზების ჩატარების თაობაზე.

[116] იქვე, გვ. 7.

5.2. რომელ გენდერულ ფაქტორებს მიმართავენ ქალებისა და გოგონების ძალადობრივ ექსტრემიზმში ჩასართავად?

მკვლევრებს და პოლიტიკოსებს ხშირად მხედველობიდან გამორჩებათ ქალთა და გოგონათა როლები ძალადობრივი ექსტრემიზმის მხარდაჭერაში, გაძლიერებასა და ჩართულობაში. ეს კი წარმოშობს გენდერულად ბრმა მიდგომებს, რომლებიც ქალების და გოგონების როლებს ექსკლუზიურად ტრადიციული გენდერული როლების ჭრილში განიხილავს. ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემა შეიძლება გამწვავდეს იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტულ გარემოში ჩვენს მიერ ჩატარებული მამოძრავებელი ფაქტორების და ძალადობრივი ექსტრემიზმის მახასიათებლების ანალიზები ვრცელდება მხოლოდ სამიზნე თემების 'ელიტურ წრეებზე' (მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებზე, მეცნიერებზე, რელიგიურ წინამძღოლებსა და თემების ლიდერებზე). ამას კი საფუძლად უდევს ის ვარაუდები, რომ ელიტური წრეებისთვის ეს ტენდენციები კარგად ნაცნობია. თუმცა, ვინაიდან ძალადობრივი ექსტრემიზმი ხშირად საზოგადოების არაელიტურ ნაწილში იჩენს თავს, საჭიროა უფრო სიღრმისეული ანალიზი და საზოგადოების ფართო წრეებთან კომუნიკაცია კონკრეტული შინაარსის სრულად გასააზრებლად. ქალები საზოგადოების მხოლოდ იმ ნაწილის მაგალითს წარმოადგენენ, რომლებიც ამ კვლევებში ხშირად რჩებათ მხედველობიდან. გენდერულად სენსიტიურმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალებს ასევე შეუძლიათ ექსტრემისტული შეხედულებების ჩამოყალიბება და, როგორც წესი, მხარს უჭერენ ან ერთვებიან ძალადობრივ ექსტრემიზმში მამაკაცებთან ერთად.

ხშირად იქმნება მცდარი შეხედულება, რომ ქალები ძალადობრივ ექსტრემიზმს მხარს უჭერენ მხოლოდ იძულებით ან ძალადობრივ ექსტრემისტ მამაკაცებთან კავშირის გამო. მაგალითად, ბალკანეთსა და ცენტრალურ აზიაში სადაზვერვო და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა მკვლევარებს განუცხადეს, რომ ქალები, რომლებიც გაწევრიანდნენ დაეშში, იყვნენ ე.წ. „ზომბები". ისინი ბრმად გაჰყვნენ თავიანთ ახლობლებსა თუ ქმრებს ან მოექცნენ მათი ზეგავლენის ქვეშ.[117] ტერმინს - „შავი ქვრივები" ხშირად იყენებენ ჩეჩენი ქალი მებრძოლების და თვითმკვლელი ტერორისტების მიმართ მიუხედავად იმისა, რომ მათი უმრავლესობა საერთოდ არაა მოკლული ექსტრემისტი ქმრის ქვრივი, როგორც ამაზე მათი სახელი მეტყველებს. ძალადობრივ ექსტრემიზმში ქალების მონაწილეობის ინტერპრეტაციისას ადგილი აქვს შეუსაბამობას და გენდერულ დისკრიმინაციას: „როგორც ვარაუდობენ, მამაკაცები ძალადობრივ რადიკალიზმში ერთვებიან პირადი სურვილის გამო, რაც გამოიხატება საზოგადოების შეცვლაში, ხოლო ქალებს სავარაუდოდ ამგვარი არჩევანის თავისუფლება არ გააჩნიათ."[118] იმის მიუხედავად, რომ მუდმივი სენსიტიურობა მნიშვნელოვანია ადამიანის არჩევანის თავისუფლების შეზღუდვისა და იძულებისთვის, გენდერულად სენსიტიური ანალიზი ვერ უარყოფს, რომ ქალებს, მამაკაცებს და ახალგაზრდებს გააჩნიათ საკუთარი მოტივები, დაემორჩილონ ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეებს და შეასრულონ სხვადასხვა, ძალადობრივი და არაძალადობრივი ხასიათის როლი.

მაგალითად, დაეშმა განსაკუთრებით ოსტატურად მოახდინა ტრადიციული გენდერული როლებით მანიპულირება როგორც მამაკაცების, ასევე ქალების მოსაზიდად.[119] მას შემდეგ, რაც დაეშის მიმდევრებმა მიზნად დაისახეს „იდეალური" ისლამური სახელმწიფოს შექმნა, ისინი პოტენციურ მხარდამჭერებს დაპირდნენ მამაკაცების და ქალების თანასწორუფლებიან მონაწილეობას ე.წ. "სახალიფოს" შექმნაში. აღნიშნული გადაბირების კამპანია თავდაპირველად წარმატებით მიმდინარეობდა: მათ მსოფლიოს მასშტაბით ათი ათასობით მამაკაცი და ქალი გადაიბირეს.

თუ დაეშს პრაქტიკული კუთხიდან შევხედავთ, დავინახავთ, რომ მისი წარმატება ამ უპრეცედენტო გადაბირების პროცესში მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. პირველ რიგში, სხვა ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფებისგან განსხვავებით, დაეშმა აღიარა, რომ მას სჭირდება მდედრობითი სქესის ახალწვეულები და მხარდამჭერები და აქტიურად დაიწყო მათი გადაბირება. დაეშმა ასევე განაცხადა, რომ საჭიროა ქალების მოზიდვა მამაკაცებისგან განსხვავებული გზით.

[117] ენ სპეკჰარდი და არდიან შაიკოვჩი, "Beware the Women of ISIS: There Are Many, and They May Be More Dangerous Than the Men," 21 აგვისტო, 2017 წ., https://www.thedailybeast.com/beware-the-women-of-isis-there-are-many-and-they-may-be-more-dangerous-than-the-men. [ინგლისური]
[118] ჩიტრა ნაგარაჯანი, "We Need to Dispel Some Myths about the Relationship between Women and Violent Extremist Movements," Ventures Africa (ბლოგი), 2018 წლის 5 ნოემბრის ვერსია, http://venturesafrica.com/features/women-and-violent-extremist-movements-victims-and-agency/.[ინგლისური]
[119] დაეშის გენდერული გადაბირების სტრატეგიების საფუძვლიანი ანალიზი წარმოადგინეს დალინ ვან ლეუვენმა, დაიან მაზურანამ და რეიჩელ გორდონმა თავიანთ ნაშრომში "Analysing the Recruitment and Use of Foreign Men and Women in ISIL through a Gender Perspective," წიგნში „Foreign Fighters under International Law and Beyond", რედაქტორები: ანდრეა დე გატრი, ფრანჩესკა კაპონე და ქრისტოფ პაულუსენი (T.M.C. Asser Press/Springer Verlag, 2016 წ.), გვ. 97–120.

დაეშში მდედრობითი სქესის წარმომადგენლების მოზიდვის პირველ ხერხს წარმოადგენდა იმ გლობალური პრობლემების აღნიშვნა, რომელთა წინაშეც იდგნენ ქალები თავიანთ ქვეყნებში, ასევე ომის შედეგად დაზარალებული სირიელების გაჭირვებული მდგომარეობის ხაზგასმა. ამგვარი მოწოდებებით „სახალიფოს" ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქალთა ცხოვრებას აღწერდნენ, როგორც სიცოცხლეს თავისუფლებისა და უსაფრთხოების გარეშე. დაეშის მტკიცებით, ეს ქალები ყოველმხრივ იყვნენ შევიწროვებულნი, მათთვის შეუძლებელი იყო ისე „იდეალურად" ცხოვრება, როგორც ცხოვრობენ მუსლიმი ქალები, რომლებიც მისდევენ ისლამს დაეშის ინტერპრეტაციით, ისინი იმყოფებოდნენ პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ, ცხოვრობდნენ სიღარიბეში და იდგნენ სექსუალური ძალადობის საფრთხის წინაშე. ყოველივე ეს, დაეშის რეკრუტერების განცხადებით, არ არსებობდა მათ კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე. სინამდვილეში დაეშმა შექმნა და საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენა განმზიდველი ფაქტორები იმ რაიონებში, რომლებიც მათ კონტროლს არ ექვემდებარებოდა.

მეორე ხერხს წარმოადგენდა დაეშში გაწევრიანების მიმზიდველობის და მხარდაჭერის უზრუნველყოფა. როგორც მე-2 მოდულის მე-3 ვიდეორგოლიდან გვახსოვს, დაეშმა მიიზიდა მდედრობითი სქესის წარმომადგენლები სიმდიდრის, სტაბილური შემოსავლის, ლამაზი ცხოვრების, ასევე დაეშის ახალი სახელმწიფოს მშენებლობაში დედების, ცოლების, მასწავლებლების, ექთნების, რეკრუტერების, პროპაგანდისტებისა და მებრძოლების სახით საქმიანობის დაპირებით. დაეშმა მართლაც საოცარი შესაძლებლობები შესთავაზა იმ ქალებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ მათ იდეებს. აღნიშნულმა „მიმზიდველმა ფაქტორებმა" უამრავი ქალი მოიზიდა შუა აზიიდან. მათი უმრავლესობა დაეშს აღიქვამდა, როგორც საკუთარი ავტონომიის შექმნის და არჩევანის პირადი თავისუფლების შესაძლებლობას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც არსებულმა გარემოებებმა ისინი აიძულა გულხელდაკრეფილნი მსხდარიყვნენ. მაგალითად, იმ ოთხი ქალიდან, რომლებიც სირიაში წასვლას აპირებდნენ ბავშვებთან ერთად, თუმცა ქმრების გარეშე, ერთ-ერთმა მკვლევარს განუცხადა, რომ მათი ქმრები „ეწინააღმდეგებოდნენ რელიგიას, ისლამს. ჩემს მეგობრებს აღარ სურთ მათთან ცხოვრება."[121] მათ ყირგიზეთში საერო ცხოვრებას სირიაში ცხოვრება არჩიეს.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ქალებს საომარ მოქმედებებში ჩართვა ეკრძალებოდათ, დაეში კვლავ განაგრძობდა გადაბირებას იგივე ძალადობრივი მოწოდებებით. დაეში ქალებს მოუწოდებდა ებრძოლათ, როდესაც ეს თავის ინტერესებში შედიოდა. მაგალითად, ახალწვეულთა რიგებში აღმოჩენილ ქორწინების მოწმობებში შემდეგი პირობა იყო შეტანილი: იმ შემთხვევაში, თუ დაეშის ლიდერი „აძლევს ქალს სასიკვდილო დავალებას, ქმარმა არ უნდა აუკრძალოს ამის გაკეთება."[122] როდესაც დაეში აღმოჩნდა ალყაში, მან გააუქმა საომარ მოქმედებებში ქალების მონაწილეობის აკრძალვა (ყოველ შემთხვევაში, ადგილობრივ დონეზე), ხოლო ქალმა მებრძოლებმა და თვითმკვლელმა ტერორისტებმა შეასრულეს მისიები ლიბიაში, მოსულსა და აღმოსავლეთ სირიაში. ზოგიერთი ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფი ქალებს ღიად მოუწოდებდა ბრძოლას საკომუნიკაციო არხების საშუალებით.[123] წარმოდგენილ მაგალითებში ნაჩვენებია ქალთა შორის რადიკალიზაციის ამოცნობისა და წინააღმდეგობის გაწევის პოტენციური შედეგები.

რომელი გენდერული ფაქტორებით იზიდავენ ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფები ქალებს და გოგონებს თქვენს გარემოში?

[120] იხილეთ ჩარლი უინტერი, "Women of the Islamic State: A Manifesto on Women by the Al-Khanssaa Brigade" (ქვილიამის ფონდი, თებერვალი, 2015 წ.).
[121] საერთაშორისო კრიზისული ჯგუფი, "Syria Calling: Radicalisation in Central Asia," ევროპისა და შუა აზიის ბრიფინგი N°72 (ბიშკეკი / ბრიუსელი, 20 იანვარი, 2015 წ.), გვ. 8. [რუსული] [ინგლისური]
[122] ასაად ჰ. ალმოჰამადი და ენ სპეკჰარდი, „The Operational Ranks and Roles of Female ISIS Operatives: From Assassins and Morality Police to Spies and Suicide Bombers" (ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2017 წ.), http://www.icsve.org/research- reports/the-operation-al-ranks-and-roles-of-female-isis-operatives-from-assassins-and-morality-police-to-spies-and-suicide-bombers/, გვ. 3. [ინგლისური]
[123] იხილეთ რიტა კატცი, "How do we know ISIS is losing? Now it's asking women to fight," Washington Post, 2 ნოემბერი, 2017 წ., https://www.washington-post.com/news/posteverything/wp/2017/11/02/how-do-we-know-isis-is-losing-now-its-asking-women-to-fight-for-it/?utm_term=.ba210b6daad8 და ტომ უესტკოტი, "Islamic State deploys female snipers in desperate bid to hold Libya's Sirte," Middle East Eye, 24 სექტემბერი, 2016 წ., http://www.middleeast-eye.net/news/libya-deploying-female-snipers-desperate-bid-hold-sirte-1924056392, ასევე დალია განემ-იაზბეკი, "Sisters in Arms," Carnegie Middle East Center, ოქტომბერი, 2016 წ. http://carnegie-mec.org/diwan/64929. [ინგლისური]

5.3. რომელ გენდერულ ფაქტორებს მიმართავენ მამაკაცებისა და ბიჭების ძალადობრივ ექსტრემიზმში ჩასართავად?

როგორც ქალების შემთხვევაში, დაეში ცდილობს ახალწვეულების გადმობირებას, მამაკაცების მიმართ განსაკუთრებული გენდერული მეთოდებით მოწოდების გზით. ნახეთ მე-9 ვიდეორგოლი, რომელიც მოიცავს ჯგუფური გადაბირების ამსახველ ვიდეოებს. ყურების პროცესში, ყურადღება გაამახვილეთ გენდერის სპეციფიკურ მოტივებზე, რომლითაც დაეში ცდილობს მამაკაცების და ბიჭების მოზიდვას:

ვიდეორგოლი 9: დაეშის ვიდეოები ამაზრზენი, მაგრამ ამავდროულად ეფექტიანია.

მომზადებულია: Vox-ის მიერ

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/18lf1kpBgRk
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

სადისკუსიო შეკითხვები:

1. ვიდეორგოლში ექსპერტი განმარტავს, რომ მამაკაცები და ბიჭები, რომელთა მოზიდვასაც დაეში ცდილობს, არ არიან საკმარისად მიზანსწრაფულნი, არ გააჩნიათ ღირსების ან პატივისცემის გრძნობა. დაფიქრდით თქვენს გარემოზე. როგორ შეიძლება ეს პრობლემები აისახოს მამაკაცებისა და ბიჭების მიერ საკუთარი „მამაკაცურობის" აღქმაზე? როგორ მოახდენს ეს გავლენას ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ მათ მოწყვლადობაზე?

2. როგორ წარმოადგენს ვიდეორგოლი უცხოელ ახალწვეულებს გმირებად? რამდენად მიმზიდველი შეიძლება იყოს ეს ახალგაზრდა მამაკაცებისა და ბიჭებისთვის თქვენს გარემოში?

3. ეს ვიდეორგოლი აერთიანებს სიუჟეტებს სხვადასხვა ვიდეორგოლებიდან, რომლებშიც ნაჩვენებია მებრძოლები მთელი მსოფლიოდან. თქვენი აზრით, რა გენდერული ფაქტორებით ცდილობენ ეს ვიდეორგოლები მამაკაცებითა და ბიჭებით მანიპულირებას თქვენს გარემოში?

დაეში მამაკაცების გადაბირებისას ხშირად მიმართავდა გენდერულად მოტივირებულ ხერხებს. აღნიშნული ფენომენი ნათლად არის გამოხატული დაეშის პროპაგანდისტულ ნარატივებში. ეს მეთოდი მხარს უჭერს 'მამაკაცურობის' გამოხატულების ძალადობრივ ფორმას და ხასიათდება სხვა მამაკაცებსა და ქალებზე დომინირებით. სირიასა და ერაყში დაეშის მებრძოლები ხშირად მოიხსენიებდნენ მათ კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მშვიდობიან მოსახლეობას „უბრალო ხალხის" სახელით. ამ მეთოდის გამოყენებით ჯგუფმა მიმართა დასავლეთის ქვეყნებში მცხოვრებ მუსლიმებს იმ პროპაგანდით, რომ ისინი „წარმოადგენენ თანამედროვე მონებს თავიანთი სამუშაოდან, სამუშაო გრაფიკიდან, ხელფასებიდან გამომდინარე" და იძულებულნი არიან, დაემორჩილონ მათ „კაფირ [ურწმუნო] ხელმძღვანელს". ისინი ამტკიცებდნენ, რომ სირიასა და ერაყში მათი „ცხოვრების გზა არ შეესაბამება იმ სიძლიერისა და პატივის პრინციპებს, რომლებსაც ყველა მუსლიმი უნდა მისდევდეს".[124]

გარდა ამისა, ბავშვების გადმობირების მიზნით დაეშს მაგალითად თავისი ახალწვეული ბავშვები მოჰყავდა. წვრთნების დასრულების შემდეგ, ზრდასრულ მეთაურებს ბავშვების წინაშე „სახალიფოს ლომის ბოკვერები (აშბალი)" გამოჰყავდათ და სცემდნენ, თან აიძულებდნენ, რომ დარტყმა არ აერიდენიბათ.[125] ამ საჯარო დემონსტრაციების მიზანს ახალწვეულებისთვის „მამაკაცურობის" მაგალითის ჩვენება და მისი გაზიარებისთვის სხვა ბავშვების წახალისება წარმოადგენდა.

სხვა უამრავი ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფის მსგავსად, დაეში მამაკაცებსა და ბიჭებს მოუწოდებს, შეასრულონ თავიანთი გენდერული როლები, რაც ქალებისა და ბავშვების „დაცვაში" გამოიხატება. დაეშმა სირიის კონფლიქტის ძალადობის საბაბად გამოიყენა და განაცხადა, რომ ჯგუფში გაწევრიანება საშუალებას მისცემს ახალწვეულებს, დაიცვან ქალები და ბავშვები, როგორც „რწმენის მფარველებმა და ქვეყნის დამცველებმა". [126]

და ბოლოს, მამაკაცი ახალწვეულების მოსაზიდად დაეშმა ბერკეტის სახით გამოიყენა უახლესი ინსტრუმენტი: ქალები. ჯგუფი არა მხოლოდ აქტიურად ცდილობდა ადგილობრივი და უცხოელი ქალების დარწმუნებას, დაქორინებულიყვნენ მათ მებრძოლებზე, არამედ ასევე მისდევდა სექსუალური მონობის განსაკუთრებით მავნებლურ პრაქტიკას.[127] ეს იქცა გადმობირების ეფექტიან საშუალებად. ერთ-ერთი მკვლევარის მონათხრობით, „ქალებს იყენებენ ჯილდოს სახით... [ქალების] გათხოვებით და მათი დარწმუნებით, რომ რაც შეიძლება მალე დაორსულდნენ, [დაეში] ინარჩუნებს მამაკაც მებრძოლებს და ამცირებს მშობლიურ ქვეყნებში მათი დაბრუნების შანსს."[128]

რომელ გენდერულ ფაქტორებს მიმართავენ ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფები თქვენს გარემოში მამაკაცებისა და ბიჭების მოსაზიდად?

[124] ჯ. მარტინი, "Ten revealing quotes from ISIS," Blue Force Tracker, 2015 წ.
[125] ჯონ ჰორგანი და მია ბლუმი, "This Is How the Islamic State Manufactures Child Militants," VICE News, 8 ივლისი, 2016 წ., https://news.vice.com/article/this-is-how-the-islamic-state-manufactures-child-militants. [ინგლისური]
[126] უინტერი, "Women of the Islamic State," გვ. 41.
[127] იხილეთ Amnesty International, "Escape from Hell: Torture and Sexual Slavery in Islamic State Captivity in Iraq" (ლონდონი: Amnesty International, დეკემბერი, 2014 წ.).
[128] ლი ფერანი და რენდი ქრეიდერი, "Why Young Western Women Would Join ISIS," ABC News, 20 თებერვალი, 2015 წ., http://abcnews.go.com/International/young-women-join-isis/story?id=29112401. [ინგლისური]

საქართველოზე ფოკუსირება

საქართველოში უცხოელი მებრძოლების თემა საკმარისად არ არის შესწავლილი, რასაც ამ თემის სენსიტიურობა განაპირობებს. კონფლიქტის ზონებიდან დაბრუნებულ არცთუ მრავალრიცხოვან პირებს არ სურთ თავიანთი გამოცდილების შესახებ გულახდილი საუბარი, ვინაიდან შედეგების ეშინიათ. შესაბამისად, ეს ხელს უშლის მკვლევარებს რადიკალიზაციის გამომწვევი მიზეზების მეთოდოლოგიურ კვლევაში. ამ დრომდე არაა შესწავლილი უშუალოდ დაბრუნებული პირების მხრიდან მოწოდებული პირველადი ინფორმაცია. ეს მკვლევარებს უტოვებს მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში ექსტრემისტულ ჯგუფებში გაწევრიანებული პირების ახლობლებსა და ნაცნობებთან გასაუბრების არჩევანს. ამ მეთოდზე შესაძლოა დიდ გავლენა მოახდინოს პიროვნულმა მიკერძოებამ ან საყვარელი ადამიანის რეაბილიტაციის მცდელობამ.

აქამდე ჩატარებული კვლევები, რომლებიც შეეხება რადიკალიზაციის მიზეზებსა და/ან ექსტრემისტულ ორგანიზაციაში გაწევრინების მიზნით გამგზავრების გადაწყვეტილებებს, გენდერულ ჭრილში არ განიხილავს აღნიშნულ საკითხებს. კვლევები კონცენტრირებული იყო მებრძოლებად გახდომის სავარაუდო მიზეზების შესწავლაზე.

დღემდე მხოლოდ ერთი კვლევა არსებობს, რომელიც შეისწავლის ახლო აღმოსავლეთში ძალადობრივ ექსტრემისტულ ჯგუფებში გაწევრიანების მიზნით წასულ საქართველოს მოქალაქე ქალების საკითხებს. საქართველოს სტრატეგიის და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის (GFSIS)[129] მიერ 2018 წელს ჩატარებული კვლევა განიხილავს 17 შემთხვევას, ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის ზონაში წასული ქალების ახლობლებსა და ნაცნობებებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით. აღნიშნულ კვლევაში ალექსანდრე კვახაძე აანალიზებს მია ბლუმის თეორიაში - „Four RS plus One"[130] წარმოდგენილ მოტივაციებს, რომლებზე დაყრდნობითაც ბლუმს გამოაქვს დასკვნა, რომ ქალები ექსტრემიზმში ერთვებიან შემდეგიდან ერთ-ერთი მიზეზის ან ამ მიზეზების ერთობლიობის გამო: შურისძიება, ცოდვებისგან განწმენდა, პირადი ურთიერთობები, პატივისცემა და გაუპატიურება. კვახაძემ მნიშვნელოვანი მტკიცებულება აღმოაჩინა ქართულ კონტექსტში ბლუმის მიერ ნახსენები 'პირადი ურთიერთობების' განმარტების შესახებ. ინტერვიუებზე დაყრდნობით, იგი აცხადებს, რომ საქართველოს მკვიდრი ქალების უმრავლესობა მიემგზავრებოდა სირიასა და ერაყში მეუღლეებთან ერთად - ზოგი ნებაყოფლობით, ზოგიც - იძულებით. იქ ჩასულები უვლიდნენ ბავშვებს და ასრულებდნენ ტრადიციულ საოჯახო მოვალეობებს. კვლევაში გამოყენებული მასალების თანახმად, კავკასიის რეგიონისთვის დამახასიათებელი ძლიერი გენდერული ნორმები ხელს უშლიდა ამ ქალებს ისეთი მდგომარეობისთვის მიღწევაში, როდესაც დამოუკიდებლად შეძლებდნენ გადაწყვეტილებების მიღებას. სხვა ქვეყნების ქალებისგან განსხვავებით, საქართველოს მკვიდრი ქალები არ იღებდნენ მონაწილეობას პროპაგანდისტული მასალების შექმნაში და მათ არასოდეს აძლევდნენ იარაღს, თუნდაც თავდაცვის მიზნით, შესაბამისად ისინი გაცილებით ნაკლებად ერთვებოდნენ ბრძოლაში.

[129] ალექსანდრე კვახაძე, „საქართველოს მკვიდრი ქალები სირიისა და ერაყის კონფლიქტებში" [ინგლისური] [ქართული]
[130] მია ბლუმი, „Bombshell: women and terrorism". University of Pennsylvania Press, 2012 წ.

5.4. რომელია ქალებისა და გოგონების ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებებში ჩართვისა და მათი მონაწილეობის მხარდაჭერის საუკეთესო გზა?

ერთ-ერთი ქალის განცხადებით, „რეალურად ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების არავითარი პროგრამა არ არსებობს, რომლებიც ქალებს მოწინავე რიგებში დააყენებდა ძალადობრივი ექსტრემიზმის თავიდან აცილებისა და მასთან გამკლავების კუთხით. ქალები უკვე იქ არიან."[131]

ამ განცხადების ჭეშმარიტების მიუხედავად, ქალების ლიდერული როლი და მათი მონაწილეობა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში ძალიან ხშირად საზოგადოების მედეგობის გაძლიერებისკენ მიმართული ადგილობრივი მცდელობებით შემოიფარგლება. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ სფეროში ქალთა სრული ჩართულობა მოითხოვს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებისა და პოლიტიკის შემუშავების ყველა დონეზე და ეტაპზე მათი მონაწილეობის უზრუნველყოფას: დაწყებული პოლიტიკური კურსის შემუშავებით და დამთავრებული სახელმწიფო დაწესებულებებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში ადგილობრივი ინიციატივებისა და როლების შესრულებით. ქალებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროექტების შემუშავებაში, განხორციელებასა და შეფასებაში, ასევე მათ მხარდაჭერაში. მათ უნდა უხელმძღვანელონ კვლევას და ჩაერთონ მასში იმისათვის, რომ გაეცნონ მამაკაცთა და ქალთა რადიკალიზაციის ადგილობრივ დინამიკას.[132]

მიუხედავად ამისა, მსოფლიოს მასშტაბით დამკვიდრებული გენდერული ნორმები ხშირად ზღუდავს ქალთა სრულყოფილ მონაწილეობას. რა თქმა უნდა, ეს ნორმები განსხვავდება იმ საზოგადოებების მიხედვით, რომლებშიც ქალები ცდილობენ თავის დამკვიდრებას. ნახეთ მე-10 ვიდეორგოლი იმ დაბრკოლებების მაგალითებისთვის, რომელთა გადალახვაც მოუწია იემენის მკვიდრ ახალგაზრდა ქალს, სანამ გახდებოდა დაფასებული ადგილობრივი მშვიდობისმყოფელი:

ვიდეორგოლი 10: სტერეოტიპების დამსხვრევა: ქალი მშვიდობისმყოფელი ეჭვქვეშ აყენებს გენდერულ ნორმებს იემენში

მომზადებულია: Search for Common Ground-ის მიერ

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/gdDv4BBj-1c
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

Სადისკუსიო შეკითხვები:

1. რა დაბრკოლებების გადალახვა მოუხდა ქალს? მითითებული დაბრკოლებებიდან რომელი არის გამოწვეული კონკრეტულად მის სამშობლოში - იემენში დამკვიდრებული გენდერული ნორმებით?
2. აღმოჩნდებოდა თუ არა ეს ქალი მსგავსი დაბრკოლებების წინაშე თქვენს ადგილობრივ გარემოში?
3. დაასახელეთ თქვენს ადგილობრივ გარემოში ქალების წინაშე არსებული კონკრეტული დაბრკოლებები, როდესაც ისინი ცდილობენ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში ან უსაფრთხოებისა თუ საზოგადოების მიმართ არსებული სხვა პრობლემების აღმოფხვრაში მონაწილეობის მიღებას?

[131] სოფი ჟისკარ დ'ესტანი, "UN Calls for Women's Engagement in Countering Violent Extremism: But at What Cost?" 50.50 Inclusive Democracy, 9 ნოემბერი, 2015 წ., https://www.opendemocracy.net/5050/sophie-giscard-destaing/gender-and-terrorism-un-calls-for-women-s-engagement-in-countering-viol. [ინგლისური]
[132] უსაფრთხოების მიმართ არსებული პრობლემების აღმოფხვრაში ქალების მონაწილეობის მნიშვნელობის განმარტებითი ვიდეორგოლები (ასევე სხვა მასალები) იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://www.inclusivesecurity.org/training-resources/why-women/.

ამ საქმიანობაში შეიძლება გოგონებიც ჩაერთონ. იმისათვის, რომ ეჩვენებინა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში ახალგაზრდა ქალების მონაწილეობის ამსახველი მაგალითი, ორგანიზაციამ „Search for Common Ground" შეკრიბა გოგონების მცირე ჯგუფი ნიგერიის ქალაქ იოსში და ისინი ადგილობრივ მშვიდობისმყოფელებად მოამზადა. ამ თემში, ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის არსებულმა რელიგიათაშორისმა კონფლიქტებმა საზოგადოება ორად გახლიჩა და საშინელი შეტაკებები გამოიწვია. ნახეთ მე-11 ვიდეორგოლი ამ ახალგაზრდა გოგონების პროექტში ჩართვის პროცესის შესახებ:

ვიდეორგოლი 11:
გოგონები ნიგერიიდან: ძალადობის დასრულება ჩრდილოეთ ნიგერიაში

მომზადებულია: Search for Common Ground-ის მიერ

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/-lOHG37pe3w
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

სადისკუსიო შეკითხვები:

1. რა ზოგადი შეხედულებები აკავშირებდათ ერთმანეთთან ამ ნიგერიულ ქალაქში მცხოვრებ ქრისტიანებსა და მუსლიმებს? როგორ შეიძლება აღნიშნულმა შეხედულებებმა ხელი შეუწყოს ძალადობას?

2. ვიდეორგოლში განმარტავენ, რომ ეს გოგონები ხშირად მხედველობის მიღმა რჩებიან კონფლიქტში მაშინაც კი, როდესაც (როგორც ვიდეორგოლში ნახეთ) ისინი მსხვერპლს წარმოადგენენ. რატომ ხდება ეს? რამდენად მსგავსია ან განსხვავდება ეს თქვენი გარემოსგან?

3. როგორ შეიცვალა გოგონების ცხოვრება ამ პროექტის შემდეგ?

4. როგორ იმოქმედა პროექტის დადებითმა შედეგებმა საზოგადოებაზე, უშუალოდ პროექტის განხორციელებისთანავე ან შემდგომ პერიოდში?

5. რა სახის რისკები შეიძლება ახლდეს ქალების და გოგონების ჩართვას ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებში?

ნამდვილად, უამრავი რისკი არსებობს, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოვჩნდეთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში ქალების და გოგონების სრული ჩართვის მცდელობისას. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე მაგალითი:

- ქალების და გოგონების ჩართვა პროგრამებსა და ღონისძიებებში მოხდეს მხოლოდ მონაწილეების და არა ლიდერების სახით.
- ქალებმა და გოგონებმა მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ მათზე ორიენტირებულ ან „ქალურ პრობლემებთან" დაკავშირებულ კვლევებსა და პროგრამებში, რაც გამორიცხავს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სრულ შესაძლებლობებს.
- ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებმა შეიძლება ხელი შეუშალონ ქალების და გოგონების პრობლემების განხილვას უსაფრთხოების ან ინსტრუმენტულ ჭრილში (მაგალითად, „ჩვენ გჭირდება გენდერული თანასწორობა, რადგან ეს ხელს უწყობს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებას", მაგრამ არა იმიტომ, რომ ეს სამართლიანია). ეს საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, რადგან ძალადობრივი ექსტრემიზმის რისკის შემცირების პარალელურად, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მცდელობები შეიძლება საერთოდ ყურადღების მიღმა აღმოჩნდეს.
- ქალებისა და გოგონების უსაფრთხოება შეიძლება აღმოჩნდეს რისკის წინაშე იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამ სფეროში ლიდერების სახით ჩაერთვებიან. ამის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფები და ტრადიციული მამრობითი სქესის ლიდერები მდედრობითი სქესის წარმომადგენლების უფლებების გაფართოებას განსაკუთრებით სახიფათოდ აღიქვამენ.
- თუ გოგონების მშობლები ან ქალის მამრობითი სქესის ნათესავები არ ჩაერთვებიან ამ პროცესებში და არ ექნებათ სათანადო ინფორმაცია, ისინი შეიძლება წინ აღუდგნენ ქალებისა და გოგონების სრულ ჩართულობას.

ზემოაღნიშნული პოტენციური რისკებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება, გავითვალისწინოთ გლობალური კონტრტერორისტული ფორუმის შემდეგი რეკომენდაციები ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ყველა დონეზე ქალებისა და გოგონების ჩასართავად:

- ქალების და გოგონების ჩართვა, აგრეთვე კომპლექსური გენდერული მიდგომის გათვალისწინება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებასთან დაკავშირებული ყველა სტრატეგიის, კანონის, პროცედურის, პროგრამისა და მეთოდოლოგიის შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.

- ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მცდელობების მიმართვა ძალადობრივ ექსტრემიზმში ქალებისა და გოგონების მონაწილეობის წინააღმდეგ, ტერორიზმამდე მიმავალ რადიკალიზაციაში გენდერული დინამიკის იდენტიფიცირებით და ქალებსა და გოგონებს შორის მისი პრევენციით.

- ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლაში ქალებისა და გოგონების მრავალფეროვანი როლების აღიარება და ხელშეწყობა, უფრო ლოკალიზებული, ინკლუზიური, სანდო, რეზონანსული და ეფექტური მიდგომების განვითარების გზით.

- ქალებისა და გოგონების უფლებების დაცვა, მათი თანასწორუფლებიანობის, დისკრიმინაციის დაუშვებლობის და თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა, აგრეთვე იმ ფაქტში დარწმუნება, რომ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მცდელობები არ იწვევს ქალებისა და გოგონების რიგებში გარკვეული სტერეოტიპების ჩამოყალიბებას ან ინსტრუმენტალიზებას.

- მამაკაცების და ბიჭების ჩართვა კომპლექსურ გენდერულ მიდგომებში, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებებში ქალებისა და გოგონების მონაწილეობის გაზრდის, ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და რეაგირების ინკლუზიურ მცდელობებში.

- იმ ქალებისა და გოგონების უსაფრთხოების დაცვა, რომლებიც მონაწილეობენ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ფარგლებში. გაითვალისწინეთ, რომ მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებების პირდაპირ აფიშირება შეიძლება სახიფათო ან კონტრპროდუქტიული აღმოჩნდეს.

- სამოქალაქო საზოგადოებასა და ქალთა უფლებების დაცვის სფეროში ჩართულ საზოგადოებაში ადგილობრივი ინიციატივების დონეზე ქალებთან ურთიერთობისთვის პრიორიტეტის მინიჭება, ადგილობრივი პრაქტიკის შემუშავებისა და ადგილობრივი რესურსების მხარდაჭერის მიზნით.

- ქალთა მონაწილეობის გაზრდა ყველა დონეზე, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება მარგინალიზებულ ჯგუფებზე, აგრეთვე გენდერული სპეციფიკის გათვალისწინება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში ჩართული უსაფრთხოების სამსახურებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების საქმიანობაში.[133]

[133] გლობალური კონტრტერორისტული ფორუმი და ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) სამდივნო "Good Practices on Women and Countering Violent Extremism," 2014 წ.

5.5. შეჯამება

ეს მოდული შეისწავლის გენდერის კონცეფციას და განსაზღვრავს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ კონცეფციის გათვალისწინება რადიკალიზაციის მამოძრავებელი ფაქტორების გაგების მცდელობისას. მოდული ხელს უწყობს ქალების მოტივაციის და ძალადობრივ ექსტრემიზმში მათი მონაწილეობის შესახებ არსებული უამრავი სტერეოტიპის დამსხვრევას. დაეშის მაგალითზე, ეს მოდული შეისწავლის ქალებისა და მამაკაცების მიერ გაზიარებულ ზოგად მამოძრავებელ ფაქტორებს, ასევე რადიკალიზაციის მკაფიო დინამიკას. და ბოლოს, ჩვენ გავარკვიეთ, თუ რა დამატებითი დაბრკოლებები შეიძლება შეექმნათ ქალებსა და გოგონებს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებების ხელმძღვანელობისა და ხელშეწყობის გზაზე. აღნიშნული დაბრკოლებების დასაძლევად არაერთი მოწინავე პრაქტიკა იქნა შემოთავაზებული. ქვემოთ წარმოდგენილია ამ მოდულის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები:

გენდერი წარმოადგენს ძალადობრივი ექსტრემიზმის გააზრებისა და მასთან გამკლავების მნიშვნელოვან ფაქტორს როგორც მამაკაცებისთვის, ასევე ქალებისთვის.

უფრო მეტი ეფექტიანობისთვის, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ძალისხმევები ორიენტირებული უნდა იყოს ძალადობრივი ექსტრემიზმის გენდერულად დიფერენცირებულ მამოძრავებელ ფაქტორებზე.

ქალები და მამაკაცები, რომლებიც მხარს უჭერენ და მონაწილეობენ ძალადობრივ ექსტრემიზმში, ხელმძღვანელობენ გენდერული ხასიათის სხვადასხვა სამოტივაციო ფაქტორით.

გარკვეული ვარაუდებისა და სტერეოტიპების არსებობის მიუხედავად, რადიკალიზაციის პოტენციური მამოძრავებელი ფაქტორები ერთმანეთის მსგავსია ქალებისა და მამაკაცების შემთხვევაში. თუმცა აღსანიშნავია მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავებები, რომლებიც გამოიხატება კონკრეტული გენდერული ნორმებით ან ენით.

ძალადობრივ ექსტრემისტულ ჯგუფებში ქალები და გოგონები მრავალფეროვან როლებს ასრულებენ.

ისინი არიან ლიდერები, ფინანსისტები, რეკრუტერები, ჯაშუშები, კონტრაბანდისტები და ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების მებრძოლებიც კი.

ქალები და გოგონები წარმოადგენენ მნიშვნელოვან პარტნიორებს როგორც მამაკაცთა, ასევე ქალთა რიგებში არსებული რადიკალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქალები არ უნდა შემოიფარგლონ მხოლოდ ქალებისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემების განხილვით. როგორც საზოგადოების მნიშვნელოვანი წევრები, ქალები ყველა დონეზე უნდა ჩაერთონ მამაკაცთა და ქალთა რიგებში არსებულ რადიკალიზაციასთან გამკლავების ღონისძიებებში.

ქალები უკვე აქტიურად მუშაობენ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში.

გამომდინარე იქიდან, რომ ქალები უკვე აქტიურად არიან ჩართულნი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში საზოგადოების სხვადასხვა დონეზე, საჭიროა იმ ქალებისა და ქალთა ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომლებმაც უკვე დააგროვეს გარკვეული გამოცდილება ამ სფეროში.

ქალთა და გოგონათა კიდევ უფრო მეტად ინტეგრირება არის საჭირო ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავების ღონისძიებების ყველა დონეზე.

აღნიშნულს ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა პოლიტიკის შემუშავების დონეზე, თუმცა ქალები ასევე უფრო მეტად უნდა იყვნენ ჩართულნი უსაფრთხოების სამსახურებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში.

5.6. სწავლის დამატებითი შესაძლებლობები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1325-ე რეზოლუცია ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე [რუსული] [ინგლისური]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 2242-ე რეზოლუცია [რუსული] [ინგლისური]

„Women in Preventing and Countering Violent Extremism in Europe and Central Asia: A Training Manual", ენ სპეკჰარდი და არდიან შაიკოვჩი (გაეროს განყოფილება გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებზე) [ინგლისური]

შემდეგი მოხსენებები მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას ქალთა რადიკალიზაციის გენდერული მამოძრავებელი ფაქტორების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დამატებითი კვლევები წარმოდგენილია მე-2 მოდულის პუნქტში „სწავლის დამატებითი შესაძლებლობები".

„Women and Violent Extremism in Europe and Central Asia: Executive Summary and Recommendations" (გაეროს განყოფილება გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებზე) [ინგლისური]

„Women and Violent Extremism in Europe and Central Asia: The Roles of Women in Supporting, Joining, Intervening in, and Preventing Violent Extremism in Kyrgyzstan", ენ სპეკჰარდი, არდიან შაიკოვჩი და ჩინარა ესენგული (გაეროს განყოფილება გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საკითხებზე) [ინგლისური]

რეკომენდებული ლიტერატურა

„Inclusive Security, Sustainable Peace: A Toolkit for Advocacy and Action" (ორგანიზაცია „International Alert") [ინგლისური]

„Engaging and Recruiting Girls in Peacebuilding Programs", ადრიანა გრაუ და ლაქშითჰა საჯი პრელისი (ორგანიზაცია „Search for Common Ground") [ინგლისური]

„Uncomfortable Truths, Unconventional Wisdoms: Women's Perspectives on Violent Extremism and Security Interventions", სანამ ნარაგჰი ანდერლინი და სხვ. (ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელ ქალთა გაერთიანება - WASL) Security Brief (2016 წ.) [ინგლისური]

„A Man's World? Exploring the Roles of Women in Countering Terrorism and Violent Extremism" („Hedayah" და თანამშრომლობის ბაზაზე გლობალური უსაფრთხოების ცენტრი) [ინგლისური]

„Diffe ent Roles of Women in Countering Violent Extremism" („Hedayah" და თანამშრომლობის ბაზაზე გლობალური უსაფრთხოების ცენტრი) [ინგლისური]

„Women and Violent Extremism", ბეკი კარტერი (მმართველობის და სოციალური განვითარების რესურს-ცენტრი - GSDRC) [ინგლისური]

„Women and Countering Violent Extremism", იფატ იდრისი და აიატ აბდელაზიზი (მმართველობის და სოციალური განვითარების რესურს-ცენტრი - GSDRC) [ინგლისური]

„The Role of Gender in Violent Extremism" (რადიკალიზაციის შესახებ ინფორმაციის ქსელი - RAN) [ინგლისური]

დამატებითი მასალები რადიკალიზაციის გენდერული ასპექტების, ასევე ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში ქალებისა და გოგონების როლების შესახებ (ინგლისურად) იხილეთ აქ.

განათლების როლი ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასა და გამკლავებაში

მოცემული მოდული იძლევა ზოგად წარმოდგენას საგანმანათლებლო ინიციატივების ან რეფორმების პოტენციალის შესახებ ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელ ფაქტორებთან ბრძოლაში, რაც ხელს უწყობს ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციას კიდევ უფრო მძლავრი აუდიტორიის შექმნის გზით. მონაწილეები განიხილავენ საგანმანათლებლო სისტემის ფარგლებში პოტენციურ დამაბრკოლებელ ან მამოძრავებელ ფაქტორებს - დაწყებული სასწავლო პროგრამების შინაარსით და დასრულებული საგანმანათლებლო გარემოში ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების მართვით.

საორიენტაციო შეკითხვები:

6.1. რა როლს ასრულებს განათლება ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეებისადმი მედეგობის გაძლიერებაში?

6.2. საგანმანათლებლო გარემოში არსებული რომელი ფაქტორები ახდენს დადებით ან უარყოფით გავლენას ინდივიდის ან საზოგადოების მედეგობაზე ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეებისადმი?

6.3. რომელი საგანმანათლებლო ინიციატივები ხორციელდება ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში?

6.4. როგორ ვმართოთ ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორები სასკოლო გარემოში და შევიმუშაოთ შესაბამისი საგანმანათლებლო ინიციატივები აღნიშნული ფაქტორების აღმოფხვრის მიზნით?

6.5. რა საფრთხეები ახლავს თან ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროექტების ან პოლიტიკის განხორციელებას ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში?

6.1. რა როლს ასრულებს განათლება ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეებისადმი მედეგობის გაძლიერებაში?

ძალადობრივი ექსტრემიზმის თავიდან აცილების ძალისხმევებში განათლება ხშირად ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მოიაზრება. განათლებისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში მოწინავე პრაქტიკის შესახებ აბუ-დაბის 2014 წლის მემორანდუმში და გენერალური მდივნის 2016 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია მრავალმხრივი მიზნები და მიდგომები, რომლებიც ეხება განათლების სფეროში ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეებისადმი თემებისა და მოსწავლეების მედეგობის გაზრდას. მოცემულ მოდულში ჩვენ ვიყენებთ ტერმინს - „მოსწავლე". მოდულში წარმოდგენილ კონტექსტში, ეს ტერმინი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სწავლა მიმდინარეობს როგორც გაკვეთილის პროცესში, ასევე მისი დასრულების შემდეგაც. უფრო მასშტაბურად თუ ვიმსჯელებთ, აღნიშნული სასწავლო მიზნები ასევე შეესაბამება მდგრადი განვითარების მიზანს 4.7:

> 2030 წლისთვის, ყველა მოსწავლე უნდა ფლობდეს სათანადო ცოდნას და უნარებს, რაც მათ დასჭირდება მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის. მათ ეს ცოდნა უნდა მიიღონ ისეთი საგანმანათლებლო აქტივობებიდან, რომლებიც ეხება მდგრად განვითარებას და მდგრადი ცხოვრების სტილს, ადამიანის უფლებებს, გენდერულ თანასწორობას, მშვიდობიანი და არაძალადობრივი კულტურის ხელშეწყობას, გლობალურ მოქალაქეობას, კულტურულ მრავალფეროვნებას და მდგრად განვითარებაში კულტურის წვლილის დაფასებას.[134]

საგანმანათლებლო დაწესებულებები ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენს სახლის ფარგლებს გარეთ, სადაც ბავშვები, ახალგაზრდები და ზრდასრულებიც კი საჭირო უნარ-ჩვევებს, ფასეულობებსა და კავშირებს იძენენ, რაც მათ პირად და სოციალურ ცხოვრებაში გამოადგებათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი უნარები: „საზოგადოების სხვა წევრების აღქმა და მათთან ურთიერთობა, მათ მიმართ საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლა და კომუნიკაციის დამყარება თანატოლებთან."[135] მილიონობით ბავშვისა და ახალგაზრდის შემთხვევაში, განათლების მიღების შესაძლებლობის არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს მარგინალიზაცია. ეს კი მიგვიყვანს რადიკალიზაციამდე იმ შემთხვევაში, თუ ისინი ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების წინაშე აღმოჩნდებიან. თუმცა, როგორც ამ მოდულიდან შევისწავლით, განათლების ხელმისაწვდომობის შემთხვევაშიც კი, სკოლებმა და სხვა, როგორც ფორმალურმა, ასევე არაფორმალურმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა შეიძლება ვერ მოამზადონ ახალგაზრდები სათანადოდ იმ სირთულეებისათვის, რომელთა წინაშეც ისინი აღმოჩნდებიან ცხოვრებაში და საზოგადოებაში. ეს ფაქტორი კი ხელს შეუწყობს ზოგიერთი მოსწავლის მოწყვლადობას ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეებისადმი.

[134] იხილეთ https://unstats.un.org/unsd/statcom/47th-session/documents/2016-2-SDGs-Rev1-r.pdf [რუსული] https://unstats.un.org/unsd/statcom/47th-session/documents/2016-2-SDGs-Rev1-e.pdf [ინგლისური]
[135] "Preventing Violent Extremism through Education: A Guide for Policy-Makers" (პარიზი, საფრანგეთი: გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია, 2017 წ.), გვ. 36.

განათლების სფეროში ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიდგომის თანახმად, განათლების გზით ახალგაზრდებმა უნდა შეიძინონ ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ დასჭირდებათ „ექსტრემისტული პროპაგანდის გამოსავლენად, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და ექსტრემისტული მასალების ლეგიტიმურობის დასადგენად", აგრეთვე მოსწავლეების მედეგობის გასაძლიერებლად ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ.[136] მაგრამ ჩვენ ასევე რეალისტურად უნდა ვიფიქროთ ამგვარი ძალისხმევების შესაძლო შედეგების შესახებ. UNESCO-ს მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია განათლების გზით - მშვიდობისმყოფელთა სახელმძღვანელო" განმარტებულია:

> განათლება ხელს არ უშლის ინდივიდს, ჩაიდინოს ძალადობრივი ქმედება ძალადობრივი ექსტრემისტული იდეოლოგიის ლოზუნგით, მაგრამ სათანადო ხარისხის განათლება ქმნის ისეთ პირობებს, რომლებიც აფერხებს ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეოლოგიის გავრცელებას და ამგვარი ქმედებების ჩადენას. კერძოდ, საგანმანათლებლო პოლიტიკა ხელს უშლის საგანმანათლებლო დაწესებულებების გადაქცევას ძალადობრივი ექსტრემიზმისთვის ნაყოფიერ სივრცეებად, ასევე ზრდის მოსწავლეების მედეგობას ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეებისადმი სასწავლო პროგრამებისა და მიდგომების მეშვეობით. აქედან გამომდინარე, განათლების როლი არ მდგომარეობს მხოლოდ ძალადობრივი ექსტრემისტების საქმიანობის ჩახშობაში ან პოტენციური ძალადობრივი ექსტრემისტების იდენტიფიცირებაში. განათლება უზრუნველყოფს ისეთი პირობების შექმნასაც, რომლებიც ხელს შეუწყობს ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეებისგან თავდაცვის მექანიზმების ფორმირებას, ძალადობის დაუშვებლობას და მშვიდობის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების გამყარებას მოსწავლეების რიგებში.[137]

[136] ინიციატივა „Extremely Together", "Countering Violent Extremism", გვ. 15.
[137] UNESCO, გვ. 22

6.2. საგანმანათლებლო გარემოში არსებული რომელი ფაქტორები ახდენს დადებით ან უარყოფით გავლენას ინდივიდის ან საზოგადოების მედეგობაზე ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეებისადმი?

ახასიათებთ თუ არა განათლების დაბალი დონის მქონე ადამიანებს მიდრეკილება ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ? რატომ?

გამომდინარე იქიდან, რომ წერა-კითხვის უცოდინრობა, განათლების დაბალი დონე და რელიგიური განათლება ხშირად რადიკალიზაციის მამოძრავებელ ფაქტორებად მოიაზრება, მათმა საფუძვლიანად შესწავლამ ეს ვარაუდები ვერ გაამყარა.[138] კერძოდ, განათლების დაბალ დონესა და რადიკალიზაციას შორის სავარაუდო კავშირის არსებობის მიუხედავად, შეუძლებელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა. ზოგიერთმა კვლევამ სრულიად საპირისპირო მოსაზრებაში დაგვარწმუნა. მაგალითად, 4000 ექსტრემისტზე ჩატარებული კვლევის თანახმად, ექსტრემისტების განათლების დონე ბევრად მაღალი იყო საერთო მოსახლეობასთან შედარებით.[139] ზოგიერთი მკვლევარის აზრით, კონკრეტულ სამეცნიერო ან ტექნიკურ დისციპლინებში, მაგალითად, საინჟინრო ხელოვნებაში, შესაბამისი ხარისხის ფლობამ შეიძლება მოსწავლე კიდევ უფრო მოწყვლადი გახადოს ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ, სხვა დისციპლინების შემსწავლელ პირებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები დავის საგანს წარმოადგენს.[140]

ქვემოთ იხილეთ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც განათლებამ შესაძლოა გაზარდოს მოწყვლადობა ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ:

- სასწავლო პროგრამების ან სახელმძღვანელოების შემუშავების პროცესში არაა გათვალისწინებული ის მიდგომები, რომლებიც ხელს უწყობს ტოლერანტულ და მიმღებლურ დამოკიდებულებას;
- სტუდენტური თვითმმართველობა პოლიტიზებულია და ხშირად კონფლიქტის წყაროსაც წარმოადგენს;
- უმცირესობები მარგინალიზებულია (მაგალითად, ვერ იღებენ განათლებას მშობლიურ ენაზე);
- აკრძალულია რელიგიის ან რელიგიური იდეების გამოხატვა, რაც იწვევს მოსწავლეების გარკვეული ნაწილის მარგინალიზაციას;
- დამახსოვრების მეთოდები უფრო გავრცელებულია იმ დინამიკური სწავლის მეთოდებთან შედარებით, რომლებიც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას; ან
- საგანმანათლებლო დაწესებულებები ან მიმდებარე ტერიტორიები ხდება ძალადობრივი ექსტრემისტების სამიზნე, მოსწავლეების გადაბირების ან რადიკალურად განწყობის მიზნით.

უკმაყოფილების კიდევ ერთ პოტენციურ წყაროს წარმოადგენს სიტუაცია, როდესაც განათლება წარმოშობს ფუჭ მოლოდინებს, შეძენილი უნარები არ შეესაბამება რეალურ ეკონომიკურ პირობებს ან არ არსებობს მიღებული პროფესიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა, ეს კი ხელს უწყობს ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეებისადმი მოწყვლადობას. მაგალითად, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ახალგაზრდებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საშუალო განათლების მქონე პირები, რომლებიც არიან უმუშევრები ან მუშაობენ ნახევარ განაკვეთზე, რადიკალიზაციის ყველაზე დიდი რისკის ქვეშ იმყოფებიან.[141]

[138] იხილეთ ჰარიეტ ალანი და სხვ., „Drivers of Violent Extremism: Hypotheses and Literature Review" (ლონდონი: თავდაცვისა და უსაფრთხოების კვლევების გაერთიანებული სამსახურების სამეფო ინსტიტური, 16 ოქტომბერი, 2015 წ.), გვ. 5, 7.
[139] ბერგერი, „Making CVE Work", გვ. 6.
[140] მაგალითისთვის იხილეთ დიეგო გამბეტა და შტეფენ ჰერტოგი, „Uncivil Engineers: The Surprising Link Between Education and Jihad", Foreign Affai s, 10 მარტი, 2016 წ., https://www.foreignaffai s.com/articles/2016-03-10/uncivil-engineers. [ინგლისური]
[141] კარტიკა ბჰატია და ჰაფეზ გჰანემი, "How Do Education and Unemployment Affe t Support for Violent Extremism? Evidence from Eight Arab Countries," პროგრამის „Global Economy and Development" ფარგლებში წარმოდგენილი ნაშრომი 102 (ბრუკინგსის ინსტიტუტი, მარტი, 2017 წ.).

კიდევ ერთი მაგალითის თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის ინსტიტუტის მიერ ყირგიზეთში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ რელიგიური საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა იზრდება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამების არარსებობის ხარჯზე. აღნიშნული დაწესებულებები ანალოგიურ საგანმანათლებლო ან სოციალურ სერვისებს სთავაზობენ ახალგაზრდებს, მათ შორის რუსეთში მომუშავე შრომითი მიგრანტების შვილებს. ერთ-ერთი ექსპერტის განცხადებით, ვინაიდან საგანმანათლებლო დაწესებულებები აქცენტს აკეთებდნენ უფრო რელიგიურ განათლებაზე, ვიდრე ტრადიციულზე, სტუდენტები ყირგიზეთის ეკონომიკის სფეროში დასაქმებისთვის მოუმზადებლები აღმოჩნდნენ, ეს კი ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ მათი მოწყვლადობის საბაბი აღმოჩნდა.[142] მსგავსი შემთხვევები აღინიშნა საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, სადაც რელიგიური საგანმანათლებლო დაწესებულებები არ შედიან საჯარო განათლების სისტემის ფარგლებში და არ ექვემდებარებიან მის უფლებამოსილებას. ზოგიერთ თემს საკუთარი რელიგიური სკოლაც კი აქვს, რომელიც წარმოადგენს სავალდებულო საჯარო განათლების დანამატს ან სრულად ანაცვლებს მას გამომდინარე იქიდან, რომ მშობლები ეწინააღმდეგებიან საერო განათლებას. როგორც ყირგიზეთის შემთხვევაში, ეს ინსტიტუტები არ ამზადებენ მოსწავლეებს პროფესიული მოღვაწეობისთვის და არ უზრუნველყოფენ მათ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.

ამ თავში ვსაუბრობთ არა განათლების მიღების შეუძლებლობაზე, არამედ დასაქმების შესაძლებლობების არარსებობაზე, რაც მთავრობის ან საზოგადოების სხვა ნაწილის მიმართ უკმაყოფილებას წარმოშობს. მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ პრობლემა მდგომარეობს არა პიროვნების განათლების დონეში, არამედ თავად განათლების ხარისხში და მისი დახმარებით აუცილებელი პრაქტიკული, პროფესიონალური, შემეცნებითი და სხვა შესაძლებლობების შეძენაში, რომლებიც სცდება ფორმალური ან არაფორმალური განათლების ფარგლებს. მაგალითები ასევე ითვალისწინებს ციფრულ და ინფორმაციულ ცოდნას, ემოციურ სწავლებას და ინდივიდუალურ სტრატეგიებს, რომლებიც მოსწავლეებს ცხოვრებისეულ გამოწვევებთან ან წარუმატებლობასთან გამკლავებაში დაეხმარება. სწორედ ეს არის ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავების ძირითადი მიდგომა განათლების დახმარებით: მოსწავლეებისათვის სათანადო საშუალებების და მიდგომების უზრუნველყოფა, ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ მედეგობის შემუშავების და დამკვიდრების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ ამ ასპექტების დიდი ნაწილი დამოუკიდებლადაა შესწავლილი. რეალურად, მოსწავლეების მედეგობას განათლების სათანადო დონის და საფუძვლიანი გამოცდილების ერთობლიობა განაპირობებს. მაგალითად, სომალის ახალგაზრდებზე საგანმანათლებლო და სამოქალაქო ჩართულობის პროგრამებთან დაკავშირებით ჩატარებული უახლესი კვლევის თანახმად, „განათლების შერწყმა მოსწავლეების მიერ განხორციელებულ საზოგადოებრივ პროექტებთან ხელს შეუწყობს უფრო მეტად სტაბილურობას, ვიდრე თვით განათლებას".[143] პროექტი შეფასდა იმ საბაზისო კვლევებზე დაყრდნობით, რომელთა მიხედვითაც ახალგაზრდებმა, რომლებიც დადიოდნენ სასწავლო დაწესებულებებში, რეალურად უფრო მეტი მხარდაჭერა გამოხატეს ძალადობრივი მეთოდების მიმართ. სხვა კვლევების თანახმად, „პოლიტიკურად მოტივირებულ ძალადობაში უფრო ხშირად სოციალურად აქტიური ახალგაზრდები ერთვებოდნენ". შესაბამისად, მთავარ საკითხს განათლებისა და გამოცდილების ერთობლიობა წარმოადგენს. როგორც გაირკვა, „ფორმალური განათლებისა და თემის პრაქტიკულ პროექტებზე ორიენტირებული სამოქალაქო ჩართულობის ღონისძიებების ერთობლიობა სტაბილური შედეგების მიღწევის ეფექტიანი გზაა. აღსანიშნვია, რომ ამგვარი ჩარევები დიდი ალბათობით ამცირებს ახალგაზრდების მოწყვლადობას ძალადობრივ ჯგუფებში გაწევრიანების მიმართ".[144]

ვლინდება თუ არა მოწყვლადობის შემთხვევები თქვენს გარემოში არსებულ საგანმანათლებლო სივრცეებში ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ? დადებითი პასუხის შემთხვევაში, დააკონკრეტეთ.

[142] ჯეიკობ ზენი და ქეთლინ კუნასტი, "Preventing Violent Extremism in Kyrgyzstan" (ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის ინსტიტუტი, 2014 წ.), გვ. 8
[143] ბეზა ტესფაიე, „Critical Choices: Assessing the Effe ts of Education and Civic Engagement on Somali Youths' Propensity towards Violence," ნაშრომში „Contemporary P/CVE Research and Practice", ლაილა ელ საიდის და ჯამალ ბარნსის რედაქტორობით („Hedayah" და ედით კოუენის უნივერსიტეტი, 2017 წ.), გვ.148-9.
[144] იქვე, გვ.138, 148-9.

6.3. რომელი საგანმანათლებლო ინიციატივები ხორციელდება ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში?

ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და გამკლავებისკენ მიმართული საგანმანათლებლო ღონისძიებები შეიძლება ორ მთავარ კატეგორიად დაიყოს:

განათლება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად, ანუ ღონისძიებები, „რომელთა ფარგლებშიც ფორმალური ან არაფორმალური განათლება გამოიყენება რადიკალიზაციისა და გადაბირების გამომწვევი მიმზიდველი ფაქტორების შეზღუდვის საშუალებად" და/ან ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლეების მედეგობის გაზრდას ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ; და

განათლება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების შესახებ, ანუ რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის რისკებთან დაკავშირებით საზოგადოებისათვის გამიზნული საგანმანათლებლო ღონიძიებების განხორციელება.[145]

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე სახელმძღვანელო მეორე კატეგორიის ღონისძიებებს ეძღვნება, კონკრეტულად ეს მოდული ყურადღებას პირველი კატეგორიის ღონისძიებებზე ამახვილებს. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო ღონისძიებები შეგვიძლია შემდეგ დამატებით ქვეკატეგორიებად დავყოთ, რომლებიც გარკვეული ტიპის საქმიანობების ან პროგრამების ფარგლებში იკვეთება:

[145] სარა ცაიგერი, "Education and Countering Violent Extremism", ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში მე-2 კვლევის შემაჯამებელი ანგარიში („Hedayah", დეკემბერი, 2014 წ.), გვ. 2.

1. იდეა - „განათლება ყველასთვის" - ხშირად არის გაჟღერებული განათლების გზით ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავების შესახებ გამართულ დისკუსიებში. ამ შემთხვევაში იდეა მოიაზრებს ხარისხიან განათლებას, როგორც ძალადობრივი ექსტრემიზმის „ძირეული მიზეზების" აღმოფხვრის შესაძლებლობას. იდეის არსს წარმოადგენს სასწავლო პროგრამის შემუშავება, მასწავლებელთა შესაძლებლობების გაუმჯობესება, გოგონებისთვის განათლებასთან წვდომის შესაძლებლობის გაფართოება, იზოლირებული თემების (როგორც სტუდენტების, ისე მასწავლებლების) ინტეგრირება სასკოლო სისტემაში, სკოლებში უსაფრთხო სასწავლო გარემოს დანერგვა და ა.შ. ვინაიდან ძალადობრივ ექსტრემიზმთან ზემოაღნიშნული საკითხების კავშირი არ მტკიცდება ფაქტებით (როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ), ისინი უნდა განვიხილოთ ადამიანის განვითარების ფუნდამენტური მიზნებისა და არა ეროვნული უსაფრთხოების მიმართ არსებული პოტენციური საფრთხის ჭრილში. ამრიგად, ღონისძიებების ეს კატეგორია არ განეკუთვნება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამას და შესაბამისად აღარ განვიხილავთ ამ მოდულში, თუმცა არ უნდა გამოგვრჩეს ის განზრახვები და მიზნები, რომელთა გამოც ასე ხშირად მიმართავენ აღნიშნულ მიდგომას. ნამდვილად, ამ ღონისძიებებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით ძალადობრივ ექსტრემიზმთან წარმატებით გამკლავებაში. მიუხედავად ამისა, ისინი არ განიხილება ამ სფეროს ნაწილად, როდესაც სრულდება გარემო ფაქტორებისგან დამოუკიდებლად.

2. როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე ადგილობრივი თემების დონეზე სასწავლო პროგრამების რეფორმირება (მაგალითად, შეუწყნარებლობის შინაარსის მქონე მასალების ამოღება, გაეროს გენერალური მდივნის სამოქმედო გეგმის რეკომენდაციით), მედეგობის განვითარების მიზნით შემუშავებული სპეციალური სასწავლო პროგრამების დანერგვა, კიდევ უფრო სპეციფიკური მამოძრავებელი ფაქტორების გათვალისწინებით. ასეთი სასწავლო პროგრამების მაგალითები წარმოდგენილია ქვემოთ. „განათლება მშვიდობისთვის" - ლოზუნგით განხორციელებულ ღონისძიებებს საფუძვლად უდევს იმ ფაქტის აღიარება, რომ განათლება და განათლების სისტემის ორგანიზების მეთოდები გავლენას ახდენს მშვიდობიანი ინიციატივებისა და კონფლიქტების განვითარების დინამიკაზე. მის მსგავსად ამ ღონისძიებების მიზანს გარემოზე განათლების სისტემისა და სასწავლო გეგმების გავლენის შეცვლა, აგრეთვე მოსწავლეებს, მათ მასწავლებლებს, სკოლებს, მთავრობას და სხვადასხვა თვითმყოფად ჯგუფს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბება წარმოადგენს. სასწავლო პროგრამის რეფორმა გულისხმობს ძალადობრივი ექსტრემიზმისადმი მედეგობის განმტკიცებას ინდივიდუალურ დონეზე, მოსწავლეების შესაძლებლობების განვითარებას და მათ რიგებში მოწყვლადობის შემთხვევების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანას. ეს ყველაფერი მიიღწევა მათში ისეთი უნარებისა და ფასეულობების ჩამოყალიბებით, როგორიცაა თვითმყოფადობა და მიკუთვნება, თვითშეფასება, თანაგრძნობა, ტოლერანტობა და ა.შ. საბოლოო ჯამში, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე წარმოდგენილ პროგრამებში გათვალისწინებულმა საკითხებმა და მოდულებმა ხელი შეუწყონ ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ ინდივიდუალური და საზოგადოების მედეგობის ჩამოყალიბებას.

3. განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმები, აგრეთვე ის მეთოდოლოგიური რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავს სწავლების მეთოდების (პედაგოგიკის პრინციპების) შეცვლას. ასეთი რეფორმები გულისხმობს პრაქტიკული სწავლის შესაძლებლობას, სწავლის დინამიკური და ინტერაქტიული სტილის წახალისებას დამახსოვრების ნაცვლად, ასევე უსაფრთხო გარემოს შექმნას ისეთი საკითხების განსახილველად, როგორიცაა პატივისცემა და ტოლერანტობა. მეთოდოლოგიური რეფორმები სცილდება სწავლების მეთოდების რეფორმირების ფარგლებს და ხშირად მათი მიზანია კრიტიკული აზროვნების, ციფრული და ინფორმაციული წიგნიერების, დიალოგის კულტურისა და სხვა შეხედულებების პატივისცემის, ასევე სოციალური და ემოციური სწავლების შესაძლებლობის გაზრდა.

4. მასწავლებლებისა და სკოლის პერსონალის ცნობიერების დონის ამაღლება საგანმანათლებლო გარემოში რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის შესახებ, აგრეთვე ისეთი საშუალებებით უზრუნველყოფა, რომლებიც მათ სენსიტიურ საკითხებსა და ტრავმებზე რეაგირებაში, აგრეთვე ტოლერანტობის და რადიკალიზაციის პოტენციურ საფრთხესთან დაკავშირებით საკუთარი ცრუ შეხედულებების გადამოწმებაში დაეხმარება.

5. მოსწავლეებისთვის ძალადობრივი ექსტრემიზმის პროპაგანდის, შეთქმულების თეორიების და უთანხმოების ან ძალადობის გამომწვევი სხვა შეტყობინებების იდენტიფიცირების, ამოცნობისა და წინააღმდეგობის გაწევის უნარების სწავლება. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს ციფრული და კრიტიკული წიგნიერების განვითარება, რაც გულისხმობს ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებისა და ძალადობრივი ექსტრემისტების პროპაგანდასთან დაპირისპირების შესაძლებლობას. მოსწავლეები ასევე შეიძლება დაეუფლონ საკუთარი გზავნილების შექმნის უნარს, ძალადობრივი ექსტრემისტების მოწოდებების წინააღმდეგ გამოსაყენებლად..

6. მასწავლებლებისა და მოსწავლეების სწავლება და მათი ჩართვა ისეთ ღონისძიებებში, რომელთა მიზანია მათ გარემოში არსებული უკმაყოფილებისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების აღმოფხვრა კონსტრუქციული, არაძალადობრივი გზით. საგანმანათლებლო გარემოში ეს გულისხმობს სამოქალაქო აქტივობის განვითარებას, მოხალისეობის ხელშეწყობას, ლიდერობას და თანატოლებს შორის მენტორობას.

7. მიზნობრივი საგანმანათლებლო ინიციატივების შეთავაზება (მაგალითად, პროფესიული ან კონკრეტული უნარ-ჩვევების სწავლება) პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ჩართული იქნება დაუცველ რეგიონებში მცხოვრები მოწყვლადი პირების ან მოსწავლეების შეზღუდული რაოდენობა. აღნიშნულ ინიციატივებს ხშირად ამ სიაში წარმოდგენილი სხვა ღონისძიებებიც ახლავს თან

8. კონფლიქტის შედეგად დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთობების დამყარება, პარტნიორული დამოკიდებულების ჩამოყალიბება და პოზიტიური თვითმყოფადობის გაძლიერება სპორტული, ხელოვნებისა და კულტურული ღონისძიებებით.

9. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად სპეციფიკური საგანმანათლებლო ინიციატივების შეთავაზება რადიკალურად განწყობილი პირების მიმართ, მათი ჩამოშორების, დერადიკალიზაციის, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის მიზნით (კამერუნიდან, პაკისტანიდან და სომალიდან წარმოდგენილი მაგალითები იხილეთ პუნქტებში 4.2.2 და 6.3.6).[146]

[146] ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მაგალითების უფრო სრულყოფილი ჩამონათვალისა და მოწინავე პრაქტიკისთვის, იხილეთ განათლებისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში მოწინავე პრაქტიკის შესახებ აბუ-დაბის მემორანდუმი და განათლებისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში აბუ-დაბის სამოქმედო გეგმა, რომლებიც წარმოდგენილია შემდეგ 7.7 პუნქტში - სწავლების დამატებითი შესაძლებლობები.

ზემოთ ჩამოთვლილი ქვეკატეგორიების მიხედვით, განათლების საშუალებით ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ამბიციური მიზნების განხორციელების უამრავი გზა არსებობს. თუმცა, **ამ ძალისხმევების განხილვა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ჭრილში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი კონკრეტულ გარემოში ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად გამოიყენება.**

ზემოაღნიშნული ძალისხმევების ფარგლებში გამოყენებულ ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს სპეციალიზებული სასწავლო პროგრამის შემუშავება ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ მოსწავლეების მედეგობის გასაძლიერებლად. შემდეგ ნაწილში გავეცნობით იმ სასწავლო პროგრამების უამრავ მაგალითს, რომლებსაც უკვე იყენებენ რიგ სასწავლო კურსებში. განათლების გზით ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სხვა ინიციატივების მსგავსად, მათი განხორციელება შესაძლებელია როგორც **ფორმალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში** (მაგ., სკოლებსა და უნივერსიტეტებში), ასევე **არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში** (მაგ., კლუბებში, ფაკულტატიურ ღონისძიებებში, სპეციალურ სემინარებში, ადგილობრივ ღონისძიებებსა და ა.შ.). მათი შეთავაზება შესაძლებელია ფორმალურ სასკოლო გარემოშიც იმ სპეციალური სესიების ფარგლებში, რომლებსაც ჩაატარებენ სახელმწიფო დაწესებულებებიდან მოწვეული ინსტრუქტორები ან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები (სკოლის მასწავლებლების ან სკოლის სხვა თანამშრომლების ნაცვლად). რეალურად, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისკენ მიმართული საგანმანათლებლო ინიციატივების უმრავლესობა სრულდება ფორმალური სასწავლო დაწესებულებების ფარგლებს გარეთ.

რით განსხვავდება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებისა და პოლიტიკის განხორციელება ფორმალურ სასწავლო დაწესებულებებში მათ არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში განხორციელებისგან?

შემდეგი სასწავლო გეგმები ითვალისწინებს იმ უნარებისა და ფასეულობების ერთობლიობას, რომლებიც მოსწავლეებში მედეგობის განვითარებას უწყობს ხელს. წარმოდგენილი ჩამონათვალი და ინსტრუმენტები არ არის ამომწურავი. ძალადობრივი ექსტრემისტული იდეების მიმართ მედეგობის გაძლიერებისკენ მიმართულ საგანმანათლებლო ინიციატივებთან დაკავშირებით რეკომენდებულია ისეთი უნარებისა ფასეულობების ფართო სპექტრი, როგორიცაა: დებატების წარმართვა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ციფრული წიგნიერება, კულტურათაშორისი და რელიგიათაშორისი ცნობიერება, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკალებურობა, პროფესიული მომზადება, პრობლემების გადაჭრა, სოციალური ჩართულობა, ემოციურ ტრავმებსა და კრიტიკასთან გამკლავების შესაძლებლობა და სხვა უნარები. ამ უნარების განვითარების მიზნით ტრენინგის ჩატარების უამრავი ვარიანტი და მეთოდი არსებობს, ინდივიდუალური და ადგილობრივი მოთხოვნებიდან გამომდინარე. და კვლავ, **კონკრეტულ სფეროში და კონკრეტული მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო ინიციატივის საშუალებით ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისთვის საჭირო უნარებისა და ფასეულობების შერჩევისას, მხედველობაში უნდა მივიღოთ შერჩეულ გარემოში ძალადობრივი ექსტრემიზმის კონკრეტული მამოძრავებელი ფაქტორები.**

6.3.1. გლობალური მოქალაქეობის შესახებ განათლება

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების შესაბამისი კონცეფციის პირველი მაგალითი არის გლობალური მოქალაქეობის შესახებ განათლების თაობაზე UNESCO-ს კონცეფცია. ნახეთ შემდეგი ორი ვიდეორგოლი, კონცეფციასა და მის მიზნებთან გასაცნობად:

ვიდეორგოლი 12: გლობალური მოქალაქეობის შესახებ განათლება ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისთვის

მომზადებულია: UNESCO-ს მიერ

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/nhwVKKPDm4A
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

ვიდეორგოლი 13: გლობალური მოქალაქეობის შესახებ განათლების მეშვეობით მშვიდობასა და ჰარმონიაში ცხოვრების სწავლება

მომზადებულია: UNESCO-ს მიერ

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/KuKzq9EDt-0
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

გლობალური მოქალაქეობის შესახებ განათლება შეიძლება ეფექტიანი იყოს იმ გარემოში, სადაც თვითმყოფადობის კუთხით არსებული აზრთა სხვადასხვაობა (როგორიცაა, ქვემოთ ჩამოთვლილი) რადიკალიზაციის გამომწვევი უთანხმოების მიზეზი აღმოჩნდა. მან ასევე შესაძლოა ხელი შეუწყოს მოსწავლეების აქტიურ ჩართვას ძალადობრივი ექსტრემიზმის ადგილობრივი მამოძრავებელი ფაქტორების აღმოფხვრაში არაძალადობრივი, ეფექტიანი და თანამშრომლური გზით, რაც განამტკიცებს როგორც ინდივიდუალურ, ასევე საზოგადოების მედეგობას ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ. აღნიშნული კონცეფციის მიზანია მოსწავლეებისათვის შემდეგი შესაძლებლობების მიცემა:

- გლობალური მმართველობითი სტრუქტურების, უფლებებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერება; გლობალურ, სახელმწიფო და ადგილობრივ სისტემებსა და პროცესებს შორის არსებული გლობალური პრობლემების და კავშირების სწავლება;
- განსხვავებებისა და მსგავსების სხვადასხვა ფაქტორის, კერძოდ, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, გენდერული და ზოგადად კაცობრიობისთვის მიკუთვნების ფაქტორების აღიარება და დაფასება და სულ უფრო მრავალფეროვან სამყაროში ცხოვრების უნარების განვითარება;
- სამოქალაქო წიგნიერებისათვის საჭირო კრიტიკული უნარების, როგორიცაა კრიტიკული კვლევის, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების, მედია წიგნიერების, კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილების მიღების, პრობლემების გადაჭრის, მოლაპარაკებების წარმოების, მშვიდობის მშენებლობაში მონაწილეობის უნარებისა და პიროვნული და სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება და გამოყენება;
- რწმენისა და ფასეულობების აღიარება და ანალიზი, აგრეთვე პოლიტიკური და სოციალური გადაწყვეტილებების მიღებაზე, სოციალური სამართლიანობისა და სამოქალაქო ჩართულობის აღქმაზე მათი გავლენის განსაზღვრა;
- ყურადღებისა და თანაგრძნობის გამოხატვა სხვა ადამიანებისა და გარემოს მიმართ და მრავალფეროვნების პატივისცემა;
- პატიოსნებისა და სოციალური სამართლიანობის ფასეულობების და უთანასწორობის ანალიზის უნარების განვითარება გენდერის, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, კულტურის, რელიგიის, ასაკისა და სხვა ფაქტორების საფუძველზე;
- ადგილობრივ, სახელმწიფო და გლობალურ დონეზე არსებული თანამედროვე გლობალური პრობლემების აღმოფხვრაში მონაწილეობა და საკუთარი წვლილის შეტანა ინფორმირებული, ჩართული, პასუხისმგებლიანი და გულისხმიერი მოქალაქეების სახით".[147]

როგორ უწყობს ხელს გლობალური მოქალაქეობის შესახებ განათლების ფარგლებში გათვალისწინებული სასწავლო მიზნები და მდგრადი განვითარების მიზანი 4.7. მედეგობას ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეებისადმი?

[147] დინა კივანი და მარკ ევანსი, „Global Citizenship Education: Topics and Learning Objectives" (პარიზი, საფრანგეთი: გაეროს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია, 2015 წ.), გვ. 16.

6.3.2. აქტიური მოქალაქეები

ბრიტანეთის საბჭოს აქტიური მოქალაქეების პროგრამა იზიარებს გლობალური მოქალაქეობის შესახებ განათლების მიზანს, რაც ადგილობრივი პრობლემების აღმოფხვრაში მოსწავლეების აქტიურ ჩართვას გულისხმობს. ეს კონცეფცია და მასთან დაკავშირებული სასწავლო მასალა გათვლილია შედარებით „ელიტურ" აუდიტორიაზე, რომელიც შედგება „სოციალურად პასუხისმგებლიანი, გავლენიანი და ადგილობრივი საზოგადოების დონეზე მიმდინარე სამუშაოებში ჩართული" პირებისგან. მათ რიგებში იმყოფებიან ახალგაზრდული აქტივისტები, პედაგოგები, რელიგიური ლიდერები, საზოგადოების განვითარების სფეროში მოღვაწე სხვა პროფესიონალები და მოხალისეები. ასეთი აუდიტორია შეირჩა პროგრამის კონკრეტული მიზნით - პრობლემების აღმოფხვრასთან დაკავშირებით მოსწავლეების უნარების განვითარება ადგილობრივ დონეზე. პროგრამის მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცემათ:

- კიდევ უფრო გააძლიერონ საკუთარი კულტურისა და თვითმყოფადობის გრძნობა სხვა კულტურებთან ურთიერთქმედების გზით;
- შეიძინონ უფრო სიღრმისეული ცოდნა და გაიაზრონ, თუ როგორ მუშაობს მათი ადგილობრივი საზოგადოება, ასევე მისი კავშირები დანარჩენ მსოფლიოსთან;
- მიიღონ შესაბამისი ზომები საზოგადოების კიდევ უფრო დასახვეწად მდგრადი ინიციატივების საშუალებით;
- ეფექტიანად იმუშავონ მრავალფეროვან გარემოში.[148]

მოსწავლეები ამ უნარებს ადგილობრივი პრობლემების აღმოსაფხვრელად გამოიყენებენ, რაშიც მათ გრანტებიც დაეხმარება. ამ პროგრამის ფარგლებში სპეციალური მომზადება გაიარა 200 000-ზე მეტმა ადამიანმა, დაახლოებით 50 000 ქვეყნიდან. მომზადების შემდგომ მათ შეეძლოთ ისეთი საკითხების განხილვა, როგორიცაა თემებს შორის დაძაბულობის მოგვარება, საარსებო წყაროებთან წვდომის შესაძლებლობების უზრუნველყოფა, აგრეთვე გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობის, განათლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პრობლემები.[149] უფრო კონკრეტულად, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ინიციატივების ხელშეწყობისთვის გამოიყენეს „აქტიური მოქალაქეების" პროგრამა სირიაში, ქალაქ ტარტუსში, სადაც მოსწავლეები სამშვიდობო კომიტეტებს ხელმძღვანელობდნენ. ამ ქალაქს სირიის მთავრობა აკონტროლებდა, თუმცა ლტოლვილთა ბანაკებში ასევე ათავსებდნენ სხვა ჯგუფების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს. როდესაც ახლომდებარე ავტობუსების სადგურზე დამანგრეველი იერიში მიიტანეს, ეს ახალგაზრდები აქტიურად ცდილობდნენ ქუჩაში არსებული დაძაბულობის შემსუბუქებას და ლტოლვილთა ბანაკებზე თავდასხმების თავიდან აცილებას.[150] კიდევ ერთი მაგალითის მიხედვით, ბრიტანეთის საბჭოს „აქტიური მოქალაქეების" პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა „რადიკალიზაციის უფრო სიღრმისეული გაგება და იმ ახალგაზრდების უკეთ აღქმა, რომლებიც თავს რადიკალიზებულად თვლიდნენ, ძალადობისა და ძალადობრივი ქმედებების აღქმის ჩათვლით."[151] ძალადობრივი ექსტრემიზმის ადგილობრივ მამოძრავებელ ფაქტორებზე ორიენტირების შემთხვევაში, ეს პროგრამა შეიძლება იქცეს ეფექტიანი საგანმანათლებლო ინსტრუმენტად, რომელიც ხელს შეუწყობს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისკენ მიმართულ ძალისხმევებს.

როგორ განამტკიცებს ადგილობრივი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ მედეგობას?

[148] „აქტიური მოქალაქეები", ბრიტანეთის საბჭო, 2018 წ., https://www.britishcouncil.org/society/governance-civil-society/active-citizens. [ინგლისური]
[149] https://www.britishcouncil.org/active-citizens
[150] "Building Resilience to Radicalisation in MENA: Evidence Session" (ბრიტანეთის საბჭო, 10 ივლისი, 2017წ.), https://appg.britishcouncil.org/sites/default/files/british_council_evidence_session_10.07.17.pdf [ინგლისური]
[151] "Links and Overviews of Resources on Youth and Extremism in Preparation for the Budapest Symposium,"YouthPolicy, 19 ნოემბერი, 2011 წ., http://www.youtholicy.org/blog/youth-policy-symposia/resources-on-youth-extremism/. კვლევა იხილეთ ბმულზე: http://www.st-andrews.ac.uk/intrel/media/ESYM%20Report%20A4[1].pdf. [ინგლისური]

6.3.3. მედია და ინფორმაციული წიგნიერება

სულ უფრო მეტ შეშფოთებას იწვევს რადიკალიზაციის ხელშეწყობის მიზნით ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივების გამოყენების ტენდენცია (ამ თემას უფრო დეტალურად მე-8 მოდულში შევეხებით), ასევე პროპაგანდის და „ყალბი ახალი ამბების" გავრცელება ინტერნეტ სივრცეში ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში იმ სახით, რომ მოჰყვეს რეზონანსი და გააძლიეროს ნარატივების ეფექტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში მოღვაწე პრაქტიკოსი სპეციალისტები ხშირად მოუწოდებენ მოსწავლეებს, განსაზღვრონ ინფორმაციის წყაროები და ეცადონ, გააცნობიერონ, თუ როგორ გამოიყენება ინფორმაცია სხვადასხვა შეხედულებისა და აზროვნების ჩამოყალიბების მიზნით. ასეთი უნარები მოსწავლეებს დაეხმარება, კრიტიკულად შეაფასონ მიღებული ინფორმაცია, გადაამოწმონ წყაროები და ფაქტები და თავიდან აიცილონ „ყალბი ახალი ამბების" ან პროპაგანდის გავრცელება. ამ უნარების მქონე მოსწავლეებს მიიჩნევენ უფრო მედეგად ძალადობრივი ექსტრემისტების მხრიდან მოწოდებული რადიკალიზაციის იდეებისა და განხეთქილების გამომწვევი შეტყობინებების მიმართ.

UNESCO-ს მიერ განხორციელებული სასწავლო პროგრამა - „მედია და ინფორმაციული წიგნიერება" წარმოადგენს მოსწავლეებში ამ უნარების განვითარების ერთ-ერთ ინსტრუმენტს. კერძოდ, სასწავლო გეგმაში შედის შემდეგი უნარების სწავლება:

1. მედიისა და ინფორმაციის მნიშვნელობის ცოდნა და გააზრება დემოკრატიული დისკურსისა და სოციალურ ცხოვრებაში ჩართულობისთვის;

2. მედია ტექსტებისა და ინფორმაციის წყაროების შეფასება;

3. მედიისა და ინფორმაციის შემუშავება და გამოყენება.[152]

ეს სასწავლო პროგრამა ეხმარება მოსწავლეებს ძალადობრივი ექსტრემისტების მხრიდან შემდგომში წარმოდგენილი პროპაგანდის იდენტიფიცირებასა და კრიტიკულ ანალიზში. პროგრამის მიზანს წარმოადგენს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება და ძალადობრივი ექსტრემისტების გზავნილების საფუძვლიანობის ეჭვქვეშ დაყენება.

[152] ქეროლაინ უილსონი და სხვ., "Media and Information Literacy: Curriculum for Teachers" (პარიზი, საფრანგეთი: გაეროს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია, 2011 წ.), გვ. 22.

6.3.4. მშვიდობის შესახებ განათლება

ისეთ შემთხვევებში, როდესაც უთანხმოება და კონფლიქტი ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელ ფაქტორებს წარმოადგენს, ე.წ. მშვიდობის შესახებ განათლების მეშვეობით შესაძლებელია გავზარდოთ მოსწავლეების მედეგობა ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ და ვაქციოთ ისინი მშვიდობისმყოფელებად. მშვიდობის შესახებ განათლება წარმოადგენს ფართო მნიშვნელობის ტერმინს და მოიცავს ისეთ ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლეებში კონფლიქტის მოგვარების უნარის განვითარებას ისეთი იდეალების გავრცელებას, როგორებიცაა: მშვიდობა და ძალადობის უარყოფა. ამ მიზნით უამრავი სხვადასხვა სასწავლო მოდული შეიქმნა.

ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეებში არსებული განათლება უფრო მეტია, ვიდრე კურიკულუმი. სტრუქტურების ან მიდგომების შეცვლამ შესაძლოა კიდევ უფრო სრულყოფილი გახადოს სასწავლო პროგრამა მშვიდობის შესახებ განათლების კუთხით და ხელი შეუწყოს პოზიტიურ ცვლილებებს. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს კონფლიქტებისა და დავების მოგვარებას მასწავლებელთა შუამავლობისა და დიალოგის გზით, ღია და უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნას და სხვადასხვა თვითმყოფადი ჯგუფებიდან მოსწავლეების სრულ ინტეგრაციას. მაგალითად, ყირგიზეთში, ქალთა პროგრესულმა საზოგადოებრივმა გაერთიანებამ (WPSU) - "მუტაკალიმი"[153] შეიმუშავა და დანერგა მშვიდობის შესახებ განათლების პროგრამა. აღნიშნული პროგრამის მიზანია თემებისთვის განკუთვნილი ღონისძიებებისა და მშვიდობის შესახებ განათლების ჩართვა რელიგიური სკოლების სასწავლო გეგმაში.[154] იმის დასადგენად, ხელსაყრელია თუ არა მშვიდობის შესახებ განათლების მიდგომა თქვენს გარემოში ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად, თქვენ შეგიძლიათ დასვათ შეკითხვა - იყოფა თუ არა საგანმანათლებლო სივრცეები გენდერის, რელიგიის ან ეთნიკურობის ნიშნით.

მაგალითად, მილიონობით სირიელი ლტოლვილის ლიბანში გაქცევის შემდეგ, სირიელი ბავშვების რაოდენობამ ლიბანელი ბავშვების რაოდენობას გადააჭარბა. ლიბანში არსებულმა დაძაბულობამ და სამუშაო ადგილებზე კონკურენციამ იქ არსებული ვითარება გაამწვავა და ძალადობის შემთხვევებიც კი გამოიწვია. დაძაბული მდგომარეობის აღმოსაფხვრელად, ძალიან ბევრმა ორგანიზაციამ დაიწყო ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე არაფორმალური საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსება ლიბანელი, სირიელი და პალესტინელი ბავშვებისთვის. ამ ღონისძიებების მიზანს ბავშვებისთვის კონფლიქტის ტრანსფორმაციის, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების კონცეფციების გაცნობა[155] წარმოადგენდა. ამ ტიპის პროგრამების ერთ-ერთი მაგალითია არასამთავრობო ორგანიზაცია „Search for Common Grounds"-ის ინიციატივა. მშვიდობის შესახებ განათლების სასწავლო პროგრამის, როგორც ამ ინიციატივის ნაწილის შეფასებით დადგინდა, ის ეხმარება ბავშვებს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებულ კონფლიქტებთან ეფექტიანად გამკლავებაში და ასწავლის მათ სხვებთან ურთიერთობისას დადებითი არჩევანის გაკეთებას. პროგრამის ფარგლებში აგრეთვე შემცირდა ძალადობის ფაქტების რაოდენობა და კლასებში არსებული დაძაბულობა. გარდა ამისა, სირიელი და ლიბანელი ბავშვების მშობლები მონაწილეობდნენ მშობელთა კომიტეტებში, რომლის ფარგლებშიც ისინი გადიოდნენ შესაბამის სწავლებას და ამყარებდნენ ერთმანეთთან პოზიტიურ ურთიერთობებს, ერთად გეგმავდნენ და ამზადებდნენ ღონისძიებებს თავიანთი შვილებისთვის. ამ პროგრამის გასაცნობად უყურეთ ქვემოთ წარმოდგენილ ვიდეორგოლს:

[153] http://www.mutakallim.kg/
[154] "ქალთა პროგრესული საზოგადოებრივი გაერთიანება (WPSU) 'მუტაკალიმი'", Peace Insight, იანვარი, 2017 წ., https://www.peaceinsight.org/conflicts/kyrgyzstan/peacebuilding-organisations/womens-progressive-social-union-wpsu-mutakalim/. [ინგლისური]
[155] კონფლიქტის ტრანსფორმაცია ნიშნავს კონფლიქტში ჩართული პირების სწავლებას, თუ როგორ ჩაანაცვლონ მათი მხრიდან გამოვლენილი აგრესიული ან თუნდა დესტრუქციული რეაქცია კონსტრუქციული მეთოდებით.

ვიდეორგოლი 14: „იმედის ცისარტყელას“ და „ბავშვები ეკოლოგიისთვის“ თანამშრომლობა

მომზადებულია: Search for Common Ground-ის მიერ

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/As_iailNRZ4[156]
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

სადისკუსიო შეკითხვები:

1. როგორ აისახა ლიბანელი, სირიელი და პალესტინელი ბავშვების ცხოვრებაზე პროექტში ჩართვა?

2. თქვენი აზრით, პროექტის სხვა რომელი ელემენტები უწყობს ხელს მისი მთავარი მიზნის მიღწევას?

3. როგორ შეიძლება ამ პროექტის სარგებელი გასცდეს სკოლის ფარგლებს?

4. დაფიქრდით თქვენს ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე. ადგილი აქვს თუ არა რაიმე უთანხმოებას (სკოლებში ან, ზოგადად, საზოგადოებაში), რომლის აღმოფხვრაც შესაძლებელია კომპლექსური საგანმანათლებლო პროგრამების ან მშვიდობის შესახებ განათლების გზით? როგორ?

6.3.5. ძალადობრივი ექსტრემიზმის თავიდან აცილება და მასთან გამკლავება საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით

"Hedayah"-ს ცენტრმა, UNESCO-სა და აფრიკაში შესაძლებლობების განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტთან (IICBA) თანამშრომლობით, შეიმუშავა კომპლექსური საგანმანათლებლო პროგრამა განათლების საშუალებით ძალადობრივი ექსტრემიზმის თავიდან აცილების შესახებ. სასწავლო პროგრამა გათვლილია მასწავლებლებსა და მათ ტრენერებზე და მიზნად ისახავს რადიკალიზაციისა და საგანმანათლებლო მიდგომების შესახებ მათი ცნობიერების დონის კიდევ უფრო მეტად ამაღლებას. პროგრამის მიზანია კლასში რადიკალიზაციის მამოძრავებელ ფაქტორებთან გამკლავება და იგი მოიცავს ციფრულ და კრიტიკულ წიგნიერებას, სოციალურ-ემოციურ სწავლებასა და რთული თემების უსაფრთხო გარემოში განხილვას. სასწავლო პროგრამის ფარგლებში ასევე წარმოდგენილია მასწავლებლის გზამკვლევი, კლასებში ჩასატარებელი სავარაუდო გაკვეთილების გეგმით.[157]

[156] პროექტის შესახებ დამატებითი ვიდეორგოლები იხილეთ შემდეგ ბმულებზე: https://youtu.be/L3SmmzRR3iY და https://youtu.be/DnMF2ea17-M. [არაბულად, ინგლისური სუბტიტრებით]. უკრაინაში მშვიდობის შესახებ განათლების ბანაკების მაგალითები ხელმისაწვდომია ბმულზე: https://youtu.be/M_Nb7b5bLdo [რუსული/უკრაინული] და https://www.youtube.com/watch?v=kkWjaVe6Cl4. [ინგლისური]
[157] http://www.hedayahcenter.org/what-we-do/91/departments/95/capacity-building-programs/532/prevention-of-violent-extremism-through-education-capacity-building-program

6.3.6. განათლების მეშვეობით ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სხვა კონცეფციები ან სასწავლო პროგრამები

კულტურული მემკვიდრეობის მიმართ შეუწყნარებლობის შესახებ ძალადობრივი ექსტრემისტების ნარატივების და მათი იერიშების საპასუხოდ, UNESCO-მ დაიწყო კამპანია "Unite4Heritage".[158] კამპანიის ფარგლებში UNESCO იყენებს სასწავლო მასალების კრებულს სახელწოდებით - **„მსოფლიო მემკვიდრეობა ახალგაზრდების ხელში" (World Heritage in Young Hands).** კამპანიის მიზანია „დისკუსიის წარმართვის და განსხვავებული აზრის მოსმენის უნარების განვითარების ხელშეწყობა, რაც გააძლიერებს თვითმყოფადობის გრძნობას და ამავდროულად გაამყარებს როგორც ურთიერთ, აგრეთვე მრავალფეროვნების პატივისცემას."[159] ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ამ კამპანიის ფარგლებში, მიმდინარე ინიციატივებთან ერთად, გამოიყენება ყველაზე ეფექტიანი საგანმანათლებლო მასალების კრებული იმ სფეროებში, სადაც შეუწყნარებლობა წარმოადგენს ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელ ფაქტორს და მიაქვს იერიში კულტურულ და რელიგიურ მემკვიდრეობაზე.

საგანმანათლებლო პაკეტი სახელწოდებით **„ბალის საზღვრებს მიღმა" (Beyond Bali)** წარმოადგენს ასოციაციის - „ბალის მშვიდობის პარკი" სასწავლო პროგრამას. პროგრამა ინდონეზიის კუნძულ ბალიზე 2002 წელს მომხდარ ტერაქტს ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ მედეგობის განვითარების პლატფორმის სახით იყენებს. პროგრამის მიზანია „მოსწავლეების უზრუნველყოფა შესაბამისი უნარ-ჩვევებითა და ინსტრუმენტებით, რათა მათ შეძლონ ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების, მათი გამომწვევი მიზეზების და შედეგების კრიტიკული ანალიზი და ეჭვქვეშ დაყენება", აგრეთვე ძალადობრივი ღონისძიებების მშვიდობიანი ალტერნატივების შემუშავების წახალისება.[160]

კერძო კომპანია „Big Bad Boo"-ს მიერ შექმნილი მულტიპლიკაციური პროგრამის **„1001 ღამე"** (1001 Nights) სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ ბავშვები. პროგრამა აერთიანებს 50-ზე მეტ ეპიზოდსა და გაკვეთილს, რომელთა ფარგლებშიც მხიარულად და გართობის გზით ისწავლება ისეთი პრინციპები და ფასეულობები, როგორიცაა კანონის უზენაესობა, მშვიდობა და პატიოსნება.[161] გამომდინარე იქიდან, რომ ამ მულტიპლიკაციურ ფილმებს ტელევიზიით იშვიათად გადასცემენ, კომპანია „Big Bad Boo" თანამშრომლობს საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, მულტიპლიკაციური ფილმებისა და მათთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამების ლტოლვილთა ბანაკებში, სკოლებსა და სხვა მსგავს ადგილებში გასავრცელებლად. მაგალითად, ორგანიზაცია „Search for Common Ground" თანამშრომლობს კომპანია „Big Bad Boo"-სთან ძალადობრივი ექსტრემისტების ნარატივების მიმართ ახალგაზრდების მედეგობის გაძლიერების მიზნით ტუნისში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ორგანიზაციამ „Search for Common Ground" შექმნა კლასგარეშე სამშვიდობო კლუბები ექვს თემში. კლუბების დანიშნულებაა ახალგაზრდების მოზიდვა და მულტიპლიკაციური ფილმის - „1001 ღამე" - ფარგლებში წარმოდგენილი პოზიტიური ფასეულობების გავრცელება ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ ახალგაზრდების მედეგობის გასაძლიერებლად. სამშვიდობო კლუბები მიზნად ისახავს მოსწავლეების უნარების განვითარებას „არაძალადობრივი კომუნიკაციისა და კონფლიქტების ტრანსფორმაციის კუთხით, ასევე ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებასა და მუნიციპალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობების დამყარებას. გარდა ამისა, კლუბები იძლევა ახალგაზრდა მშვიდობისმყოფელთა შორის მენტორობისა და დიალოგის წარმართვის შესაძლებლობას."[162]

[158] გაეცანით ბმულზე: [რუსული] [ინგლისური]
კამპანიის შესახებ ვიდეორგოლი იხილეთ ბმულზე: https://youtu.be/dkMtCR6rv9w. [ინგლისური]
[159] https://whc.unesco.org/en/educationkit/
[160] http://www.balipeacepark.com.au/beyond-bali-education-package.html
[161] http://www.bigbadboo.com/index.php/propertiesdetail/pid/9/1001nights
[162] "1001 Nights: Building Children's Resilience to Violence," Search for Common Ground (ბლოგი), 2 მაისი, 2018 წ., https://www.sfcg.org/1001-nights-building-children-resilience-to-violence/. [ინგლისური]

საგანმანათლებლო ინიციატივების დამატებითი მაგალითები შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ წარმოდგენილ ორ ვიდეორგოლში პაკისტანისა და სომალის პროგრამების შესახებ:

პაკისტანში, სვატის ხეობაში არსებული „საბაონის" სკოლა, რომელიც ჩართულია „თალიბანის" წევრი ახალგაზრდა მამაკაცებისა და ბიჭების რეაბილიტაციასა და დერადიკალიზაციაში:

ვიდეორგოლი 15: ტერორისტების სარეაბილიტაციო სკოლა

მომზადებულია: VICE News-ის მიერ

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/yUTIoVM2mxc
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ინიციატივა, სახელწოდებით „სომალის ახალგაზრდა სწავლულები", რომელიც მხარს უჭერდა სომალიში განათლების სისტემის აღდგენას. აქვე აღსანიშნავია თანმხლები ინიციატივა „სომალის ახალგაზრდა ლიდერები", რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებისთვის უზრუნველყოფილი იქნა სამოქალაქო ჩართულობის შესაძლებლობები როგორც სასკოლო გარემოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ:

ვიდეორგოლი 16: ინიციატივა „სომალის ახალგაზრდა სწავლულები"

მომზადებულია: ა.შ.შ ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/EPmKcfefwrI
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

საქართველოზე ფოკუსირება

ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და სწავლების მიზნით საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრმა (GCSD) მოამზადა პედაგოგებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმთან თანამშრომლობით (პროექტი დაფინანსებულია „PH International"-ის მიერ). სახელმძღვანელო დაფუძნებულია შემდეგ ვარაუდებზე:

- რადიკალური იდეების და ძალების არსებობა თანამედროვეობის ერთ-ერთი უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს;
- რადიკალური იდეები შეიძლება წარმოიშვას ნებისმიერ დროს და გეოგრაფიულ სივრცეში. ამ იდეებმა შეიძლება ღრმად გაიდგას ფესვი ნებისმიერ საზოგადოებაში;
- რადიკალიზაცია არაა კავშირში კონკრეტულ ასაკთან, სქესთან ან სოციალურ ჯგუფთან. თუმცა მეცნიერულად დასაბუთებული მტკიცებულებების თანახმად, ამ მხრივ განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს მაინც ახალგაზრდობა წარმოადგენს;
- რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ ახალგაზრდების მედეგობის გასაძლიერებლად საჭიროა ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რომელიც მათ დაეხმარება ექსტრემისტული პროპაგანდის საფრთხეების თავიდან აცილებაში.

სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოქალაქეობის ცნების განხილვას გლობალიზაციასა და ნაციონალიზმს შორის დაპირისპირების ჭრილში და განათლების მნიშვნელობას გლობალური მოქალაქეების აღზრდის პროცესში. სახელმძღვანელო განიხილავს მრავალფეროვნების ცნებას და საზოგადოებების ჩამოყალიბების გზას ასეთ გარემოში, ასევე ხაზს უსვამს მრავალფეროვნების როლს საქართველოს ისტორიულ და კულტურულ განვითარებაში. აღნიშნული ცნებების განხილვის შემდეგ, სახელმძღვანელოში მსჯელობა გრძელდება რადიკალიზაციის, როგორც სოციალური და იდეოლოგიური ფენომენის შესახებ, მის განმზიდველ და მიმზიდველ ფაქტორებთან ერთად. სახელმძღვანელოს მომდევნო თემას წარმოადგენს ახალგაზრდების რადიკალიზაციის პრობლემა და რადიკალიზაციის ნიშნების გამოვლენისა და მათთან გამკლავების შესაბამისი მეთოდები. დოკუმენტში აგრეთვე განხილულია ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები და ადამიანის უფლებების სწავლების სპეციფიკა რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის თავიდან აცილების მიზნით. სახელმძღვანელოს ბოლოს წარმოდგენილია მასწავლებლებისთვის განკუთვნილი სპეციალური მასალები რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემების აღმოფხვრის და მათი პრევენციის მექანიზმების შესახებ. სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმმა სახელმძღვანელო გამოიყენა თავისი პროექტის - „მედეგი სასკოლო საზოგადოებების კვალდაკვალ" ფარგლებში, რომელიც განხორციელდა ანკარაში კანადის საელჩოს დაფინანსებით საქართველოს ოთხ რეგიონში (აჭარა, კახეთი, გურია და თბილისი). აღნიშნული სახელმძღვანელოს გამოყენებით ტრენინგი გაიარეს პედაგოგებმა 16 სკოლიდან. ტრენინგის შემდგომ პედაგოგებმა ჩაატარეს საინფორმაციო ხასიათის სესიები იმ კოლეგებისთვის, რომლებაც არ მიუღიათ მონაწილეობა ტრენინგში. ჯამში, სახელმძღვანელოს 700 ეგზემპლარი დაიბეჭდა და გავრცელდა ფორუმის და საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) მიერ. სახელმძღვანელოს ქართული ვერსიის ბმული იხილეთ პუნქტში - „სწავლის დამატებითი შესაძლებლობები".

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრმა (CTC) და მშვიდობისა და განვითარების აკადემიამ (APD) საქართველოში ორი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა „Hedayah"-ს დაფინანსებით. კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) პროექტი - „მშვიდობიანი კულტურის კვალდაკვალ" - მიზნად ისახავს სასკოლო გარემოს შესაძლებლობების გაძლიერებას რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის თავიდან აცილების და მათთან გამკლავების მიზნით. კომპეტენციის განვითარებისა და ახალგაზრდების უფლებამოსილების გაძლიერების პროგრამების შეთავაზებით,
პროექტმა პირდაპირი სარგებელი მოუტანა 16 სამოქალაქო განათლების მასწავლებელს, 1250 მოსწავლეს, 160 ოჯახის წევრსა და 880 სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლებს. პროექტმა გააუმჯობესა სამოქალაქო განათლების ხარისხი და რიგ სკოლებს რადიკალიზაციის ადრეული ნიშნების გამოვლენის უნარები შესძინა. მშვიდობისა და განვითარების აკადემიის (APD) მიერ განხორციელებული ახალგაზრდების ადრეული გაფრთხილებისა და მედეგობის მექანიზმის მიზანს წარმოადგენდა რადიკალიზაციის პრევენცია საქართველოში, პანკისის ხეობაში. პროგრამამ ხელი შეუწყო ხეობაში დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის თანაარსებობას და დაამკვიდრა ადრეული გაფრთხილების მექანიზმი რადიკალიზაციის ნიშნების გამოვლენისა და ანგარიშგების მიზნით. მის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდა 40 მასწავლებელი, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის 3 წევრი და საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული 50 ახალგაზრდა. პროგრამის ფარგლებში აუდიტორიას ასევე შესთავაზეს კომპეტენციების განვითარების სასწავლო კურსები და ზამთრის ბანაკი.

სადისკუსიო შეკითხვები:

1. ეს პროგრამები საგანმანათლებლო შესაძლებლობებს სხვა აქტივობებთან აერთიანებს. თქვენი აზრით, რატომ გადაწყვიტეს პროგრამების შემქმნელებმა ასეთი შერეული მეთოდიკის გამოყენება? როგორ ავსებენ ერთმანეთს სხვადასხვა ღონისძიებები ძალადობრივი ექსტრემიზმისადმი მედეგობის გაძლიერების კუთხით?

2. რომელი კონკრეტული საგანმანათლებლო მიდგომები იქნა გამოყენებული ამ პროგრამებში? როგორ ერგებიან ისინი კონკრეტულ გარემოს?

3. როგორ შეაფასებდით ამ პროგრამების წარმატებას?

6.4. როგორ ვმართოთ ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორები სასკოლო გარემოში და შევიმუშავოთ შესაბამისი საგანმანათლებლო ინიციატივები აღნიშნული ფაქტორების აღმოფხვრის მიზნით?

> სკოლებში ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების მიზანს რადიკალიზაციის მიმართ ყველაზე მოწყვლადი მოსწავლეების იდენტიფიცირება წარმოადგენს, რაც ამ პროგრამების ინიციატივებს კიდევ უფრო მეტ მიზნობრიობას სძენს. სამწუხაროდ, ეს სახელმძღვანელო არ წარმოადგენს სავარაუდო „გამაფრთხილებელი ნიშნების" ჩამონათვალს, რადგან ეს ნიშნები დამოკიდებულია როგორც გარემოზე, ასევე კონკრეტულ ადამიანზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მაჩვენებლების შემუშავების მოტივაცია არის მოწყვლადი პირებისათვის საჭირო დახმარების აღმოჩენა და არა რადიკალურად განწყობილი ადამიანების „გამოჭერა". მოსწავლეების „მოწყვლადი" ან „რადიკალიზებული" პირების სახით არასწორმა იდენტიფიცირებამ შეიძლება მარგინალიზაცია გამოიწვიოს, ან უფრო მეტიც, აქციოს ისინი უსაფუძვლო და ძალადობრივი გამოძიებების სამიზნედ სამართალდამცავი ძალების მხრიდან. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია „ზიანის მიუყენებლობის" მიდგომა. ნებისმიერი ღონისძიება ხელს უნდა უწყობდეს სკოლებში მიზნობრივი პროგრამების დახვეწას და „პროფესიონალებს აძლევდეს რისკის წინაშე მყოფი მოსწავლეების ამოცნობის შესაძლებლობას იმისათვის, რომ პირველ რიგში უზრუნველყონ ისინი შესაბამისი მხარდაჭერით ადრეულ ეტაპზე. ეს კი მათ დაიცავს ძალადობრივი ექსტრემისტების ჯგუფების მიერ გადაბირებისგან და დაეხმარება ძალადობრივი იდეების უარყოფაში."[163]

[163] UNESCO, "Preventing Violent Extremism through Education," გვ. 40-41.

6.5. რა საფრთხეები ახლავს თან ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროექტების ან პოლიტიკის განხორციელებას ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში?

როგორც უკვე ვთქვით, საგანმანათლებლო გარემოში ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროექტების ან პოლიტიკის განხორციელებას შეიძლება მწვავე შედეგები მოჰყვეს, თუ სათანადო სიფრთხილის ზომებს არ მიმართავენ ან არ დაიცავენ „ზიანის მიუყენებლობის" მიდგომას.

მაგალითად, ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების გარკვეულმა პროგრამებმა (როგორიცაა პროგრამა „ბალის საზღვრებს მიღმა") შეიძლება რეალურად გაზარდოს ახალგაზრდების მხრიდან ძალადობრივი ექსტრემისტული იდეების გაზიარების რისკი, რომელთა შესახებ მათ აქამდე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. სწორად ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ბულინგის და ნარკომანიის წინააღმდეგ მიმართული პროგრამების განხორციელებისას.[164]

მასწავლებლებს (რომლებიც ხშირ შემთხვევაში უკვე მუშაობენ სტრესულ პირობებში) ასევე სჭირდებათ შესაბამისი მხარდაჭერა, საშუალებები და სწავლება ამ მიმართულებით წარმატებული საქმიანობისთვის. პოტენციურ გამოსავლად შეიძლება მოვიაზროთ გარეშე ინსტრუქტორების ჩართვა კონკრეტულ პროგრამებში ან მიზნობრივი უნარების ინტეგრირება სკოლის სასწავლო პროგრამებში.[165]

და ბოლოს, საგანმანათლებლო პროგრამებმა არ უნდა შეუწყონ ხელი მოწყვლადი მოსწავლეების კიდევ უფრო მეტად მარგინალიზაციას ან დაპირისპირებულ ბანაკებად დაყოფას. ეს კი დიდი ალბათობით მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ამ ღონისძიებებს მივუდგებით უსაფრთხოების კუთხით, პრობლემების გამოვლენისა და აუცილებელი დახმარების აღმოჩენის ნაცვლად.

[164] რატნა გოში და სხვ., "Education and Security: A Global Literature Review on the Role of Education in Countering Violent Religious Extremism" (ტონი ბლერის სახელობის გლობალური ცვლილებების ინსტიტუტი, თებერვალი, 2016 წ.), გვ. 7.
[165] ნორინ ჩოუდერი ფინკი და სხვ., "The Role of Education in Countering Violent Extremism" (გლობალური კონტრტერორისტული თანამშრომლობის ცენტრი და „Hedayah", დეკემბერი, 2013 წ.), გვ. 4.

6.6. შეჯამება

ეს მოდული შეისწავლის განათლების როლს ძალადობრივი ექსტრემისტული იდეების მიმართ მედეგობის გაძლიერების კუთხით. ის აანალიზებს განათლების დონეს და რადიკალიზაციას შორის არსებული კავშირის შესახებ გამოთქმულ ვარაუდებს, აგრეთვე უკმაყოფილების პოტენციურ წყაროებს, რაც ზრდის ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ მოწყვლადობას. აქვე შემოთავაზებულია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო საშუალებები და მიდგომები, ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ მოსწავლეების მედეგობის გასაძლიერებლად. და ბოლოს, მოდული გვთავაზობს რეკომენდაციებს, თუ როგორ ჩამოვაყალიბოთ შესაბამისი პროგრამის მიზნები და მოწინავე მეთოდები მოწყვლადი სტუდენტების გამოსავლენად. ქვემოთ იხილეთ ამ მოდულის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგების შეჯამება:

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება განათლების საშუალებით გულისხმობს არა ძალადობრივი ექსტრემისტების „გამოჭერას", არამედ რადიკალიზაციის პრევენციას და პროცესში ჩარევას.

საგანმანათლებლო ინიციატივებმა შესაძლოა გაზარდონ რადიკალიზაციის მიმართ მედეგობა მოსწავლეებისათვის შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენით, რაც ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეებს გახდის არა-მიმზიდველს.

საგანმანათლებლო გარემოში შესაძლოა წარმოიშვას კონფლიქტები ან გამოითქვას უკმაყოფილება, რაც შეიძლება ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორი გახდეს.

ზოგ შემთხვევაში სასწავლო პროგრამებმა და საგანმანათლებლო გარემომ შესაძლოა მოსწავლეების მარგინალიზაცია ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელ ფაქტორად აქციოს.

არსებობს უამრავი საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა გათვალისწინებაც შესაძლებელია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებში.

აღნიშნული რესურსები მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან უნარებს, მიდგომებსა და ცოდნას იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ და მოაგვარონ ძალადობრივი ექსტრემიზმის გამომწვევი პრობლემები.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად საგანმანათლებლო ინიციატივების არჩევანს უნდა განაპირობებდეს ის ფაქტი, მოქმედებენ თუ არა ისინი ძალადობრივი ექსტრემიზმის სპეციფიკური მამოძრავებელი ფაქტორების კონკრეტულ ჭრილში.

„ზიანის მიუყენებლობის" პრინციპის გათვალისწინებით ეფექტიანი მიდგომის უზრუნველსაყოფად, საგანმანათლებლო ინიციატივები (განსაკუთრებით მოწყვლადი მოსწავლეების იდენტიფიცირებისა და მხარდაჭერისკენ მიმართული ინიციატივები) უნდა ემყარებოდეს ადგილობრივი გარემოსა და ძალადობრივი ექსტრემიზმის ადგილობრივი მამოძრავებელი ფაქტორების შესახებ საფუძლიან ცოდნას.

6.7. სწავლის დამატებითი შესაძლებლობები

„ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია - მასწავლებლის გზამკვლევი" (UNESCO) [ქართული] [ინგლისური]

სასწავლო კურსის - „მშვიდობიანი კულტურის კვალდაკვალ" - მასალა, ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრი (CTC) და „Hedayah"-ს პროგრამა „STRIVE Global" [ქართული]

„ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენცია" – დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის, 2019 წ. (GCSD) [ქართული]

აბუ-დაბის მემორანდუმი განათლებისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში არსებული მოწინავე პრაქტიკის შესახებ (გლობალური კონტრტერორისტული ფორუმი - GCTF) [რუსული] [ინგლისური]

აბუ-დაბის სამოქმედო გეგმა განათლებისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში (გლობალური კონტრტერორისტული ფორუმი - GCTF) [ინგლისური]

გაეცანით შემდეგ სასწავლო პროგრამებს და მათ საგანმანათლებლო მიზნებს. რომელ ელემენტებს თვლით ყველაზე მნიშვნელოვნად თქვენს გარემოში? რატომ?

„Global Citizenship Education: Topics and Learning Objectives", დინა კივანი და მარკ ევანსი (UNESCO) [რუსული] [ინგლისური]

აქტიური მოქალაქეები: ტრენერის ინსტრუმენტების კრებული (ბრიტანეთის საბჭო) [ინგლისური]

მედია და ინფორმაციული წიგნიერება
„მედია წიგნიერების სახელმძღვანელო", ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, UNICEF, 2018 წ. [ქართული]

„მედია და ინფორმაციული წიგნიერების სახელმძღვანელო", მედია განვითარების ფონდი, ნიდერლანდების სამეფო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი [ქართული]

„Media and Information Literacy: Curriculum for Teachers", ქეროლაინ უილსონი და სხვ. (UNESCO) [რუსული] [ინგლისური]

„Guidelines for Broadcasters on Promoting User-Generated Content and Media and Information Literacy", მარტინ სკოტი (UNESCO) [რუსული] [ინგლისური]

„Media Education: A Kit for Teachers, Students, Parents and Professionals" (UNESCO) [ინგლისური]

„Media and Information Literacy: Reinforcing Human Rights, Countering Radicalization and Extremism" (UNESCO) [ინგლისური]

„Dealing with Fake News, Conspiracy Theories, and Propaganda in the Classroom", სტივენ ლენოსი და ჯორდი კრასენბერგი (რადიკალიზაციის შესახებ ინფორმაციის ქსელი - RAN) [ინგლისური]

„Cyber Civility Curriculum: A Teacher's Manual to Guide Students on Using Social Media and Other Digital Tools in a Safe, Responsible, and Respectful Manner" (ადამიანის პოტენციალის განვითარებისა და განათლების მსოფლიო ორგანიზაცია – WORDE) [ინგლისური]

„Digital Citizens: Countering Extremism Online" (DEMOS) [ინგლისური]

სპორტი და კულტურა
„World Heritage in Young Hands: An Educational Resource Kit for Teachers" (UNESCO) [რუსული] [ინგლისური]

„Line Up, Live Up: Life Skills Training Through Sport to Prevent Crime, Violence and Drug Use Trainer Manual", პერ ვან დერ კრეფტი (გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო - UNODC) [რუსული] [ინგლისური]

რეკომენდებული ლიტერატურა:

„#YouthWagingPeace: Youth-Led Guide on Prevention of Violent Extremism through Education" (UNESCO) [ინგლისური]

„Teaching Peace, Building Resilience: Assessing the Impact of Peace Education for Young Syrians", მეგ ობრი და სხვ. (International Alert) [ინგლისური]

„Education and Countering Violent Extremism", სარა ცაიგერი („Hedayah") [ინგლისური]

„Thinking Outside the Box: Exploring the Critical Roles of Sports, Arts, and Culture in Preventing Violent Extremism", ნორინ ჩოუდერი ფინკი და სხვ. („Hedayah" და თანამშრომლობის საფუძველზე უსაფრთხოების გლობალური ცენტრი - GCCS) [ინგლისური]

„More Than a Game: The Impact of Sport-Based Youth Mentoring Schemes on Developing Resilience toward Violent Extremism", ამელია ჯონსი, მიშელ გროსმანი და კევინ მაკდონალდი [ინგლისური]

„Role of Education in the Prevention of Violent Extremism", სამანტა დე სილვა (მსოფლიო ბანკი) [ინგლისური]

„Education, Identity and Rising Extremism: From Preventing Violent Extremism to Promoting Peace, Resilience, Equal Rights and Pluralism", ნორინ ჩოუდერი ფინკი და სხვ. (ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელ ქალთა გაერთიანება - WASL) [ინგლისური]

The Role of Education in Countering Violent Extremism, by Naureen Chowdhury Fink et al. (თანამშრომლობის საფუძველზე უსაფრთხოების გლობალური ცენტრი – GCCS და „Hedayah") [ინგლისური]

„The Role of Education in Preventing Radicalisation", გოც ნორდბრუხი (რადიკალიზაციის შესახებ ინფორმაციის ქსელი - RAN) [ინგლისური]

განათლების მეშვეობით ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების შესახებ დამატებითი რესურსები შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ აქ.

თემის ლიდერების და ოჯახის წევრების ჩართვა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში

ეს მოდული განმარტავს საზოგადოების როლს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში. იგი რეკომენდაციას უწევს მუშაობას სხვადასხვა თემის ლიდერთან, მათ შორის რელიგიურ და ტრადიციულ ლიდერებთან, რომლებიც ხშირად საზოგადოების ყველაზე გავლენიან წევრებს წარმოადგენენ და შეუძლიათ რადიკალიზაციის მიმართ მოწყვლადი ოჯახებისა და ინდივიდების მხარდაჭერა და მათთვის რეკომენდაციების გაწევა. მოდული ასევე განიხილავს იმ ინიციატივებს, რომლებიც იკვლევს ოჯახის წევრების ჩართულობასა და მათ როლს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში. მაგალითად, მოდული განსაზღვრავს, თუ როგორ შეიძლება აღნიშნულს ჰქონდეს ადგილი, როდესაც ოჯახები წარმოადგენენ გარკვეული ფასეულობებისა და ტრადიციების მატარებლებს, შეუძლიათ ხელი შეუწყონ ბავშვებსა და მოზარდებში პოზიტიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას და, სხვა პრობლემებთან ერთად, რადიკალიზაციის მიმართ მოწყვლადობის ადრეული ნიშნების გამოვლენას. ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში ოჯახის წევრების ჩართვა ასევე შესაძლებელია მოხდეს რადიკალურად განწყობილი პირების ჩამოშორებისა და რეაბილიტაციისთვის გაწეულ ძალისხმევებში.

7.1. რას ნიშნავს ინდივიდუალური მედეგობა? რას ნიშნავს საზოგადოების მედეგობა?

7.2. რაში მდგომარეობს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიმართ ადგილობრივი მიდგომის სარგებელი?

7.3. რა როლს ასრულებენ თემის ლიდერები ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში?

7.4. რა როლს ასრულებენ რელიგიური ლიდერები ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში?

7.5. რა წვლილი შეიძლება შეიტანონ ოჯახებმა საზოგადოების და ინდივიდუალურ მედეგობაში, აგრეთვე ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროს გაფართოებაში?

7.6. როგორ გადავლახოთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში თემის ლიდერების და ოჯახის წევრების ჩართვასთან დაკავშირებული პოტენციური რისკები?

7.1. რას ნიშნავს ინდივიდუალური მედეგობა? რას ნიშნავს საზოგადოების მედეგობა?

წინა მოდულებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ მედეგობის საკითხს. მაგალითისთვის მოვიყვანოთ მე-2 მოდული, რომელშიც შესწავლილია რადიკალიზაციის მამოძრავებელი ფაქტორები და მედეგობის წყაროები ინდივიდუალურ დონეზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური მედეგობის ცნება ძალიან განსხვავდება საზოგადოების მედეგობის ცნებისგან, თუმცა ეს ორი ტერმინი ნამდვილად არის ერთმანეთთან კავშირში. პირველ მოდულში წარმოდგენილი განმარტების მიხედვით:

მედეგობა - როდესაც ინდივიდებს ან თემებს გააჩნიათ „ცოდნით, უნარებით და შესაძლებლობებით სარგებლობის პოზიტიური პოტენციალი იმ ფაქტორებისგან დასაცავად, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს რადიკალიზაცია და გადაბირება"[166]

ინდივიდუალური მედეგობა ნიშნავს ძალადობის ან ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეის უარყოფის შესაძლებლობას, მიუხედავად მისი მიმზიდველობისა, პერსონალური დამცავი ფაქტორების გამოყენების ან პერსონალური რისკ-ფაქტორების შემცირების ან აღმოფხვრის გზით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდივიდუალურ მედეგობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ადამიანები, მიუხედავად მათი უკმაყოფილებისა და საპასუხო ღონისძიებებისთვის წაქეზებისა, უარყოფენ ძალადობისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის კანონიერების იდეას და ამის ნაცვლად მიმართავენ სხვა სტრატეგიებს. ინდივიდუალური მედეგობა შეიძლება გაიზარდოს პერსონალური დამცავი ფაქტორების შემუშავების ან გაძლიერების გზით, ასევე პერსონალური რისკ-ფაქტორების შემცირებით ან აღმოფხვრით. ინდივიდუალური მედეგობის ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაზე ორიენტირებულ პროგრამებს, როგორც წესი, გამოცდილი პრაქტიკოსი სპეციალისტები შეიმუშავებენ და ახორციელებენ კონკრეტული თემის ფარგლებში, რათა იმუშაონ ადამიანებთან მათთვის დამახასიათებელი საჭიროებების გათვალისწინებით. აღნიშნული განმარტება ასევე ეხმიანება ჰუმანიტარულ სექტორში გამოყენებული ინდივიდუალური მედეგობის ფართო განმარტებას, რომლის მიხედვით მედეგობა ნიშნავს გარეშე კრიზისული სიტუაციების მიმართ წინააღმდეგობის გაწევის უნარს.[167]

მეორეს მხრივ, **საზოგადოების მედეგობა** გულისხმობს საზოგადოების შესაძლებლობას, უარყოს ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეები და დანერგოს ეფექტიანი მექანიზმები ექსტრემიზმის პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით. აღნიშნული ცნება აგრეთვე ითვალისწინებს დახმარებას იმ პირების მიმართ ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების უარყოფაში, რომლებიც უკვე უჭერენ მხარს ან არიან ჩართულნი ძალადობრივ ექსტრემიზმში. მაგალითად, მედეგ საზოგადოებას შეუძლია საკუთარი პრობლემების ან უკმაყოფილების გამოხატვა და გადაწყვეტის გზების განხილვა. ასეთ საზოგადოებებს გააჩნიათ იმ ფაქტორების აღმოფხვრის შესაძლებლობა, რომლებმაც შეიძლება წარმოშვას მოწყვლადობა რადიკალიზაციისადმი. „Hedayah"-ს ცენტრის განცხადებით, „ზოგადად, საზოგადოების მედეგობის განვითარება [ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიზნით] ნიშნავს კვლევების ჩატარებას საზოგადოების აქტიური მხარდაჭერით, საზოგადოებებს შორის თანამშრომლობის განმტკიცებას და ერთობლივი მონაწილეობის მიდგომების დანერგვას."[168]

მიუხედავად განსხვავებისა, ინდივიდუალური მედეგობა და საზოგადოების მედეგობა მაინც არის ერთმანეთთან კავშირში შემდეგი მიზეზის გამო: თუ საზოგადოების ყოველი წევრი იქნება უფრო მედეგი და უკეთ მომართული რადიკალიზაციისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, მაშინ საზოგადოება, როგორც ერთი მთლიანობა, ასევე უფრო მედეგი და უსაფრთხო იქნება. და პირიქით, არსებული პრობლემებისა და უკმაყოფილების აღმოსაფხვრელად (საზოგადოების მედეგობა) საზოგადოებაზე დაფუძნებული მიდგომებისა და მექანიზმების არსებობა საშუალებას იძლევა შევამციროთ ინდივიდუალური რისკ-ფაქტორების გავლენა და მნიშვნელობა.

[166] „Hedayah"-ს ცენტრი, „Introduction to Countering Violent Extremism" (არ არის გამოქვეყნებული).
[167] მაგალითად, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებების საერთაშორისო ფედერაცია განსაზღვრავს მედეგობას, როგორც „უბედური შემთხვევებით, კრიზისებით და დაუცველობით დაზარალებული ცალკეული პირების, საზოგადოებების, ორგანიზაციების ან ქვეყნების შესაძლებლობას, გაუმკლავდნენ მათ და გადალახონ მათი შედეგები გრძელვადიანი პერსპექტივებისთვის ხელის შეშლის გარეშე." Road to Resilience (ჟენევა, 2012 წ.), გვ. 3.
[168] „Hedayah"-ს ცენტრი, „Introduction to Countering Violent Extremism" (არ არის გამოქვეყნებული).

მედეგობის ზემოაღნიშნული კონცეფცია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ საზოგადოების დონეზე ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების წარმატებული პროგრამები და პოლიტიკა მოითხოვს მასშტაბურ, ადგილობრივ ურთიერთქმედებას სხვადასხვა სუბიექტთან. აღნიშნულის მიზანია იმ უნარების და მეთოდების განვითარება, რომლებიც აუცილებელია ადგილობრივი მამოძრავებელი ფაქტორების გასაცნობიერებლად და მათი პრევენციისთვის, აგრეთვე მათთან გასამკლავებლად, ნაცვლად მხოლოდ მშვიდობის ან ტოლერანტობის ღირებულებების შთაგონებისა.[169] მედეგობაზე ორიენტირებული მიდგომა მოითხოვს ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების მიმართ საზოგადოების მოწყვლადობის გაანალიზებას და იმ მექანიზმების კვლევას, რომელთა დახმარებითაც საზოგადოების წევრები შეძლებენ როგორც ცალკეული პირების, ასევე მთლიანად საზოგადოების მოწყვლადობის შემცირებას. აღნიშნული მიდგომა აგრეთვე უზრუნველყოფს რადიკალიზაციის წინააღმდეგ დამატებით ინსტრუმენტებს.

პრაქტიკოს სპეციალისტებს შეუძლიათ საზოგადოების მედეგობის გაუმჯობესება კონკრეტული საზოგადოების ყველა სფეროში არსებული მედეგობის ხელშემწყობი ფაქტორების მხარდაჭერის ან განმტკიცების გზით. მაგალითად, ეს შესაძლოა ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვის გაძლიერებით, მათთვის კრიტიკული აზროვნების უნარის გამომუშავებით, საზოგადოებრივ ინსტიტუციებთან ურთიერთობების დამყარებით, რადიკალიზაციის საფრთხის შესახებ მშობლებისა და საზოგადოების წევრების ინფორმირებულობის გაზრდით და აღნიშნული საფრთხეების აღმოსაფხვრელად შესაბამისი სტრატეგიების შემუშავებით. ამ მოდულში ჩვენ განვიხილავთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში მედეგი საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით თემის ლიდერებისა და ოჯახის წევრების ჩართვის სხვადასხვა მეთოდს.

[169] კენ მენხაუსი, „Making Sense of Resilience in Peacebuilding Contexts: Approaches, Applications, Implications“ , ნაშრომი № 6 (ჟენევა: ჟენევის მშვიდობისმყოფელთა პლატფორმა, 2013 წ.), გვ. 6.

7.2. რაში მდგომარეობს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიმართ ადგილობრივი მიდგომის სარგებელი?

სულ უფრო ხშირად აღიარებენ იმ ფაქტს, რომ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება ორიენტირებული უნდა იყოს ადგილობრივ დონეზე, იმ არეალზე, სადაც ადგილი აქვს რადიკალიზაციას. აღნიშნულმა მიდგომამ განაპირობა ასეთ სივრცეებში მომუშავე თემზე დაფუძნებული ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ინიციატივების მიმართ მხარდაჭერისა და ყურადღების გაზრდა. მაგალითად, ადგილობრივი ორგანიზაციებისა და თემების მიმართ გრანტების გაცემის მიზნით, არც ისე დიდი ხნის წინ ჩამოყალიბდა ორგანიზაცია საზოგადოების ჩართულობის და მედეგობის გლობალური ფონდი[170] (GCERF). ფონდის მიზანს წარმოადგენს საზოგადოების მედეგობის განმტკიცება იმ იდეებზე დაყრდნობით, რომ ეს ხელს შეუწყობს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ტრადიციულ მიდგომებს და რომ ადგილობრივ კონტექსტზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანია, რადგან:

- ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორები გამომდინარეობს არსებული სიტუაციიდან და ხშირად ადგილობრივი პირობებით არის ნაკარნახები, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი მოითხოვს ადგილობრივ პირობებზე მორგებულ მიდგომებს;
- საზოგადოების წევრები „ყველაზე ახლოს არიან არსებულ პრობლემებთან და ყველაზე უკეთ ესმით ისინი", სახელმწიფო და საერთაშორისო სუბიექტებთან შედარებით;
- „აღნიშნული მამოძრავებელი ფაქტორების აღმოფხვრის პროცესში საზოგადოების წევრები დგანან კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და საორგანიზაციო დაბრკოლებების წინაშე"; და
- საერთაშორისო მხარდაჭერა ადგილობრივ სუბიექტებს დაეხმარება არსებული დაბრკოლებების გადალახვაში.[171]

საზოგადოების მედეგობის უზრუნველყოფის მიზნით, გენერალური მდივნის სამოქმედო გეგმა მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს,

შეიმუშაონ ისეთი ერთობლივი სტრატეგიები, რომლებიც ითვალისწინებს მასშტაბურ მონაწილეობას, სამოქალაქო საზოგადოებასა და ადგილობრივ თემებთან ერთად, ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის, გადაბირებისგან თემების დაცვის და ძალადობრივი ექსტრემიზმის საფრთხისგან დაცვის ღონისძიებებში, ასევე დიალოგის წარმართვისა და უკმაყოფილების გამოთქმის შესაბამისი პლატფორმების შექმნით ხელი შეუწყონ თემის დონეზე ნდობაზე დაფუძნებული ღონისძიებების განხორციელებას.[172]

ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, მითითებული ძალისხმევები უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივ სპეციფიკას და უნდა იყოს მასშტაბური იმისათვის, რომ ყურადღება გამახვილდეს საზოგადოების დაინტერესებული მხარეების: ოჯახის წევრების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მასწავლებლების, რელიგიური ლიდერების, ახალგაზრდული ჯგუფების აქტივისტების, ტრენერების და სხვა ადგილობრივი სუბიექტების, როგორც ძირითადი პარტნიორების, უფლებებებისა და შესაძლებლობების გაფართოებაზე, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების დღის წესრიგის ადგილობრივ გარემოში შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პროცესში.

[170] www.gcerf.org/ ძალადობრივ ექსტრემიზთან გამკლავების შესახებ ადგილობრივი მიდგომის მნიშვნელობისა და ადგილობრივი სუბიექტებისთვის ხელმისაწვდომი ინსტრუმენტების რაოდენობის შესახებ ვიდეორგოლი იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://youtu.be/DfwDwOmudDc. [ინგლისური]
[171] „საზოგადოების მოზიდვის და ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების აღმოფხვრის სტრატეგია (2017-2020 წწ.)", საზოგადოების ჩართულობის და მედეგობის გლობალური ფონდი, გვ. 7.
[172] გაეროს გენერალური მდივანი, „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სამოქმედო გეგმა", გვ. 16.

7.2.1. საზოგადოების მედეგობის გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავებისას საზოგადოების რომელ სხვადასხვა დონეზე შეგვიძლია ყურადღების გამახვილება?

რა ზომებს მიმართავდით იმ შემთხვევაში, რომ ყოფილიყავით ექიმი, რომლის მიზანსაც ეპიდემიის შეჩერებაა?

როგორ შეაჩერებდით ეპიდემიის გავრცელებას?

რომელ ჯგუფებთან ან ინსტიტუციებთან ითანამშრომლებდით?

ერთი შეხედვით, ეპიდემიოლოგიური დაავადებები არანაირ კავშირშია ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემასთან. თუმცა ზოგიერთი პრაქტიკოსი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილი იქნება ამ საკითხის განხილვა იმ კუთხით, რომელიც შეგვახსენებს, რომ ძალადობრივი ექსტრემიზმი არის კომპლექსური საკითხი და მოითხოვს ფართო მიდგომას. ეს გულისხმობს, რომ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამები შეიძლება ორინტირებული იყოს:

- **მცირე ჯგუფებზე ან პირებზე,** რომლებიც უკვე განეწყვნენ რადიკალურად (მიკრო დონე);
- **უფრო დიდ ჯგუფებზე ან თემებზე,** რომლებიც უფრო დაუცველნი არიან ძალადობრივი ექსტრემიზმის მხარდაჭერისგან ან მასში მონაწილეობის მიღებისგან;
- **საერთო მოსახლეობაზე,** ინფორმირების დონის ამაღლების და ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ მოწყვლადობის პოტენციალის შემცირების მიზნით (მაკრო დონე).

გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოება შედგება სხვადასხვა ჯგუფებისა და სხვადასხვა საჭიროების მქონე პირებისგან, საზოგადოების მედეგობა მოითხოვს კონკრეტული ზომების გამოყენებას საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის მიმართ, მისი წევრების საჭიროებების შესაბამისად. გაიხსენეთ პირველი მოდულიდან „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ციკლი", აგრეთვე ჩართულობის სხვადასხვა დონე და შესაბამისი საპასუხო ღონისძიებები. მოცემული საზოგადოების ფარგლებში, შეგიძლიათ განახორციელოთ ცნობიერების ამაღლების მასშტაბური ღონისძიებები, რომლებიც საზოგადოებას ჩართავს დიალოგში ადგილობრივი პრობლემების, ტოლერანტობისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის (ზოგადი პრევენცია) შესახებ. ამავე დროს, თქვენ შეძლებთ იმ მოწყვლად პირებზე ან საზოგადოების გარკვეულ სეგმენტებზე გათვლილი პროექტების განხორციელებას, რომლებიც, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, უფრო დაუცველია რადიკალიზაციის მიმართ (სპეციფიკური პრევენცია). სამიზნე ინტერვენციის პროგრამები შეიძლება მომზადდეს მათთვის, ვინც გამოხატავს კეთილგანწყობას ან მხარს უჭერს ძალადობრივ ექსტრემიზმს (ადრეულ ეტაპზე ჩარევა და გადარწმუნება). როგორც წესი, ეს დონეები განისაზღვრება კვლევისა და კლინიკური შეფასების საშუალებების გამოყენებით.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აქტივობების უმრავლესობა მიმართულია ცალკეულ პირებსა და საზოგადოების სამიზნე სეგმენტებზე ინდივიდუალური მედეგობის განვითარების მიზნით, სხვადასხვა პროგრამა ავსებს ერთმანეთს და აძლიერებს საზოგადოების მედეგობას მათი ურთიერთკავშირიდან გამომდინარე. ამასთან, მედეგია საზოგადოება იმ შემთხვევაშიც თუ მას გააჩნია შესაბამისი მიდგომები და მექანიზმები იმისათვის, რომ ეს პროცესი თავად წარმართოს.

7.3. რა როლს ასრულებენ თემის ლიდერები ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში?

ტერმინი „თემის ლიდერები" მოიცავს თემის დონეზე დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრს, რომელთაც შეუძლიათ ამ თემში ლიდერის როლის შესრულება. ეს ტერმინი მოიცავს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებს, ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს, ჟურნალისტებს, ადგილობრივ საქველმოქმედო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მასწავლებლებსა და საგანმანათლებლო ინსტიტუციებს, რელიგიურ ლიდერებს, აქტივისტებს, სოციალურ კლუბებს, ტრენერებსა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შეიძლება ერთმანეთთან არაფერი აკავშირებდეს, ხშირად მათ მაინც ბევრი ისეთი რამ აქვთ საერთო, რაც აუცილებელია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად. მაგალითად, ისინი იღებენ პასუხისმგებლობას სხვა ადამიანებზე, სარგებლობენ ნდობითა და პატივისცემით საზოგადოების სხვა წევრების მხრიდან და აქვთ საზოგადოების ფარგლებში კონკრეტული ღონისძიების შესასრულებლად საზოგადოების წევრების გაერთიანების შესაძლებლობა (რასაც ზოგჯერ „რესურსების მობილიზების შესაძლებლობასაც" უწოდებენ).

ამ თვისებების წყალობით, თემის ლიდერები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ძალადობრივი ექსტრემიზმისადმი მედეგობის განმტკიცებაში. საზოგადოების დონეზე მათი პოზიცია ეხმარება მათ უკეთ გაიაზრონ ადგილობრივი დინამიკისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორები. მათ ასევე შეუძლიათ ადგილობრივი ინიციატივების დონეზე არსებული შეხედულებები გაუზიარონ საზოგადოების მიღმა მყოფ პირებს ან მიიყვანონ პოლიტიკის შემუშავების დონეზე. ამით ისინი უზრუნველყოფენ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელებას, რაც ხელს უწყობს საზოგადოების საჭიროებების კიდევ უფრო ეფექტიანად დაკმაყოფილებას. საზოგადოების ლიდერები წარმოადგენენ სანდო დაინტერესებულ მხარეებს. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიზნით მათ მიერ განხორციელებული პროგრამები, დიდი ალბათობით, გავლენას მოახდენს საზოგადოების იმ მოწყვლად წევრებზე, რომლებიც განიცდიან დისკომფორტს უცხო ადამიანებთან ან მათი საზოგადოების ფარგლებს მიღმა არსებული ორგანიზაციებთან ურთიერთობით.

7.4. რა როლს ასრულებენ რელიგიური ლიდერები ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში?

საზოგადოების დაინტერესებული მხარეების ერთ-ერთ ჯგუფს, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, წარმოადგენს რელიგიური ლიდერები. რელიგიური ლიდერები ხშირად ადგილობრივი თემების მნიშვნელოვანი წევრები არიან და სათანადო პატივისცემითაც სარგებლობენ. საზოგადოების სხვა ლიდერების მსგავსად, მათ შეუძლიათ დისკუსიის წარმართვა, საზოგადოების ფარგლებს მიღმა მყოფ პირებთან კომუნიკაცია, ისინი შესაძლოა ფლობდნენ სათანადო რესურსებს საზოგადოებრივ ღონისძიებებში მოხალისეების მოსაზიდად. ისეთ გარემოში, სადაც ძალადობრივი ექსტრემიზმი კონკრეტულ რელიგიურ პრაქტიკას უკავშირდება, რელიგიური ლიდერები შეიძლება იყვნენ მედეგობის წყაროები, იყენებდნენ თავიანთ ავტორიტეტს რელიგიური ნორმების ინტერპრეტაციის მიზნით და რელიგიური დოგმების ექსტრემისტული ინტერპრეტაციების აღმოსაფხვრელად. თუმცა ზოგჯერ ამ დოგმების ჩამოყალიბებას შეიძლება რელიგიური ლიდერებიც უწყობდნენ ხელს. ამ მიზეზების გამო, რელიგიურ ლიდერებს ხშირად განიხილავენ მნიშვნელოვან პარტნიორებად ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში.
მაგალითად, მაროკოელ სწავლულთა მოჰამედიას ლიგა (Rabita Mohammadia des Oulemas au Maroc)[173] თანამშრომლობს სხვა ორგანიზაციებთან იმ ინიციატივების განხორციელების მიზნით, რომლებიც ხელს უწყობს ახალგაზრდების ჩართვას ახალგაზრდულ საბჭოებსა და სხვა ორგანიზაციებში. ლიგა აგრეთვე მუშაობს რელიგიასა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ნარატივების შეცვლაზე და ჩართულია ციხეებში მიმდინარე პროექტებში, რომლებიც პატიმრებს მოუწოდებს, უარი თქვან ძალადობრივ ექსტრემიზმზე. გარდა ამისა, ლიგამ მოამზადა ანგარიში, რომელშიც შეფასდა დავებისა და კონფლიქტების მოგვარების ტრადიციული ისლამური მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა კონფლიქტების მოგვარების თანამედროვე პრაქტიკის სრულყოფისათვის.[174]

მდედრობითი სქესის რელიგიური ლიდერები ასევე მნიშვნელოვან ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ, რომლებიც განამტკიცებენ საზოგადოების მედეგობას. ისევ და ისევ მაროკოში, იმამებისა და სულიერ მოძღვართა მოსამზადებლად არსებობს მუჰამედ VI-ის სახელობის ინსტიტუტი (L'Institut Mohammed VI Pour La Formation Des Imams, Morchidines et Morchidates), სადაც მიმდინარეობს მამრობითი და მდედრობითი სქესის რელიგიური ლიდერების სწავლება. პროგრამის დირექტორის აბდესლამ ელ-აზაარის განცხადებით, ყველაზე ეფექტიანად მუშაობა მდედრობითი სქესის სულიერ მოძღვრებს (Morichidates) შეუძლიათ. „ქალები, თავიანთი სოციალური როლიდან გამომდინარე, ხშირად ურთიერთობენ ადამიანებთან: ბავშვებთან, ახალგაზრდებთან, სხვა ქალებთან და მამაკაცებთანაც კი," - აღნიშნა მან, - „ისინი შვილების ძირითად აღმზრდელებად მოიაზრებიან. აქედან გამომდინარე, მათთვის სრულიად ბუნებრივია რჩევების გაცემა. ჩვენ მათ ისე ვამზადებთ, რომ მათი რჩევები მეცნიერული ხასიათის ელემენტებს შეიცავდეს." ეს ქალები ეწევიან საქმიანობას მეჩეთებში, სკოლებსა და სახლებში იმისათვის, რომ დაუპირისპირდნენ ძალადობრივი ექსტრემისტების ნარატივებს და მათი მხრიდან რელიგიის არასწორ ინტერპრეტაციას.[175] ყირგიზეთში, რელიგიის მდედრობითი სქესის სპეციალისტების, რომლებსაც ათინჩას სახელით იცნობენ, მომზადებას უზრუნველყოფს ადგილობრივი რელიგიური ორგანიზაცია - ქალთა პროგრესული საზოგადოებრივი გაერთიანება (WPSU) ანუ "მუტაკალიმი".[176] ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს სამიზნე თემებში ქალთა რადიკალიზაციის რისკის შემცირების პროცესში საკუთარი წვლილის შეტანა. ათინჩებს საზოგადოებაში ტრადიციულ როლები გააჩნიათ, განსაკუთრებით რელიგიურ განათლებასთან დაკავშირებით, და ძირითადად ყირგიზეთის სამხრეთ რეგიონებში გვხვდებიან. მათ დაიწყეს მნიშვნელოვანი როლის შესრულება ქალებს შორის არსებული რელიგიური პრობლემების, ასევე კონფლიქტების აღმოფხვფრაში. თუმცა ზოგიერთ ათინჩას (ან ქალებს, რომლებიც საკუთარ თავს ათინჩას უწოდებდნენ) ბრალი წაუყენეს ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივების გავრცელებაში და გადაბირების ხელშეწყობაშიც კი. სწორედ ამიტომ ყველა დაინტერესებული მხარე არ არის დარწმუნებული ათინჩებთან თანამშრომლობის აუცილებლობაში საზოგადოების მედეგობის განმტკიცების სფეროში ან შესაძლოა სკეპტიკურად უყურებდნენ მათ შესაძლებლობებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია თავად რელიგიური ლიდერების მედეგობის განმტკიცებაც, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების შეხედულებების შეცვლა იმისათვის, რომ ისინი კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთონ ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ საზოგადოების მედეგობის განვითარების პროცესში.

[173] https://www.arrabita.ma
[174] ანგარიში იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://www.sfcg.org/wp-content/uploads/2014/04/SFCG-Morocco-ADR-and-Mediation-In-Morocco-Synthesis-Report.pdf [ინგლისური]
[175] დინა თემფლ-რასტონი, "The Female Quran Experts Fighting Radical Islam in Morocco," The Atlantic, 12 თებერვალი, 2018 წ., https://www.theatlantic.com/international/archive/2018/02/the-female-quran-experts-fighting-radical-islam-in-morocco/551996/.
[176] http://www.mutakallim.kg/

აღნიშნულის მიუხედავად, აუცილებელია სათანადო სიფრთხილის ზომების მიღება რელიგიურ ლიდერებთან და მორწმუნეებთან ურთიერთობის დროს. ხშირად ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ყველაზე ცნობილ რელიგიურ ლიდერებზე, რომლებიც შეიძლება „ზომიერად" მივიჩნიოთ. ამ დროს მხედველობის მიღმა გვრჩება ის ლიდერები, რომლებიც საზოგადოების პერიფერიულ ნაწილში მოღვაწეობენ, რომლებსაც არ უსმენს ფართო საზოგადოება და რომლებიც უფრო მკაცრად იცავენ საკუთარი რელიგიის პრინციპებს ან მისდევენ ამა თუ იმ რელიგიის კონსერვატიულ ფორმებს. ვინაიდან რადიკალიზაცია ხშირ შემთხვევაში თავს იჩენს საზოგადოების პერიფერიულ ნაწილში, მაქსიმალური ეფექტიანობისთვის აუცილებელია პარტნიორთა ფართო სპექტრთან კომუნიკაცია. მაგალითად, რელიგიათაშორისი დიალოგის პროექტების შემუშავებისას, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებმა შესაძლოა გვერდი აუარონ იმ სუბიექტებს, ვინც არ ემორჩილება რელიგიურ პრინციპებს ან საერთოდ არ მისდევს რაიმე რელიგიას. გარდა ამისა, ადგილობრივი რწმენის მიმდევრები ან ტრადიციული რელიგიების მიმდევრები შეიძლება ასევე აღმოჩნდნენ მხედველობის მიღმა, თუ ყურადღება გამახვილდება მსოფლიოს წამყვან რელიგიებზე.[177]

რელიგიური შეხედულებების და პრაქტიკის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ზოგჯერ ასევე მნიშვნელოვანია შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება რელიგიური თავისუფლების დასაცავად. რელიგიურმა უმცირესობებმა, რელიგიური სექტების წევრებმა ან იმ ადამიანებმა, რომლებიც არცერთ რელიგიას აღიარებენ, შესაძლოა თავი იგრძნონ მარგინალიზებულად იმის გამო, რომ მათი რწმენა განსხვავდება ყველაზე გავრცელებული რწმენის ფორმისგან, ან ჩათვალონ, რომ მათ რელიგიურ შეხედულებებს არ სცემენ პატივს. ყველაზე სერიოზულ შემთხვევებში, ამგვარმა მარგინალიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს დაძაბულობა რელიგიურ ჯგუფებს შორის და გაზარდოს ცალკეული სუბიექტებისა და თემების მოწყვლადობა რადიკალიზაციის მიმართ, როდესაც ეს ფაქტორები სხვა მიზეზებთან გადაიკვეთება.

არასამთავრობო ორგანიზაცია „Search for Common Ground" ეწევა საქმიანობას ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებში იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს რელიგიათაშორის დიალოგს და დაიცვას რელიგიური ობიექტები ექსტრემისტების ძალადობისგან, აგრეთვე მონაწილეობს წმინდა ადგილების დაცვის შესახებ უნივერსალური კოდექსის შემუშავებაში.[178] უნივერსალური კოდექსი მოიცავს პრაქტიკულ რეკომენდაციებს წმინდა ადგილების დასაცავად, სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ თემებს მიკუთვნებულ ადამიანებს შორის მშვიდობისა და შერიგების ხელშეწყობისთვის, მათი უკეთესად დაცვის მიზნით სხვადასხვა რელიგიურ ლიდერსა და შესაბამის სამთავრობო ორგანოებს შორის თანამშრომლობის გზით.[179]

[177] ინიციატივა „Extremely Together", „Countering Violent Extremism: A Guide for Young People by Young People" (ჟენევა, შვეიცარია: კოფი ანანის ფონდი), გვ. 18.
[178] არასამთავრობო ორგანიზაცია „Search for Common Ground", მშვიდობისა და ადამიანის უფლებათა ოსლოს ცენტრი, ორგანიზაციები „One World in Dialogue" და „Religions for Peace" წარმოადგენდნენ პარტნიორ ორგანიზაციებს ამ პროცესში. წმინდა ადგილების დაცვის შესახებ უნივერსალური კოდექსის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://www.sfcg.org/universal-code-of-conduct-on-holy-sites/ [ინგლისური]. კოდექსი წარმოდგენილია ბმულზე: https://docs.wixstatic.com/ugd/c4af5d_1baa49c3ed2c40ad9be79a83ecbb783a.pdf [ინგლისური] / https://docs.wixstatic.com/ugd/c4af5d_-da3f49d1465b4ee29df3c848759477f7.pdf [რუსული].კონფლიქტის შედეგების აღმოფხვრის მიზნით ნიგერიაში წმინდა ადგილების დასაცავად ადგილობრივი რელიგიური ლიდერების მოწვევის შესახებ ორგანიზაცია „Search for Common Ground"-ის პროექტი იხილეთ ბმულზე: https://www.youtube.com/watch?v=_Ov7dsruGYo. [ინგლისური]
[179] მოკლე შეჯამება იხილეთ ბმულზე: https://docs.wixstatic.com/ugd/c4af5d_d2b0acd64ac2457ab9c887212d89ee26.pdf. [ინგლისური]

რელიგიათაშორისი ცნობიერება და პატივისცემა ეხმარება თემებს რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის რისკებისგან გამიჯვნაში. მაგალითისთვის, ნახეთ ვიდეორგოლი რელიგიური ლიდერების შესახებ მაროკოს ერთ-ერთ ისტორიულად მარგინალიზებულ ქალაქში. ყურებისას ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, თუ რა გავლენა აქვს ძალადობრივ ექსტრემიზმს ადამიანებზე:

ვიდეორგოლი 17: ახალგაზრდა იმამი მაროკოში: როგორ ავაგოთ ხიდები

მომზადებულია: Search for Common Ground-ის მიერ

ორიგინალი ბმული:
https://vimeo.com/105565369
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

საორიენტაციო შეკითხვები:

1. იმამმა ჩამოაყალიბა ფუნდამენტალიზმის და რადიკალიზმის ცნებები, როგორც „განსხვავებულის იზოლირება ან განადგურება". როგორ უწყობს ხელს ადამიანების იზოლირება ძალადობასა და ძალადობრივ ექსტრემიზმს? თქვენს გარემოში იზოლირების რომელი მაგალითები იწვევს მოწყვლადობას ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ?

2. ვიდეორგოლის ნახვის შემდეგ, რა შეხედულება შეგექმნათ რელიგიურ ლიდერებზე, როგორც საზოგადოების მედეგობის წყაროებზე?

3. ვიდეორგოლის მიხედვით, ახალგაზრდა კონსერვატიულმა იმამმა (რომელსაც სოციალურ ქსელში მიმდევრების მნიშვნელოვანი რაოდენობა ჰყავდა) გადაწყვიტა იმ პირის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოებაში ჩართვა, რომელიც მას ემუქრებოდა. იმამმა ამჯობინა ამ ადამიანთან დიალოგი და შეეცადა, დაერწმუნებინა ის, რომ ზურგი ექცია ძალადობრივი ექსტრემიზმისთვის. რა როლი შეიძლება შეასრულონ რელიგიურმა ლიდერებმა კონფლიქტისგან ჩამოშორების და/ან დერადიკალიზაციის ღონისძიებებში? თვლით თუ არა, რომ ეს ადამიანი მეტნაკლებად მგრძნობიარე აღმოჩნდა იმამის სიტყვების მიმართ, რადგან ის იყო კონსერვატიული ისლამის მიმდევარი და არ ქადაგებდა ისლამის სხვა ფორმას? რა შეიცვლებოდა იმ შემთხვევაში, ის რომ ქრისტიანი მღვდელი ყოფილიყო? რატომ? რაზე მიგანიშნებთ ეს ასეთ სიტუაციაში ყველაზე ავტორიტეტული რელიგიური ლიდერების შერჩევასთან დაკავშირებით?

7.5. რა წვლილი შეიძლება შეიტანონ ოჯახებმა საზოგადოების და ინდივიდუალურ მედეგობაში, აგრეთვე ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროს გაფართოებაში?

მედეგი საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს ალბათ ოჯახი წარმოადგენს. იგი ხელს უწყობს ცალკეული პირების მედეგობის განმტკიცებას. ოჯახის წევრები ხშირად პირველები ამჩნევენ მოწყვლადობის საწყის ნიშნებს და რადიკალიზაციისადმი მიდრეკილებას (თუმცა ამ პროცესების გამოვლინებების განსაზღვრა ყოველთვის არაა შესაძლებელი) და პირველები ცდილობენ მათ პრევენციას. გლობალური კონტრტერორისტული ფორუმის ნაშრომში - „ოჯახების როლი ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასა და მასთან გამკლავებაში: სტრატეგიული რეკომენდაციები და პროგრამების შემუშავების ვარიანტები" - მითითებულია, რომ:

ოჯახები ასრულებენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციასა და მასთან გამკლავებაში. ოჯახები წარმოადგენენ მთავარ, ხშირად არასათანადოდ დაფასებულ პარტნიორებს ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავებისკენ მიმართულ ღონისძიებებში - დაწყებული ისეთი ღირებულებების სისტემის შექმნით, რომელიც არ ცნობს ძალადობას, და დასრულებული „წამყვანი" სუბიექტის როლის შესრულებით ძალადობის გამომწვევი რადიკალიზაციის ნიშნების გამოვლენაში. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახებზე ორიენტირებული, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების აუცილებლობა აღიარებულია, მათ ჩართულობას თან ახლავს გარკვეული სირთულეები, მათ შორის საიმედო პარტნიორების მოძიება, რისკების მართვა და ჩარევის საუკეთესო შესაძლებლობების განსაზღვრა.

ეს დოკუმენტი (იხილეთ თავი 7.8 „სწავლის დამატებითი შესაძლებლობები" ქვემოთ) მოიცავს უამრავ პრაქტიკულ რეკომენდაციას და პროგრამას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მედეგობის განმტკიცების მიდგომამ უნდა უზრუნველყოს ოჯახების დახმარება და საჭირო ინსტრუმენტებით აღჭურვა იმისათვის, რომ მათ დაიცვან თავიანთი წევრები ძალადობრივი ექსტრემიზმის გავლენისგან. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, რადიკალიზაციის პროცესში რადიკალურად განწყობილ პირის კავშირი მშობლებთან (განსაკუთრებით დედასთან) ხშირად ყველაზე ბოლოს წყდება. უფრო მეტიც, ადამიანის ძალადობრივი ექსტრემისტული სამქმიანობიდან ჩამოშორების პროცესში ასეთი კავშირები პირველ რიგში აღდგება.[180] შესაბამისად, მშობლები აქტიურად მონაწილეობენ ორივე ეტაპზე და ორივე შემთხვევაში საჭიროებენ სათანადო მხარდაჭერას.

ამ ღონისძიებებში უკვე უამრავი ოჯახი ჩაერთო. მაგალითად, დასავლეთ აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ინსტიტუტის მიერ იორდანიაში მყოფ უცხოელ მებრძოლებზე ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა სხვადასხვა მეთოდი, რომლებსაც მიმართეს ოჯახებმა იმისათვის, რომ ხელი შეეშალათ ოჯახის წევრებისთვის შეიარაღებულ ფორმირებებსა და ექსტრემისტულ ჯგუფებში გაწევრიანებაში და დაერწმუნებინათ, რომ დაბრუნებულიყვნენ სახლში:

ერთ-ერთი მებრძოლის დის მონათხრობით, მშობლებმა მათი ვაჟის დაქორწინება მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტეს, რომ მისი ყურადღება გადაეტანათ კონფლიქტში მონაწილეობიდან. მისი რადიკალური შეხედულებების პრობლემა ოჯახში არასდროს განხილულა და შესაბამისად მათ არ მიუმართავთ გარეშე დახმარებისთვის. ორი თვის შემდეგ ის სირიაში გაემგზავრა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ორმა სხვა ოჯახმა შეიტყო მათი ვაჟების რადიკალიზაციის შესახებ, თუმცა მათ შესაჩერებლად საკმარისი ზომებისთვის არ მიუმართავთ. [...] დედების თქმით, ყოველთვის, როდესაც მებრძოლები სახლში რეკავდნენ, ისინი ცდილობდნენ მათ დარწმუნებას, რომ დაბრუნებულიყვნენ და ევედრებოდნენ, რომ არ გაჰყოლოდნენ ჯიჰადის გზას. მამებიც ცდილობდნენ შვილებზე ზეგავლენა მოეხდინათ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში აგრესიის გზით. მეუღლეებმა და დედმამიშვილებმა ემოციური ზეწოლის სხვა ფორმებს მიმართეს. ერთ-ერთმა ქალმა ქმარს სახლში დაბრუნება იმ მიზეზით სთხოვა, რომ იგი ორსულად იყო და ვაჟს ელოდა; ძმა გამუდმებით ატყობინებდა მამის ჯანმრთელობის გაუარესებაზე; ხოლო დედამ შვილი დაადანაშაულა მისი სირიაში წასვლის შემდეგ მამის ჰიპერტენზიისა და დიაბეტის დიაგნოზში.[181]

[180] იხილეთ "Formers and Families," ევროკომისია მიგრაციის და საშინაო საქმეთა საკითხებში (2018 წ.). https://ec.europa.eu/home-affai s/content/formers-and-families_en. [ინგლისური]

[181] ნევენ ბონდოკჯი, "Journey Mapping of Jordanian Fighters" (ამანი: ინსტიტუტი WANA, 2017 წ.), გვ. 10, 14. ვიდეორგოლში ნაჩვენებია, თუ როგორ ცდილობს ერთი ყირგიზული ოჯახი ახლობლის უშედეგოდ დარწმუნებას, დაბრუნდეს სირიიდან, ასევე მოგვითხრობს იმ ოჯახების შესახებ, რომლებიც გაემგზავრნენ ყირგიზეთის სირიიდან, იხილეთ ბმული: https://rus.azattyk.org/a/27391837.html [რუსულად] და https://www.rferl.org/a/kyrgyzstan-syria/27405010.html. [ინგლისურად]

კვლევის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახებს შეეძლოთ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ თავიანთი ვაჟებისა და ქალიშვილების რადიკალიზაციის პრევენციაში, „მათ აშკარად არ გააჩნიათ შესაბამისი უნარები და საშუალებები იმისათვის, რომ გამოავლინონ თავიანთი შვილების რადიკალური განწყობა და განახორციელონ საპასუხო ღონისძიებები."[182] სახლის პირობებში მიღებულ ზომებთან ერთად, ოჯახებს შესაძლოა ასევე დასჭირდეთ საზოგადოების დახმარებაც. სამწუხაროდ, აღნიშნულ კვლევაში ჩართული ოჯახები არ ფლობდნენ „ზუსტ ინფორმაციას ამგვარ გეგმებთან დაკავშირებით ხელისუფლების ორგანოების ინფორმირების უსაფრთხო არხების შესახებ."[183] თუმცა კვლევაში აღნიშნულია, რომ იორდანიაში ინფორმირების დონე გაიზარდა ოჯახის წევრების გამგზავრების შემდეგ და ახლა უკვე შესაძლებელია მეტი დახმარების მიღება ადგილობრივად, თემისა და ტრადიციული ლიდერების მხრიდან.

შეკითხვა იმის შესახებ, გადაწყვეტენ თუ არა ოჯახები გარეშე დახმარების მოძიებას ოჯახის წევრის რადიკალიზაციის შემთხვევაში, განპირობებულია როგორც საზოგადოების შეხედულებით, ასევე გენდერის სპეციფიკით. მაგალითად, იორდანიაში ჩატარებულმა ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მასში ჩართული იორდანელი მშობლების უმეტესობა მზად იყო, მიემართა ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ან ადგილობრივი რელიგიური ლიდერებისთვის იმ შემთხვევაში, თუ ჩათვლიდნენ, რომ მათ ვაჟიშვილს რადიკალიზაციის საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ არცერთ მათგანს არ ჰქონდა სურვილი, მიემართა ხელისუფლებისთვის იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი საფრთხე მათ ქალიშვილს დაემუქრებოდა.[184]

რა თქმა უნდა, გამომდინარე იქიდან, რომ დასავლეთ აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა კვლევამ ყურადღება გაამახვილა უცხოელი მებრძოლების ოჯახებზე, მის ფარგლებში ვერ მოხვდა იმ ოჯახების წარმატებული მაგალითები, რომლებიც ჩაერივნენ თავიანთი ვაჟების ან ქალიშვილების რადიკალიზაციის პროცესში. მაგალითად, ორგანიზაციის „Search for Common Ground" მიერ ლიბანში ჩატარებულ ერთ-ერთ კვლევაში, ახალგაზრდა მამაკაცმა ისაუბრა, თუ როგორ მოუწოდეს ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანება და ამისათვის გარკვეული თანხაც შესთავაზეს. „მე უარი ვთქვი ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე," - განაცხადა მან, - „რადგან არაფერი ვიცოდი მის შესახებ. მშობლები მეუბნეოდნენ, რომ უცხო ადამიანებს არ უნდა მოვუსმინო."[185]

წარმოდგენილი მაგალითები ადასტურებს, რომ არსებობს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების შესაძლებლობა, რომელიც წარმატებით ზრდის ოჯახების მედეგობას ძალადობრივი ექსტრემიზმის[186] მიმართ. რეალურად, ასეთ ღონისძიებებს უკვე მიმართავენ. მაგალითად, ფონდი PAIMAN Alumni Trust წარმოადგენს ქალი ლიდერების ქსელს პაკისტანში, რომელიც კოორდინაციას უწევს საზოგადოებაში ახალგაზრდებისა და დედების ჯგუფების საქმიანობას და ატარებს ტრენინგებს მათთვის რადიკალიზაციის პირველი ნიშნების ამოსაცნობად. ფონდი ასევე უზრუნველყოფს „მხარდაჭერას და სთავაზობს ეკონომიკურ ალტერნატივას რადიკალიზებულ ახალგაზრდა მამაკაცებსა და ბიჭებს იმისათვის, რომ დაუბრუნდნენ მშობლიურ ადგილებს და დაიწყონ ახალი ცხოვრება."[187]

[182] იქვე, გვ. 10-11.
[183] იქვე, გვ.11.
[184] იხილეთ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრის „Al-Hayat" და ორგანიზაციის „Search for Common Ground" ერთობლივი ნაშრომი „Women and Violent Radicalization in Jordan", გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტო გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისა და ქალთა შესაძლებლობების გაზრდის საკითხებზე და იორდანიის ეროვნული კომისია ქალთა საკითხებზე, 2016 წლის მარტი.
[185] დალინ ვან ლეუვენი და სხვ., „Youth and Contentious Politics in Lebanon: Drivers of Marginalization and Radicalization in Tripoli" (ორგანიზაცია „Search for Common Ground"). ეს ანგარიში ჯერ არაა გამოქვეყნებული.
[186] http://paimantrust.org/
[187] ქეთლი ქუნასთი, „Engaging and Educating Women and Girls in the Prevention of Violent Conflict and Violent Extremism", ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის ინსტიტუტი, 3 აპრილი, 2014 წ., https://www.usip.org/publications/2014/04/engaging-and-educating-women-and-girls-prevention-violent-conflict-and-violent. [ინგლისური]

სხვა მაგალითში, ორგანიზაციამ „Women without Borders" [188] და მის ფარგლებში ჩამოყალიბებულმა პლატფორმამ „Sisters Against Violent Extremism" შეიმუშავეს პროგრამა „დედების სკოლა". აღნიშნული პროგრამა აერთიანებს ქალთა ორგანიზაციებს და ხელს უწყობს მათ ადგილობრივ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში დედებისთვის რადიკალიზაციის საფრთხესთან დაკავშირებით. პროგრამის გასაცნობად ნახეთ ქვემოთ წარმოდგენილი ვიდეორგოლი:

ვიდეორგოლი 18: დედების სკოლა

მომზადებულია: Women without Borders-ის მიერ

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/AuhnclxGUb4
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

სადისკუსიო შეკითხვები:

1. ერთ-ერთმა ქალმა გვიამბო, თუ როგორ აარიდა თავიდან შვილს რადიკალიზაცია ოჯახის წევრის მხრიდან. დედების სკოლის მოდელის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს რადიკალიზაციის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება და დედებისთვის გამაფრთხილებელი ნიშნების ამოცნობის სწავლება. ყოველთვის არის თუ არა წარმოდგენილი მსგავსი გამაფრთხილებელი ნიშნები, რომლებიც შეიძლება შენიშნონ ოჯახის წევრებმა? გამაფრთხილებელი ნიშნების რა მაგალითები შეგიძლიათ დაასახელოთ?

2. ვიდეორგოლის მთავარი გზავნილი იმაში მდგომარეობს, რომ ქალებს (განსაკუთრებით დედებს) შეუძლიათ თავიანთი შვილებისთვის რადიკალიზაციის თავიდან აცილება. რამდენად დარწმუნებული ხართ ამ განცხადების ჭეშმარიტებაში თქვენს გარემოში? როგორ შეიძლება დედების სკოლის სარგებლის გავრცელება ქალების ოჯახების ფარგლებს გარეთაც?

[188] http://www.women-without-borders.org/

7.6. როგორ გადავლახოთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში თემის ლიდერების და ოჯახის წევრების ჩართვასთან დაკავშირებული პოტენციური რისკები?

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებების მსგავსად, თემის ლიდერების და ოჯახის წევრების ჩართვას შესაძლოა თან ახლდეს გარკვეული რისკები. აუცილებელია ამ რისკების მხედველობაში მიღება აღნიშნული ღონისძიებების შემუშავების და განხორციელების პროცესში, რა დროსაც ყურადღება უნდა გავამახვილოთ ლოკალური და ადგილობრივი ინიციატივების დონეზე. პირველი ორი რისკი წარმოადგინა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ:

- ასეთი პროგრამების შემუშავების და განხორციელების პროცესში აუცილებელია განსაკუთრებული სიფრთხილის ზომების დაცვა. ეს თავიდან აგვაცილებს იმ პირდაპირ ან შემთხვევით შედეგებს, რომლებიც იწვევს დისკრიმინაციას, სტიგმატიზაციას და რასობრივ ან რელიგიურ პროფილებად დაყოფას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც კონკრეტულ თემზე ყურადღების გამახვილებამ შესაძლოა კიდევ უფრო გაზარდოს მარგინალიზაცია და უკმაყოფილების დონე. თემებზე გამიზნული პროგრამების შემუშავების პროცესში თემების სრული და საყოველთაო ჩართულობა წარმოადგენს საუკეთესო გზას არასასურველი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად. ამგვარი ჩართულობა ასევე უზრუნველყოფს ასეთი პროგრამების მიმართვას ამ თემების უკმაყოფილების გამომწვევ მიზეზებად დასახელებულ პოლიტიკურ, სოციალურ, უსაფრთხოების და სხვა საკითხებზე.

- ადგილობრივი საინიციატივო ორგანიზაციები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც არაპრივილეგირებულ ჯგუფებს წარმოადგენენ, ხშირად მცირე ზომისაა. ისინი დგანან განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე, რადგან ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო რეგულაციები, როგორც წესი, ადაპტირებულია უფრო დიდ, ცნობილ ორგანიზაციებზე და აქვთ მკაცრი მოთხოვნები ანგარიშგებასა და აუდიტთან დაკავშირებით. ადგილობრივ საინიციატივო ორგანიზაციებს ხშირად არ გააჩნიათ ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა, რაც აუცილებელია ანგარიშგებასა და აუდიტთან დაკავშირებით დადგენილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ეს გარემოებები მცირე ორგანიზაციებს ართმევს შესაძლებლობას, მოიზიდონ საქმიანობისთვის აუცილებელი ფინანსური სახსრები. ეს კი უარყოფითად აისახება იმ ჯგუფების მდგომარეობაზე, რომელსაც ისინი უჭერენ მხარს."[189]

დამატებითი რისკები მოიცავს შემდეგს:

- ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან განსხვავებით, ლოკალურ ან ადგილობრივ საინიციატივო ორგანიზაციებს გააჩნიათ უფრო შეზღუდული შესაძლებლობა კვლევის ჩასატარებლად ან საქმიანობის სათანადო მონიტორინგისა და შეფასებისთვის;

- შესაბამისი ზომების მიღებას ართულებს ე.წ. „კარიბჭის მცველის ეფექტი", რა შემთხვევაშიც საზოგადოების თვითგამოცხადებული წარმომადგენლები (მაგალითად, რელიგიური, ეთნიკური ან მუნიციპალური ლიდერები) ზეწოლას ახდენენ ორგანიზაციებზე, რომ თავიანთი საქმიანობა წარმართონ მათი და არა უფრო დიდი და წარმომადგენლობითი ჯგუფების მეშვეობით;[190] და

- ოჯახებზე, რელიგიურ ლიდერებსა თუ საზოგადოების სხვა წევრებზე გაუმართლებელი ზეწოლის განხორციელება რადიკალიზაციის შემთხვევების გამოვლენის მიზნით, როდესაც ნიშნები ყოველთვის არაა თვალსაჩინო. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს უსამართლო მარგინალიზაცია ან დისკრიმინაცია მათ მიმართ.

აქედან გამომდინარე, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მცდელობები წინ უნდა უსწრებდეს და წინასწარ განსაზღვრავდეს აღნიშნულ პოტენციურ რისკებს, „ზიანის მიუყენებლობის" მიდგომის უზრუნველსაყოფად

რა რისკების განსაზღვრა და დამატება შეგიძლიათ ამ ჩამონათვალში?

თქვენი აზრით, აღნიშნული რისკებიდან რომელია თქვენი გარემოსთვის დამახასიათებელი?

[189] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, „Report on Best Practices and Lessons Learned on How Protecting and Promoting Human Rights Contribute to Preventing and Countering Violent Extremism", გვ. 11, 14.
[190] განსაკუთრებული მადლობა ანონიმურ რეცენზენტებს ამ რისკის შემოთავაზებისთვის.

7.7. შეჯამება

ეს მოდული ერთ-ერთი პირველია იმ მოდულების სერიიდან, რომლებიც იკვლევს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიმართ საზოგადოების მიდგომის გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. კერძოდ, მოცემული მოდული შეისწავლის საზოგადოების მედეგობასთან დაკავშირებულ საკითხებს და საზოგადოების სხვადასხვა წევრისა და მათი ურთიერთოებების მნიშვნელობას რადიკალიზაციის რისკების მიმართ საზოგადოების მედეგობის გასაძლიერების პროცესში. ქვემოთ იხილეთ ამ მოდულის ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნები:

მედეგ საზოგადოებას გააჩნია რიგი დამცავი ფაქტორები, რომლებიც მათ იცავს ძალადობრივი ექსტრემიზმის გაძლიერებისა და გავრცელებისგან.
მედეგი საზოგადოებები ფლობენ უამრავ დამატებით ფაქტორს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს დაუპირისპირდნენ ძალადობრივ ექსტრემიზმს, აგრეთვე თავიდან აიცილონ, განსაზღვრონ, ჩაერიონ და ხელი შეუწყონ ძალადობრივი ექსტრემისტების იდეების უარყოფას იმ პირთა მიერ, ვინც მხარს უჭერდა ან მონაწილეობდა მასში. რადიკალიზაციის მიმართ ფართომასშტაბიანი ინდივიდუალური მედეგობა ასევე ასოცირდება საზოგადოების მედეგობის გაძლიერებასთან.

როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესის რელიგიური ლიდერები წარმოადგენენ მნიშვნელოვან პარტნიორებს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში, მათ აგრეთვე უნდა მოიზიდონ თემის ლიდერთა ფართო ქსელიც.
კონკრეტულ რელიგიურ ლიდერებზე ყურადღების ზედმეტად გამახვილებამ შეიძლება გამოიწვიოს არაფორმალური ან მარგინალიზებული რელიგიური ლიდერების ან თემების, მათ შორის ყველაზე კონსერვატიულად მოაზროვნე პირების მოზიდვის შესაძლებლობის ხელიდან გაშვება. რელიგიური ლიდერების და რელიგიური დამკვირვებლების სხვადასხვა ქსელს, რომლებიც მუშაობენ საერთო მიზნების მისაღწევად, თავისი წვლილი შეაქვს ტოლერანტობისა და თანამშრომლობის განვითარებაში და შესაბამისად ხელს უწყობს საზოგადოების მედეგობას.

ძალადობრივი ექსტრემიზმთან გამკლავება ყველაზე ეფექტიანია ადგილობრივ დონეზე.
გამომდინარე იქიდან, რომ ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების ფესვები ადგილზე უნდა მოვიძიოთ, საზოგადოებირს წევრებს ყველაზე უკეთ შეუძლიათ მათი გამოვლენა და მათთან გამკლავება.

მედეგი ოჯახები წარმოადგენენ ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ მედეგი საზოგადოებების შემადგენელ მნიშვნელოვან კომპონენტს.
მოწყვლადობის ან პოტენციური რადიკალიზაციის ეგრეთ წოდებული ადრეული ნიშნები შეიძლება ყოველთვის არ იყოს შესამჩნევი, ხოლო იმ რწმენამ, რომ ოჯახებს „რამე უნდა მოემოქმედათ" ოჯახის წევრის რადიკალიზაციის თავიდან ასაცილებლად, შეიძლება გამოიწვიოს ოჯახების დისკრიმინაცია ან მათი უსაფრთხოების ჭრილში განხილვაც კი. უკიდურეს შემთხვევებში, ოჯახები მოწყვლადი წევრებით, რომლებიც დადებითად არიან განწყობილნი ან მხარს უჭერენ ძალადობრივ ექსტრემიზმს, მნიშვნელოვანი მოწყვლადობის საფრთხეს უქმნიან ოჯახის სხვა წევრებსაც.

ლოკალური და ადგილობრივი საინიციატივო ორგანიზაციებს საქმიანობის პროცესში ბევრი ბარიერი ხვდებათ, რაც აფერხებს მათ სრულყოფილ ჩართულობას ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში.
იმ ორგანიზაციების მსგავსად, რომელთაც სათავეში უდგანან ქალები და ახალგაზრდები, ეს ჯგუფებიც შეიძლება ნაკლებად პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სხვა ჯგუფებთან შედარებით, მათი მცირე ზომისა და ეროვნული ან საერთაშორისო რეპუტაციის არქონის გამო. შედეგად, ეროვნული ან აღიარებული ორგანიზაციები უფრო ხშირად განიხილებიან სასურველ პარტნიორებად.

7.8. სწავლის დამატებითი შესაძლებლობები

ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მოიძიეთ სტატიები სირიასა და ერაყში წასული ადამიანების ან ოჯახების შესახებ. ფლობდნენ თუ არა საზოგადოების წევრები ინფორმაციას მათი რადიკალიზაციის შესახებ? გაწევრიანებულნი იყვნენ თუ არა ეს ადამიანები ან ოჯახები რომელიმე რელიგიურ ან სოციალურ ჯგუფში? მიუთითებს თუ არა აღნიშნული მაგალითები საზოგადიების ძლიერ და სუსტ მხარეებზე? რას გეუბნებათ ეს ისტორიები საზოგადოების მედეგობის იდეის შესახებ?

ქვემოთ წარმოდგენილი მასალებში განხილულია საზოგადოების მედეგობის იდეა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიმართ ადგილობრივ მიდგომები:

ანკარის მემორანდუმი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიმართ მულტისექტორული მიდგომის მოწინავე პრაქტიკის შესახებ (გლობალური კონტრტერორისტული ფორუმი - GCTF) [რუსული] [ინგლისური]

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიმართ საზოგადოების მიდგომის განვითარება (რესურსების განვითარებისა და განათლების მსოფლიო ორგანიზაცია - WORDE) [ინგლისური]

„Going Local: Supporting Community-Based Initiatives to Prevent and Counter Violent Extremism in South and Central Asia", რაფია ბჰულაი (თანამშრომლობის საფუძველზე უსაფრთხოების გლობალური ცენტრი - GCCS) [ინგლისური]

„How Close Is "Whole of Society" Movement against Violent Extremism", ერიკ როზანდი და მედელინ როუზი (საერთაშორისო მშვიდობის ინსტიტუტი - IPI) [ინგლისური]

„Communities First: A Blueprint for Organizing and Sustaining a Global Movement against Violent Extremism", ერიკ როზანდი (პრევენციის პროექტი) [ინგლისური]

საზოგადოების ჩართულობის და ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების აღმოფხვრის სტრატეგია (საზოგადოების ჩართულობისა და მედეგობის განვითარების გლობალური ფონდი - GCERF) [ინგლისური]

აღნიშნული თემის შესახებ დამატებითი მასალების ჩამოტვირთვა შეგიძლიათ აქ.

შემდეგი მასალები ითვალისწინებს საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ადგილობრივი მიდგომების სარგებელსა და წარმატებას და გვთავაზობს მაგალითებს იმის შესახებ, თუ როგორ თანამშრომლობს საზოგადოება პოლიციასთან იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს როგორც ზოგადი უსაფრთხოება, ისე მათი უსაფრთხოება რელიგიათაშორისი კონფლიქტებისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პირობებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახლო აღმოსავლეთის რეგიონს:

ადგილობრივ თემებთან ურთიერთობისა და თემებზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავების მოწინავე პრაქტიკა, როგორც ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების საშუალება (გლობალური კონტრტერორისტული ფორუმი - GCTF) [ინგლისური]

„Investing in Iraq's Peace: How Good Governance Can Diminish Support for Violent Extremism", კ. პროქტორი და ბ. ტესფაიე (მშვიდობის კორპუსი) [ინგლისური]

„Havens in a Firestorm: Perspectives from Baghdad on Resilience to Sectarian Violence", ემი ს. კარპენტერი [ინგლისური]

„Local Community Resistance to Extremist Groups in Syria: Lessons from Atarib", ჰაიდ ჰაიდი (Chatham House) [ინგლისური]

„Resisting Hayat Tahrir al-Sham: Syrian Civil Society on the Frontlines", ჰაიდ ჰაიდი [ინგლისური]

ქვემოთ წარმოდგენილი მასალები დაგეხმარებათ საზოგადოების მედეგობის ხელშეწყობის მიზნით ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებში რელიგიური ლიდერების და ბენეფიციარების ჩართვის სარგებლისა და მოწინავე პრაქტიკის გაცნობიერებაში:

ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ სოციალური მედეგობის განვითარება: რელიგიათაშორისი მიმართულების ლიდერები და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების საშუალებები (ლიბანის საერთაშორისო უნივერსიტეტი) [ინგლისური]

„Dialogue with Religious Leaders and Institutions in Support of their Role in the Prevention and Resolution of Conflicts and in Countering Extremism in Central Asia", შაჰრბანუ ტაჯბახში (ცენტრალური აზიისთვის პრევენციული დიპლომატიის საკითხებზე გაეროს რეგიონალური ცენტრი) [რუსული] [ინგლისური]

აღნიშნული თემის შესახებ დამატებითი მასალების ჩამოტვირთვა შეგიძლიათ აქ.

დაბოლოს, შემდეგი მასალები განიხილავს ოჯახების როლს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების შემუშავებაში და ამ როლთან დაკავშირებით ოჯახების მხარდაჭერის მოწინავე პრაქტიკას:

ოჯახების როლი ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავების სფეროში: სტრატეგიული რეკომენდაციები და პროგრამების შემუშავების ვარიანტები (გლობალური კონტრტერორისტული ფორუმი) [ინგლისური]

აღნიშნული თემის შესახებ დამატებითი მასალების (ინგლისურ ენაზე) ჩამოტვირთვა შეგიძლიათ აქ.

ნარატივების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლის გაცნობიერება ძალადობრივი ექსტრემიზმის სფეროში

ეს მოდული მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას, გააცნობიერონ ნარატივებისა და მედიის (ტრადიციული მედია და სოციალური ქსელები) გამოყენების გზები ძალადობრივი ექსტრემიზმის გამკლავებისაკენ მიმართულ ღონისძიებებსა და პროგრამებში, როგორც ონლაინ, ისე რეალურ სივრცეებში. მონაწილეები გაეცნობიან შესაბამის ინსტრუმენტებს, რომლებიც მათ დაეხმარება კონსტრუქციული და სანდო ნარატივების მხარდაჭერასა და უფრო დესტრუქციული ან ექსტრემისტული ნარატივების გავლენის არხების უკეთ გააზრებაში.

საორიენტაციო შეკითხვები:

8.1 რას ნიშნავს ნარატივები და რა კავშირშია ძალადობრივ ექსტრემიზმთან?

8.2 როგორ შეიძლება ნარატივების ეფექტიანად გამოყენება რადიკალიზაციის ან გადაბირების პრევენციის ან ჩამოშორების თუ დერადიკალიზაციის ხელშეწყობის მიზნით?

8.3 როგორ გამოვიყენოთ ტრადიციული და სოციალური მედია ძალადობრივ ექსტერმიზმთან გასამკლავებლად, როგორც ონლაინ, ისე პირისპირ განხორციელებულ ღონისძიებებში?

8.4 რა რისკები ახლავს ნარატივების გამოყენებას ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავების პროცესში?

8.1. რას ნიშნავს ნარატივები და რა კავშირშია ძალადობრივ ექსტრემიზმთან?

როგორ ჩამოყალიბდა თქვენი მსოფლმხედველობა?

რამ განაპირობა თქვენი მიმდინარე პოლიტიკური, რელიგიური და ეთიკური შეხედულებები? რამდენად შეიცვალა ისინი? განმარტეთ დადებითი ან უარყოფითი პასუხის მიზეზები?

როგორც მეორე მოდულში განვიხილეთ, ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფები მიმართავენ რადიკალიზაციას და გადაბირებას ადამიანებისათვის სამყაროს, კონფლიქტების და სხვადასხვა საკითხის შესახებ დამაჯერებელი იდეების მიწოდებით. ისინი შთააგონებენ ცალკეულ პირებსა და ჯგუფებს, რომ მხარი დაუჭირონ ან ჩაერთონ ისეთ ქმედებებში, რომლებიც ამ მსოფლმხედველობას და მათ მიზნებს კიდევ უფრო განამტკიცებს. აღნიშნულ მსოფლმხედველობასთან მიმართებით არ არსებობს ერთი კონკრეტული იდეა ან გზავნილი. ამ იდეებსა და გზავნილებს ერთობლიობაში ნარატივების სახელით მოიხსენიებენ:

> **ნარატივები** - იდეების, ფაქტების, პერსპექტივების და გამოცდილების ერთობლიობა, რომელიც გვამცნობს, თუ როგორ აღიქვამს ინდივიდი ან ჯგუფი საკუთარ ადგილს გარშემო არსებულ სამყაროში. ხშირად ნარატივებში ისტორიული სინამდვილის ელემენტები და გამოგონილი ამბები ერთმანეთს ანაცვლებს, ისინი შეიძლება გადაიკვეთოს ადამიანების მხრიდან საკუთარი თავის აღქმასთან ან თავიანთ ცხოვრებაში სხვადასხვა მოვლენის აღქმასთან [...]. ნარატივები შეიძლება იყოს პოზიტიური ან ნეგატიური და მოქმედებდეს ადამიანის გამოცდილების ბუნებრივი ნაწილის სახით.[191]

ნარატივები ადამიანებს ეხმარება მათ გარშემო არსებულ სამყაროში საკუთარი ნიშის პოვნაში, აგრეთვე საკუთარი წარსულისა თუ მომავლის უკეთ გააზრებაში. ძალადობრივი ექსტრემისტების ნარატივები წარმოადგენს შუღლის საბაბს და საფრთხეს უქმნის სოციალურ ერთობას. ისინი იყენებენ მსხვერპლის სტატუსს იმისათვის, რომ მოიპოვონ თანაგრძნობა, შეცვალონ მათ მიმართ არსებული უარყოფითი დამოკიდებულება პოტენციურ მხარამჭერებში, შესძინონ მათ მნიშვნელობა და დაადანაშაულონ სხვები. ისინი ადამიანებს მოუწოდებენ გადაბირებისა და ძალადობრივი ქმედებებისაკენ, თავიანთი ოპონენტების დეჰუმანიზაციის და მათ მიმართ ჩადენილი სისასტიკის გამართლების გზით. ამასთან, ძალადობრივი ექსტრემისტების ნარატივები უარყოფენ საკუთარ დანაშაულს, ცდილობენ ოპონენტების დაშინებას და სთავაზობენ გასამრჯელოს ჯგუფურ ქმედებებში მონაწილეობისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძალადობრივ ექსტრემისტზმთან გამკლავების ძალისხმევებში არსებითი მნიშვნელობის კომპონენტს წარმოადგენს ასეთი ნარატივების შესწავლა, აგრეთვე იმ ფაქტის განსაზღვრა, თუ როგორ კვეთენ ან იმეორებენ (ან თუნდაც ითვისებენ) ამგვარი ნარატივები ადგილობრივ ნარატივებს.

ტერმინს „ნარატივები" ხშირად იყენებენ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში ჩართული სპეციალისტები. ამ სიტყვით ისინი მოიხსენიებენ ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების მედია პროდუქტებს ან გზავნილებს, როგორც წესი, ინტერნეტში. ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფები შეიძლება საკმაოდ დახელოვნებულნი იყვნენ ამ ტიპის გზავნილების სოციალურ მედიაში ან სხვა ელექტრონულ პლატფორმებზე განთავსებაში. ამ თემის შესწავლას საკმაოდ ბევრი კვლევა დაეთმო (მაგალითად, გაიხსენეთ ვიდეორგოლი 9, მოდული 5). მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია ნარატივების მნიშვნელობის გავრცობა და მასში ელექტრონულად და პირისპირ განცხორციელებული გზავნილების, მათ შორის ისეთი შეტყობინებების შეტანა, რომელთაც ერთი ადამიანი უზიარებს მეორეს. რა თქმა უნდა, ინტერნეტით გავრცელებული ძალადობრივი ექტრემისტული ნარატივები ხშირად მხოლოდ ისეთი იდეებისა და შეხედულებების შეფუთულ ვერსიას წარმოადგენს, რომლებიც ვრცელდება ძალადობრივ ექსტრემისტებს შორის და პოტენციური მხარდამჭერების მისამართით. მომდევნო მოდულში უფრო დეტალურად განვიხილავთ ძალადობრივი ექსტრემისტების მიერ ნარატივების გაზიარების მიზნით ინტერნეტისა და სოციალური მედიის გამოყენებისა და ქალებისა და მამაკაცების გადმობირების საკითხებს. თუმცა, მოცემულ მოდულში ყურადღება გამახვილებულია ნარატივებზე და მათთან გამკლავების ძალისხმევებზე როგორც ინტერნეტ, ისე რეალურ სივრცეში.

[191] „სლახმუილდერი, "Transforming Violent Extremism," გვ. 28. ყურადღება გამახვილებულია ავტორის მიერ.

8.2 როგორ შეიძლება ნარატივების ეფექტიანად გამოყენება რადიკალიზაციის ან გადაბირების პრევენციის ან ჩამოშორების თუ დერადიკალიზაციის ხელშეწყობის მიზნით?

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში, ძალადობრივი ექსტრემისტების ნარატივებს შეისწავლიან მკვლევარები და პრაქტიკოსი სპეციალისტები. ისინი მონაწილეობას იღებენ ისეთ პროექტებში, რომლებიც საზოგადოებას სთავაზობს შედარებით პოზიტიურ ნარატივებს ცალკეული პირებისა და ჯგუფების რადიკალიზაციის, გადაბირების და ძალადობისკენ სწრაფვის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული ნარატივების გამოყენება ასევე შესაძლებელია ჩამოშორების ან დერადიკალიზაციის ხელშეწყობისთვის. იხილეთ პირველ მოდულში წარმოდგენილი 'ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ციკლი' და საპასუხო ღონისძიებების სხვადასხვა დონე, ზოგადი პრევენციიდან რეინტეგრაციამდე. რა თქმა უნდა, აღნიშნული ძალისხმევების გამოყენება შესაძლებელია საპასუხო ღონისძიებების ყველა დონეზე! ჩვენ შეგვიძლია ისინი სამ კატეგორიად დავყოთ, რომლებსაც ერთობლივად **პოზიტიური ნარატივების** სახელით მოვიხსენიებთ.[192] ეს კატეგორიებია :

ალტერნატიული ნარატივები - ისინი ეჭვქვეშ აყენებს ძალადობრივი ექსტრემისტების ნარატივების საფუძვლიანობას და გვთავაზობს პრობლემების გადაჭრის უფრო ეფექტიან და არაძალადობრივ მიდგომებს. ეს შესაძლოა ითვალისწინებდეს სოციალური ღირებულებების, ტოლერანტობის, გახსნილობის, თავისუფლებისა და დემოკრატიის შესახებ საზოგადოებაში დამკვიდრებული ღირებულებების განმტკიცებას. ისინი შესაძლოა აგრეთვე განიხილავდეს უფრო ინკლუზიურ მიდგომებს არსებული პრობლემებისა და კონფლიქტების გაცნობიერებასთან დაკავშირებით (მაგალითად, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის პრობლემა უკეთ აღმოიფხვრება ადგილობრივი მეწარმეობის წახალისებით, მცირე საწარმოების შექმნის ხელშემშლელი პირობების გაუქმებით, ა.შ., და არა დისკრიმინაციური შეზღუდვების დაწესებით ან დევნილი, მიგრანტი, იძულებით გადაადგილებული ან უმცირესობათა თემების გაძევებით). ნებისმიერს, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და საჯარო მოხელეებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება ალტერნატიული ნარატივების გავრცელებასა და მათ რეალობად გარდაქმნაში.

კონტრნარატივები - პირდაპირ უპირისპირდება ძალადობრივ ექსტრემისტულ ნარატივებს, უარყოფს და ახდენს მათ დისკრედიტაციას; წარმოაჩენს ძალადობრივი ექსტრემისტების იდეოლოგიაში, თეოლოგიაში არსებულ ხარვეზებს; ჩარჩოში აქცევს კონფლიქტს ან ადგილობრივ პრობლემებს; სააშკარაოზე გამოაქვს მათი სიცრუე და ფარისევლობა. აღნიშნულის მაგალითებს წარმოადგენს: რელიგიური ლიდერების მხრიდან ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების მიერ რელიგიის ინტერპრეტაციის ნაკლოვანებების გამოაშკარავება; ტრადიციული ან სამოქალაქო ჟურნალისტების საქმიანობა, ადგილობრივად გაავრცელონ ფაქტები და დაუპირისპირდნენ ძალადობრივი ექსტრემისტების პროპაგანდას; აგრეთვე მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლების ძალისხმევა, ღია სასამართლო სხდომებზე ამხილონ ძალადობრივი ექსტრემისტების დანაშაულები. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია კონტრნარატივების შექმნა და გაზიარება, მაგრამ ხელისუფლების ორგანოები ამ კუთხით ხშირად დამატებით პრობლემებს აწყდებიან, რადგან ისინი სარგებლობენ ნაკლები ნდობით მოწყვლადი პირების ან ძალადობრივი ექსტრემიზმის მომხრეების მხრიდან.

[192] ადაპტირებულია რეიჩელ ბრიგსის და სებასტიან ფივის ნაშრომიდან „Review of Programs to Counter Narratives of Violent Extremism: What Works and What Are the Implications for Government" (სტრატეგიული დიალოგის ინსტიტუტი, 2013 წ.).

მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაცია - ძირს უთხრის ძალადობრივი ექსტრემისტების ნარატივებს მთავრობის მიერ განხორციელებული ქმედებების და პოლიტიკის იმგვარად ახსნითა და წარმოჩენით, რაც გამორიცხავს ცრუ ინფორმაციას და გაურკვევლობას. მთავრობის სტრატეგიულ საკომუნიკაციო საშუალებებს ასევე შეუძლია ცნობიერების გაზრდა სახელმწიფო პროგრამებისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის საფრთხის შესახებ, ამავდროულად იგი ხელს უწყობს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარებას მარგინალიზირებულ თემებთან. ამგვარი საკომუნიკაციო საშუალებები კიდევ უფრო მეტ ეფექტიანობას იძენს იმ შემთხვევაში, თუ მათ თან ახლავს ცვლილებები ადგილობრივი პრობლემების გადაჭრისკენ მიმართულ მმართველობით მეთოდებში. მაგალითად, მთავრობამ შესაძლოა საჯაროდ განაცხადოს მართლმსაჯულების ცენტრებთან მოწყვლადი თემების წვდომის გაზრდა და განმარტოს ამ ცენტრებში წარმოდგენილი მომსახურებებით სარგებლობის გზები. აღნიშნულ ღონისძიებებს, როგორც წესი, წარმართავს მთავრობა, თუმცა ნებისმიერ პირს შეუძლია მათი მხარდაჭერა.

შეგიძლიათ დაასახელოთ პოზიციური ნარაცივების ზემოაღნიშნული სამი ტიპის მაგალითი თქვენს ადგილობრივ გარემოში?

ამ სამი კატეგორიიდან თითოეულს ახასიათებს ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც დამოკიდებულია ნარატივების მიზანზე, მათი გავრცელების ფორმატსა და გამავრცელებელ პირებზე. „ალტერნატიული ნარატივები ხელს უწყობს პოზიტიური ალტერნატიული შეხედულებების, ქმედებებისა და როლური მოდელების გავრცელებას, აგრეთვე კრეატიული აზროვნების განვითარებას," - აცხადებს „რადიკალიზაციის შესახებ ინფორმაციის ევროპული ქსელი". „კონტრნარატივები, რომელთა მიზანს ექსტრემისტული პროპაგანდის გამოაშკარავება წარმოადგენს, მიმართული უნდა იყოს მხოლოდ კარგად შესწავლილ და გამოკვლეულ აუდიტორიაზე, რომელსაც უკვე გარკვეული გამოცდილება აკავშირებს ექსტრემისტულ შინაარსთან".[193]

მიუხედავად ამისა, ნარატივების შესახებ დისკუსიის პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა კონტრნარატივებს. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ გარკვეულ შემთხვევებში მათ შეიძლება უბრალოდ გააძლიერონ ძალადობრივი ექსტრემისტების ნარატივები გამომდინარე იქიდან, რომ ისინი იქცევიან დებატების, დისკუსიებისა და მსჯელობის საგნად. ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო ცენტრის (ICCT) წარმომადგენლის, დოქ. ალისტერ რიდის განცხადებით, „სავარაუდოდ, ყველაზე დიდი წარუმატებლობა, რომელიც თან ახლავს კონტრნარატივებზე ამგვარ კონცენტრირებას,

მდგომარეობს კომუნიკაციების მიმართ ფრაგმენტულ მიდგომასა და სრულყოფილი, ინტეგრირებული და მრავალგანზომილებიანი საკომუნიკაციო კამპანიის საჭიროების არასაკმარისად გაცნობიერებაში. წარმატებული კამპანიები კომპლექსურია და მოიცავს უამრავ, სხვადასხვა ტიპის (თავდასხმითი და თავდაცვითი ხასიათის, იდენტობასა და რაციონალურ არჩევანთან დაკავშირებულ) გზავნილს. ამგვარი გზავნილები ვრცელდება სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით (ინტერნეტი, ბეჭდური მედია, ტელევიზია, რადიო, საჯარო გამოსვლები). ყველა გზავნილი მხარს უნდა უჭერდეს და ორმხრივად აძლიერებდეს ცენტრალურ ნარატივს, ადგილობრივად განხორციელებული ღონისძიებების პარალელურად".[194]

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ნარატივები ითვალისწინებს ალტერნატიული ქმედებების ვარიანტებს, ალტერნატიული ნარატივები შეიძლება უფრო ეფექტიანი აღმოჩნდეს პრევენციული სამუშაოების კუთხით. უახლესი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მონაცემების თანახმად, „ამ ალტერნატიული მიდგომების თეორიულ საფუძვლებს ამყარებს უფრო ძლიერი და კარგად ჩამოყალიბებული კვლევითი ბაზა, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა განვითარების მულტიდისციპლინურ სფეროებს, მშვიდობისმყოფელობას და სოციალურ ერთობას."[195] მეორეს მხრივ, კონტრნარატივები შეიძლება უფრო ეფექტიანი აღმოჩნდეს იმ ადამიანებთან მუშაობისას, ვინც უკვე უჭერს მხარს ძალადობრივი ექსტრემისტების ნარატივებს ან უკვე გაერთიანდა მათ ჯგუფში. ისინი შეიძლება წარმატებული აღმოჩნდეს ჩამოშორებისა და დერადიკალიზაციის პროცესში.[196] არჩეული მიდგომის მიუხედავად, ძალადობრივი ექსტრემიზის პრევენციისა და მასთან გამკლავების შესახებ ნარატივებს ბევრი საერთო ელემენტი აკავშირებს ერთმანეთთან. ეს მოდული განიხილავს ნარატივების გამოყენების შესახებ სასარგებლო რჩევებს და მოწინავე პრაქტიკას, რომელთა ადაპტირებაც შესაძლებელია თქვენს გარემოზე.

[193] ალექსანდრ რიტცმანი და მარი მეინესი, "RAN Guidelines for Effe tive Alternative and Counter-Narrative Campaigns (GAMMMA+)," RAN-ის კვლევის ანგარიში (რადიკალისაციის შესახებ ინფორმაციის ქსელი, დეკემბერი, 2017 წ.), გვ. 2.
[194] "IS Propaganda: Should We Counter the Narrative?," 17 მარტი, 2017 წ., https://icct.nl/publication/is-propaganda-should-we-counter-the-narrative/. [ინგლისური]
[195] ქეით ფერგიუსონი, „Countering Violent Extremism through Media and Communication Strategies: A Review of the Evidence", პარტნიორობა კონფლიქტის, დანაშაულის და უსაფრთხოების კვლევის საკითხებში, 2016 წ., გვ. 2.
[196] მაგალითად, იხილეთ ენ სპეკჰარდი და არდიან შაიკოვჩი, „Confronting an ISIS Emir: ICSVE's Breaking the ISIS Brand Counter-Narrative Videos", ICSVE-ს კვლევის ანგარიშები (ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 29 მაისი, 2017 წ.), http://www.icsve.org/research-reports/confronting-an-isis-emir-icsves-breaking-the-isis-brand-counter-narrative-videos/. [ინგლისური]

ნარატივების გავრცელების კამპანიების მიზნებისა და ამოცანების მაგალითები

[კამპანიის] მიზნები და ამოცანები მკაფიოდ უნდა უსვამდეს ხაზს იმ დამოკიდებულების და ქცევების ცვლილებას, რომლის მიღწევაც სასურველია სამიზნე აუდიტორიაში [....]. ქვემოთ წარმოდგენილი ჩარჩო აღწერს შესაძლო მიზნებსა და ამოცანებს:

ჩამოშორება:
ეს მიზანი ყურადღებას ამახვილებს ქცევის ცვლილებაზე, რა შემთხვევაშიც პირის ჩართულობა ძალადობრივ ექსტრემისტულ საქმიანობაში მცირდება ან საერთოდ წყდება. კონფლიქტისგან ჩამოშორებასთან დაკავშირებით შესრულებული სამუშაოების შედეგები აშკარაა ისეთ გარემოში, სადაც კონტრნარატივები ვრცელდება პირისპირ, და არა ელექტრონულად...

გადარწმუნება:
ეს მიზანი ორიენტირებულია ძალადობრივი ექსტრემიზმით დაინტერესებული პირებისთვის ამგვარი ინტერესის გაქარწყლებაზე; სანაცვლოდ კი მათ სთავაზობს აზრის ან უკმაყოფილების გამოხატვის სხვა, ალტერნატიულ საშუალებებს.

[ძალადობრივი ექსტრემიზმის] მიმზიდველობის განეიტრალება:
ეს მიზანი გულისხმობს მოწყვლადი პირების ძალადობრივი ექტრემიზმის მიმართ ხიბლის გაქარწყლებას, აგრეთვე ძალადობრივი ექსტრემისტების ნარატივის ან გზავნილის დისკრედიტაციას იმისათვის, რომ საზოგადოების თვალში ძალადობრივი ექსტრემიზმი ნაკლებად მიმზიდველი გახდეს.

[ძალადობრივი ექსტრემისტების ნარატივების] გავლენის შეზღუდვა:
ეს მიზანი მიმართულია ძალადობრივი ექსტრემისტების ნარატივების ან პროპაგანდის იზოლირებაზე იმისათვის, რომ მაქსიმალურად შეიზღუდოს მისი გავლენა ცალკეულ პირებზე ან მცირე ჯგუფებზე. აღნიშნული მიზანი განსაკუთებით აქტუალურია ისეთ შემთხვევებში, როცა ძალადობრივი ექსტრემისტების გზავნილებმა შესაძლოა მოიზიდოს უფრო დიდი აუდიტორია.

ცნობიერების დონის ამაღლება:
ეს მიზანი ითვალისწინებს ძალადობრივი ექსტრემიზმის კონკრეტული ასპექტების შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფას. აღნიშნული მოიცავს ინფორმაციას მამოძრავებელი ფაქტორებისა და რადიკალიზაციის პროცესების შესახებ. ეს მიზანი შეიძლება გარკვეულწილად აქტუალური იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც სამიზნე აუდიტორიას „მთავარი გავლენიანი ადამიანები" წარმოადგენენ.

ამონარიდი სარა ცაიგერის ნაშრომიდან - „Undermining Violent Extremist Narratives in East Africa: A How-To Guide" („Hedayah"-ს ცენტრი, 2016 წლის აგვისტო), გვ. 15.

ნარატივების ზემოაღნიშნული სამი კატეგორიის ანალიზმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ელემენტი გამოავლინა. აღნიშნული ელემენტების მხედველობაში მიღება აუცილებელია პოზიტიური ნარატივების შექმნის პროცესში იმის მიუხედავად, თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნებიან ისინი: კონტრნარატივებს, ალტერნატიულ ნარატივებსა თუ მთავრობის სტრატეგიულ საკომუნიკაციო საშუალებებს:

გზავნილის ავტორი შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე თავად გზავნილი:
სხვადასხვა პირებს (როგორიცაა თემის ან რელიგიური ლიდერები, ყოფილი ძალადობრივი ექსტრემისტები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები) განსხვავებული ძლიერი და სუსტი მხარეები გააჩნიათ პოზიტიური ნარატივების შექმნის და გავრცელების პროცესში. ამის მიზეზს წარმოადგენს მათი განსხვავებული კავშირი რადიკალიზაციის გამომწვევ პრობლემებთან, რისკის წინაშე მყოფ თემებთან და გადაწყვეტის შემოთავაზებულ გზებთან.

თანამშრომლობა ნარატივების შექმნისა და გავრცელების სფეროში:
მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა დაინტერესებულმა პირმა შეიძლება წარმართოს გზავნილების გავრცელების გარკვეული ასპექტები, საზოგადოების მასშტაბით თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ნარატივების უფრო ფართოდ გავრცელებას, საზოგადოების მიერ მათ მიმღებლობას და ამცირებს მათი პროპაგანდად აღქმის ალბათობას (იხილეთ ამ ტიპის თანამშრომლობის ამსახველი ვიდეორგოლი 19 ქვემოთ).

გზავნილის კავშირი კონკრეტულ ქმედებასთან:
მხოლოდ შთამაგონებელი ან საინფორმაციო ხასიათის გზავნილებით გავრცელებული ნარატივები ნაკლებად ახდენს გავლენას ადამიანის მიერ მის გარშემო არსებული სამყაროს აღქმასა და მასში საკუთარი როლის გააზრებაზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა პოზიტიური ნარატივები, რომლებიც ადამიანებში აღძრავს მოქმედებისა და გარკვეული მიზნების მიღწევაში საკუთარი წვლილის შეტანის სურვილს. ეს გამოცდილება უფრო ეფექტიანად ახდენს შეხედულებების და მიდგომების ტრანსფორმირებას, ვიდრე მხოლოდ სიტყვები.

ძალისხმევა კონკრეტული მიზნით:
წინა პუნქტთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ პოზიტიურ ნარატივებს უნდა ჰქონდეს შესაბამისი მიზანი, რომელიც ითვალისწინებს პრობლემის ახლებურ ხედვას ან მოქმედებისკენ მოწოდებას (ძალადობრივი ექსტრემისტების ნარატივების მსგავსად). ამგვარი მიზნის არსებობა ხელს უწყობს გზავნილების ახალი შინაარსის და ფორმის ჩამოყალიბებას, აგრეთვე აღნიშნული გზავნილების გავრცელებას დასახული მიზნების მისაღწევად.

ნარატივები რამდენიმე ფორმატს მოიცავს:
ნარატივები არ ნიშნავს მხოლოდ სიტყვებსა და გზავნილებს, ისინი რამდენიმე ფორმატს მოიცავს, მათ შორისაა პირისპირ დიალოგი ან უფრო მასშტაბური დისკუსიები. „გზავნილების მიწოდება შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით, მაგალითად, საავტორო სტატიების, საჯარო გამოსვლების, საინფორმაციო ბიულეტენების და დისკურსის გამართვის სხვა შედარებით არაპოპულარული საშუალებების ფორმით. უახლესი კვლევის თანახმად, კონტრნარატივებს გააჩნია საგრძნობლად დამაჯერებელი ეფექტი განურჩევლად მათი გავრცელების ფორმატისა."[197] გარდა ამისა, ნარატივები იქმნება ცხოვრებისეული გამოცდილებისა და ურთიერთობების საფუძველზე. ეს გულისხმობს, რომ საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებს შეუძლია ნარატივების გაძლიერება ან მათი შექმნა სასარგებლო ან დესტრუქციული ფორმით.

მოდით, განვიხილოთ აღნიშნულთან დაკავშირებული მაგალითი. კოლუმბიაში რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ძალადობრივი ქმედებების პროვოცირებას ახდენდნენ ისეთი ჯგუფები, როგორიცაა კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები (FARC). მათ ახლახანს მთავრობასთან გააფორმეს სამშვიდობო შეთანხმება ძალადობის დასრულების შესახებ. მიუხედავად ამისა, 2013 წლის ბოლოს, კოლუმბიის თავდაცვის სამინისტრომ დაიწყო თანამშრომლობა მებრძოლთა დედებთან სპეციალური კამპანიის ფარგლებში. ამ კამპანიის მიზანს წარმოადგენდა საკუთარი ვაჟებისა და გოგონების (ვინაიდან ჯგუფში ქალებიც იბრძოდნენ) დარწმუნება, დაბრუნებულიყვნენ სახლში. იხილეთ ამ კამპანიის ამსახველი ვიდეორგოლი ქვემოთ:

[197] ბერგერი, „Making CVE Work", გვ. 7-8.

ვიდეორგოლი 19: შენ ჩემი ვაჟი ხარ



მომზადებულია: MullenLowe Group-ის მიერ კოლუმბიის თავდაცვის სამინისტროსთვის

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/qYrofD8l1-k[198]
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

სადისკუსიო შეკითხვები:

1. თქვენი აზრით, რამდენად წარმოადგენს ზემოაღნიშნული კამპანია კონტრნარატივის, ალტერნატიული ნარატივის ან მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციის საშუალების მაგალითს? ხომ არ შეიცავს იგი რამდენიმე ელემენტს? დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ, რომელ კატეგორიას მიეკუთვნება შესაბამისი ელემენტი და რატომ?

2. რა იყო კამპანიის მიზანი?

3. ვინ იყვნენ კამპანიის გზავნილების მთავარი ავტორები? რამდენად წარმოადგენდა ეს კამპანია თანამშრომლობის მაგალითს?

4. ჩამოთვალეთ ამ კამპანიის სხვადასხვა ფორმატი.

5. კოლუმბიაში უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს ჩამოშორებისა და რეინტეგრაციის პროგრამა მებრძოლებისა და სხვადასხვა ჯგუფში გაწევრიანებული ძალადობრივი ექსტრემისტებისთვის. რამდენად მოიზიდა ამ კამპანიამ ყურადღება აღნიშნულ პროგრამაზე? განმარტეთ დადებითი და უარყოფითი პასუხის მიზეზები.

6. ვიდეორგოლში ამტკიცებენ, რომ კამპანია წარმატებით მიმდინარეობდა. მის ფარგლებში 196 მებრძოლი ჩამოშორდა კონფლიქტს. ზემოაღნიშნული პროგრამის პროცესში კოლუმბიის მთავრობამ 15 000-ზე მეტი ადამიანი გამოკითხა 10 წლის განმავლობაში. მათგან მხოლოდ 5%-მა (დაახლოებით 750 ადამიანმა)[199] აღიარა, რომ კონფლიქტი ოჯახის მონატრების გამო მიატოვა. თქვენი აზრით, კამპანიას მოჰყვა თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ეფექტი? განმარტეთ დადებითი და უარყოფითი პასუხის მიზეზები.

7. თქვენი აზრით, ამ კამპანიამ დაარწმუნა თუ არა ახალგზარდა მამაკაცებისა და ქალების გარკვეული ნაწილი, უარი ეთქვათ კონფლიქტში მონაწილეობაზე? დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ, რამდენად აშკარა იყო ეს გავლენა?

ზემოაღნიშნული კამპანიის თანახმად, პოზიტიური ნარატივების შექმნის და გავრცელების პროცესი უნდა იყოს კარგად მოფიქრებული და დაკავშირებული კონკრეტულ მიზანთან. თუმცა, ნარატივების ეფექტიანობისათვის სულაც არ არის აუცილებელი მათი სიღრმისეული კვლევა და უნაკლოდ შესრულება. რეალურად, ასეთ დეტალებზე ზედმეტი ყურადღების გამახვილება კიდევ უფრო აძლიერებს იმ მითს, რომ ძალადობრივ ექსტრემისტების ნარატივებთან გამკლავების „იდეალური გზა" არსებობს და ჩვენ მხოლოდ უნდა მივაგნოთ მართებულ მიდგომას. გარდა ამისა, ასეთმა მიდგომამ შესაძლოა ზედმეტად გაამახვილოს ყურადღება მედია პროდუქტებზე (განსაკუთრებით, ინტერნეტით გავრცელებულ პროდუქტებზე) და არა სხვა ფორმატებზე, რომლებიც არანაკლებ ეფექტიანია.

[198] ეს კამპანია წარმოადგენდა ყოველწლიური საშობაო პროგრამის ნაწილს. სხვა კამპანიების ფარგლებში კოლუმბიის ჯუნგლების ყველაზე შორეულ ნაწილებში გაანათეს ნაძვის ხეები (https://youtu.be/gODTTz3ayCk), ხოლო კოლუმბიის ჯუნგლებში ჩაკარგული მდინარეებით გაუშვეს მცურავი საშობაო გზავნილები (https://youtu.be/RpTDPTaOdVk). თითოეული კამპანიის მიზანს წარმოადგენდა ძალადობრივი ექსტრემიზმისგან ჩამოშორების ხელშეწყობა.
[199] ბერგერი, „Making CVE Work", გვ. 21-22.

8.2.1. სახელმძღვანელო პრინციპები ეფექტური ნარატივების კამპანიის განხორციელებისთვის

ამგვარად, საიდან ვიწყებთ პოზიტიური ნარატივების შექმნისა და გავრცელების პროცესს (იქნება ეს კონტრნარატივები, ალტერნატიული ნარატივები თუ მთავრობის სტრატეგიული საკომუნიკაციო საშუალებები)? „Hedayah"-ს ცენტრმა შეიმუშავა შესაბამისი ნაბიჯები, რომლებიც ეფექტიანია აღნიშნული ძალისხმევის განსახორციელებლად და ადაპტირებულია მოცემულ სახელმძღვანელოზე:

1. ძალადობრივი ექსტრემიზმის შესაბამისი მამოძრავებელი ფაქტორების გააზრება და შეფასება;

2. სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა;

3. ძალადობრივი ექსტრემისტების იმ მკაფიო ან ფარული ნარატივების იდენტიფიცირება, რომელთაც შეიძლება გამოხმაურება ჰპოვონ სამიზნე აუდიტორიაში;

4. კამპანიის მკაფიო მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა;

5. ეფექტიანი გზავნილების ავტორების განსაზღვრა;

6. გზავნილების შინაარსისა და ლოგიკის შემუშავება;

7. გზავნილების გავრცელების ფორმატის განსაზღვრა;

8. გზავნილების გავრცელების სტრატეგიისა და შესაბამის ქმედებებთან თუ პროგრამებთან დაკავშირების მეთოდების შემუშავება;

9. კამპანიის ზემოქმედების შეფასება და ანალიზი;

10. კამპანიის საჭიროებისამებრ კორექტირება და მისი განხორციელების გაგრძელება, აუცილებლობის შემთხვევაში.[200]

გარდა ამისა, არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, შეგვიძლია შევცვალოთ ამ ნაბიჯების თანმიმდევრობა. მიუხედავად იმისა, რომ მათი უმრავლესობა არ საჭიროებს განმარტებას და განხილულია მოცემული სახელმძღვანელოს სხვა თავებშიც, ძალიან მნიშვნელოვანია რამდენიმე ძირითად ასპექტზე ყურადღების გამახვილება. ეს ასპექტებია: სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა (მაგალითად, სრულიად საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება ან საზოგადოების კონკრეტულ, რადიკალიზაციის მიმართ მოწყვლად წევრებთან მუშაობა), ეფექტიანი გზავნილების ავტორების შერჩევა, გზავნილების შინაარსისა და ლოგიკის შემუშავება და გზავნილების გავრცელების ფორმატის განსაზღვრა.

ეფექტიანი გზავნილების ავტორების შერჩევა: სამიზნე აუდიტორიის მიერ გზავნილების აღქმა რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგრამ მათგან ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს გზავნილების გამგზავნი ანუ ე.წ. „გზავნილის ავტორი" წარმოადგენს. ეს ფაქტორი გავლენას ახდენს იმაზე, მოუსმენს თუ არა საერთოდ აუდიტორია გზავნილის ავტორს ან აღიქვამს თუ არა მას სანდო წყაროდ. მაგალითად, მარგინალიზებული თემები, რომელთაც სერიოზული უთანხმოება აქვთ სხვა თემებთან ან ცენტრალურ ხელისუფლებასთან, შეიძლება არ ენდონ მათ განცხადებებს. ან, მაგალითად, რელიგიური ლიდერი, რომელიც სათავეში უდგას ფართოდ გავრცელებულ რელიგიურ მიმართულებას, ნაკლები ნდობით შეიძლება სარგებლობდეს უფრო კონსერვატიული რელიგიური თემის რელიგიურ ლიდერთან შედარებით, იმ შემთხვევაში, როდესაც გზავნილი მიმართულია იმ ჯგუფებზე ან პირებზე, რომელთა აზრით, ეს ფართოდ გავრცელებული რელიგიური მიმართულება არ არის „წმინდა" და „სწორი". აღნიშნული ფაქტორები აუცილებლად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული გზავნილების გავრცელების კამპანიის წარმოებისას.

[200] ადაპტირებულია ლაილა ელსაიედის, თალალ ფარისის და სარა ცაიგერის ნაშრომიდან „Undermining Violent Extremist Narratives in the Middle East and North Africa: A How-To Guide" („Hedayah"-ს ცენტრი, 2017 წლის დეკემბერი), გვ. 4.

შეკითხვები გზავნილის ავტორის სწორად შესარჩევად

„Hedayah"-ს ცენტრი, თავის 2017 წელს გამოცემულ პუბლიკაციაში „Undermining Violent Extremist Narratives in the Middle East and North Africa - A How-To Guide", გვთავაზობს შეკითხვებს, რომელთა დასმაც აუცილებელია გზავნილის ავტორის სწორად შესარჩევად:

- რა ურთიერთობა აკავშირებს ერთმანეთთან გზავნილის ავტორსა და სამიზნე აუდიტორიას?
- რა ავტორიტეტით სარგებლობს გზავნილის ავტორი სამიზნე აუდიტორიაში?
- აქვს თუ არა გზავნილის ავტორს აუდიტორიის შეხედულებების შეცვლის შესაძლებლობა?
- აქვს თუ არა გზავნილის ავტორს აუდიტორიის ქცევის შეცვლის შესაძლებლობა?
- რა რისკებთან ან უარყოფით შედეგებთან არის დაკავშირებული კონკრეტული გზავნილის ავტორის შერჩევა?

გზავნილების შინაარსისა და ლოგიკის შემუშავება:
არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე, მას შემდეგ, რაც ჩამოაყალიბებთ თქვენი კამპანიის მიზნებს, თქვენ დეტალურად უნდა მოიფიქროთ ამ მიზნის მიღწევის გზები. დაიმახსოვრეთ, რომ ნარატივები აყალიბებს ჩვენს შეხედულებებს სხვადასხვა პრობლემის, კონფლიქტის და ჩვენს გარშემო არსებული სამყაროს შესახებ და ერთი უბრალო გზავნილით მათი შეცვლა თითქმის შეუძლებელია. საჭიროებს თუ არა თქვენი კამპანია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინებას? უნდა დააკავშიროს თუ არა მან ადამიანთა ჯგუფები ერთმანეთთან ან ყურადღება მიმართოს ახალ პროგრამაზე? უნდა მოუწოდოს თუ არა კამპანიამ ადამიანებს მათი პრობლემები ეფექტიანი და არაძალადობრივი გზით მოგვარება? უნდა ითვალისწინებდეს თუ არა იგი ძალადობრივი საქმიანობიდან ჩამოშორების გზებს, მაშინ როცა ექსტრემისტულად განწყობილი პირები ეჭვს შეიტანენ ან გადაწყვეტენ ჯგუფის დატოვებას, როგოც ეს კოლუმბიის კამპანიის შემთხვევაში მოხდა?

რეალურად, გზავნილები არაა მხოლოდ სიტყვები. გზავნილები მოიცავს რამდენიმე სხვა ფაქტორს, რომლებიც კავშირშია როგორც თავად გზავნილთან, აგრეთვე მის ავტორთან. ეს ფაქტორებია:

ფაქტები: ინფორმაცია, მონაცემები, ამბები.

თვით-გამჟღავნება: ინფორმაცია, რომელსაც გზავნილის ავტორი განზრახ ან უნებლიედ უზიარებს სხვებს საკუთარი თავის შესახებ (მაგალითად, მისი ღირებულებები, გრძნობები, მოტივები);

კავშირი: ურთიერთობა გზავნილის ავტორსა და აუდიტორიას შორის, მათ შორის გზავნილის ავტორის შეხედულებები აუდიტორიის შესახებ;

ინტერესი: რა სურს აუდიტორიას.[201]

[201] ადაპტირებულია ნაშრომიდან „Active Citizens Facilitator's Toolkit" (ლონდონი: ბრიტანეთის საბჭო, 2017 წ.), გვ. 102.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია აღნიშნული ფაქტორების ურთიერთკავშირი:

<table>
<tr><td rowspan="2">გზავნილის ავტორი</td><td>→ გზავნილი</td><td>→ ინტერესი</td><td rowspan="2">აუდიტორია →</td></tr>
<tr><td>→ თვით-გამჟღავნება</td><td>→ კავშირი</td></tr>
</table>

როგორც ცხრილშია ნაჩვენები, გზავნილის ავტორის მიერ გავრცელებული გზავნილი ვერ მიაღწევს სამიზნე აუდიტორიას, თუ იგი არ იქნება მისთვის მიმზიდველი. ეს არ გულისხმობს გზავნილის გავრცელების საშუალების ან ფორმის მიმზიდველობას (მიუხედავად იმისა, რომ ეს ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც უპირობოდ ახდენს გავლენას აუდიტორიის მხრიდან გზავნილის მიმღებლობაზე), არამედ იმას, თუ რამდენად შეესაბამება იგი აუდიტორიის ინტერესებსა და საჭიროებებს.

ანალოგიურად, ფაქტებმა, რომლებსაც გზავნილის ავტორი საკუთარი თავის შესახებ ამჟღავნებს, შესაძლოა გააუმჯობესოს ან გააუარესოს მას და აუდიტორიას შორის არსებული ურთიერთობა. აღნიშნულმა შესაძლოა იმაზეც მოახდინოს გავლენა, თუ რამდენად მიიღებს აუდიტორია გზავნილს ან რამდენად ჩათვლის მის ავტორს სანდოდ.

პოზიტიური ნარატივების გავრცელების კამპანიის ფარგლებში მიწოდებული გზავნილები უნდა იქნას გათვალისწინებული იმ ფაქტორების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრავს თითოეული გზავნილის შინაარსსა და ლოგიკას. აღნიშნული ფაქტორები აგრეთვე უზრუნველყოფს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება ნარატივები კავშირში იყოს ქმედებებთან ან პირად გამოცდილებასთან.

გზავნილების გავრცელების ფორმატის განსაზღვრა:
ზემოთ წარმოდგენილ მოსაზრებებს განსაზღვრავენ ის ფორმატები, რომლებიც ყველაზე მიზანშეწონილი იქნება ამ გზავნილების გასავრცელებლად. მაგალითად, თუ კავშირი გზავნილის ავტორსა და სამიზნე აუდიტორიას შორის ძალიან ძლიერია, პირისპირ კონტაქტი სავარაუდოდ საუკეთესო ვარიანტი იქნება. თუ კამპანიის მიზანია კონკრეტული პროგრამის შესახებ ცნობიერების დონის გაზრდა, მის შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს რამდენიმე პლატფორმაზე, სადაც სამიზნე აუდიტორია დიდი ალბათობით იხილავს მას. კოლუმბიის მაგალითის მსგავსად, კამპანიის ფარგლებში გზავნილების გავრცელების მიზნით რამდენიმე ფორმატის გამოყენება დასაშვებია (შემდეგ თავში დეტალურად გავეცნობით ამგვარი ძალისხმევისათვის ტრადიციული და სოციალური მედიის გამოყენებას). კერძო კომპანიების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და სახელმწიფო სტრუქტურების მიერ შექმნილი ალტერნატიული ნარატივების და კონტრნარატივების დამატებითი მაგალითები წარმოდგენილია შემდეგ ვიდეორგოლებში და ბმულებზე.

ყოველი ვიდეორგოლის ნახვის შემდეგ, პასუხი გაეცით შემდეგ შეკითხვებს:

1. ჩარევის რომელ ეტაპს ეხება ნარატივების გავრცელების თითოეული კამპანია (მაგალითად, ზოგადი პრევენცია, ადრეულ ეტაპზე ჩარევა და გადარწმუნება ან დერადიკალიზაცია)?

2. რატომ შეიძლება აღნიშნული კამპანია იყოს გავლენის მქონე? რატომ არა?

3. როგორ შეაფასებდით ამ კამპანიის წარმატებას?

ვიდეორგოლი 20: კომპანია „Zain"-ის რეკლამა, მიძღვნილი რამადანის თვისთვის



მომზადებულია: კომპანია "Zain"-ის მიერ

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/U49nOBFv508[202]
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

ვიდეორგოლი 21: ინდონეზიაში ტერორიზმის მსხვერპლთა უფლებების და შესაძლებლობების გაფართოება

მომზადებულია: კონტრტერორიზმის საერთაშორისო ცენტრის (ICCT) და AIDA-ს ფონდის მიერ

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/QDUUakk5ip4
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ

ვიდეორგოლი 22: „ტროას" მაისური

მომზადებულია: EXIT-Germany-ის მიერ

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/CSIbsHKEP-8
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

[202] მაგალითისთვის იხილეთ ელსაიედის, ფარისის და ცაიგერის ნაშრომი „Undermining Violent Extremist Narratives in the Middle East and North Africa", გვ. 37-38.

- ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევის საერთაშორისო ცენტრის (ICSVE) ვიდეორგოლების სერიაში, სახელწოდებით „ISIS-ის ბრენდის განადგურება", წარმოდგენილია ინტერვიუები დაეშიდან გადმობირებულ პირებთან, Iდაეშის მიერ შეპყრობილ წევრებსა და მათ მსხვეპლთან სხვადასხვა ენებზე: https://www.youtube.com/channel/UCumpEsozixbl-PyKw12hmnw/playlists

- მსოფლიოს მასშტაბით წარმოდგენილი დამატებითი მაგალითების სანახავად, დარეგისტრირდით და მიიღეთ წვდომა „Hedayah"-ს ცენტრის კონტრნარატივების ბიბლიოთეკასთან შემდეგ ბმულზე: http://www.cn-library.com/registration/

8.2.2. ნარატივების გავრცელების კამპანიების მომზადების და განხორციელების მოწინავე მეთოდები

ზემოაღნიშნულთან ერთად, ნარატივების გავრცელების კამპანიების მომზადებისა და განხორციელების პროცესში მიზანშეწონილი იქნება შემდეგი მოწინავე მეთოდების გათვალისწინება:

- იმუშავეთ ადგილობრივ დონეზე და მოიზიდეთ ადგილობრივი რესურსები, ვინაიდან ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების მსგავსად, ნარატივები ლოკალურ ხასიათს ატარებს.

- არ უგულვებელყოთ თქვენი აუდიტორიის ან თავად ძალადობრივი ექსტრემისტების უკმაყოფილების მიზეზები. მოახდინეთ აღნიშნული მიზეზების ტრანსფორმირება ისე, როგორც ისინი აღიქმება და მოიძიეთ მათთვის შესაბამისი (უფრო ეფექტიანი, არაძალადობრივი) საპასუხო ღონისძიებები.

- გააძლიერეთ თემის და რელიგიური ნორმები, ნუ შეეცდებით მათი ინტერპრეტაციის დისკრედიტაციას, გზავნილების ავტორებად გამოიყენეთ ავტორიტეტული რელიგიური ლიდერები.

- ნუ ჩათვლით, რომ ალტერნატიული ნარატივები და კონტრნარატივები არ არსებობს ლოკალურად და არ მუშაობს ეფექტიანად. სანაცვლოდ დასვით შეკითხვა: რომელი საკითხები იქნა უკვე განხილული ადგილობრივ დონეზე, რომლებიც უზრუნველყოფს მედეგობას ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ? ეს მნიშვნელოვანია, რადგან ადგილობრივ თემებს შესაძლოა უკვე ჰქონდეთ გარკვეული წარმოდგენა იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მეტნაკლებად მისაღები და ეფექტიანია. შესაბამისად, ნარატივების გავრცელების კამპანია ისარგებლებს მათი არსებული ნარატივების გაძლიერებით. როგორც კონტრნარატივების გავრცელების შესახებ ერთ-ერთი ამერიკული პროგრამის ყოფილმა ხელმძღვანელმა აღნიშნა: „არსებობს მითი, რომ დაეშის წინააღმდეგ საბრძოლველად ჯერ კიდევ არაა მობილიზებული „ავტორიტეტული ძალები", მაგრამ ეს ასე არაა, რადგან „ისლამური რელიგიური ავტორიტეტის მქონე ლიდერები ღიად უპირისპირდებიან [დაეშს].[203] ეფექტიან კონტრნარატივებს ჯგუფის ყოფილი წევრებიც ქმნიან! როგორც ცენტრალურ აზიაში დაეშის ერთმა ყოფილმა წევრმა ჟურნალისტებს განუცხადა: „მთავრობებს არ ესმით, რომ ჩვენ უფრო მეტი ადამიანი შევაჩერეთ, არ გაწევრიანებულიყვნენ დაეშში, ვიდრე მათ."[204] აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია იმ მეთოდების განსაზღვრა, რომლებიც უკვე კარგად მუშაობს ამ სფეროში, ნაცვლად ახალი მეთოდების ცდისა.

[203] ბერგერი, „Making CVE Work", გვ. 10.
[204] ვერა მირონოვა, ეკატერინა სერგაცკოვა და კარამ ალჰამადი, "The Bloody Split Within ISIS," Foreign Affai s, 8 დეკემბერი, 2017 წ., https://www.foreignaffairs.com/articles/syria/2017-12-08/bloody-split-within-isis. [ინგლისური]

- მეორე მხრივ, გაითვალისწინეთ, რომ ექსტრემისტული ნარატივების გავრცელება ხშირად ხდება იმ ჯგუფების და ინდივიდების მიერ, რომლებიც თავად არ არიან ჩართული ძალადობრივ ექსტრემიზმში, თუმცა საკუთარი წვლილი შეაქვთ ექსტრემისტული ნარატივების გავრცელებაში, მხარს უჭერენ და აძლიერებენ მათ. აღნიშნულის მაგალითებია: შეთქმულების თეორიები, სიძულვილის პროპაგანდა ან პრობლემური ნარატივები მათი ოპონენტების, მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან. აღნიშნული ნარატივები აუცილებლად იმსახურებს ყურადღებას.

- „განავრცეთ ის ნარატივები, რომლებიც აძლიერებს ემოციას და ადამიანებს შორის კავშირს."[205] აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ემოციები ხშირად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მტკიცებულებები და ფაქტები.

- „ყურადღება გაამახვილეთ ნარატივების შექმნისა და გავრცელების გზებზე და არა მათ შინაარსზე."[206] აღნიშნულით გამოიკვეთება ურთიერთდამოკიდებულება გზავნილის ავტორთან, ემოციური კავშირი გზავნილებსა და იდეებთან, აგრეთვე კამპანიის განხორციელების ფორმები.

- ნარატივები არის იდეების, ფაქტების, კონცეფციებისა და გამოცდილებების ერთობლიობა. შესაბამისად, კამპანია უნდა მოიცავდეს უამრავ ელემენტსა და გზავნილს.

8.3. როგორ გამოვიყენოთ ტრადიციული და სოციალური მედია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად, როგორც ონლაინ, ისე პირისპირ განხორციელებულ ღონისძიებებში?

ალტერნატიული ნარატივების და კონტრნარატივების შესახებ დისკუსიები ხშირად ორიენტირებულია გზავნილების გავრცელების კამპანიების ორ კონკრეტულ ფორმატზე:

1) ტრადიციული მედია და ჟურნალისტიკა და

2) სოციალური მედია და ონლაინ-პლატფორმები. ამ თავში მოკლედ განვიხილავთ ზემოაღნიშნული ფორმატების უნიკალურ მახასიათებლებს.

[205] სლახმუილდერი, „Transforming Violent Extremism", გვ. 29.
[206] იქვე.

8.3.1. ტრადიციული მედია და ჟურნალისტიკა

ეს ფორმატები მოიცავს ინფორმაციის გავრცელების რამდენიმე საშუალებას, როგორიცაა ტელევიზია, რადიო, ბეჭდური მედია და გასართობი პროგრამები. ინფორმაციის გავრცელების საშუალებებისთვის დამახასიათებელია ფართო დაფარვა, ისინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ პოზიტიური ნარატივების მხარდაჭერის კუთხით. ამჟამად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოპულარული ნარატივების შექმნაში, რეპორტაჟების, ფოტოსურათების, ვიდეორგოლებისა და „ხმამაღალი" სათაურების დახმარებით. ისინი ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რისიც ადამიანებს სჯერათ, რა იდეებსაც წარმოადგენენ ან ვის ან რას უჭერენ მხარს.[207] ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის ინსტიტუტის განცხადებით, კონფლიქტების პრევენციასა და მშვიდობის დამყარების პროცესზე მაქსიმალური ზემოქმედების მიღწევა შესაძლებელია შემდეგი ხუთი სტრატეგიის საშუალებით:

1. ჟურნალისტიკა, რომელიც ითვალისწინებს კონფლიქტების სპეციფიკას და სამშვიდობო ჟურნალისტიკა;

2. სამოქალაქო ჟურნალისტიკა, რომელიც ავითარებს სამშვიდობო იდეებს;

3. გასართობი მედია საშუალებები, რომლებიც ავითარებს სამშვიდობო იდეებს;

4. სარეკლამო ან სოციალური მარკეტინგი, რომელიც ხელს უწყობს კონფლიქტების პრევენციასა და მშვიდობის დამყარებას;

5. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რეგულირება, ძალადობის წახალისების პრევენციის მიზნით.[208]

ზემოაღნიშნული სტრატეგიების გამოყენება ასევე შესაძლებელია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად. მაგალითად, „სამშვიდობო ჟურნალისტიკა" მხარს უჭერს კონსტრუქციულ დისკურსს. ის კი, თავის მხრივ, ხელს უშლის ადამიანების ან ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის პრობლემად აღქმას. ამის ნაცვლად ის ყურადღებას ამახვილებს იმ ადამიანების პრობლემებზე, რომლებიც მიმართავენ ძალადობას საკუთარი პრობლემებისა თუ კონფლიქტების აღმოსაფხვრელად.[209] მაგალითისთვის იხილეთ „Search for Common Ground"-ის ნაშრომი ჟურნალისტიკის შესახებ, რომელიც ორ პრინციპს ეფუძნება:

> პირველ რიგში, ისეთი მწვავე თემების [გაშუქებისას], როგორიცაა ძალადობრივ ექსტრემისტთა თავდასხმები, მომხდარის დეტალები არ წარმოადგენს ერთადერთ მნიშვნელოვან ამბავს; შემთხვევის გაშუქების ფორმაზეა დამოკიდებული მტრული სულისკვეთების გაღვივება ან შემსუბუქება მასში მონაწილე საზოგადოების მიმართ. მეორე რიგში, ჟურნალისტის ვალდებულებაა, კონფლიქტების და ექსტრემიზმის შემთხვევების გაშუქებისას, სათანადოდ შეისწავლოს პრობლემა და გაშუქებისას აქცენტი გააკეთოს იმ ნაწილზე, სადაც დაპირისპირებული ადამიანები ცდილობენ ნაყოფიერ თანამშრომლობას პრობლემის გადასაჭრელად, და არა იმაზე, სადაც კონფლიქტის მხარეები მიმართავენ ძალადობას. ამ გზით თავიდან ავიცილებთ საზოგადოებაში არსებულ იმ უკმაყოფილებაზე აქცენტის გაკეთებას, რომელსაც ექსტრემისტები გადაბირებისათვის იყენებენ.[210]

[207] იქვე, გვ. 28.
[208] ერან ფრენკელი, ემრის შუმეიკერი და შელდონ ჰილემჰალბი, „Afghanistan Media Assessment: Opportunities and Challenges for Peacebuilding", Peaceworks No. 68 (ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის ინსტიტუტი, 2010 წ.).
[209] ვლადიმირ ბრატიჩი და ლიზა შირხი, "Why and When to Use the Media for Conflict Prevention and Peacebuilding," გამოცემა 6 (ჰაააგა, ნიდერლანდები: კონფლიქტების პრევენციის ევროპული ცენტრი, 2007 წლის დეკემბერი), გვ. 17.
[210] სლახმუილდერი, „Transforming Violent Extremism", გვ. 32-33.

ახალი ამბების გაშუქებისას, ყურადღების გამახვილება ძალადობაზე და სხვა პრობლემაზე და არა ამ პრობლემების გადაჭრისკენ მიმართულ ძალისხმევაზე, კიდევ უფრო გააღრმავებს უკმაყოფილების მიზეზებს. ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემების გაშუქებისას, ჟურნალისტები სათანადო სიფრთხილით უნდა მოეკიდონ ძალადობრივი ექსტრემისტების განცხადებებისა და გზავნილების გამოყენებას საკუთარ რეპორტაჟებში, რადგან ამგვარად შეიძლება მათი ნარატივები კიდევ უფრო გაავრცელონ ან გააძლიერონ. "მედიამ არ უნდა შეაფერხოს საკუთარი საქმიანობა იმგვარად, რომ შეასრულოს საკომუნიკაციო არხის როლი, როცა ან როგორც ამას ტერორისტული ჯგუფი მოისურვებს", ნათქვამია UNESCO-ს ერთ-ერთი სახელმძღვანელოში, „მათ უნდა შეარჩიონ რეალურად მნიშვნელოვანი ვიდეორგოლები, ამოჭრან პროპაგანდა, განმარტონ კონტექსტი და ჰკითხონ აზრი ავტორიტეტულ უწყებებს."[211]

რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული მითითებები მხოლოდ ჟურნალისტიკის სფეროში არ გამოიყენება, მათი გამოყენება შეიძლება გასართობი, ცნობიერების დონის ამაღლების კამპანიების დროს და რეპორტაჟებით ამბების მოყოლისას. რეალურად, საკმაოდ ბევრი მტკიცებულება არსებობს, რომ „რადიო და სატელევიზიო დრამა, რომელიც იდენტობის, შერიგებისა და ტოლერანტობის პრობლემებს ეხება პოზიტიურ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ განწყობებზე და ქცევაზე". ამასთან, მედიას და საკომუნიკაციო სტრატეგიებს აქვთ პოტენციალი, რომ ძალადობის საფრთხის დროს მყისიერი, სწრაფი რეაგირება მოახდინონ.[212] მაგალითად, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად, რადიო პროგრამები მალიში, ჩადში და ნიგერიაში საკმაოდ ეფექტიანად იყენებდნენ მშვიდობიან და ტოლერანტულ მესიჯებს, რათა გავლენა მოეხდინათ მოდერაციის მიმართ არსებულ განწყობებზე. რადიო პროგრამები არა მხოლოდ პოპულარული და ხელმისაწვდომი იყო სამიზნე აუდიტორიისათვის, არამედ ისინი ახალგაზრდებს უზრუნველყოფდნენ ბაზარზე მოთხოვნადი უნარებით.[213] ორგანიზაციის „Search for Common Ground" პროგრამას „გმირები" (HEROES) ბურუნდში, დიდი წვლილი მიუძღვის შიდა ეთნიკური ძალადობის და ვიქტიმიზაციის ნარატივების გარდაქმნაში. ყოველ კვირა, ისინი რადიოში ყვებოდნენ ამბავს, თუ როგორ გმირულად იხსნა ვიღაცამ სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლის სიცოცხლე.[214] ხუთწლიანი პროგრამის პირველი წლის გასვლის შემდეგ, ორგანიზაციამ „Search for Common Ground" ორგანიზება გაუკეთა ძალიან დიდ ღონისძიებას, სადაც იზეიმეს ეს გმირობები და გმირები.

თავში „სწავლის დამატებითი შესაძლებლობები", მოცემულია მედიის მსახელმძღვანელო ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების შესახებ, რომელიც 2019 წელს მომზადდა GCSD-ისა და საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ. დოკუმენტი შემუშავდა PH International-ის ფინანსური დახმარებით. სახელმძღვანელოში მოცემულია კონკრეტული შემთხვევები ქართული რეალობიდან, როდესაც ჟურნალისტებმა დაუშვეს შეცდომები, მაგალითად, მოახდინეს მებრძოლების გაიდეალება ან საფრთხე შეუქმნეს საკუთარ თავს შეიარაღებული საბრძოლო ოპერაციების გაშუქებისას. სახელმძღვანელოში ასევე მოცემულია რეკომენდაციები, თუ რომელი ტექნიკების გამოყენებაა სასურველი და რომელი უნდა იქნას თავიდან არიდებული.

8.3.2. სოციალური მედია და ინტერნეტ-პლატფორმები

ტრადიციული მედიის მსგავსად, სოციალურ მედიას დიდი დაფარვა და გავლენა აქვს საზოგადოების ბევრ ჯგუფზე, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაზე. ინტერნეტ-პლატფორმები და სოციალურ მედია ასევე უზრუნველყოფს უკეთეს ინსტრუმენტებს გზავნილების და ნარატივების კონკრეტულ ინდივიდებთან ან ჯგუფებთან მისაწოდებლად. ძალადობრივმა ექსტრემისტებმა ეს ყველაფერი კარგად იციან და ძალიან ეფექტიანად იყენებენ აღნიშნულ პლატფორმებს, რათა რაც შეიძლება მეტი პოტენციური მხარდამჭერი მიიზიდონ და მათთან საიდუმლო კომუნიკაცია დაამყარონ. სოციალური მედიისა და ინტერნეტ პლატფომების საშუალებით, პოზიტიური ნარატივების გავრცელებაც არის შესაძლებელი. ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავების მიზნით ტექნოლოგიების გამოყენება შემდეგ მოდულში უფრო დეტალურადაა შესწავლილი.

[211] ჟან-პოლ მარტოზი, „Terrorism and the Media: A Handbook for Journalism" (პარიზი, საფრანგეთი: გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურისა ორგანიზაცია, 2017 წ.), გვ. 84.
[212] ფერგიუსონი, „Countering Violent Extremism through Media and Communication Strategies", გვ. 2.
[213] ჯეფრი სვედბერგი და ლეინი რეისმანი, "Mid-Term Evaluation of Three Countering Violent Extremism Projects" (აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო, 2013 წ.), გვ. 62.
[214] სლახმუილდერი, „Transforming Violent Extremism", გვ. 33.

8.4 რა რისკები ახლავს ნარატივების გამოყენებას ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავების პროცესში?

დაბოლოს, როგორც ძალადობრივ ექსტრემისტთან გამკლავების ნებისმიერი აქტივობა, ნარატივების გამოყენება რამდენიმე განსაკუთრებულ რისკს ბადებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია:

- ძალადობრივი ექსტრემიზმის ნარატივების შესწავლისას, მთავრობებმა შესაძლოა ამ შეტყობინებების კრიმინალიზაცია მოახდინონ და დაიჭირონ ისინი, ვინც მათ ავრცელებს, ნაცვლად იმისა, რომ პოზიტიურად ჩაერიონ ამ იდეებში და ალტერნატიული ნარატივები და გამოსავალი უზრუნველყონ. აღნიშნული მიდგომა საბოლოოდ ურთიერთობების ჩამოშლის მიზეზი შეიძლება გახდეს;
- ძალადობრივი ექსტრემიზმის შინაარსის შემცველი მასალის შენახვა ზოგ ქვეყანაში უკანონოდ ითვლება, რაც მათ შესწავლას კიდევ უფრო ართულებს და სარისკოს ხდის. სიფრთხილეა საჭირო ამ ტიპის კვლევის ჩატარებისას, განსაკუთრებით, როცა ცნობილ ძალადობრივ ექსტრემისტულ ფორუმებს ეხება საქმე;
- კონტრნარატივების შექმნისას, სიფრთხილით მიუდექით ძალადობრივი ექსტრემიზმის შინაარსის გამოყენებას, რადგან შედეგად შეიძლება მიიღოთ ძალადობრივი ექსტრემიზმის ნარატივების გავრცელება;
- ღრმად დამკვიდრებული რწმენის და მოწყვლადი თემების ღირებულებების მიზანში ამოღებისას, შეტყობინებების დაგზავნის კამპანიამ შეიძლება მათი კიდევ უფრო მეტად მარგინალიზაცია მოახდინოს და გააჩინოს შიში, რომ ამ ღირებულებებს თავს ესხმიან. ამ შემთხვევაში, კამპანიის გზავნილებს აღარავინ მოუსმენს;
- შეტყობინების გამგზავნის არასწორად შერჩევამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ნარატივების ეფექტიანობას და გადაიზარდოს კამპანიაში, რომელიც დაკარგავს სანდოობას ან პროპაგანდად იქნება აღქმული.

8.5. შეჯამება

ამ მოდულში წარმოდგენილი იყო ნარატივების კონცეფცია; თუ როგორ შეიძლება ნარატივები გახდეს რადიკალიზაციის მამოძრავებელი ძალა ან პირიქით, წარმოქმნას მედეგობა ძალადობრივი ექსტრემიზმის ინტერესის მიმართ. მოდულში შემოთავაზებულია რამდენიმე სახელმძღვანელო პრინციპი და შეკითხვა, რაც გვეხმარება ნარატივების კამპანიის შემუშავებასა და განხორციელებაში. იხილეთ მოდულის რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა:

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისა და მისი პრევენციის მიზნით გავრცელებული პოზიტიური ნარატივები შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის.

პრაქტიკოსებმა შეიძლება გამოიყენონ კონტრ-ნარატივები, ალტერნატიული ნარატივები ან მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციები ძალადობრივი ექსტრემიზმის გამომწვევ ნარატივებთან გასამკლავებლად. შერჩეული ფორმა დამოკიდებულია საჭიროებებსა და მიზანზე.

ნარატივები არ არის მხოლოდ მედია პროდუქტები, ეს არის ერთდროულად სიტყვა და საქმე.

ნარატივები არის იდეების, ფაქტების, პერსპექტივების და გამოცდილების ერთობლიობა, რომელიც წარმოაჩენს თუ როგორ აღიქვამს ინდივიდი ან ჯგუფი საკუთარ ადგილს სამყაროში. ეს ნიშნავს, რომ მარტივი გზავნილების კამპანიები ნაკლები ალბათობით მოახერხებენ ადამიანის ან საზოგადოებაში გავრცელებული ნარატივების შეცვლას. აქედან გამომდინარე, ნარატივების კამპანიამ აუდიტორიას უნდა მოუწოდოს ქმედებისაკენ და გონივრული ჩართულობისაკენ.

ეფექტიანი პოზიტიური ნარატივები, რომლებიც ინდივიდებსა და საზოგადოებებს დაეხმარება მედეგობა გამოიმუშაონ ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ, უკვე არსებობს ადგილობრივ თემში.

გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოების/თემის უმეტესი ნაწილი ძალადობრივ ექსტრემიზმს არ ემხრობა, მიუხედავად იმისა, რომ რიგ პრობლემებზე საერთო ხედვა და გადაჭრის გზები აქვთ, სასურველია იმის შესწავლა, თუ რომელი ნარატივები ეხმარებათ მათ ძალადობრივი ექსტრემისტებისაგან განსხვავებულად დაინახონ პრობლემა. კამპანიებისათვის ამგვარი ნარატივების გაძლიერება შეიძლება უფრო ეფექტიანი იყოს, ვიდრე ახალი ნარატივების შექმნა.

ნარატივები, რომლებიც ძალადობრივ ექსტრემიზმს ამოძრავებს ხშირად ვრცელდება ჯგუფებისა და ინდივიდების და არა თავად ძალადობრივი ექსტრემისტების მიერ.

ძალიან ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ რა ურთიერთობები აქვს საზოგადოებასთან შეტყობინების კონკრეტული გამგზავნს, ამის მიხედვით ხდება თემის ან აუდიტორიის მიერ შეტყობინების მოსმენა თუ მიღება; ინდივიდები და ინსტიტუციები, რომლებიც კონკრეტულ გზავნილებს ავრცელებენ, დიდ გავლენას ახდენენ ნარატივების კამპანიის ეფექტიანობაზე. ფართო თანამშრომლობა და შეტყობინებების რამდენიმე გამგზავნის არსებობა გავლენას კიდევ უფრო ზრდის.

8.6. სწავლის დამატებითი შესაძლებლობები

„Undermining Violent Extremist Narratives in the Middle East and North Africa: A How-To Guide", ლაილა ელსაიედი, თალალ ფარისი და სარა ცაიგერი („Hedayah"-ს ცენტრი) [ინგლისური]

გაეცანით ქვემოთ წარმოდგენილ პუბლიკაციებს ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების მიერ რადიკალიზაციის გამომწვევი ონლაინ და რეალურ სივრცეში ნარატივების გამოყენების შესახებ; აგრეთვე საპასუხო ღონისძიებებს ძალადობრივი ექსტრემისტების გზავნილებზე. თქვენი აზრით, რომელია ყველაზე ეფექტიანი ნარატივი თქვენს რეგიონში? მათ მიმართ განხორციელებული რომელი საპასუხო ღონისძიება იყო ყველაზე ეფექტიანი?

„The Secret of Attraction: ISIS Propaganda and Recruitment", აბუ რუმანი, მოჰამედ სულეიმანი და სხვ. (ფრიდრიხ ებერტის სახელობის ფონდი) [ინგლისური]

„Public and State Responses to ISIS Messaging: Kazakhstan", ნოა ტაკერი (ცენტრალური აზიის პროგრამა) [ინგლისური]

„Islamic State Messaging to Central Asian Migrants in Russia", ნოა ტაკერი (ცენტრალური აზიის პროგრამა) [ინგლისური]

„Making (Social Media) Deradicalization Work: Case Study – Kyrgyzstan", მირგულ ქარიმოვა და შერადილ ბაქტიგულოვი (ორგანიზაცია „Search for Common Ground") [ინგლისური]

ქვემოთ მითითებულმა რესურსებმა შესაძლოა წაახალისოს ჟურნალისტური საქმიანობა, რაც აძლიერებს ძალადობრივი ექსტრემიზმისადმი მედეგობას, აგრეთვე ხელს უშლის ხელისუფლების მხრიდან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კონტროლს და ცენზურის დაწესებას:

ტერორიზმი და მედია: ჟურნალისტიკის სახელმძღვანელო (პარიზი, საფრანგეთი: გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია, 2017 წ.) [ინგლისური] [ქართული]

ლიბანში სამოქალაქო მშვიდობის განვითარების შესახებ ჟურნალისტიკის პაქტი (გაეროს განვითარების პროგრამა) [ინგლისური]

„Conflict-Sensitive Reporting - State of the Art - A Course for Journalists and Journalism Educators (Training Manual)", როს ჰოვარდი (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) [ინგლისური]

„Guidelines for Broadcasters on Promoting User-Generated Content and Media and Information Literacy", მარტინ სკოტი (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) [რუსული] [ინგლისური]

„ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება" – სახელმძღვანელო მედიისთვის, ავტორი ლაშა ქავთარაძე, საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრისა (GCSD) და „PH International"-თვის, 2019 წ. [ინგლისური] [ქართული]

კამპანიის მოსამზადებლად საჭირო ინტერაქტიული ონლაინ ინსტრუმენტები წარმოდგენილია ბმულზე: კონტრნარატივების შექმნის ინსტრუმენტები http://www.counternarratives.org/ (Jigsaw, ყოფილი Google Ideas) [ინგლისური]

რადიკალიზაციის შესახებ ინფორმაციის ქსელის მიერ რამდენიმე ევროპულ ენაზე (ინგლისურისა და ფრანგულის ჩათვლით) გზავნილების გავრცელების კამპანიის შესახებ სასწავლო პრეზენტაცია იხილეთ ბმულზე:

https://ec.europa.eu/home-affai s/what-we-do/networks/radica-lisation_awareness_network/civil-society-empowerment-programme/training_en

რეკომენდებული ლიტერატურა

„Narratives and Counter-Narratives: Countering Violent Extremism Research Brief 3", სარა ცაიგერი („Hedayah"-ს ცენტრი) [ინგლისური]

„Undermining violent extremist narratives in the Middle East and North Africa: a how to guide", ლაილა ელსაიედი, თალალ ფარისი და სარა ცაიგერი („Hedayah"-ს ცენტრი) 2017 წ. [ინგლისური]

„Countering Violent Extremism Through Media and Communication Strategies: A Review of the Evidence", ქეით ფერგიუსონი (პარტნიორობა კონფლიქტის, დანაშაულისა და უსაფრთხოების საკითხების კვლევისთვის, აღმოსავლეთ ანგლიის უნივერსიტეტი) [ინგლისური]

„The Counter-Narrative Handbook", ჰენრი ტუკი და ტანია სილვერმანი (სტრატეგიული დიალოგის ინსტიტუტი) [ინგლისური]

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიზნით კონტრნარატივების გავრცელების ეფექტიანი სისტემების შექმნა („Hedayah"-ს ცენტრი და კონტრტერორიზმის საერთაშორისო ცენტრი) [ინგლისური]

„The Counter Narrative Monitoring and Evaluation Handbook", ლუის რეინოლდსი და ჰენრი ტუკი (სტრატეგიული დიალოგის ინსტიტუტი) [ინგლისური]

„Handbook: Voices of Victims of Terrorism", გიიომ დენუა დე სენ მარკი, ლუკა გულიელმინეტი და სხვ. (რადიკალიზაციის შესახებ ინფორმაციის ქსელი) [ინგლისური]

„Guidelines for Effe tive Alternative and Counter Narrative Campaigns", ალექსანდრ რიტცმანი და მარი მეინესი (რადიკალიზაციის შესახებ ინფორმაციის ქსელი) [ინგლისური]

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარების მაჩვენებლები: მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარების შეფასების სისტემა (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) [ინგლისური]

ძალადობრივი ექსტრემიზმის ხელშემწყობი ნარატივების, აგრეთვე კონტრნარატივებისა და ალტერნატიული ნარატივების გამოიყენების შესახებ დამატებითი მასალები (ინგლისურ ენაზე) ჩამოტვირთეთ აქ.

ინოვაციური ინსტრუმენტების გამოყენება: ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ტექნოლოგიები

ეს მოდული მრავალმხრივი დისკუსიის ფარგლებში შეისწავლის ადამიანების მოზიდვის შესაძლებლობებს ონლაინ და სხვა ტექნიკური პლატფორმების, ასევე ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით. მოდულში მოკლედ არის განხილული ძალადობრივი ექსტრემისტების მიერ აღნიშნული ინსტრუმენტებით სარგებლობის მეთოდები პროპაგანდის ეფექტიანად გავრცელების, ჯგუფებს შორის სიძულვილის გაღვივების, სამიზნე საზოგადოებების დაშინებისა და მათი მხარდაჭერის მოპოვების, აგრეთვე ახალბედების მოზიდვის მიზნით. მოდულში წარმოადგენილია ამ ინსტრუმენტებით სარგებლობის ახალი და მიმზიდველი შესაძლებლობები, რომელთა მიზანია ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირება და მათი ჩართვა ისეთ დიალოგებში, რომლებიც ხელს უწყობს ურთიერთობებისა და საკითხების განხილვისა და მოგვარების არსებული გზების გარდაქმნას. აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენება გვეხმარება გავავრცელოთ ინფორმაცია ისე, რომ გაფართოვდეს პროგრამის დაფარვის არეალი და გაძლიერდეს ძალადობრივი ექსტრემიზმის გამომწვევი მიზეზების მიმართ საზოგადოების მედეგობა. დაბოლოს, მოდული აფასებს იმ რამდენიმე ფაქტორს, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ტექნოლოგიების გამოყენებისას, ასევე განიხილავს მასთან დაკავშირებულ პოტენციური რისკებს.

საორიენტაციო შეკითხვები:

9.1 როგორ იყენებენ ძალადობრივი ექსტრემისტები ინტერნეტსივრცეს, ტექნოლოგიურ პლატფორმებს, აგრეთვე ახალ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და სოციალურ ქსელებს ძალადობრივი ექსტრემიზმის პროპაგანდისა და ხელშეწყობისათვის?

9.2 როგორ შეიძლება გავუმკლავდეთ ძალადობრივ ექსტრემიზმს ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და ტექნოლოგიების გამოყენებით?

9.3 რა რისკები და გამოწვევები ახლავს თან ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას?



9.1. როგორ იყენებენ ძალადობრივი ექსტრემისტები ინტერნეტსივრცეს, ტექნოლოგიურ პლატფორმებს, აგრეთვე ახალ მასობრივ ინფორმაციის საშუალებებს და სოციალურ ქსელებს ძალადობრივი ექსტრემიზმის პროპაგანდისა და ხელშეწყობისათვის?

როგორც აღმოჩნდა, ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფები საკმაოდ კარგად ფლობენ ინტერნეტსივრცეს, ტექნოლოგიურ პლატფორმებს, ახალ მედიასა და სოციალურ ქსელებს. ისინი წარმატებით იყენებენ ამ საშუალებებს ძალადობრივი ექსტრემიზმის პროპაგანდის გავრცელებისა თუ ხელშეწყობის მიზნით.

ძალადობრივი ექსტრემისტების მიერ აღნიშნული ინსტრუმენტების გამოყენების ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს მათი ნარატივების გავრცელება ინტერნეტით. თავიანთი პროპაგანდის გასავრცელებლად ისინი იყენებენ ვებ-გვერდებსა და სოციალურ ქსელებს, აღვივებენ სიძულვილს სხვადასხვა ჯგუფის წევრთა შორის, აშინებენ სამიზნე საზოგადოებას, იზიდავენ მხარდამჭერებსა და ახალბედებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად გარკვეული ვარაუდებისა, ინტერნეტ გზავნილები იშვიათად წარმოადგენს რადიკალიზაციისა და გადაბირების ერთადერთ მამოძრავებელ ფაქტორს. როგორც UNESCO-ს უახლეს კვლევაშია მითითებული, „მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტი შეიძლება ასრულებდეს დამხმარე ფუნქციას, არ არის დადგენილი მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა მას და რადიკალიზაციას ისეთ ფორმებს შორის, რომელსაც მივყავართ ექსტრემიზმამდე, ძალადობრივ რადიკალიზაციამდე და ექსტრემისტების მიერ ძალადობრივი ქმედებების ჩადენამდე."[215] მიუხედავად იმისა, რომ ონლიან-ნარატივებს შესაძლოა ჰქონდეს რადიკალიზაციის გამომწვევი ეფექტი, მათი მთავარი ფუნქციაა ხელი შეუწყოს რადიკალიზაციისა და გადაბირების პროცესს მოწყვლადი პირებისა და რეკრუტერების, ან ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფის წევრების ერთმანეთთან დაკავშირების გზით. გაეროს ყოფილი გენერალური მდივნის სიტყვებით,

> დაეშის შემადგენლობაში ასევე წარმოდგენილია საგანგებო „ონლაინ გადამბირებლების" მრავალრიცხოვანი გუნდი. მათ მოვალეობაში შედის იმ ადამიანების ვინაობის დადგენა, რომლებიც გამოხატავენ ინტერესს ჯგუფის მიმართ ონლაინ ფორუმებზე. ადგილობრივ დონეზე ან ISIL-ის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე გამგზავრების გზით ტერორისტული საქმიანობის მიმართ დადებითად განწყობილ პოტენციურ მხარდამჭერებთან დაკავშირება ხდება ინდივიდის კონკრეტული სოციალური და ინდივიდუალური გარემოს შესახებ ინფორმაციის შეგროვების შემდეგ.[216]

აღნიშნული რეკრუტერები, პოტენციური მხარდამჭერების მოძიებისა და გადაბირების მიზნით იყენებენ ინტერნეტ-ფორუმებს, „ჩეთებს", სოციალურ ქსელებს, შეტყობინებების გაგზავნის აპლიკაციებს (ე.წ. „მესენჯერებს") და ვიდეო თამაშებსაც კი.[217] ისინი ამ აპლიკაციებს (მაგალითად, WhatsApp და Telegram) იყენებენ თავდასხმების კოორდინაციისა და იერიშის განსახორციელებლად საკუთარი წევრების მოსამზადებლად.

აღნიშნულმა საზოგადოებაში დიდი შეშფოთება გამოიწვია. ასევე დაიწყო მნიშვნელოვანი განხილვები და დებატები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა აღვკვეთოთ ძალადობრივი ექსტრემისტების მიერ ამ ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა. თუმცა ამგვარ შიშებს შეუძლია "პანიკური პოლიტიკის" გამოწვევა, ეს კი მიგვიყვანს ზოგიერთი ინსტრუმენტით სარგებლობის მკაცრად შეზღუდვამდე და კრიმინალიზაციამდეც კი. მაგალითად, მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა, ყირგიზული წარმოშობის მამაკაცმა თავი აიფეთქა სანკტ-პეტერბურგის მეტროს ვაგონში, რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება აპლიკაციის 'Telegram' დაბლოკვის მუქარით გამოვიდა, რადგან თავდამსხმელმა სწორედ ეს აპლიკაცია გამოიყენა.[218] მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ძალადობრივ ექსტრემისტული შინაარის მასალების ინტერნეტსივრციდან წაშლის და ძალადობრივი ექსტრემისტების მიერ ამ ინსტრუმენტების გამოყენების პრევენციის აუცილებლობა, ეს მოდული ყურადღებას გაამახვილებს აღნიშნული ინსტრუმენტების პრაქტიკოსი სპეციალისტების მიერ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად გამოყენების გზებზე.

[215] სერაფინ ალავა, დივინა ფრაუ-მეიგსი და გაიდა ჰასანი, „Youth and Violent Extremism on Social Media: Mapping the Research" (პარიზი, საფრანგეთი: გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია, 2017 წ.), გვ. 5.
[216] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი, „გენერალური მდივნის მოხსენება ISIL-ის (დაეშის) მხრიდან საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების მიმართ შექმნილი საფრთხისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობის შესახებ, წევრი სახელმწიფოების მიმართ ამ საფრთხესთან გამკლავების ხელშეწყობის მიზნით", გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო, S/2016/92 (2016 წლის იანვარი), გვ. 8.
[217] ყირგიზეთის მოქალაქეების გადაბირების ონლაინ-მეთოდებთან დაკავშირებით იხილეთ ვიდეორგოლი „ეს არაა ჩემი ომი" შემდეგ ბმულზე: https://youtu.be/iLAOaneXegg. [რუსული]
[218] „რუსეთი აპირებს აპლიკაციის 'Telegram' აკრძალვას ტერაქტის შემდეგ," 26 ივნისი, 2017 წ., ევროპის ახალი ამბები, https://www.bbc.com/news/world-europe-40404842. [ინგლისური]

9.2. როგორ შეიძლება გავუმკლავდეთ ძალადობრივ ექსტრემიზმს ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და ტექნოლოგიების გამოყენებით?

ახალი მედია და სოციალური ქსელები, აგრეთვე სხვა ტექნიკური საშუალებები უზრუნველყოფს ახალ და მიმზიდველ შესაძლებლობებს იმისათვის, რომ დავაკავშიროთ ადამიანები, ჩავრთოთ ისინი ტრანსფორმაციული ხასიათის დიალოგებში და გავავრცელოთ ინფორმაცია. სწორად გამოყენების შემთხვევაში, ეს ინსტრუმენტები აფართოებენ პროგრამების მოქმედების არეალს და აძლიერებენ საზოგადოების მედეგობას ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ. თუმცა აღნიშნული პლათფორმების შერჩევისას შესაძლოა გადავაწყდეთ გარკვეულ ბარიერებს, რადგან ეს ინსტრუმენტები საჭიროებენ: მომხმარებელზე განუწყვეტელ მორგებას, პროფესიონალ მოდერატორებსა და შესაძლოა კიდევ უფრო გრძელვადიან მუშაობასა და ძალისხმევას. არასწორად გამოყენების შემთხვევაში, ტექნიკურმა პლატფორმებმა შესაძლოა წარმოშვას ეჭვი, რომ ისინი გამოიყენება უსაფრთხოების ორგანოების მიერ თვალთვალის მიზნით. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ძალადობრივ ექსტრემიზმში ჩართულმა ცალკეულმა პირებმა ან ორგანიზაციებმა ისარგებლეს „ჰეშთეგ-კამპანიებით" (მაგალითად, მიძღვნილი ცნობილი მუსიკოსების ან მიწისძვრისადმი), რათა გამოეყენებინათ ონლაინ ფორუმები ახალ აუდიტორიაზე საკუთარი ნარატივების გავრცელების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმძღვანელოს მიზანი არ არის შეგასწავლოთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიზნით ახალი და სოციალური მედიის გამოყენების ან ახალი ინსტრუმენტების შექმნის გზები, აქ თქვენ შეხვდებით მოწინავე მეთოდებს ამგვარი ძალისხმევების მეტი ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. მასში ასევე შესულია პროექტებისა და ინიციატივების შესახებ მაგალითები და ამ საკითხის უფრო დეტალურად შესწავლის მიზნით წარმოადგენილია გარკვეული მასალები (თავში 9.5 „სწავლის დამატებითი შესაძლებლობები").

9.2.1. ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციის და მასთან გამკლავების მიზნით ახალი მედიისა და ტექნოლოგიების გამოყენების მოწინავე მეთოდები

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიზნით ისეთი პროგრამის დაგეგმვა და შექმნა, რომელიც იყენებს ახალ მედიასა და ტექნოლოგიებს

პროგრამის დაგეგმვისა და შექმნის პროცესში პრაქტიკოსმა სპეციალისტებმა მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბონ საკუთარი მიზნები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული მიზნები არ გასაჯაროვდება, ეს მათ დაეხმარება, განსაზღვრონ, რამდენად უწყობს ხელს არსებული ტექნოლოგია დასახული მიზნების მიღწევას და თუ ასეა, როგორ შეიძლება მოხდეს ამ ინსტრუმენტების ჩართვა პროგრამაში. ქვემოთ წარმოდგენილია ძალადობრივი ესქტრემიზმის გამკლავების სფეროში არსებული ის მიზნები, რომლებიც ახალი ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას იძლევიან:

- მოწყლადი ადამიანების დაკავშირება იმ მომსახურებებსა და შესაძლებლობებთან, რომლებიც გაზრდის მათ მედეგობას ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ;
- კონფლიქტის (ეთნიკური, პოლიტიკური, რელიგიური ან სხვა ნებისმიერი ნიშნით) სხვადასხვა მხარეს მყოფი ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირება, მათი დიალოგში ჩართვის და მათ შორის ურთიერთგაგების და პატივისცემის ჩამოყალიბების მიზნით;
- მოწყვლადი ადამიანებისთვის შესაბამის უნარების განვითარება, რაც მათ დაეხმარება სამუშაოს პოვნაში ან სამეწარმეო საქმიანობის დაწყებაში;
- რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის საფრთხის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება;
- პოზიტიური ნარატივების შექმნა და გავრცელება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად ან მისი მიმზიდველი ფაქტორების გასანეიტრალებლად;
- ორგანიზაციებისა და ინდივიდების გაძლიერება და განვითარება, რათა მათ შეძლონ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ინიციატივებში ჩართვა, ასევე ძალადობრივი ექსტრემიზმისა და მის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების შესახებ ცოდნისა და უნარების გამომუშავება.

მიზნების ზემოაღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. პროგრამებისთვის შესაძლოა დამახასიათებელი იყოს ერთზე მეტი მიზანი. თუმცა, ჯერ მიზნების განსაზღვრა ადგილობრივი საჭიროებებიდან და მოწყვლადობის პრობლემიდან გამომდინარე და შემდეგ მათი მიღწევის გზების მოძიება (იმის მიუხედავად, მოიცავს თუ არა აღნიშნული მეთოდები ტექნოლოგიებს) შეიძლება უფრო ეფექტიანი იყოს, ვიდრე თავიდანვე ტექნოლოგიების გამოყენებით დაწყება და შემდეგ იმაზე დაფიქრება, თუ როგორ გამოიყენება ისინი ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა თუ მასთან გამკლავების მიზნით. ტექნოლოგიებზე ყურადღების ზედმეტად გამახვილებამ შესაძლოა შეზღუდოს პროგრამის ფოკუსი და მოქმედების არეალი.

კიდევ რა მიზნებს დაამატებდით ამ ჩამონათვალს?

მიზნების განსაზღვრისა და მათი მიღწევისთვის საჭირო მიდგომების შესწავლის შემდეგ, შეგიძლიათ დასვათ შეკითხვა - საკმარისია თუ არა არსებული ტექნოლოგიები ან ახალი მედია-პლატფორმები (მაგალითად, საჭიროა თუ არა ახალი სივრცეების შექმნა იმ პლატფომებზე, რომელთაც ახალგაზრდები უკვე იყენებენ, მაგალითად, Facebook ან WhatsApp ჯგუფები) ან ხომ არ ჯობს ახალი პლატფომების ან ინსტრუმენტების შექმნა?

ეს გადაწყვეტილებები უნდა ემყარებოდეს ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელი ფაქტორების შესახებ ჩატარებულ კვლევებს, აგრეთვე „ბაზრის კვლევას" იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ ინსტრუმენტებს იყენებს თქვენი სამიზნე აუდიტორია? მაგალითად, აქვთ თუ არა იმ მოწყვლად ახალგაზრდებს, რომლებთანაც გსურთ მუშაობა, ინტერნეტი ან ტელეფონები, რომლებშიც მათ შეეძლებათ მობილური აპლიკაციების ჩაწერა? მოკლე ტექსტური შეტყობინებები და მობილური ინტერნეტის პაკეტები ზედმეტად ძვირი ხომ არ არის თქვენი სამიზნე აუდიტორიისთვის?

ნარატივების გავრცელების კამპანიების ფარგლებში სოციალური ქსელების გამოყენების მოწინავე მეთოდები

სოციალური ქსელები ბევრ საზოგადოებაში ფართოდაა გავრცელებული, განსაკუთრებით კი - ახალგაზრდებში. ონლაინ-პლატფორმები და სოციალური ქსელები აგრეთვე უზრუნველყოფს უფრო ეფექტიან ინსტრუმენტებს გზავნილებისა და ნარატივების გასავრცელებლად კონკრეტულ ადამიანებსა თუ ადამიანთა ჯგუფებში. თქვენს პროგრამებში სოციალური ქსელებისა და სხვა ონლაინ-პლატფორმების გათვალისწინებისას, მათი უნიკალური პარამეტრებიდან გამომდინარე, მხედველობაში უნდა მიიღოთ რამდენიმე განსაკუთრებული ფაქტორი. მაგალითად, კონკრეტული გარემო და მისი თავისებურებები ხშირად განსაზღვრავს იმას, თუ რომელ პლატფორმას იყენებენ ადამიანები. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება შემდეგი შეკითხვების დასმა:

რომელია ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელები და აპლიკაციები თქვენს რეგიონში? რამდენად იყენებენ ამ პლატფორმებს იმ მოწყვლადი თემების წარმომადგენლები, რომლებთან კომუნიკაციაც გსურთ? სხვა პლატფორმებს ხომ არ ანიჭებენ უპირატესობას? განმარტეთ დადებითი პასუხის მიზეზი.

სოციალური მედია საქართველოში

საქართველოს მოქალაქეები იყენებენ უამრავ პოპულარულ სოციალურ ქსელს (Facebook, Twitter, Instagram) და შეტყობინებების აპლიკაციას (WhatsApp, Viber), თუმცა რუსული სოციალური ქსელის გავლენა აშკარაა. მაგალითად, VK (სრული სახელწოდება - VKontakte) Facebook-ის შემდეგ ევროპის ყველაზე დიდ სოციალურ ქსელს წარმოადგენს, ის შეიქმნა სანკტ-პეტერბურგში, რუსეთში. Odnoklassniki (რუსული სახელწოდება, რაც ქართულად „თანაკლასელებს" ნიშნავს) და Mail.ru ასევე საკმაოდ პოპულარული საიტებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკოსი სპეციალისტები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგნენ პროგრამების შექმნის საკითხს ონლაინ-სივრცეში იმისათვის, რომ მაქსიმალურად მიაღწიონ სამიზნე აუდიტორიას. მათ შეუძლიათ გამოიყენონ კვლევებიც სამიზნე აუდიტორიის მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებული პლატფორმის დასადგენად.

ქვემოთ წარმოდგენილია დამატებითი მოსაზრებები:

სამიზნე აუდიტორიის არჩევა:
გამომდინარე იქიდან, რომ სოციალური პლატფორმები იძლევა კონკრეტულ სამიზნე მომხმარებლებთან კომუნიკაციის შესაძლებლობას მიზანმიმართული რეკლამების საშუალებით ან სხვა მომხმარებლების მიერ თქვენი გზავნილების გავრცელებით, მიზანშეწონილი იქნება, თუ დაფიქრდებით თქვენს სამიზნე აუდიტორიასთან მიღწევის კონკრეტულ გზებზე. სოციალურ ქსელში უბრალოდ გზავნილების (ე.წ. „პოსტების") გაზიარებით ან ვიდეორგოლების ატვირთვით ვერ გასცდებით საკუთარი წრის ფარგლებს. შეგიძლიათ სცადოთ სხვა პლატფორმის არჩევა ან თქვენი გზავნილების სხვა მეთოდებით გავრცელება, მაგალითად, სოციალური ქსელების პლატფორმის სამიზნე სარეკლამო ინსტრუმენტის გამოყენებით, რომელიც პირდაპირ აღწევს კონკრეტულ სამიზნე აუდიტორიასთან.

ინტერესის გაღვივების მიზნით გამოიყენეთ ფოტოსურათები და ვიდეორგოლები:
სოციალური ქსელი - ეს არის პლატფორმა, სადაც ვიზუალური მხარე მნიშვნელოვან როლს თამაშობს, შესაბამისად, მომხმარებლები ნაკლებ აქცევენ ყურადღებას ისეთ „პოსტებს", რომლებიც მხოლოდ ტექსტისგან შედგება. საინტერესო ფოტოსურათი ან ვიდეორგოლი მიიპყრობს მომხმარებლის ყურადღებას, აიძულებს მათ წაკითხვას ან შესაბამის რეაგირებას თქვენს „პოსტებზე".

ერთი „პოსტის" ფარგლებში სასურველია მხოლოდ ერთი გზავნილის განთავსება:
სოციალური ქსელების მომხმარებლები სავარაუდოდ არ წაიკითხავენ გრძელ „პოსტს" ან არ უყურებენ გრძელ ვიდეორგოლს, შესაბამისად, ეცადეთ შეამოკლოთ ისინი (იდეალურ შემთხვევაში, ერთიდან სამ წუთამდე) და შემოიფარგლეთ მხოლოდ ერთი კონკრეტული იდეით. მოგვიანებით, ყოველთვის შეძლებთ სხვა იდეის გავრცელებას ან მომხმარებლის გადამისამართებას დამატებითი ინფორმაციის მისაღებად.

გამოიყენეთ „ჰეშთეგები" უფრო ფართო კამპანიის შესაქმნელად:
სოციალური პლატფორმა იყენებს ე.წ. „ჰეშთეგებს" (#) სხვადასხვა ადამიანის მიერ სოციალურ ქსელში განთავსებული „პოსტების" ორგანიზებისა და დაჯგუფებისთვის. სწორად გამოყენების შემთხვევაში, „ჰეშთეგს" შეუძლია სოციალური ქსელის სხვა მომხმარებლების მოზიდვა იმისათვის, რომ შექმნან საკუთარი გზავნილი, რომელიც შეესაბამება მთავარი გზავნილის იდეას. მაგალითად, #NotInMyName წარმოადგენდა ბრიტანელი მუსლიმების მიერ წარმოებულ კამპანიას, რომლის ფარგლებშიც ყველას შეეძლო ინდივიდუალურად პროტესტის გამოხატვა დაეშის ძალადობისა და იდეების წინააღმდეგ. ავსტრალიაში, კამპანიის #IllRideWithYou დახმარებით, ადამიანები გამოხატავდნენ თავიანთ საზოგადოებაში მცხოვრები მუსლიმების მხარდაჭერას და სთავაზობდნენ დახმარებას იმ შემთხვევაში, თუ მუსლიმები აღმოჩნდებოდნენ საზოგადოებრივ ტრანსპორტში მათ წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი ქმედებების სამიზნე. ინგლისური კამპანია #DaeshLiesExposed და არაბული კამპანია - #فضح_داعش_بأكاذيبه აერთიანებდა ისეთ ფაქტებს და ისტორიებს, რომლებიც ამხელდნენ სიცრუეს დაეშის პროპაგანდაში.

იმუშავეთ იმ ადამიანებთან, ვინც რეაგირებას ახდენს თქვენს „პოსტებზე“:

გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს სოციალური ქსელის იმ მომხმარებლებთან მუშაობა, რომლებიც რეაგირებას ახდენენ და აზიარებენ თქვენს „პოსტებს“. მაგალითად, მათ შეიძლება მოგთხოვონ დამატებითი ინფორმაცია ან გაგიზიარონ თავიანთი იდეები. ამ ადამიანებთან მუშაობა გაზრდის მათ ინტერესს და ურთიერთკავშირის დონეს. ეს შეიძლება მოხდეს უბრალო მადლობის გამოხატვით იმ ადამიანის მიმართ, რომელიც აზიარებს თქვენს მიერ ატვირთულ მასალებს. ზოგჯერ არაა აუცილებელი კონტაქტში შესვლა, მაგალითად, მომხმარებლის მხრიდან მწვავე კრიტიკის ან თქვენთან კამათის სურვილის შემთხვევაში. ასევე მნიშვნელოვანია სათანადო სტრატეგიის შემუშავება ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც ადგილი აქვს თქვენთან დაკავშირების მცდელობას ან თქვენს მიმართ მუქარას. ონლაინ-კამპანიებისთვის დამახასიათებელ საერთო უარყოფით მხარეს ხშირად ამ უკუკავშირის ნაკლებობა წარმოადგენს. ისეთი ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფები, როგორიცაა დაეში, წარმატებით იყენებენ იმ მომხმარებლებთან უკუკავშირის დამყარებას, რომლებმაც გაიზიარეს ან ინტერსი გამოხატეს მათ მიერ განთვსებული მასალის მიმართ. შედეგად, მათ შეძლეს აღნიშნულ პირებთან დაკავშირება და შემდგომ მათი გადაბირება.

მოუწოდეთ თქვენს აუდიტორიას მოქმედებისკენ და ჩართეთ შესაბამისი ტექნოლოგიები პროგრამებსა და კომუნიკაციის მეთოდებში:

ონლაინ ან პირისპირ განხორციელებული გზავნილების გავრცელების ან ცნობიერების დონის ასამაღლებელი წარმატებული კამპანიების მსგავსად, სოციალური ქსელებში წარმოდგენილი ონლაინ-კამპანიები უნდა ითვალისწინებდეს შთამაგონებელ მოწოდებას მოქმედებისთვის. მოწოდება შესაძლოა იყოს მარტივი. მისი დახმარებით თქვენ აუხსნით ადამიანებს, თუ რა სახით შეუძლიათ მათ მონაწილეობის მიღება თქვენს კამპანიაში, იქნება ეს რეალურ (მაგალითად, ახალ ადგილობრივ სასწავლო ცენტრში სიარული) თუ ონლაინ სივრცეში (მაგალითად, სოციალურ ქსელში თქვენი „ექაუნთების“ გამოწერა ან „პოსტის“ გაზიარება).[219]

[219] ჰენრი ტუკი და ტანია სილვერმანი, „The Counter-Narrative Handbook“ (სტრატეგიული დიალოგის ინსტიტუტი, 2016 წლის ივნისი), გვ. 37.

ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგადი მოწინავე მეთოდები და გაკვეთილები

შეჯამების სახით, „Hedayah"-ს ცენტრმა შეადგინა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებში ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით საერთაშორისო მოწინავე მეთოდებისა და მიღებული გაკვეთილების შემდეგი ჩამონათვალი, რომელიც შემდგომში ამ სახელმძღვანელოსათვის ადაპტირდა:

რეალურ სივრცეში მოქმედება ყველაზე ეფექტიანია:

აღიარეთ, რომ მხოლოდ კონტრნარატივები არ წარმოადგენს გადაწყვეტის გზას რადიკალიზაციისა და გადაბირების თავიდან ასაცილებლად. მიმართეთ ძალისხმევა განმზიდველი და მიმზიდველი ფაქტორები სხვადასხვა შრეზე (როგორებიცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური და იდეოლოგიური ფაქტორები).

კომუნიკაცია - პრობლემის გადაწყვეტის გზის მხოლოდ ერთი ასპექტია:

მოახდინეთ ძალადობრივი ექსტრემიზმთან გამკლავების მიდგომების (მაგალითად, პოზიტიური ნარატივების) ინტეგრირება უფრო ვრცელ კონტრტერორისტულ სტრატეგიებსა და პოლიტიკაში. მონაწილეობა მიიღეთ მთავრობის სტრატეგიულ კომუნიკაციებში პოლიტიკის შესახებ, მაგალითად, როგორიცაა ეროვნული სტრატეგიები ან ეროვნული სამოქმედო გეგმები ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად.

გამოიყენეთ მრავალმხრივი მიდგომა:

ეს შესაძლოა გულისხმობდეს სხვადასხვა მიდგომას, როგორიცაა ძალადობრივი ექსტრემისტული ხასიათის მასალების წაშლა, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა, თქვენი საკუთარი გზავნილის გავრცელება და ახალგაზრდობის მედეგობის გაძლიერება სპეციალური ღონისძიებებისა და განათლების გზით. აღნიშნული პოზიტიური ნარატივები, იმ არაპირდაპირ გზავნილებთან ერთად, რომლებიც ვრცელდება პოლიტიკის, სხვადასხვა ქმედების ან მთავრობის პოლიტიკური განცხადებების საშუალებით, მნიშნელოვან გავლენას ახდენს ზოგადი ნარატივების ჩამოყალიბების პროცესზე.

მიმართეთ მთლიანი საზოგადოების ჩართვის მიდგომას:

აღნიშნული უნდა ითვალისწინებდეს სამთავრობო ინსტიტუციების, სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის, ასევე ადგილობრივი სუბიექტების წახალისებას თანამშრომლობისთვის. უამრავი ინოვაციური გადაწყვეტის გზა და მიდგომა იქნა შემუშავებული ადგილობრივი ინიციატივების დონეზე, განსაკუთრებით ახალგაზრდების მიერ.

დაიცავით თანმიმდევრობა და კოორდინაცია:

მოახდინეთ ძალისხმევების კოორდინაცია, რათა გზავნილები არ მოვიდეს ერთმანეთთან წინააღმდეგობაში და დარწმუნდით, რომ თქვენი ქმედებები ითვალისწინებს აქამდე გადადგმულ ნაბიჯებს. აღნიშნული რეკომენდაცია აგრეთვე გულისხმობს თანმიმდევრული ნარატივების შექმნის მიზნით გზავნილების ქმედებებთან შესაბამისობაში მოყვანას.

9.2.2 იმ პროექტებისა და ინიციატივების მაგალითები, რომლებშიც გამოიყენება ტექნოლოგიები

წინამდებარე ქვე-თავში განხილულია იმ პროექტებისა და ტექნოლოგიური ინსტრუმენტების მაგალითები, რომლებიც აქტიურად გამოიყენება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში. მათი დახარისხება ზოგადად შეიძლება ორ მთავარ კატეგორიად იმის მიხედვით, თუ ვინაა სამიზნე აუდიტორია და როგორია მიზნები: 1) ინსტრუმენტები და პროექტები, რომელიც ეხმარება პრაქტიკოს სპეციალისტებსა და პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერებს მეტად და ეფექტიანად ჩაერთონ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში და 2) ინსტრუმენტები, რომლებიც ავითარებენ ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ მედეგობას ძალადობრივი ექტრემიზმის მიმართ. აღნიშნული მაგალითები ემსახურება დაინტერესებულ პირებში ინსპირაციის გაჩენასა და იმ პრაქტიკების გაზიარებას, რომლებიც ხელს უწყობს ზემოთ მოცემული გამოცდილებისა და დასკვნების უკეთ გააზრებას.

ტექნოლოგიური ინსტრუმენტები და პლატფორმები ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად

ტექნოლოგია ტერორიზმის წინააღმდეგ (Tech Against Terrorism)

გამომდინარე იქიდან, რომ ტექნოლოგია გამოიყენება, როგორც ძალადობრივი ექსტრემიზმის გასააქტიურებლად, ისე მასთან გასამკლავებლად, მნიშვნელოვანია, რომ ეს პლატფორმები უფრო მეტად მედეგი იყოს ძალადობრივი ექსტრემისტების მიერ მათი გამოყენების მიმართ. Tech Against Terrorism არის გაეროს მანდატის მქონე ინიციატივა, რომლის მისიაა „ტექნოლოგიური ინდუსტრიის მხარდაჭერა ტერორისტების მიერ ინტერნეტის გამოყენების წინააღმდეგ, თუმცა ადამიანთა უფლებების დაცვის გათვალისწინებით".[220] იგი მხარს უჭერს ცოდნის გაზიარებას და ეხმარება ტექნოლოგიურ სტარტაპებს და მცირე ტექნოლოგიური კომპანიებს, რათა მათი პლატფორმები არ იქნას გამოყენებული ძალადობრივი ექსტრემისტების მიერ. ამასთან, იგი ქმნის ახალი ინსტრუმენტებს აღნიშნულ ძალისხმევაში დიდი და მცირე კომპანიების დასახმარებლად.

ტერორიზმთან გამკლავების გლობალური ინტერნეტ ფორუმი (GIFCT)

GIFCT არის კომპანიების ჯგუფი, რომლის მიზანია აღკვეთოს ტერორისტების მიერ ფორუმის წევრების ციფრული პლატფორმებით ბოროტად სარგებლობის ფაქტები. იგი 2017 წელს დაარსდა ოთხი კომპანიის მიერ —Facebook, Microsoft, Twitter და YouTube. ფორუმი მცირე ტექნოლოგიურ კომპანიებთან თანამშრომლობს, უტარებს მათ ტრენინგებს და აცნობს, თუ როგორ შეიძლება ტერორისტულმა/ძალადობრივმა ექსტრემისტებმა გამოიყენონ მათი ინსტრუმენტები.

[220] https://www.techagainstterrorism.org/

გაეროს განვითარების პროგრამის ინსტრუმენტთა ნაკრები აფრიკისათვის (Africa Toolkit)

კვლევითი ანგარიშის „ექსტრემიზმის გზა აფრიკაში: მამოძრავებელი ფაქტორები, სტიმული და გარდამტეხი მომენტები გადაბირების დროს'' გამოსვლის შემდეგ, გაეროს განვითარების პროგრამამ, ორგანიციასთან - Albany Associates[221] ერთად დაიწყო მობილური აპლიკაციის შექმნა, რომელიც პრაქტიკოსებს ეხმარება საკუთარი პოზიტიური ნარატივების კამპანიების დაწყებაში. ეს კამპანიები მიზნად ისახავს ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციას და მასთან ბრძოლას. აპლიკაცია შეიცავს პრაქტიკულ, დეტალურ, ნაბიჯ-ნაბიჯ ინსტრუქციებს სტრატეგიული და საკომუნიკაციო ელემენტების შესახებ - ნარატივის საბაზისო კონცეფციიდან დაწყებული კამპანიის დაგეგმვით დასრულებული. მასში მოცემულია რამდენიმე საინტერესო სიტუაციური მაგალითი, რჩევა, ნიმუში და ელექტრონული რესურსები."

მონიტორინგი და შეფასება

არსებობს რამდენიმე ინტერნეტ პლატფორმა და ტექნოლოგიური ინსტრუმენტი, რომლებიც პრაქტიკოსებს ეხმარება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების კუთხით. აღნიშნული განხილული იქნება მომდევნო მოდულში.

ინსტრუმენტები და ინიციატივები ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მედეგობის გასავითარებლად

ვირტუალური გაცვლა

ვირტუალური გაცვლა (Virtual Exchange) არის ტექნოლოგიის და ინტერნეტ ინსტრუმენტების გამოყენების კონკრეტული მაგალითი, რომელიც მიზნად ისახავს გაყოფილი მხარეების ერთმანეთთან დაკავშირებას და ძალადობრივი ექსტრემიზმის აღკვეთას. უკვე ათწლეულია, Soliya იყენებს გაცვლით პორტალს, ტექნოლოგიურ პლათფორმას, რომელიც შექმნილია მცირე ჯგუფებს შორის დიალოგის მხარდაჭერის გზით ადამიანების ერთმანეთთან დასაკავშირებლად. სოლიას პროგრამა ''Connect Program'' მიზნად ისახავს სხვადასხვა კულტურასა და რელიგიურ მიმდინარეობას შორის ურთიერთგაგების დამყარებას, განსაკუთრებით მუსლიმურ და დასავლურ საზოგადოებებს შორის, რისთვისაც ამ რეგიონების ახალგაზრდებს სთავაზობს გრძელვადიან თანამშრომლობას, ურთიერთობას და იდეების გაცვლას. Soliya ასევე ატარებს გაეროს სერტიფიცირებულ ტრენინგებს ახალგაზრდების დასახმარებლად და დამოუკიდებელი ორგანიზაციების ახალგაზრდა ლიდერების ცოდნის ასამაღლებლად, რათა შემდეგ, მათ ეს უნარები საკუთარ თემში გამოიყენონ.

Soliya-სთან და სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საფუძველზე, ორგანიზაციის „Search for Common Ground" პროგრამა ხელმძღვანელობს კონსორციუმს, რომელიც ახორციელებს პროექტს Erasmus+ Virtual Exchange. ეს უკანასკნელი ევროკომისიამ დაიწყო 2018 წელს Erasmus+ პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული ინიციატივა უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ, ინოვაციურ გზას ახალგაზრდებისათვის, რათა ისინი ჩაერთონ კულტურათაშორის სწავლებაში ფორმალური თუ არაფორმალური განათლების ფარგლებში. ამისათვის, პროგრამა ითვალისწინებს მათ ჩართულობას ონლაინ სივრცეში რეალურ ადამიანებთან ურთიერთობებში. Erasmus+ Virtual Exchange-ის აქტივობები ახალგაზრდებს ასწავლის, როგორ მიიღონ განსხვავებული ადამიანები და როგორ განივითარონ თანამედროვე ცხოვრებაში საჭირო ისეთი უნარები, როგორიცაა გლობალური ცნობიერება და თვითშეგნება, ემპათია, კრიტიკული აზროვნება, ასევე მედიისა და ციფრული ტექნოლოგიების ცოდნა. ეს თავის მხრივ, მიზნად ისახავს მათ მომზადებას გლობალიზაციით განპირობებული გამოწვევებისათვის და მათი მედეგობის გაძლიერებას დისკრიმინაციისა და ინდოქტრინაციის მიმართ. პროექტის ერთ-ერთი ამოცანა პირდაპირ არის დაკავშირებული პარიზის დეკლარაციასთან, შეთანხმებულია ევროკავშირის განათლების მინისტრების არაფორმალურ შეხვედრაზე 2015 წლის მარტში და ემსახურება მოქალაქეობისა და თავისუფლების საერთო ღირებულებების მხარდაჭერას, ტოლერანტობის და არადისკრიმინაციულობის ხელშეწყობას განათლების გზით. ქვემოთ იხილეთ ვიდეო 23, სადაც წარმოდგენილია ვირტუალური გაცვლითი პროგრამის მოკლე მიმოხილვა:

[221] "UNDP Launches Mobile Application to Help Design Campaigns to Prevent Violent Extremism," გაეროს განვითარების პროგრამა, 2018 წლის 19 აპრილი, http://www.africa.undp.org/content/rba/en/home/presscenter/articles/2018/undp-launches-mobile-application-to-help-design-campaigns-to-pre.html. [ინგლისური]

ვიდეორგოლი 23: ვირტუალური გაცვლითი პროგრამის „ერასმუს+“ ანონსი



მომზადებულია: ვირტუალური გაცვლითი პროგრამის „ერასმუს +“ ფარგლებში

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/DSW7kleimF0[222]
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

სადისკუსიო შეკითხვები:

1. როგორ შეიძლება დასავლეთისა და მუსლიმური ქვეყნების ხალხებს შორის ურთიერთგაგების დამყარებამ ხელი შეუწყოს ამ ორ რეგიონში ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ მედეგობის გაზრდას? (დაფიქრდით ძალადობრივი ექსტრემიზმის ფორმებზე, რომლებიც დომინირებენ ევროპაში და რას ეწინააღმდეგებიან ისინი)

2. კიდევ რა განსაკუთრებულ სარგებელს სთავაზობს პროგრამა მონაწილეებს?

[222] პროგრამის შესახებ სხვა ვიდეორგოლები იხილეთ მათ YouTube არხზე: https://www.youtube.com/channel/UCGSdhrHIzQN2Y4t7yla2pYg [ინგლისური]

ახალგაზრდული ინოვაციების ლაბორატორიები (Youth Innovation Labs)

ძალადობრივი ექსტრემიზმთან გამკლავების გავრცელებული მიდგომაა ახალგაზრდობის შეკრება და მომზადება ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინსტრუმენტებისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავების პროექტების შესაქმნელად. სტრატეგიული დიალოგის ინსტიტუტი „ახალგაზრდული ინოვაციების ლაბორატორიები" (Youth Innovation Labs) კარგი მაგალითია ამ „ჰაკათონის" სტილის ღონისძიების, რომელიც კონკრეტულად ახალგაზრდობას რთავს ინიციატივების შემუშავებაში და ამ გზით, ხელს უწყობს ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ კონტრნარატივების შექმნას. ლაბორატორიებში ახალგაზრდები ერთად იკრიბებიან და აერთიანებენ გზავნილების კამპანიების შექმნისათვის საჭირო უნარებს, რისთვისაც იყენებენ სოციალური მედიის პლატფორმებს (მათი სახელმძღვანელო იხილეთ ქვე-თავში 9.5. დამატებითი სწავლების შესაძლებლობები).[223]

ამ ტიპის მიდგომის კიდევ ერთი მაგალითია UNESCO-ს Youth Mobile პროგრამა, რომლის ფარგლებში „ახალგაზრდები მაღალი დონის უნარებით და ამბიციებით, სწავლობდნენ თუ როგორ შეექმნათ და ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით განევითარებინათ მობილური აპლიკაციები, რომელთა მიზანი იქნებოდა ადგილობრივი მდგრადი განვითარების პრობლემების გადაჭრა და სამუშაო ადგილების შექმნა"; მათ ასევე ხელი უნდა შეეწყოთ კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის დამყარებისათვის.[224]

ახალგაზრდული ორგანიზაციები ამ ტიპის ღონისძიებებს თავად აფინანსებენ. მაგალითად, ერთმა ახალგაზრდების მიერ მართულმა ორგანიზაციამ პაკისტანში გამოაცხადა პირველი „სამშვიდობო ჰაკათონი", სადაც მათ შეკრიბეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ახალგაზრდები და დაიწყეს დიალოგი ძალადობრივი ექსტრემიზმის გამკლავებასთან და მშვიდობის დამყარებასთან დაკავშირებით. ახალგაზრდებს მიეცათ შანსი, რომ საკუთარი იდეები ჩამოეყალიბებინათ და წარედგინათ ჟიურისთვის."[225]

კიდევ ერთ მაგალითში, EdVenture Partners და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ერთობლივად ჩაატარეს Facebook-ის მიერ მხარდაჭერილი კონკურსი „ტოლი ტოლს": ექსტრემიზმის გამოწვევის კონკურსი 2015 წელს, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა შესაბამისი პლატფორმა 23 უნივერსიტეტისათვის მსოფლიოს მასშტაბით. უნივერსიტეტებმა წარმოადგინეს ინიციატივები და ინოვაციური ტექნოლოგიური ინსტრუმენტები ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად. იხილეთ შემდეგი ვიდეო კონკურსის მოკლე მიმოხილვისათვის და ასევე, სამი გამორჩეული პროექტი:

ვიდეორგოლი 24: ტოლი ტოლს: ექსტრემიზმის გამოწვევა 2015 წელს

მომზადებულია: ამერიკის შეერთებული შტატების განათლებისა და კულტურის საქმეთა ბიუროს (სახელმწიფო დეპარტამენტის) მიერ

ორიგინალი ბმული:
https://youtu.be/cCrDOSsDbt8
ვიდეორგოლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია აქ.

სადისკუსიო შეკითხვები:

1. ჯგუფებთან მუშაობა მიმდინარეობდა მთელი სემესტრის განმავლობაში და დასრულდა კონკურსით. როგორ შეიძლება „ჰაკათონის" სტილის ღონისძიება და ამ ტიპის ადამიანების შეკრება საინტერესო და მომგებიანი იყოს სპონსორისათვის?

2. ვიდეორგოლში წარმოდგენილი პროექტები და ინიციატივები მოიცავს ტექნოლოგიებს. რა გზით შეიძლება მათი ადაპტირება სხვადასხვა გარემოზე და რისი შეცვლა შეიძლება გახდეს საჭირო თითოეულ გარემოში მათი ადაპტირებისას?

3. კონკურსში წარმოდგენილ საუკეთესო პროექტებს გამოუყვეს დამატებითი დაფინანსება. რამდენად არის ეს პროექტებისათვის სტიმული, წახალისება? ახსენით დადებითი ან უარყოფითი პასუხი.

[223] აღნიშნული ღონისძიებების შესახებ ვიდეორგოლი იხილეთ ბმულზე https://youtu.be/HEMEn3En54c [ინგლისური].
[224] https://en.unesco.org/youthmobile
[225] რაშმი ტაპა, "Mapping a Sector: Bridging the Evidence Gap on Youth-Driven Peacebuilding" (ჰაააგა, ნიდერლანდები: UNOY მშვიდობისმყოფელები და Search for Common Ground, 2017 წ.), გვ. 25.

9.3 რა რისკები და გამოწვევები ახლავს თან ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ტექნოლოგიის გამოყენებას?

ახალი ინსტრუმენტის ან პლატფორმის შექმნის გადაწყვეტილება შეიძლება სარისკო და ძვირადღირებული გამოსავალი იყოს სხვადასხვა ფაქტორის გამო. ტექნოლოგიური ინსტრუმენტები და პლატფორმები ძვირია და რთული გასავითარებელი. ისინი შეიძლება (გააჩნია საჭიროებას) მოითხოვდნენ სპეციფიურ ასპექტებს, რათა წარმატებულად გაართვან თავი ამოცანას - შექმნან საინტერესო და ადვილად გამოსაყენებელი პროგრამა. პლათფორმების სამართავად და/ან მათი აქტიური მუშაობისთვის შესაძლოა საჭირო გახდეს სპეციალიზირებული მოდერატორები და გრძელვადიანი ვალდებულებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ახალი ინსტრუმენტის ან პლატფორმის შექმნა სიფრთხილეს მოითხოვს:

- რამდენად არსებობს საკმარისი რესურსი პლატფორმის შექმნისა და დასრულებისათვის?
- იქნება საკმარისი რესურსი პლატფორმის შემუშავების ეტაპის დასრულების შემდეგ, მისი ბაზარზე გატანის, მართვისა და შენახვისათვის?

ტექნოლოგიური და სოციალური მედიის ინსტრუმენტების შექმნა ასევე დაკავშირებულია რისკთან, რომ ისინი ვერ შეძლებენ მიაღწიონ საჭირო აუდიტორიას, თუ მათი შექმნის პროცესში არ იქნა გათვალისწინებული შესაბამისი კვლევის შედეგები. საზოგადოების სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფს/თემს ინტერნეტთან და ტექნოლოგიებთან წვდომის სხვადასხვა ხარისხი გააჩნია.

9.4. შეჯამება

ეს მოდული განიხილავს ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების მიერ ტექნოლოგიებისა და სოციალურ ქსელების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენების მეთოდებს, აგრეთვე იგივე ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობებს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მიზნით. მოცემულ მოდულში წარმოდგენილია ტექნოლოგიებისა და სოციალური ქსელების გამოყენების რამდენიმე მოწინავე მეთოდი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ქვემოთ იხილეთ ამ მოდულის ფარგლებში შემუშავებული რამდენიმე საინტერესო დასკვნა:

ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ტექნოლოგიები უფრო მეტად ხელს უწყობს, ვიდრე იწვევს რადიკალიზაციასა და ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების გავრცელებას.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ტექნოლოგიები არ წარმოადგენს ერთადერთ ფაქტორს ადამიანის რადიკალურად განწყობის პროცესში, მნიშვნელოვანია ძალადობრივი ექსტრემიზმის მასალებისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ტექნოლოგიებისა და ონლაინ-ინსტრუმენტების დაცვა ძალადობრივი ექსტემისტების მიერ გამოყენებისგან.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებში ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ტექნოლოგიის გამოყენება გაზრდის მათ გავრცელების არეალს და ხელს შეუწყობს ცვლილებას.

მკაფიო მიზნებთან ერთად, იქნება ეს ღონისძიებების ხელშეწყობა, ინფორმაციის გაზიარება ან შეგროვება, სწავლა და ასე შემდეგ, ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ტექნოლოგიები შეიძლება საკმაოდ მნიშვნელოვანი და ეფექტიანი ინსტრუმენტები აღმოჩნდეს.

ახალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ტექნოლოგიები ვერ ანაცვლებს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების კუთხით რეალობაში განხორციელებულ ქმედებებს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინსტრუმენტები უზრუნველყოფს დამატებით შესაძლებლობებსა და მიდგომებს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გასამკლავებლად, ცალკეულად აღებული შეიძლება არ აღმოჩნდეს ეფექტიანი. შესაბამისად, აუცილებელი იქნება მათი სხვა ღონისძიებებთან გაერთიანება ზემოქმედების გაძლიერების მიზნით.

ახალი პლატფორმების შექმნა (უკვე არსებული პლატფორმებით სარგებლობის ნაცვლად) შეიძლება იყოს რთული და ხარჯიანი, თუმცა ამავდროულად ეფექტიანი პროცესი.

ახალმა პლატფორმებმა შესაძლოა დააკმაყოფილონ ის საჭიროებები, რომელთა შესრულებაც ვერ მოხერხდა არსებული პლატფორმებით, ან წარმოადგინონ ახალი მიდგომები ძირითადი პრობლემების გადასაჭრელად. ახალგაზრდების მომზადება და მათთვის აღნიშნული პლატფორმების შექმნის უნარების განვითარება ასევე ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩართვას ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროცესებში და, ამავდროულად, მისცემს მათ შესაძლებლობას შეიძინონ შრომით ბაზარზე მოთხოვნადი უნარები.

9.2. სწავლის დამატებითი შესაძლებლობები

„Youth and Violent Extremism on Social Media: Mapping the Research (Summary)", სერაფინ ალავა, დივინა ფრაუ-მაიგსი და გაიდა ჰასანი, ჰასნა ჰუსეინსა და იუანიუან ვეისთან თანამშრომლობით (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) [ინგლისური]
სრული ვერსია იხილეთ ბმულზე: [ინგლისური]

საერთაშორისო კონფერენცია ახალგაზრდების პრობლემებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საკითხებზე: ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია კიბერ-სივრცეში (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) [ინგლისური]

„Digitally-Enabled Peace and Security: Reflections for the Youth, Peace and Security Agenda", რაუფ ფარა, ჯონ დე ბური და რობერტ მუგა (SecDev Group) [ინგლისური]

„Role of Youth in Peace Building via New Media: A Study on Use of New Media by Youth for Peace Building Tasks", სუმიტ ნარულა (მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ჟურნალისტიკის ჟურნალი) [ინგლისური]

„Youth Innovation Labs: A Model for Preventing and Countering Violent Extremism", დოქ. ერინ მარი სოლტმანი, მოლი დოუ და კელსი ბიორნსგაარდი (სტრატეგიული განვითარების ინსტიტუტი) [ინგლისური]

ინტერნეტის გამოყენება ტერორისტული მიზნებისთვის (გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო) [ინგლისური]

„Promoting Online Voices to Counter Violent Extremism", ტოდ კ. ჰელმუსი, ერინ იორკი და პიტერ ჩოკი (კორპორაცია RAND) [ინგლისური]

სოციალური ქსელების გამოყენება ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ინფორმაციის გაცვლის მიზნით (ავსტრალიის ხელისუფლება) [ინგლისური]

ჩამოტვირთეთ ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფების მიერ ინტერნეტისა და ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ დამატებითი მასალები (ინგლისურ ენაზე) აქ.

ძალადობრივ ექსტრემიზმზე რეაგირების მცდელობების მონიტორინგი და შეფასება

ეს მოდული შეისწავლის მონიტორინგისა და შეფასების საფუძვლებს, აგრეთვე ცვლილებების თეორიის, მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიის შემუშავების მიზნით განსაზღვრავს მნიშვნელოვან ტერმინებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს. მასში წარმოდგენილია მაგალითები, თუ როგორ შეიძლება მუდმივმა მონიტორინგმა გააძლიეროს ინიციატივები, უწყვეტი სწავლისა და სიტუაციის მიხედვით ცვლილებების ადაპტირების გზით. მოდული მოკლედ განიხილავს რიგ პრაქტიკულ საფუძვლებს, ინსტრუმენტებს, მეთოდოლოგიებსა და მაჩვენებლებს, რომელთა ადაპტირება შესაძლებელია კონკრეტულ შინაარსთან.

საორიენტაციო შეკითხვები:

10.1. რომელია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტები და რატომ არის ისინი მნიშვნელოვანი პროგრამის შემუშავებისათვის?

10.2. რამდენად რთულია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამის მონიტორინგი და შეფასება?

10.3. სხვა სფეროებიდან რომელი იდეები დაგვეხმარება ამ პრობლემების გადაჭრაში?

10.4. რომელია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების მოწინავე მეთოდები?

10.1. რომელია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტები და რატომ არის ისინი მნიშვნელოვანი პროგრამის შემუშავებისათვის?

წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების რამდენიმე სახელმძღვანელო პრინციპი და მოწინავე მეთოდების მაგალითები. თუმცა, როგორ უნდა გაიგონ პრაქტიკოსმა სპეციალისტებმა, დონორებმა და საზოგადოებამ, რომ კონკრეტული ინიციატივა კარგად მუშაობს? რომ ეს ინიციატივა აღწევს საჭირო სამიზნე ჯგუფს? როგორ შეიტყობენ, რომ მათმა გზავნილმა თანაბრად მიაღწია მამაკაცებსა და ქალებს და რამდენად ეფექტიანად მუშაობს ეს პროგრამა ორივე ჯგუფში? როგორ დააკვირდებიან ისინი არასასურველ შედეგებს, რომლებიც წარმოშობს ბენეფიციარებისთვის, საზოგადოებისა და თემისთვის საზიანო რისკებს? აღნიშნული პროგრამების ეფექტიანი შემუშავება, მონიტორინგი და შეფასება უზრუნველყოფს ღირებულ ინფორმაციას და დაგვეხმარება ამ შეკითხვებზე პასუხების მიღებაში. მონიტორინგისა და შეფასების განმარტება წარმოდგენილია ქვემოთ:

მონიტორინგი
„მონაცემების შეგროვების პროცესი სრული პროგრამის განმავლობაში, აღნიშნული პროცესის მანძილზე მაჩვენებლების შესაფასებლად და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების განსახორციელებლად."[226]

შეფასება
„პროგრამის სისტემატიური შეფასება, მისი გავლენისა და ეფექტიანობის განსაზღვრის ნიშნულების, სტანდარტებისა და მიზნების საფუძველზე."[227]

მონიტორინგი და შეფასება საშუალებას აძლევს პრაქტიკოს სპეციალისტებს, შეიტანონ ცვლილებები და გააუმჯობესონ პროგრამის განხორციელების პროცესი, გაიგონ, თუ რამდენად წარმატებული იყო ინიციატივები და აჩვენონ სხვებს სხვადასხვა მიდგომის საჭიროება.

ყველაზე ფართო მნიშვნელობით, აღნიშნული ორი ღონისძიების განხორციელება იწყება პროგრამის ან პოლიტიკის შემუშავებით. ამ დროს იგეგმება მონიტორინგისა და შეფასებისთვის საჭირო დრო და განხორციელების ფორმა, აგრეთვე განისაზღვრება აუცილებელი რესურსები. პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი უნდა იქნას სტრუქტურა, რომლის საფუძველზეც შემსრულებლები შეაფასებენ განხორციელებულ სამუშაოს და პროგრამის ან პოლიტიკის შედეგებს. მონიტორინგისა და შეფასების სტრუქტურის შექმნა ითვალისწინებს შემდეგ ელემენტებს:

- **ცვლილების თეორიის** ან ლოგიკური სტრუქტურის ფორმულირება, რომლის მიხედვითაც შესრულდება პროექტი, პროგრამა ან პოლიტიკა (იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილი თავი 10.1.1, ცვლილების თეორიის განმარტებასთან დაკავშირებით);
- ზოგადი ამოცანების (გავლენის), საბოლოო შედეგების (რეზულტატების), აქტივობებისა და შუალედური შედეგების განსაზღვრა;
- შემსრულებლების მიერ დასახული მიზნების მიღწევისა და ღონისძიებების შესრულების (მაჩვენებლების) შეფასება;
- მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების დროისა და ფორმის განსაზღვრა;
- მონიტორინგისა და შეფასებისათვის საჭირო რესურსების გამოყოფა.

[226] კრისტინა მატეი და სარა ცაიგერი, „Evaluate Your Countering Violent Extremism Results: Projecting Your Impact" („Hedayah"-ს ცენტრი, ივლისი, 2018 წ.), გვ. 7.
[227] იქვე.

რა თქმა უნდა, დაგეგმვის პროცესი იცვლება ანალიზის დონის მიხედვით. ეს კი პროცესს კიდევ უფრო ართულებს. მაგალითად, დიალოგის წარმართვის ხელშეწყობის საკითხებზე სასწავლო პროგრამის შეფასება განსხვავდება წარმატებით ჩატარებული დიალოგების რაოდენობის (და მასში მონაწილე მამაკაცებისა და ქალების რაოდენობის) მონიტორინგისგან. აღნიშნული ღონისძიებები აგრეთვე განსხვავდება კონკრეტულ საზოგადოებაში მოქალაქეებსა და პოლიციას შორის არსებულ ურთიერთობაზე პროგრამის ფარგლებში წარმართული დიალოგების შეფასებისგან. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პროგრამის სხვადასხვა დონის სხვადასხვა ტერმინით განსაზღვრა. ეს ტერმინებია: შუალედური შედეგები, საბოლოო შედეგები და გავლენა. ქვემოთ ჩვენ განვსაზღვრავთ ამ ტერმინებს და განვიხილავთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მონიტორინგისა და შეფასების სტრუქტურის სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებს.

შუალედური შედეგები

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ან გაწეული მომსახურების გაზომვადი პროდუქტები (როგორც წესი, აღრიცხული რაოდენობრივი მონაცემების სახით), რომლებიც ხშირ შემთხვევაში ფიქსირდება განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობის მიხედვით.[228]

შუალედური შედეგები წარმოადგენს პროგრამის, კონკრეტული ღონისძიებებისა და მომსახურების პირდაპირ შედეგს. შუალედური შედეგების მაგალითებია:

- მოწყვლადი ახალგაზრდების მიმართ გაწეული კონსულტაციები და ჩატარებული სწავლება;
- ადგილობრივი ინიციატივების დონეზე განხოციელებული პროექტები, შესაბამისი დაფინანსებითა და ტექნიკური მხარდაჭერით;
- საინფორმაციო კამპანიის მომზადება თემის ლიდერებისათვის, რადიკალიზაციის პრევენციის მიზნით.

მაგალითების ზემოაღნიშნულ ჩამონათვალთან გაცნობის შემდეგ, თქვენ ალბათ უკვე გაიგეთ, თუ როგორ იგეგმება შუალედური შედეგების შეფასების პროცესი, მაგალითად, სარეგისტრაციო ჟურნალების, გაწეული კონსულტაციებისა და ჩატარებული სწავლების, ხელშეკრულებებისა და ადგილობრივი ინიციატივების დონეზე განხორციელებილი პროექტებიდან ანგარიშების, აგრეთვე საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში წარმოდგენილი სტრატეგიის ამსახველი დოკუმენტების დახმარებით.

მაგრამ რატომ არის საჭირო კონკრეტულ პროექტში აღნიშნული ღონისძიებებისა და მომსახურებების გათვალისწინება? ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამები მოიცავს კონკრეტულ გარემოში ადამიანებისათვის კონკრეტული ღონისძიებებისა და მომსახურებების შეთავაზებას, რამაც უნდა გააუმჯობესოს არსებული სიტუაცია ამ ადამიანებისთვის, თემებისა და სისტემებისთვის. სწორედ ეს „გაუმჯობესება" შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც შუალედური შედეგებით გამოწვეული რეალობა და ვუწოდოთ მას საბოლოო შედეგი:

[228] ადაპტირებული მატეისა და ცაიგერის ნაშრომიდან, „Evaluate Your Countering Violent Extremism Results", გვ. 8.

საბოლოო შედეგები

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ან გაწეული მომსახურების ნებისმიერი შედეგი (როგორც წესი, აღრიცხული ხარისხობრივი გამოხატულების სახით), რომლებიც ხშირ შემთხვევაში გამოიხატება ქცევის ან დამოკიდებულების ცვლილებით.[229]

შედეგები შესაძლოა იყოს დაგეგმილი ან დაუგეგმავი, პირდაპირ ან არაპირდაპირ გამომდინარეობდეს თქვენი საქმიანობიდან. შედეგები შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. ეს გულისხმობს, რომ ყველა შედეგი ვერ დასრულდება „გაუმჯობესებით". გარკვეულ შემთხვევებში, არსებული მდგომარეობა შეიძლება გაუარესდეს კიდეც ადგილობრივ პირობებში. მაგალითად, შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ თქვენს მიერ პოლიციის განყოფილებაში ჩატარებული ტრენინგის შედეგად შეძენილ უნარებს, რომელიც ეხება პოლიციის საზოგადოებაზე ორიენტირებული ტაქტიკისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სწავლებას, აღნიშნული განყოფილება გამოიყენებს ქალაქში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლების ჩასახშობად. დაგეგმილი და დაუგეგმავი (როგორც დადებითი, ისე უარყოფითი) შედეგების მხედველობაში მიღება წარმოადგენს „ზიანის მიუყენებლობის" მიდგომის კარგ მაგალითს. ეს, საჭიროების შემთხვევაში, დაგეხმარებათ პროგრამის შეცვლასა და ახალი შესაძლებლობების გამოყენებაში. დაგეგმილი შედეგების მაგალითებია:

- ძალადობრივ ექსტრემისტულ ჯგუფებს ჩამოშორებული წევრები 6 თვიანი მხარდაჭერის პროგრამის შემდეგ აღარ უბრუნდებიან ჯგუფს;
- საზოგადოება სულ უფრო მეტად ენდობა ადგილობრივ მთავრობას და სჯერა, რომ იგი იცავს მათ ინტერესებს;
- ოჯახის წევრები, რომლებიც შეშფოთებულნი არიან ნათესავის პოტენციური რადიკალიზაციით, ითხოვენ დახმარებას.

ზემოაღნიშნული მაგალითების ჩამონათვალისთვის თვალის გადავლების შემდეგ, მიიჩნევთ თუ არა, რომ მითითებული შედეგების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სხვადასხვა პროექტის ან ერთი და იმავე პროექტის ფარგლებში? წარმოადგენენ თუ არა ისინი პროგრამის მთავარ მიზანს? რა თქმა უნდა, პროგრამას შეიძლება სხვადასხვა შედეგი მოჰყვეს. ეს შედეგები შეავსებენ და კიდევ უფრო სრულყოფენ ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, ყველა მათგანი გრძელვადიან მიზანს ემსახურება, რომელსაც პროგრამისთვის უმთავრესი მნიშვნელობა გააჩნია. მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების შეხედულებების გაუმჯობესების შედეგები შესაძლოა მიმართული იყოს მოქალაქეებსა და ადგილობრივ ლიდერებს შორის არსებული ურთიერთობების გაუმჯობესებისკენ, კონკრეტულ თემებს შორის თანამშრომლობის გაფართოებისკენ, აგრეთვე (იმ შემთხვევაში, თუ ცუდი ურთიერთობები განისაზღვრა ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელ ფაქტორად) რადიკალიზაციის გამომწვევ ნარატივებთან და დინამიკასთან გამკლავებისკენ. პროგრამის შედეგების გრძელვადიან რეზულტატს ეწოდება გავლენა.

გავლენა

„გაზომვადი ეფექტი ან ცვლილება, რომელსაც პროგრამა ახდენს სამიზნე მოსახლეობაზე [და] შეიძლება იყოს დაგეგმილი ან დაუგეგმავი, პირდაპირი ან არაპირდაპირი".[230]

[229] ადაპტირებული მატეისა და ცაიგერის ნაშრომიდან, „Evaluate Your Countering Violent Extremism Results", გვ. 7.
[230] მატეი და ცაიგერი, „Evaluate Your Countering Violent Extremism Results", გვ. 7.

ხშირად პროგრამის მთავარ მიზანს დაგეგმილი ზემოქმედება წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, პროგრამებისა და პოლიტიკის ზემოქმედება შესაძლოა ასევე იყოს დაუგეგმავიც. ზემოქმედება შეიძლება გააძლიეროს ან შეცვალოს სხვა ფაქტორებმაც, როგორიცაა ცვალებადი გარემოებები ან სხვა პროგრამების თუ ახალი სამთავრობო პოლიტიკის გავლენა, რასაც ადგილი ექნება საბოლოო შედეგების ხშირი დამთხვევის შემთხვევაში. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებსა და პოლიტიკის ფარგლებში ყველაზე გავრცელებულ გავლენას (დაგეგმილს) წარმოადგენს „ცალკეული პირებისა და თემების მედეგობის განმტკიცება ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ" ან „ძალადობრივი ექსტრემისტების მხარდაჭერის ან იერიშების ინტენსივობის შემცირება". ხშირად პროგრამის დაგეგმილ გავლენას განსაზღვრავენ დონორები, დაფინანსების შეთავაზებისას, ან მთავრობები, სამოქმედო გეგმის ან სტრატეგიის შემუშავებისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ასე შემთხვევებში მიზანშეწონილი იქნება თქვენი საკუთარი მოკლევადიანი გავლენის განსაზღვრა.

როგორც თითოეულ განმარტებაშია მითითებული, მონიტორინგისა და შეფასების ყოველი დონე - იქნება ეს გამოსავალი, შედეგები თუ გავლენა - შედეგების დემონსტრირებისთვის მოითხოვს გარკვეული სახის გაზომვის საშუალებებს. გაზომვის საშუალებები განისაზღვრება სპეციალურად დაგეგმილი შედეგების თითოეული დონისათვის და მათ მაჩვენებლებს უწოდებენ.

პროექტის შუალედური შედეგები, საბოლოო შედეგები და გავლენა იზომება მაჩვენებლებით (იხილეთ თავი 10.4.2 - კარგი მაჩვენებლების შემუშავების პრინციპები).

მაჩვენებლები

ცვლილებების ტიპებისა და პროცესების გაზომვა, როგორიცაა შეხედულებები, ქცევები და ურთიერთობები;[231]

[231] ეს განმარტება აღებულია "Hedayah"-ს ცენტრის მასალებიდან.

10.1.1. ცვლილებების თეორია

მონიტორინგისა და შეფასების ზემოთ აღწერილი სხვადასხვა დონე შეიძლება მოგეჩვენოთ დამაბნეველად, შესაბამისად, ვერ გაერკვიოთ, რომელი მოქმედება ან ცვლილება რომელ შედეგს იწვევს. აქედან გამომდინარე, პრაქტიკოსი სპეციალისტები ამ ცვლილებების ილუსტრირების მიზნით იყენებენ სტრუქტურას, რომელსაც ცვლილებების თეორია ეწოდება:

ცვლილებების თეორია
ღონისძიებებიდან წინასწარ განსაზღვრულ, შუალედურ შედეგებამდე, შემდგომ საბოლოო შედეგებამდე დაბოლოს, დაგეგმილ ზემოქმედებამდე არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირების განმარტება. ცვლილებების თეორიები ხშირად იყენებს ლოგიკურ მოდელებს ან წარმოდგენილია ცალკე, მკაფიო განაცხადის სახით. ცვლილებების თეორიის შექმნის უამრავი გზა არსებობს, მაგრამ ყველაზე მარტივ გზას წარმოადგენს ერთი წინადადების ან მოკლე აბზაცის დაწერა, რომელიც დაიწყება სიტყვით „თუ". ცვლილებების თეორიის სტრუქტურის მაგალითია:

1. **თუ** რაიმე შეიცვლება ან მოხდება (საბოლოო შედეგები)
2. **მაშინ** ადგილი ექნება დაგეგმილ ზემოქმედებას (გავლენა)
3. **რადგან** ისინი ერთმანეთთან ამ გზით იქნება დაკავშირებული (მიზეზშედეგობრივი კავშირი)

ეს სტრუქტურა შესაძლოა განსხვავებულად ჩამოყალიბდეს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამის შემთხვევაში: **თუ** (საბოლოო შედეგები) მიიღწევა, **მაშინ** ადგილი ექნება (გავლენას), **რადგან** (ისინი შეამცირებს ან აღმოფხვრის ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელ ფაქტორებს / ეს შედეგები წარმოშობს მედეგობას ძალადობრივი ექსტრემიზმის იდეების მიმართ).

მოდით, განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი. პირველი ორი მაგალითი შეეხება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების შესახებ არსებულ ცვლილებების თეორიებს, რომლებიც შეაფასა მშვიდობისმყოფელთა ალიანსმა. მათი ადაპტირება შესაძლებელია რამდენიმე კონტექსტსა და პროგრამაში:

> **თუ** რისკის წინაშე მყოფი [მოწყვლადი] ახალგაზრდები ჩათვლიან, რომ მათ გააჩნიათ საკმარისი უფლებამოსილება და შესაძლებლობა, შეცვალონ საკუთარი საზოგადოება მშვიდობიანი მექანიზმებით, **მაშინ** ისინი ნაკლებად იქნებიან მიდრეკილნი ძალადობრივ ექსტრემიზმში ჩართვისკენ ან მისი მხარდაჭერისკენ.[232]
>
> **თუ** განსხვავებული ჯგუფის წევრები ისარგებლებენ საკუთარი შეხედულებებისა და სამომავლო ურთიერთობების სტრატეგიების ერთმანეთთან განხილვის შესაძლებლობით, **[მაშინ]** ისინი უფრო ტოლერანტული იქნებიან ერთმანეთის მიმართ და ნაკლებად დაუჭერენ მხარს ძალადობრივ ექსტრემიზმს, სხვა იდენტობის ჯგუფებთან შედარებით უპირატესობის მოპოვების მიზნით.[233]

ცვლილებების ზემოაღნიშნული ორი თეორიის დასასრულს არაა წარმოდგენილი „რადგან" ნაწილი, რომელიც განმარტავდა, თუ რატომ გამოიწვია საბოლოო შედეგებმა დაგეგმილი გავლენა. შეგიძლიათ დაასრულოთ ეს ნაწილი?

[232] ემილი მაიერსი და ელიზაბეტ ჰიუმი, „Peacebuilding Approaches to Preventing and Countering Violent Extremism: Assessing the Evidence for Key Theories of Change" (ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: მშვიდობისმყოფელთა ალიანსი, 2018 წ.), გვ. 7. ყურადღება გამახვილებულია ავტორის მიერ.
[233] იქვე, გვ. 9. ყურადღება გამახვილებულია ავტორის მიერ.

ბოლო მაგალითი არის ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების მასშტაბური პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი ცვლილებების თეორია, რომელიც კენიაში განხორციელდა. იგი განსხვავებული ფორმატისაა, თუმცა მოიცავს სამივე კატეგორიას და პროგრამის ზოგიერთ შუალედურ შედეგს:

ამ [ახალგაზრდული] პროგრამის მიზანია ახალგაზრდების შესაძლებლობებისა და უფლებების გაფართოება მათთვის ლიდერობის, სამოქალაქო ჩართულობის, უნარების განვითარებისა და განათლების მიღების შესაძლებლობების შექმნის გზით (მათ შორის, ინგლისური ენის სწავლება [რელიგიური სკოლების მოსწავლეებისთვის], რათა მათ შეძლონ კენიის საზოგადოებაში უკეთ ინტეგრირება). გაზრდილი შესაძლებლობებისა და უფლებების წყალობით, ახალგაზრდები იქნებიან მედეგნი და ნაკლებად აღმოჩნდებიან ძალადობრივი ექსტემისტული ჯგუფების მიერ გადაბირების რისკის წინაშე.[234]

შეგიძლიათ ცვლილებების ამ თეორიის ჩამოყალიბება ერთ წინადადებაში, "თუ", "მაშინ" და "რადგან" ფრაზების გამოყენებით?

ცვლილების თეორიაში აღწერილი პროცესის ვიზუალურად გამოსახვა შესაძლებელია ე.წ. ლოგიკურ სტრუქტურის (ან ლოგიკური ჩარჩო) სახით. ქვემოთ წარმოდგენილი მარტივი ლოგიკური მოდელი აღწერს ცვლილებების თეორიას:



უფრო დახვეწილი ლოგიკური ჩარჩო შეიცავს მაჩვენებლებსაც.

ამ თავში თქვენ გაეცანით მონიტორინგისა და შეფასების სტრუქტურის საფუძვლებს. შემდეგ თავებში ჩვენ განვიხილავთ იმ სირთულეებს, რომლებიც ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად წარმოიშვება, აგრეთვე სხვა სფეროებში ამ სირთულეების აღმოფხვრის მაგალითებს დაბოლოს, მონიტორინგისა და შეფასების მოწინავე მეთოდებს.

[234] ლინ კარტერი და ფილის დინინიო, „An Inventory and Review of Countering Violent Extremism and Insurgency Monitoring Systems" (ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო, 10 დეკემბერი, 2012 წ.), გვ. 5.

10.2. რამდენად რთულია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამის მონიტორინგი და შეფასება?

მიიჩნევთ თუ არა, რომ თქვენს გარემოში განხორციელდა საკმარისი მონიტორინგისა და შეფასების ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში მოწინავე მეთოდების მტკიცებულებათა ბაზის შექმნას? რამდენად განსაზღვრავს აღნიშნული მტკიცებულებათა ბაზა ზოგიერთი ღონისძიების ეფექტიანობას თქვენს გარემოში? მიუთითეთ დადებითი და უარყოფითი პასუხის მიზეზები. როგორ შეგიძლიათ ამის დადგენა?

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებისა და პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასების სიმცირე ხშირად წარმოადგენს კრიტიკის საგანს. გარკვეულ შემთხვევებში, აკრიტიკებენ მათ დასკვნებსაც, რადგან ვერ მოხერხდა საკმარისი ფაქტების წარმოადგინა პროექტების წარმატების ან სამიზნე საზოგადოების მიმართ მისი ზიანის დასადასტურებლად. აღნიშნული უარყოფითი მხარეები არაა წინასწარ განზარხული, არამედ წარმოადგენს რიგი ფაქტორების შედეგს, რომლებიც ამ ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების პროცესს ძალიან ართულებენ:

- მონიტორინგი და შეფასება საკმაოდ ძვირადღირებულ ღონისძიებებს წარმოადგენს, რაც ნიშნავს, რომ მცირე ორგანიზაციები მას ფინანსურად ვერ გაწვდებიან;
- ამასთან, მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს ტექნიკური ხასიათის ღონისძიებებს და მოითხოვს სათანადო სწავლებასა და უნარებს (ხშირად სპეციალურად მომზადებული თანამშრომლების ან დაქირავებული ფირმების მიერ);
- ბენეფიციარების მოზიდვის მიზნით, პროგრამებს ყოველთვის არ მოიხსენიებენ „ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების" სახელწოდებით; ეს ართულებს შედეგებსა და დაგეგმილ ზემოქმედებას შორის არსებული კავშირების ანალიზს;
- პროგრამებს ხშირად აქვს ბევრი შუალედური შედეგი, ეს ართულებს კონკრეტული შუალედური შედეგის დაკავშირებას კონკრეტულ საბოლოო შედეგთან და გავლენასთან. აღნიშნულს ხსნიან იმ ფაქტით, რომ პროგრამებისგან დამოუკიდებელი, გარეშე ფაქტორები გავლენას ახდენს საბოლოო შედეგებსა და გავლენაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროსა და საქმიანობის სხვა სფეროებს შორის თითქმის შეუმჩნეველი საზღვრები არსებობს;

- ამასთან ერთად, ცვლილებები ატარებს დინამიურ ხასიათს და ძალიან იშვიათად ვითარდება სწორხაზოვნად, განსაკუთრებით კონფლიქტებითა და ძალადობრივი ექსტრემიზმით დაზარალებულ გარემოში. აღნიშნული დინამიური ცვლილებები შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მონიტორინგის ინსტრუმენტებთან და ლოგიკურ მოდელებთან, რომლებიც ნაკლები მოქნილობით ხასიათდება;

- ცვლილებას შეიძლება დასჭირდეს უფრო ხანგრძლივი დრო და უამრავი პროექტი მაშინ, როცა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების უმრავლესობა მოკლევადიანია;

- გარდა ამისა, პროგრამების შემუშავების პროცესი შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისად მოქნილი ცვალებად გარემოზე რეაგირების ან ახალი შესაძლებლობების გამოყენების თვალსაზრისით. პროგრამის ცვლილების შემთხვევაში, მისი მონიტორინგი და შეფასება აგრეთვე უნდა იყოს მოქნილი და ადაპტირებადი;

- ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება უკავშირდება ქცევისა და განწყობის ცვლილებებს, რისი გაზომვაც მარტივი არაა (გარეშე დაკვირებებით ან ბენეფიციარების გამოკითხვით);

- ძალადობრივი ექსტრემიზმი წარმოადგენს საკმაოდ სენსიტიურ თემას, რაც ართულებს მასთან დაკავშირებით გამოკითხვის ჩატარებას. ბენეფიციარებმა და საზოგადოების წევრებმა დასმული შეკითხვები შეიძლება აღიქვან სადაზვერვო სამსახურების მიერ ინფორმაციის მოპოვების პროცესად;

- ძალადობრივი ექსტრემიზმი შედარებით იშვიათად გვხვდება, შესაბამისად რთულია მცირე მაშტაბის მოვლენებსა და პატარა ჯგუფებზე დაკვირვებით ცვლილებებისა და პროგრესის იდენტიფიცირება.

10.3. სხვა სფეროებიდან რომელი იდეები დაგვეხმარება ამ პრობლემების გადაჭრაში?

ზემოთ ჩამოთვლილი მონიტორინგისა და შეფასები ხელის შემშლელი ფაქტორები მხოლოდ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში არ გვხვდება. მართლაც, მოსაზრება იმის შესახებ, რომ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება იმდენად უნიკალურია, რომ არ უნდა დაეფუძნოს სხვა სფეროში მიღებულ გამოცდილებას მცდარია და ამგვარმა მიდგომამ შეიძლება ხელი შეუშალოს პრაქტიკოს სპეციალისტებსა და მკვლევრებს სხვა სფეროებში მიღებული ცოდნის გამოყენებაში. მაგალითად, დანაშაულის ხანგრძლივი პრევენციის სფეროში წარმოდგენილია არაერთი გაკვეთილი, რომელთა გამოყენებაც თავისუფლად შეგვიძლია ძალადობრივი ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში. მათ შორის აღსანიშნავია თანამშრომლობაზე დაფუძნებული, არა-უსაფრთხოებაზე ორიენტირებული მიდგომების სარგებელი ადგილობრივი პრობლემების გადასაჭრელად და შესაფასებლად. რეალურად, მონიტორინგისა და შეფასების პროცესებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა განვითარების პროგრამების შემუშავების სფერომ, მათ შორის პროგრამის ფარგლებში ამ პროცესების ადრეული ეტაპიდანვე გათვალისწინების საჭიროებამ.[235]

[235] ლორა დოუსონი, ჩარლი ედვარდსი და კალუმ ჯეფრი, „Learning and Adapting: The Use of Monitoring and Evaluation in Countering Violent Extremism" (ლონდონი: გაერთიანებული სამეფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კვლევების გაერთიანებული სამსახურების სამეფო ინსტიტუტი, 2014 წ.), გვ. 87.

ე.წ "პრევენციის პრობლემამ" სხვა სფეროებშიც იჩინა თავი, რადგან გარკვეული ქმედებების (მაგალითად რადიკალიზაცია და გადაბირება) პრევენციის ფაქტების დამტკიცება საკმაოდ რთულია.[236] თუმცა, მშვიდობის დამყარებისა და კონფლიქტების მოგვარების სფეროები საკმაოდ ეფექტიან და პრაქტიკულ გამოსავალს პოულობენ აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად. მაგალითად, ამ პროგრამების შეფასება ხშირად მოითხოვს უფრო მოქნილ ჩარჩოს იმისათვის, რომ კარგად გაანალიზდეს გარეშე ფაქტორების ზემოქმედება უფრო მასშტაბურ გარემოზე (ან კონფლიქტის სისტემაზე). ეს შესაძლებელია სპეციალური მაჩვენებლების, ე.წ. **„კონტექსტური მაჩვენებლების"** გამოყენებით. აღნიშნული მაჩვენებლები უზრუნველყოფენ მონიტორინგს „იმ გარემოში მიმდინარე ძირეულ ცვლილებებზე, სადაც სრულდება პროექტი, და უკავშირდება [ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების] დინამიკას. აღნიშნული გავლენას ახდენს პროექტის ეფექტიანობაზე ან უზრუნველყოფს ახალ შესაძლებლობებს."[237] ეს განსაკუთრებით ეფექტიანი იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ძალადობრივი ექსტრემიზმის პრობლემის უფრო ფართო ჭრილში განხილვის აუცილებლობა იმისათვის, რომ ყურადღება გამახვილდეს არა მხოლოდ ძალადობრივი ექსტრემისტების ჯგუფებზე, არამედ სხვა შეიარაღებულ ჯგუფებში მიმდინარე ცვლილებებზეც, საზოგადოების დინამიკაზე და ზოგ შემთხვევაში „მთავრობის მიერ მხარდაჭერილ ძალადობრივ პოლიტიკურ დღის წესრიგიც კი". ყოველივე ამას შეუძლია გამოიწვევს ან გავლენა იქონიოს რადიკალიზაციის პროცესზე.[238]

კიდევ ერთი სასარგებლო ინსტრუმენტი, რომელსაც მშვიდობისმყოფელობის და პრაქტიკის სხვა სფეროებში იყენებენ, არის **არაპირდაპირი მაჩვენებელი**. ეს არის განსაკუთრებული ტიპის მაჩვენებელი, რომელიც იძლევა იმ ყველაზე რთულად გასაზომი ცვლილებების შეფასების შესაძლებლობას, რომლებიც ატარებს კომპლექსურ ხასიათს ან ეფუძნება რწმენებსა და შეხედულებებს. არაპირდაპირი მაჩვენებელი აკვირდება თანმხლებ ნიშნებს (თუმცა არაპირდაპირი ხასიათის) და განსაზღვრავს, აქვს თუ არა ადგილი კომპლექსურ და ძნელად გასაზომ ცვლილებებს. მაგალითად, პოტენციური არაპირდაპირი მაჩვენებლების გამოყენება შეიძლება მიზანშეწონილი იყოს პოზიტიური ცვლილების მტკიცებულების მისაღებად ისეთ კომპლექსურ პრობლემებთან მიმართებით, როგორიცაა მარგინალიზაცია. აღნიშნული არაპირდაპირი მაჩვენებლები მოიცავს:

- სამიზნე (მარგინალიზირებული) თემში იმ წევრთა რიცხვის გაზრდას, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ადგილობრივი მთავრობა ისმენს მათ პრობლემებს და იცავს მათ ინტერესებს;
- არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობის გაზრდას, განსაკუთრებით მეზობელი („არამარგინალიზებული") თემების მონაცემებთან შედარებით;
- სამიზნე თემში ფორმალური და არაფორმალური სამოქალაქო საზოგადოების ახალგაზრდული ორგანიზაციების რაოდენობის გაზრდა.

დაასახელეთ მარგინალიზაციის სფეროში ცვლილების სხვა პოტენციური მაჩვენებლები, რომელთა გამოყენებაც რეკომენდებული იქნება თქვენს გარემოში?

როგორ შეაგროვებდით საჭირო ინფორმაციას ამ ცვლილების გასაზომად?

[236] ლილი რისი და ანიტა ერნსტორფერი, „Borrowing a Wheel: Applying Existing Design, Monitoring, and Evaluation Strategies to Emerging Programming Approaches to Prevent and Counter Violent Extremism", ცნობარი (მშვიდობისმყოფელობის შეფასების კონსორციუმი, 2017 წ.), გვ. 4.
[237] ლუსი ჰოლდაუეი და რუთ სიმფსონი, „Improving the Impact of Preventing Violent Extremism Programming: A Toolkit for Design, Monitoring and Evaluation" („International Alert" გაეროს განვითარების პროგრამა, 2018 წლის მარტი), გვ. 67.
[238] რისი და ერნსტორფერი, „Borrowing a Wheel", გვ. 4.

10.4. რომელია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების მოწინავე მეთოდები?

ამ მოდულში ჩვენ განვიხილეთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში მონიტორინგისა და შეფასების ღონისძიებებთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები და მათი მახასიათებლებები. აღნიშნული საკითხის დეტალურად განხილვა ამ სახელმძღანელოს ფარგლებს სცდება. მიუხედავად ამისა, გთხოვთ, გაეცნოთ დამატებით მასალებს თავში 10.6 – „სწავლის დამატებითი შესაძლებლობები".

მონიტორინგის და შეფასების პროცესის მხარდაჭერის ტექნოლოგიური პლატფორმები

ამ ტიპის პროგრამებისა და პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასების მხარდაჭერის მიზნით შემუშავებულ იქნა რამდენიმე ონლაინ და ტექნიკური ინსტრუმენტი:

MASAR: MASAR წარმოადენს სმარტფონების, პლანშეტებისა და პერსონალური კომპიუტერების აპლიკაციას, რომელიც პრაქტიკოს სპეციალისტებს ეხმარება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებისა და პროექტების მონიტორინგისა და შეფასების დაგეგმვაში. აპლიკაცია სთავაზობს მომხმარებლებს სიღრმისეულად შემუშავებულ პროცესს, რაც მათ პროგრამის შექმნაში დაეხმარება. იგი აგროვებს ინფორმაციას თქვენი პროგრამის შესახებ და უწევს რეკომენდაციას იმ რესურსებს, რომლებიც გამოგადგებათ მიზნებისა და ამოცანების, მაჩვენებლების, მონაცემების შეგროვების მეთოდებისა და საბოლოო შეფასების შემუშავებაში. MASAR ასევე წარმოადგენს მონიტორინგისა და შეფასების სფეროში გამოყენებული ტერმინების „სმარტ" ცნობარს. აღნიშნული ცნობარი შეიცავს ბმულებს იმ რესურსებთან, რომლებიც უფრო დეტალურად განსაზღვრავენ შესაბამის ტერმინს. დამატებით, აპლიკაცია მომხმარებლებს სთავაზობს წვდომას სხვადასხვა სიტუაციურ მაგალითზე და შესაძლებლობას გააზიარონ საკუთარი პროგრამა. MASAR-ის გამოყენებით, მომხმარებლები შეძლებენ ლოგიკური ჩარჩოს შექმნას, რომელიც ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების ყველა შუალედურ და საბოლოო შედეგს და გავლენას გრაფიკულად გამოსახავს.

MASAR აპლიკაცია შექმნა „Hedayah"-ს ცენტრმა და გაერთიანებული სამეფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კვლევების გაერთიანებული სამსახურების სამეფო ინსტიტუტმა (RUSI), აპლიკაციის პროგრამული უზრუნველყოფა მოახდინა სააგენტომ - 21 Unicorns. გარდა ამისა, აპლიკაციის შექმნაში საკუთარი წვლილი შეიტანა კანადის მთავრობამ, ავსტრალიის საგარეო საქმეთა და სავაჭრო დეპარტამენტმა, ესპანეთის მთავრობამ და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ.[239]

MASAR-ის გამოყენება შესაძლებელია ონლაინ, შემდეგ ბმულზე https://secure.masar.tech/, ხოლო მობილური აპლიკაციის ჩამოტვირთვა შეგიძლიათ ამ ბმულებზე:

iOS: https://itunes.apple.com/ae/app/masar-app/id1347936215?mt=8

Android: https://play.google.com/store/apps/details?id=com.hedayah.masar

[239] დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://www.hedayahcenter.org

პლატფორმა **DM&E for Peace:** პლატფორმას DM&E for Peace მართავს არასამთავრობო ორგანიზაცია „Search for Common Ground" პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად. ეს პლატფორმა წარმოადგენს მონაცემების გაზიარების ცენტრს მკვლევრებისა და პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის. ისინი ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ კვლევებსა და შეფასებებს სხვადასხვა თემაზე, მაგალითად, განვითარების, მშვიდობისა და უსაფრთხოების თემაზე, მათ შორის ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების საკითხებზე. პლატფორმაზე რეგულარულად ათავსებენ ვებინარებს მონიტორინგისა და შეფასების ახალი და ინოვაციური მეთოდების შესახებ; აქვე წარმოდგენილია თანამშრომლების წახალისებასა და ინოვაციების დანერგვაზე მიმართული სხვა პროგრამებიც, მათ შორის, სწავლების პროგრამა.

პლატფორმა DM&E for Peace წარმოდგენილია ბმულზე: http://www.dmeforpeace.org/ **[ინგლისურად]**

ორანიზაციის **„IMPACT Europe"** მიერ შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების ნაკრები: ორგანიზაციამ „IMPACT Europe" შეიმუშავა ელექტრონული ინსტრუმენტების ნაკრები იმ პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის, რომლებიც მუშაობენ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში. აღნიშნული კრებული მოიცავს ბეჭდურ სახელმძღვანელოს და ინსტრუქციებს მომხმარებლებისათვის პლატფორმის სამი მთავარი კომპონენტის სახით:

1) შეფასების სახელმძღვანელო, უზრუნველყოფს დახმარებას ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებების შემუშავებასა და შეფასებაში;

2) ჩარევის ღონისძიებების მონაცემთა ბაზა მოიცავს პროექტების მაგალითებს და ამ სფეროში წარმოდგენილ პრაქტიკულ მეთოდებს,

3) მიღებული გაკვეთილების თავი, რომელშიც განიხილება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში უკვე განხორციელებული პროექტების შეფასებები და ამ პროექტებიდან მიღებული გამოცდილება.

ორგანიზაციის „IMPACT Europe" შეფასების ინსტრუმენტთა კრებული წარმოდგენილია ბმულზე: http://www.impact.itti.com.pl/index#/home **[ინგლისურ და ფრანგულ ენებზე]**

მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგისა და შეფასების თემას ამ სახელმძღვანელოში სრულად ვერ ამოვწურავთ, ამ მოდულში განვიხილავთ რიგ სახელმძღვანელო პრინციპებსა და მოწინავე მეთოდებს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების სფეროში. აღნიშნული პრინციპები შემუშავებულია „Hedayah"-ს ცენტრის მიერ და ეფუძნება ამ სფეროში არსებულ მოწინავე მეთოდებს. ამასთან, ეს პრინციპები დაფუძნებულია იმ იდეაზე, რომ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამის მონიტორინგი, გაზომვა და შეფასება უნდა იყოს:

1. **დაფუძნებული თვალსაჩინო მიზნებზე:** ნებისმიერი სხვა კარგი შეფასების მსგავსად, ეს შეფასება უნდა იყოს დაკავშირებული პროექტის ან პროგრამის მიზნებთან და ამოცანებთან.

2. **პრაქტიკული:** შეფასება არ წარმოადგენს თვით-მიზანს - შედეგების საშუალებით უნდა მოხდეს პროექტთან ან პროგრამასთან დაკავშირებული **გადაწყვეტილებების მიღება.**

3. **მიღწევადი:** თავად შეფასება არ უნდა მომზადდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს მხოლოდ **შედეგების მიღება**, მიუხედავად სამუშაო გარემოში არსებული დაბრკოლებებისა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძირითადი მაჩვენებლების შემუშავებისას და მათი გაზომვის გზების განსაზღვრისას.

4. **სარწმუნო:** შეფასების შემუშავება და ანალიზი უნდა დაეფუძნოს **ხარისხიან მონაცემებსა და ანალიზს**.[240]

[240] მატეი და ცაიგერი, „Evaluate Your Countering Violent Extremism Results", გვ. 5. ყურადღება გამახვილებულია ავტორის მიერ.

10.4.1. პროგრამებისთვის ლოგიკური მოდელების შემუშავების ეტაპები

ამ მოდულის წინა თავში განისაზღვრა ცვლილებების თეორიის კონცეფცია და განიმარტა მისი როლი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებების შემუშავების, მონიტორინგის და შეფასების პროცესში. ქვემოთ წარმოდგენილი ეტაპები დაგეხმარებათ ცვლილებების თეორიის ან კიდევ უფრო რთული ლოგიკური მოდელის შემუშავებაში, აგრეთვე პროგრამების მონიტორინგისა და შეფასებისთვის აღნიშნული სტრუქტურის გამოყენებაში:

1. განსაზღვრეთ პრობლემა ან საჭიროება, რომელზე მუშაობაც გსურთ თქვენი პროგრამის დახმარებით, აგრეთვე სამიზნე ჯგუფი ან ჯგუფები, რომელთაც გინდათ, რომ თქვენი პროგრამით მიაწვდინოთ ხმა;

2. შეიმუშავეთ ცვლილებების თეორია პრობლემის ეფექტიანად გადაჭრის ან საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით;

3. განსაზღვრეთ აქტივობები, შუალედური და საბოლოო შედეგები, და საერთო მიზანი (გავლენა);

4. განსაზღვრეთ ძირითადი მაჩვენებლები და წარმატების გაზომვის საშუალებები დასახული მიზნებისა და ამოცანების საფუძველზე;

5. განსაზღვრეთ სასურველი ინფორმაციის შეგროვების ინსტრუმენტები და მეთოდები, აგრეთვე ამისათვის საჭირო ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსები;

6. გამოიკვლიეთ, თუ რამდენად აქვს პერსონალს ინფორმაციის შეგროვების, ამ მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებისთვის საჭირო შესაძლებლობები, ძირითადი მაჩვენებლების გასაზომად;

7. პროგრამის საწყის და ბოლო ეტაპზე შეაფასეთ შედეგები შეგროვებული მონაცემების საფუძველზე და დაახარისხეთ ისინი შუალედური შედეგების, საბოლოო შედეგებისა და გავლენის კატეგორიების მიხედვით.[241]

[241] ადაპტირებულია მატეის და ცაიგერის ნაშრომიდან, „Evaluate Your Countering Violent Extremism Results", გვ. 9.

10.4.2 შესაბამისი მაჩვენებლების შემუშავება

ამ მოდულში განსაზღვრულია ტერმინი „მაჩვენებლები" და მათი გამოყენების მეთოდები პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. ასევე წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის მაჩვენებლების აღწერა და მითითებულია, კონკრეტულად რას აკვირდებიან ისინი:

ეფექტიანობის მაჩვენებლები
მათი საშუალებით იზომება პროგრამის აღსრულება დაგეგმილ შედეგებსა და მიზნებთან მიმართებით შუალედური შედეგების, საბოლოო შედეგების და გავლენის დონეებზე;

პროცესის მაჩვენებლები
ისინი აფასებს პროცესების ხარისხს და არა მოქმედების შედეგებს; აღნიშნული მაჩვენებლები ეფექტიანია ცვლილების ხარისხის კვლევისას და არა მხოლოდ ცვლილების ფაქტის დასადგენად;

კონტექსტური მაჩვენებლები
მათი დახმარებით აკვირდებიან მომხდარ ცვლილებებს იმ გარემოში, სადაც ხორციელდება პროექტი. აღნიშნული ცვლილებები დაკავშირებულნი არიან ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების დინამიკასთან, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს პროექტის ეფექტიანობაზე ან გამოავლინოს ახალი შესაძლებლობები;

არაპირდაპირი მაჩვენებლები
შეისწავლიან შესაბამის (თუნდაც არაპირდაპირ) ნიშნებს, რომლებიც მიანიშნებს, ჰქონდა თუ არა ადგილი კომპლექსურ ან რთულად გასაზომ ცვლილებებს.

შეგიძლიათ ჩამოთვალოთ თითოეულ მაჩვენებელთან დაკავშირებული იდეები, რომელთა განხორციელებასაც ისურვებდით თქვენს გარემოში? რაცომ ფიქრობთ, რომ ეს ცვლილებები მნიშვნელოვანია?

მიუხედავად მაჩვენებლების იმ ტიპისა, რომელსაც აირჩევენ პროექტის მონიტორინგისა და შეფასებისთვის, ყველაზე მიზანშეწონილ მაჩვენებლებს (რომლებსაც ხშირად „ძირითად მაჩვენებლებსაც" უწოდებენ) წარმოადგენს ის მაჩვენებლები, რომლებიც:

1. დაკავშირებულია პროგრამის ან პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან;

2. გააჩნიათ გარკვეული მნიშვნელობა პროგრამასთან ან პროექტთან დაკავშირებით (ასახავს მიზნებსა და ამოცანებს);

3. იზომება ხელთ არსებული მონაცემების და პროგრამისა თუ პროექტისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის საფუძველზე;

4. გააჩნიათ კულტურული და ადგილობრივი მნიშვნელობა პროგრამისა თუ პროექტისთვის;

5. სენსიტიურია ცვლილების მიმართ;

6. შეზღუდულია დროსა და სივრცეში;

7. შესაძლებლობის შემთხვევაში, სრულყოფილად ითვალისწინებს მიზნებსა და ამოცანებს;

8. საკმაოდ ეფექტიანია ხარჯისა და დროის თვალსაზრისით იმისათვის, რომ უზრუნველყოს გაზომვა ხელმისაწვდომი რესურსების საფუძველზე.[242]

[242] მატეი და ცაიგერი, „Evaluate Your Countering Violent Extremism Results", გვ. 24.

10.4.2. შესაბამისი მაჩვენებლების შემუშავება

თუმცა მაჩვენებლები არ წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას პროექტის მონიტორინგისა და შეფასებისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ სფეროში შესაძლებელია სხვადასხვა ინსტრუმენტის, მაგალითად, ანგარიშების, პირისპირ შეხვედრების, განხორციელებულ ღონისძიებებზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ან საზოგადოების რეაქციის ანალიზის, ინტერვიუების, ფოკუს-ჯგუფის განხილვებისა და უამრავი სხვა ინსტრუმენტის გამოყენება. ერთის მხრივ, პროექტის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია ციფრები და სხვა სახით წარმოდგენილი მაჩვენებლები (აღსანიშნავია, რომ ყველა მაჩვენებელი არ იზომება ციფრებით), თუმცა აღნიშნული პროცესები უფრო ეფექტიანია იმ შემთხვევაში, როცა ისინი დაკავშირებულია უფრო თვისობრივ ძალისხმევებთან. მაგალითად, პოლიციის ოფიცრებთან საზოგადოების დიალოგის პროგრამის სიღრმისეულმა განხილვამ შეიძლება მოგვცეს სხვადასხვა ინფორმაცია, მათ შორის მიზეზები, თუ რატომ არ ესწრებოდნენ პოლიციელები შეხვედრებს უფრო ხშირად ან რა გავლენა მოახდინა პროგრამამ სხვა სფეროებში მათ მუშაობაზე. ფოკუს-ჯგუფების მუშაობამ საზოგადოების წევრების მონაწილეობით, როგორც ღონისძიების დაწყების წინ, ისე მისი განხორციელების შემდეგ, შეიძლება გამოავლინოს, თუ რამდენად შეიცვალა საზოგადოების შეხედულებები და რა დაეხმარა მონაწილეებს, ეგრძნოთ თავი უსაფრთხოდ და ღიად ესაუბრათ პოლიციის თანამშრომლებთან. ამ ტიპის თვისობრივი ინფორმაცია შეიძლება იყოს უაღრესად მნიშვნელოვანი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროექტების წარმატებით მონიტორინგისა და შეფასებისთვის.

დაბოლოს, მოდულის დასასრულს წარმოვადგენთ ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების სფეროში მოწინავე მეთოდების რამდენიმე კარგ მაგალითს:

- ღონისძიებების შემუშავების პროცესი დაიწყეთ საზოგადოების საჭიროებების და გარემოს განსაზღვრით;
- სათანადო ყურადღება დაუთმეთ კონფლიქტს და ყველა დონეზე გამოიყენეთ „ზიანის მიუყენებლობის" მიდგომა;
- ჩართეთ გენდერის საკითხი მონიტორინგისა და შეფასების პროცესის თითოეულ ასპექტში (რაც მოიცავს მაჩვენებლების ჩაშლას გენდერული ნიშნების მიხედვით). ეს მოგვცემს შესაძლებლობას, დავაკვირდეთ, თუ რამდენად აღწევს განხორციელებული ღონისძიებები ან გაწეული მომსახურებები მამაკაცებამდე და ქალებამდე და რამდენად განსხვავებული გავლენა აქვს მათზე;
- პროგრამის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მხედველობაში მიიღეთ მოქნილობის პრინციპი. ეს მოგცემთ ახალი შესაძლებლობების გამოყენების ან თქვენი სამუშაოს ადაპტირების შესაძლებლობას, რისკების თავიდან აცილების მიზნით;
- მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ თქვენი ცვლილებების თეორია და ხშირად გადახედეთ მას იმისათვის, რომ შეინარჩუნოთ ყურადღება პროგრამის მიზნებზე;
- განავრცეთ შეფასებები შუალედური შედეგების, საბოლოო შედეგებისა და გავლენის გაზომვის ფარგლებს მიღმა იმისათვის, რომ შეაფასოთ თქვენი ცვლილებების თეორიის აქტუალობა;
- მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ჩართეთ ადგილობრივი მკვლევრები და კვლევითი ორგანიზაციები, რომლებიც კარგად იცნობენ გარემოს, საუბრობენ ადგილობრივ ენაზე და უკეთესი კომუნიკაცია აქვთ მონაწილეებსა და პარტნიორებთან, აგრეთვე კარგად ერკვევიან ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში;
- შეძლებისდაგვარად ვრცელი ფორმატით დასვით შეკითხვები იმისათვის, რომ შეაგროვოთ ღირებული ინფორმაცია (ისინიც კი, რომლებიც განზრახ არ გიძებნიათ) და შექმნათ პროგრამის შედეგებისა და გავლენის შესახებ სრულყოფილი სურათი;
- გამომდინარე იქიდან, რომ ძალადობრივი ექსტრემიზმი საკმაოდ სენსიტიური თემაა, კარგად დაიცავით მონიტორინგისა და შეფასების ღონისძიებების შედეგად თქვენს მიერ მოპოვებული მონაცემები;
- მონიტორინგისა და შეფასების პროცესის შემუშავებისას, ჩართეთ რამდენიმე დაინტერესებული მხარე, მათ შორის ხელისუფლების სტრუქტურები, დონორები, ადგილობრივი მკვლევრები და პროგრამის პარტნიორები;
- კვლევის შედეგები გაუზიარეთ სხვებს, რათა დაეხმაროთ მათ იმის გააზრებაში, თუ რა მუშაობს კარგად და რა არ მუშაობს მოცემულ გარემოში.

10.5. შეჯამება

ამ მოდულში განვიხილეთ მონიტორინგისა და შეფასების საფუძვლები, განსაკუთრებით, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამების შემუშავების კუთხით. მოდულში შესწავლილია რამდენიმე ფაქტორი, რომელიც ამ პროგრამების მონიტორინგსა და შეფასებას ართულებს. მოდულში წარმოდგენილია სხვა სფეროებიდან შესწავლილი მნიშვნელოვანი გაკვეთილები, სადაც ამ ტიპის სირთულეები უკვე გადალახეს, შემდგომ კი შეისწავლეს მოწინავე მეთოდებისა და სახელმძღვანელო პრინციპების მაგალითები. ამ მოდულიდან შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს ეფექტიანი მიდგომების განსაზღვრას ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავების პროცესში.
მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგსა და შეფასებას ბევრი სხვადასხვა მიზანი გააჩნია, ყველაზე მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რა მუშაობს ყველაზე ეფექტიანად. მაქსიმალური ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, ცვლილებების თეორიები და მონიტორინგისა და შეფასების სხვა ინსტრუმენტები უნდა ითვლისწინებდეს აღნიშნულ მიზანს.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებების კომპლექსური და სენსიტიური ხასიათი ართულებს მონიტორინგისა და შეფასების პროცესს, თუმცა პროცესის შესრულება კვლავ შესაძლებელია.
სირთულე გულისხმობს არა მხოლოდ ძალადობრივი ექსტრემიზმის საფრთხეს და იმ ფაქტს, რომ ადამიანებს შესაძლოა ამაზე საუბარი არ სურდეთ, არამედ ასევე მოიცავს განწყობისა და რწმენების კუთხით არსებული ცვლილებების გაზომვის სირთულესა და იმ ფაქტის დამტკიცების რთულ ხასიათს, რომ კონკრეტულ მოვლენას (მაგალითად, რადიკალიზაციას ან გადაბირებას) ადგილი არ ჰქონია გარკვეული ქმედებების გამო.

სხვა სფეროები უზრუნველყოფენ მოსაზრებებს და გაკვეთილებს, თუ როგორ შეიძლება ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებების მონიტორინგსა და შეფასებასთან დაკავშირებით არსებული ბარიერების გადალახვა.
მიუხედავად ამ სფეროს უნიკალურობისა, ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სპეციფიკა არ არის ისეთი ახალი, რომ ვერ იხელმძღვანელოს სხვა სფეროებში მიღებული გამოცდილებით. რეალურად, დანაშაულის პრევენცია, განვითარება და მშვიდობისმყოფელობა საკმაოდ ბევრ ღირებულ გაკვეთილს იძლევა, რომლებმაც უკვე გააძლიერა ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებების მონიტორინგი და შეფასება.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასების ძალიან ბევრი რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდი არსებობს.
პროგრამების და პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის მიზნით ან ცვლილებების და გარეშე ფაქტორების გავლენის შესაფასებლად უამრავი ტიპის მაჩვენებლების გამოყენება შეიძლება. თუმცა, ამ მაჩვენებლების (რომლებიც ხშირად ციფრული მნიშვნელობებითაა წარმოდგენილი) ეფექტურობის გაუმჯობესება შესაძლებელია თვისობრივი ინფორმაციის შეგროვებით, მაგალითად, ინტერვიუებიდან ან ფოკუს-ჯგუფებთან ჩატარებული დისკუსიებიდან. რეალურად, მონაცემთა ორივე ტიპი აუცილებელია.

10.6. სწავლის დამატებითი შესაძლებლობები

„Evaluate Your Countering Violent Extremism Results: Projecting Your Impact", კრისტინა მატეი და სარა ცაიგერი („Hedayah"-ს ცენტრი) [ინგლისური]

„Program Evaluation Toolkit for Countering Violent Extremism", ტოდ კ. ჰელმუსი და სხვ. (კორპორაცია RAND) [ინგლისური]

„Development and Pilot Test of the RAND Program Evaluation Toolkit for Countering Violent Extremism", სინა ბიგლი და სხვ. (კორპორაცია RAND) [ინგლისური]

„Improving the Impact of Preventing Violent Extremism Programming: A Toolkit for Design, Monitoring, and Evaluation", ლუსი ჰოლდაუეი და რუთ სიმფსონი (International Alert) [ინგლისური]

„Learning and Adapting: The Use of Monitoring and Evaluation in Countering Violent Extremism", ლორა დოუონი, ჩარლი ედვარდსი და კალუმ ჯეფრი (გაერთიანებული სამეფოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კვლევების გაერთიანებული სამსახურების სამეფო ინსტიტუტი) [ინგლისური]

„Surveys and Countering Violent Extremism: A Practitioner's Guide", მეთიუ ნეინსი და ბრაინი ლაუ (აზიის ფონდი) [ინგლისური]

„Borrowing a Wheel: Applying Existing Design, Monitoring, and Evaluation Strategies to Emerging Programming Approaches to Prevent and Counter Violent Extremism", ლილი რისი და ანიტა ერნსტორფერი (CDA Collaborative Learning Projects) [ინგლისური]

„Evaluating Countering Violent Extremism Programming: Practice and Progress", ნორინ ჩოუდერი პინკი, პიტერ რომანიუკი და რაფია ბარაკატი (გლობალური კონტრტერორისტული თანამშრომლობის ცენტრი) [ინგლისური]

„Does Countering Violent Extremism Work? Lessons Learned from the Global Effo t to Counter Violent Extremism", პიტერ რომანიუკი (გლობალური კონტრტერორისტული თანამშრომლობის ცენტრი) [ინგლისური]

„The Counter Narrative Monitoring and Evaluation Handbook", ლუის რეინოლდსი და ჰენრი ტუკი (სტრატეგიული დიალოგის ინსტიტუტი) [ინგლისური]

„How to Measure the Impact of Your Online Counter or Alternative Narrative Campaign" (რადიკალიზაციის შესახებ ინფორმაციის ქსელი) [ინგლისური]

„Countering Violent Extremism: Developing an Evidence-Base for Policy and Practice", სარა ცაიგერი და ენ ელაი („Hedayah"-ს ცენტრი) [ინგლისური]

„Hedayah"-ს ცენტრის მიერ შექმნილი MASAR აპლიკაცია iOS-სა და Android-სთვის „PVE Indicator Bank", UNDP [ინგლისური]

„Monitoring Toolkit: Selecting Performance Indicators", USAID [ინგლისური]

„Performance Monitoring and Evaluation TIPS: Baselines and Targets", USAID [ინგლისური]

რეკომენდებული ლიტერატურატა

„Monitoring and Evaluation: Some Tools, Methods, and Approaches" (მსოფლიო ბანკი) [ინგლისური]

„Norms and Standards for Evaluation" (შეფასების საკითხებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯგუფი) [ინგლისური]

„Framework for Evaluation" (წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებების საერთაშორისო ფედერაცია) [ინგლისური]

„Project-Programme Planning Guidance Manual" (წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებების საერთაშორისო ფედერაცია)[ინგლისური]

„Project-Programme Monitoring and Evaluation Guide" (წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებების საერთაშორისო ფედერაცია) [ინგლისური]

„Handbook on Planning, Monitoring and Evaluating for Development Results" (გაეროს განვითარების პროგრამა) [ინგლისური]

„Rethinking Monitoring and Evaluation" (საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევისა და სწავლების ცენტრი) [ინგლისური]

Non-Governmental Organizations, Communication and Information Flows (საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევისა და სწავლების ცენტრი, № 25) [ინგლისური]

„Building Organisational Capacity through Analytical Skills Training in Central Asia", შედგენილი მია სორგენფრაის მიერ ჩარლი ბაქსტონთან თანამშრომლობით (საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევისა და სწავლების ცენტრი) [ინგლისური]

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროექტების მონიტორინგისა და შეფასების შესახებ დამატებითი მასალები (ინგლისურ ენაზე), მაგალითების თანხლებით, შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ამ ბმულიდან.

დასკვნა

წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროს შესწავლის, აგრეთვე პროგრამებისა და პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების თვალსაზრისით უახლესი მოწინავე მეთოდები. სასწავლო პროგრამის ადგილობრივ გარემოზე ადაპტირების მიზნით, სახელმძღვანელო ეყრდნობა მსოფლიოს მასშტაბით არსებულ გამოცდილებას და აგრეთვე საქართველოდან წარმოდგენილ მაგალითებს. გარდა ამისა, სახელმძღვანელოს მოდულების ფარგლებში წარმოდგენილია კომპლექსური შეკითხვები იმისათვის, რომ დამატებით დავუკავშიროთ არსებული მასალები გარემოს და ხელი შევუწყოთ თვით-ანალიზსა და მნიშვნელოვან კვლევას.
ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფერო მუდმივად ივსება განახლებული ინფორმაციით და იზრდება. იგი ადაპტირდება ძალადობრივი ექსტრემიზმის სფეროში მიმდინარე სწრაფ ცვლილებებთან და ახალ გამოწვევებთან. თქვენ მუდმივად უნდა ისწავლოთ, განაახლოთ თქვენი ცოდნა და გაიზარდოთ იმისათვის, რომ ფეხი აუწყოთ ცვლილებებს. მოგიწოდებთ, გაეცნოთ სახელმძღვანელოს თავებში „სწავლის დამატებითი შესაძლებლობები" მითითებულ საკმაოდ მდიდარ მასალას. ისინი სპეციალურად თქვენთვის და თქვენი გარემოსთვის შეგროვდა. ბევრი მათგანი შედგენილია კონკრეტულად თქვენი რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით და/ან ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე.

მომავალში, ამ სფეროში მუშაობის პროცესში, გირჩევთ განაგრძოთ:

- კრიტიკული შეკითხვების დასმა;
- სხვა ინსტიტუციებსა და ორგანიზაციებთან ეფექტიანი თანამშრომლობა, თქვენი სამუშაოს შედეგების გასავრცელებლად;
- რადიკალიზაციის მამოძრავებელი ფაქტორებისა და მათი აღმოფხვრის მოწინავე მეთოდების უკეთ შესწავლა;
- სხვების შესაძლებლობების გაფართოება;
- თქვენი მზარდი ცოდნის გაზიარება; და
- ცვლილებებისთვის მხარდაჭერა.

ადაპტირებულია საქართველოსთვის

Hedayah
countering violent extremism

SEARCH FOR COMMON GROUND

GCSD